N45 (491) 5/XI-1
1 ლარი
დავა „ერისიონსა“ და „სამაიას“ შორის
მისალებია თუ არა ქართული ცეკვისთვის წელს ზემოთ შიშველი მამაკაცი
მეფე-დედოფალი?!
როგორ აჭირა ნინო ჩხეიძემ გია სურამელაშვილი
„ინგა გრიგოლია სახლში უნდა იჯდეს და ქუჩიდან მოსულები ჟურნალისტობდნენ“?
ნაჭო მეტონიძის „მისტიკა“ და მისით მოჯადოებული რეზო ჩხიკვიშვილი
ვინ არის ახალი ქართული ტელესერიალის პროექტის ავტორი
ქმრისგან მიტოვებული მრავალშვილიანი დედა...
ჯექსონიდან ბურჯანაძემდე
ანუ ყურებამდე შეყვარებული პაროდისტი
ISSN 1987 - 5029
9 771987 502009
როგორ დავძლიოთ სტრესი

საინტერესო და თვალსაჩინო...

მკითხველთან ურთიერთობის ახალი ხარისხი

ახალი ჟურნალი „ათიანში“ სხვა საკითხავი იქნება, გამოჩენილი და განსხვავებული. თქვენთვის საინტერესო ხალხს შეხვდებით, თვალსანიერს ჯიდევ უფრო გაიფასოებთ, სიახლეებს გაეცნობით, სასიამოვნო მოგონებებს გაიახლებთ, დაფიქრებით, იხალისებთ, იმედიანად განეწყობით და „ათიანში“ დახარჯული დროს ფულად დაჯილდოებულად ნამდვილად არ ჩათვლით!..

№45 (491)
5 — 11 ნოემბერი. 2009 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
სიმართლის დრო

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ ინფორმაცია 7

■ ფაქტი და კომენტარი 8

■ პრობლემა 11
გონივრული სასესხო მატება თუ ახალი „ვალის ორმო“?!

■ საგანძური 13
დავა „ერისიონსა“ და „სამაიას“ შორის

■ დაიჯესტი 16

■ ჟურნალისტის როლში 19
ორი უკონკურენტო ქართველი მომღერალი

■ პროექტი 22
ნატო მეტონიძის „მისტიკა“

■ ეკრანს მიღმა 25
„ძნელია სამშობლოდან ემიგრაციაში მეორედ წასვლა“

■ გემოვნება 27
ჯექსონიდან ბურჯანაძემდე

■ ვარსკვლავები 29
დაუმორჩილებელი ამერიკა

■ ცხოვრება 31
ნაზი, ნონა და პოლკოვნიკი

■ თქვენთვის, ქალბატონებო! 33
გულის კარნახით ვიცხოვრე და... დავმარცხდი

■ კონსულტაცია 35
რაში მდგომარეობს ღალატის მიზეზი

■ ნამდვილი ამბავი 37

■ კრიმინალური კურიოზები 38

■ მონადირე 41
ატირებული ირემი და დაუნდობელი მტაცებლები...

ქვეყანა



დავა ფოლკლორის სიწმინდისათვის

„ერთხელ ჯორდან პასკალი ანსამბლში ერთ-ერთ გერმანულ საპროდიუსერო კომპანიის წარმომადგენელთან, ქალბატონ ირინა ლაარისთან ერთად მოვიდა და შემოგვთავაზეს, — მოცეკვავე ბიჭებს წელზევით გავხადოთო. უარით გავისტუმრე“...

6

სახე

ჯექსონიდან ბურჯანაძემდე

„ზოგიერთი მედავება, მაიკლ ჯექსონის სიმღერებს რატომ უსმენო. მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ვინც ჯექსონს არ უსმენს, უგემოვნო ადამიანია. სხვას ნამდვილად ვერ გავაკრიტიკებ. “

19

ცხოვრება

„სასწრაფო დახმარება“ საყვარლისთვის

ამასობაში ქმარიც დაბრუნდა. გამოკეთებული ცოლი რომ დაინახა, ექიმს ათასი მადლობა გადაუხადა და მწვანე პერანგის ჯიბეში 20-ლარიანიც ჩაუცურა. ექიმსა და ექთანს სიტყვაც არ უთქვამთ, წამლებით სავსე ყუთი უხმაუროდ დახურეს და კარში გავიდნენ.

33



უიმედო სიტუაცია

„ერთხელ გამწარებულმა კაცმა კინაღამ თავიც კი მოიკლა. ექიმებმა ძლივს იხსნეს მისი სიცოცხლე. მიხვდა, რომ სიკვდილის უფლება არ აქვს. ბავშვებმა არ იციან, რა არის სკოლა, ბაღშიც არ უვლიათ არასდროს, მაგრამ მაინც არსებობენ კეთილი ადამიანები, რომლებიც ეხმარებიან“.

85

■ ასპარეზი 44
აიკიდო — სულის ჰარმონიისკენ მიმავალი გზა
■ საკითხავი ქალებისათვის 47
■ ანტიდეპრესანტი 48
■ ავტო 48
■ ეს სამყაროა 50
■ ტაძარი 52
■ პირველი წმინდანები...
■ ჯანმრთელობა 54
მენინგიტი, ენცეფალიტი და მენინგოკოქცემია
■ პროფესია 57
თავგადასავლები გზაში
■ რაკურსი 59
„როცა ვხატავ, ფულზე არ ვფიქრობ“...
■ მოწოდება 61
ნაზი მასწავლებლის უჩვეულო სტუმარი
■ გასაჭირი 63
ქმრისგან მიტოვებული მრავალშვილიანი დედა
■ თინეიჯერული პონტები 64
თეატრად და პოდიუმად ქცეული ტელესივრცე
■ წვეთი პოეზია 76
■ გულახდილი დღიური 68
მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)
■ დოკუმენტური პროზა 70
შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)
■ ქართული დეტექტივი 72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)
■ მინირომანი 76
„არ გავბრაზდები“
■ რომანი 78
სვეტა კვარაცხელია. აკრძალული ოცნებები (გაგრძელება)
■ გზავნილები 85
■ ყველა ერთისათვის 90
■ მობილი-ზაცია 92
■ მოზაიკა 98
■ ერუდიტი 100
ზაზა გაბუნია „განსასჯელის სკამზე“
■ გასართობი 102
■ ასტროლოგია 104
■ სკანვორდი 105
■ საფირმო კროსვორდი 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



პირველი წმინდანები

„როდესაც ადამიანი წმინდა ცხოვრებით ცხოვრობს ან მოწამებრივად აღესრულება, ადგილობრივი ეკლესიის სინოდი განიხილავს ამ პიროვნების საკითხს და ახდენს კანონიზაციას“.

43

ადამიანი



ნაზი მასწავლებლის უჩვეულო სტუმარი

„პრეზიდენტის კორტეჟი ჩემს სახლთან რომ მოვიდა, ხალხი გაოცებული უყურებდა, ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა. მანქანა სადარბაზოსთან გაჩერდა და ბატონი მიხეილი სახლში ამოვიდა“

57

ბიბლუსი

შეხვედრები სტალინთან

სტალინი მშვიდი ტონით ლაპარაკობდა იმაზე, რომ სადაზვერვო სამსახურები არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ. მან ისიც დასძინა, რომ 1937 წელს ტროცკის ჩამოცილება შპიგელგლასს ჰქონდა დავალებული, მაგრამ მან ეს უმნიშვნელოვანესი დავალება ვერ შეასრულა.

67

ტაიმ-აუტი



კალაძეების წყვილი ჯვრისწერისა და ნათლობისთვის ემზადება

„ჩემში ბევრი რამ შეიცვალა. ახლა, ვარჯიშის შემდეგ სახლში გავრბივარ. მსურს, შვილი რაც შეიძლება მალე ვნახო. ლევანი 3 თვისაა და ყოველდღე იცვლება. ჩემთვის მამის როლი ძალიან მნიშვნელოვანია“.

97

სიმართლის დრო

შესავლის ნაცვლად მას შემდეგ, რაც „თავისუფალმა ტელევიზიებმა“ თავისი „მენიუდან“ პოლიტიკური ტოქშოუები ამოიღეს, მათმა „შეფ-მზარეულებმა“ გადაწყვიტეს, გასართობი კაპიტალ-შოუების „გაძლიერებულ დიეტაზე“ „დაგვსვან“! ჰოდა, ოპერატიულად შესრულდა ეს გადაწყვეტილება და ახლა დღე არ გავა, რომ მრავალტანჯული ქართველი მაყურებელი, ან ვიღაცის საიდუმლოს ფასად მიღებულ 4 ათასზე არ იშლიდეს ნერვებს, ან რომელიმე „ცნობად სახესთან“ ერთად არ ღეჭავდეს ცხვირსახოცს (ვინც დაღეჭილ ჰალსტუხთან პარალელს გაავლებს, თავის გულში ჩაიხედოს), ვინმე შეჭირვებულისთვის საჭირო თანხის შეგროვებისას, ან კიდევ, ტელეეკრანს „მიჭიჭინებული“, მადონას თუ შორენას არ ემუდარებოდეს, — გახსენი, რა, ხუთლარიანი კეისი, გახსენი, რა!.. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?! იმ ქართველმა ტელემაყურებლებმა, რომლებიც 20 წელია, პოლიტიკაზე „ვზივართ“?! როგორ „გადავაგდოთ ლომკა“?! მარტო „კურიერი“ და „ქრონიკა“ გვეყოფა?! მით უმეტეს, რომ დღევანდელ საინფორმაციო გამოშვებებს, სულაც ნატოში რომ მიგვიღონ, პოლიტიკით კი არ იწყებენ, არამედ იმით, თუ ვინ რამდენი კაცი ან ქალი გააუპატიურა სარეკორდოდ მცირე დროში; ვინ რომელი სასოფლო-სამეურნეო იარაღის ჩარტყმით მოკლა საკუთარი ნათესავი; ან როგორ ყოჩაღად დაიჭირეს „თოფურიძის ბიჭებმა“ ქვეყნის დამაქცევარი კრიმინალების ბანდა, რომელმაც ორი „კამაზი“ ტუალეტის ქაღალდი შემოაპარა საზღვარზე.

არა, ბატონო, არ გვეყოფა ასეთი მცირე დოზით მოწოდებული პოლიტიკა და სანამ ის დრო დაგვიბრუნდებოდეს, როცა ინგა გრიგოლიას ხმით შეზანზარდება ტელეეთერი („ბატონო ზურაბ, პრემიერ-მინისტრობისას რომ ძალიან მოგწონდათ სააკაშვილი?!.), მანამდე თავადვე მოვიფიქრე ჩემნაირებისთვის „წამალი“ (როგორც ნარკომანებმა მოიგონეს „ვინტი“ და „ატვიორტკა“); მთავარია, გასართობი შოუების წამყვანები დამთანხმდნენ ამ ორმხრივ სასარგებლო შეთავაზებაზე: შალვა რამიშვილს, შორეული ბავშვობის დროინდელი ნაცნობ-მეგობრობის ხათრით, უფასოდ მივაწვდი არცთუ „პოლიტკორექტულ კითხვებს“, „ვის უნდა ოცი ათასი“-ს სტუდიასაც არ დავზარდები დახმარებას, ოღონდ შეიძლება, პაააატარა ჰონორარი მოვთხოვო.

აბა, წარმოიდგინეთ, ზის შალვა რამიშვილთან ქ-ნი ნინო ბურჯანაძე და წამყვანი ეკითხება: „ქალბატონო ნინო, ბოლოს რომელ ქვეყანასთან ისაუბრეთ ტელეფონით? სწორი პასუხის შემთხვევაში თქვენ მოიგებთ წყნეთის აგარაკის შესასყიდ თანხას!“

ანდა შეკითხვა თემურ იაკობაშვილს: „ბატონო თემურ, რუსეთ-საქართველოს ომში ვინ გაიმარჯვა?!“

ან კიდევ: „ქალბატონო (და აქ ნებისმიერი ქალი-„ნაციონალის“ სახელი შეიძლება ჩავწეროთ) ჩვენი პრეზიდენტი უფრო სიმპათიურია თუ გრეგორი პეკი?!“

ხომ კარგია?! ფული ფულად მოიგება, შოუ შოუდ დაიდგმება, პოლიტიკის „დოზასაც“ მივიღებთ.

„ვის უნდა 20 ათასი“ კიდევ უფრო ადვილი იქნება: ვთქვათ, ზის წამყვანის წინ კონსტანტინე გამსახურდია და ფულს აგროვებს გუბაზ სანიკიძის პარტიის დასახმარებლად. კითხვა ასეთი იქნება:

„თქვენ შემდეგ, ვინ იქნება პირველი ოპოზიციონერი, რომელიც პარლამენტში დაბრუნდება? სავარაუდო პასუხები: A — შალვა ნათელაშვილი; B — ლევან მამალაძე; C — დიმა ობოლაძე; D — ენდი გარსია“.

ანდა კიდევ უკეთესი: თამაშობს ჯონდი ბაღათურია, რომელიც მოგებული ფულით კრედიტების გასტუმრებაში უნდა დაეხმაროს... ჯონდი ბაღათურიას! შეკითხვა: „ქართული დასი არის: A — პარტია; B — საერთო-სახალხო მოძრაობა; C — „სამ ტანცუიუ, სამ პაიუ“; D — არაფერიც არ არის“.

მე მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანე, მთავარი „მასალა“ შენახული მაქვს და საჭიროების შემთხვევაში, როგორც მოგახსენეთ, სიამოვნებით მივაწვდი ტელევიზიებს, მაგრამ ახლა „იშტაზე მოვედი“ და რამდენიმე შეკითხვა აქედანვე მინდა დავუსვა ზოგიერთებს, „მარცხნივაც“ და „მარჯვნივაც“, „წინაც“ და უკანაც“.

— ბატონო და ქალბატონო „ახლებო“, რატომ აღარ ჩანხართ? კიდევ დიდხანს იფიქრებთ, ვისთან ჯობს ყოფნა?

— ბატონო ჯანდაცვის მინისტრო, იცით თუ არა, რომ თქვენს საამაყო „რესპუბლიკურ საავადმყოფოში“ მესამე სართულზე ერთი კაცის ლიფტით ასვლა 20 თეთრი ღირს? სხვათა შორის, ჩამოსვლაც!

— ბატონო ცნობილო შოუმენო „უცნობო“, კარგი, რა!..

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ხომ საერთოდ, უფრო — კარგით, რაა!..

კითხვების მეტი რაა, პასუხი თქვით, თორემ...

სიმართლის დრო მოდის, დაგერხათ, ბატონებო!

P.S. ბატონი ყოფილი პრემიერ-მინისტრი და მისი მოსკოვური ვიზიტი არ მიხსენებია. უფრო სწორად, ზემოთ ინგა გრიგოლიას „ვახსენებინე“. ამის გამო შეიძლება ვინმეს ეგონოს, ნოღაიდელმა ამას წინათ ჟურნალისტებს რომ მიმართა, — თვალში ხომ არ გეპატარავებითო?! — მეც შევშინდი.

ამიტომ, მკითხველის გასაგონად მოგმართავთ, ბატონო ზურაბ: — დიახ, მე მეპატარავებით თვალში!

პროვოკატორი

ბოლივიის პრეზიდენტს სახეში ტორტი „მიატყეპეს“

ბოლივიის მცხოვრებლებმა თავიანთ პრეზიდენტს, ევო მორალესს დაბადების დღე უცნაურად მიულოცეს. ზეიმზე, რომელიც ამ დღეს მოეწყო, მორალესს ნაღების კრემით მორთული ტორტი მიართვეს;. როდესაც ბოლივიელმა ლიდერმა ტორტის ჩაკბეჩა დააპირა, ცერემონიაზე დამსწრე ერთ-ერთმა ადამიანმა, ტორტის ნაჭერი პრეზიდენტს პირდაპირ სახეში მიატყეპა. მართალია, ბოლივიაში იუბილარს ამ ფორმით ხშირად ეხუმრებიან, მაგრამ პრეზიდენტის მიმართ ასეთ საქციელს, თანაც ტელეკამერების წინ არავინ ელოდა. კრემში ამოსვრილი მორალესი განცვიფრდა, მაგრამ უცებვე გამოერკვა და მომხდარი ხუმრობაში გაატარა. ■

თეირანს განადგურების საფრთხე ემუქრება

სეისმოლოგების დასკვნით, უახლოეს მომავალში, შესაძლოა, ირანში მიწისძვრა მოხდეს, რომელიც თეირანს მთლიანად გაანადგურებს. პროფესორ ბაჰრამ აკაშაჰის განცხადებით, მიწისძვრის სიმძლავრემ შესაძლოა, რიხტერის სკალით 8 ბალს მიაღწიოს. ქვეყნის საბჭომ, სულიერი ლიდერის რეკომენდაციით, დედაქალაქის სხვა ადგილზე გადატანა გადაწყვიტა. „ჩემთვის აქამდე რომ დაეჯერებინათ, თეირანი მეგაპოლისი არ გახდებოდა“, — აცხადებს აკაშაჰი და ირწმუნება, რომ დედაქალაქის ასაშენებლად ყველაზე უსაფრთხო ტერიტორია ქალაქებს — კუმსა და დილიჟანს შორისაა. ■



სარკოზი 276 ათას ევროდ შეფასებულ საშხაპეში არ შევიდა

აუდიტორული შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ გადასახადების გადამხდელთა ფულით პარიზის დიდ სასახლეში საფრანგეთის პრეზიდენტისთვის 276 ათასი ევროს ღირებულების საშხაპე იყო აშენებული. როგორც გაირკვა, საფრანგეთის პრეზიდენტს აღნიშნული საშხაპით ხმელთაშუა ზღვის კავშირის სამიტის დროს უნდა ესარგებლა, მაგრამ სარკოზიმ ელისეს სასახლეში ბანაობა არჩია. ■

შვარცენეგერმა პოლიტიკურ ოპონენტს შეაგინა

კალიფორნიის შტატის გუბერნატორმა, მისი პოლიტიკური ოპონენტის მხრიდან გამოთქმულ შეურაცხმყოფელ ლექსიკას საკმაოდ „გულახდილი“ პასუხი გასცა: „დემოკრატ“ ტომ ამიანოს მისამართით გაგზავნილ წერილში მან სიტყვები ისე განალაგა, რომ თითოეული სტრიქონის პირველი ასოსგან საბოლოოდ, ფრაზა — fuck you — გამოსულიყო. შტატის გუბერნატორის პრესმდივანი შეეცადა, საზოგადოება დაერწმუნებინა, თითქოს სტრიქონის პირველი ასოები ამგვარად სრულიად შემთხვევით დაეწყო. ადგილობრივ ჟურნალისტებს ასეთი „შემთხვევითობის“ არ სჯერათ და ამბობენ, რომ შვარცენეგერს ამიანო დიდი ხანია, გულზე აღარ ეხატება. ამ უკანასკნელმა არაერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ გუბერნატორმა შიდსთან ბრძოლის პროგრამის დაფინანსება შეამცირა. ■

ჩინელებს შეცდომა ძვირად დაუჯდათ

ჩინელმა მეტეოროლოგებმა გვალვით გამოწვეული შედეგების მოსაწესრიგებლად და ხორბლის ყანების მოსარწყავად წვიმის გამოსაწვევად, დედაქალაქის თავზე ვერცხლის იოდით ღრუბლები დაამუშავეს, მაგრამ ცივი „ატმოსფერული ფრონტის“ გამო წვიმა ბარაქიან თოვლში გადაიზარდა. ნაადრევად მოსულმა თოვლმა ქვეყანაში საავტომობილო, სარკინიგზო და საავიაციო მოძრაობა ერთდროულად შეაფერხა. ■

ქვეყანა

გვაშინებენ თუ მართლა უნდა შეგვეშინდეს?

რუსული „ნეზავისიმაია გაზეტა“ იუწყება, რომ მოსკოვი კავკასიაში ომისთვის ემზადება. ამის დასტურად იმ ფაქტებს ასახელებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ხელისუფლება საჯარისო დაჯგუფებების რაოდენობას მნიშვნელოვნად ზრდის. როგორც ჟურნალისტი ირწმუნება, მოსკოვმა ჩეჩნეთის სამხრეთით, დასახლებულ პუნქტ ბორზოის მახლობლად მე-8 სამთო-მოტომსროლელი ბრიგადა და სამხედრო ოლქის 474-ე საავტომობილო ბატალიონი გადაისროლა. ვლადიკავკაზში კი 58-ე არმიის ბაზაზე, ოპერატიული სამხედრო ოლქი ჩამოაყალიბა, რომლის შემადგენლობაში 7 მოტომსროლელი დივიზია და ერთი სატანკო ბრიგადა შედის. საგაზეთო წერილში ისიცაა ნათქვამი, რომ ბოლო დროს ჩრდილოეთ კავკასიაში რუსული საბრძოლო შენაერთების რაოდენობა 4-ჯერ გაიზარდა. მართალია, რუსი მაღალჩინოსანი სამხედროები აცხადებენ, რომ „მათი ამოცანა სამხრეთიდან, კერძოდ კი საქართველოდან და ჩეჩნეთიდან შესაძლო აგრესიის მოგერიებაა“, მაგრამ რუსული მასმედიის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ძალთა ასეთი გადაჯგუფება ომისათვის მზადების მანიშნებელია. ■

ნოდარ ანდღულაძის
ვარსკვლავი და საიდუმლო ოცნება

ცნობილი ქართველი ტენორი, ნოდარ ანდღულაძე თავს უბედნიერეს ადამიანად მიიჩნევს და ამბობს, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ მისთვის გახსნილი ვარსკვლავი მთელი საქართველოს საკუთრებაა. მისი საოპერო დებიუტი „კარმენში“ ხოზეს პარტია გახლდათ. ტენორის თქმით, ოპერის სცენისკენ მას ტატიანა სატინოვამ (სასცენო ოსტატობის პედაგოგმა) უბიძგა. ყველაზე დიდი სტიმული კი იყო ის ფაქტი, რომ სადებიუტო სპექტაკლს ვახტანგ ჭაბუკიანი დაესწრო. შესრულებული პარტიების სიმრავლის მიუხედავად, საკუთარი თავით ბოლომდე კმაყოფილი არ არის. ოცნებობს, მაგრამ ოცნების საგანს არ ამხელს. თავისი პარტნიორებიდან ყველაზე დიდი სიყვარულით, არაჩვეულებრივ სოპრანოს, ცისანა ტატიშვილს იხსენებს და გვიმხელს, რომ მართალია, ის აკადემიური თვალსაზრისით, მისი მოსწავლე იყო, მაგრამ ამავე დროს მისთვის თაყვანისცემის ობიექტიც გახლდათ. ■

ვაშაძემ მედვედევს პასპორტი კონვერტით გაუგზავნა

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, გრიგოლ ვაშაძისთვის რუსეთის მოქალაქეობის გაუქმება მოითხოვა. ამ ინიციატივით ფრაქცია „სამართლიანი რუსეთის“ წევრი სემიონ ბაგდასაროვი გამოვიდა. მისი განცხადებით, უპრეცედენტო შემთხვევაა, როდესაც მტრულ დამოკიდებულებაში მყოფი ქვეყნის მინისტრი, „მტერი სახელმწიფოს“ მოქალაქეა. მისი აზრით, ასეთი ადამიანი საფრთხეს წარმოადგენს როგორც რუსეთისთვის, ასევე საქართველოსთვის და ეს საკითხი წესით, ორივე ქვეყანას უნდა აწუხებდეს. ამის საპასუხოდ, საგარეო უწყების პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორმა, ია მახარაშვილმა აღნიშნა, რომ მინისტრი ვაშაძე რუს დეპუტატზე ნაწყენი არ არის და მისთვის სასიამოვნოც კია, რომ შეუერთდა ისეთ პიროვნებათა რიგს, როგორებიც არიან როსტროპოვიჩი, სოლჟენიცინი და ლიუბიმოვი... ქართველი ჟურნალისტების კითხვას — რამდენად მისაღები იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისთვის რუსეთთან ომის შემდეგ რუსეთის მოქალაქეობის შენარჩუნება? — საგარეო უწყების წარმომადგენელმა ამგვარი პასუხი გასცა: „ეს იყო მისი კონსტიტუციური უფლება, რომელიც გამოყენებული ჰქონდა“. მოგვიანებით ვაშაძემ თავადაც გააკეთა კომენტარი და თქვა, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე შესაბამისი განცხადება და რუსული პასპორტი მოსკოვში გაგზავნა. „რუსეთის სათათბირომ ცოტა დააგვიანა. მე უკვე დავწერე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე განცხადება, ამასთან, კონვერტში ჩავდე ჩემი რუსული პასპორტი და ამით ჩემი, როგორც რუსეთის მოქალაქის მოვალეობები ამოვწურე. მე რუსეთის მოქალაქე აღარ ვარ“, — ამ ფრაზით დაასრულა ვაშაძემ ჟურნალისტებთან საუბარი. ■

დოდო ჭიჭინაძე — „სილამაზე ქართულად“...

როდესაც რომის პაპმა, იოანე XXIII-მ მეოცე საუკუნის 50-იან წლებში ქართველი ქალის დამახასიათებელი ტიპაჟის ფოტოპორტრეტი მოითხოვა (იგი სხვადასხვა ქვეყნის ქალთა ტიპურ სახეებს აგროვებდა), მას მედეა ჯაფარიძის, ლიანა ასათიანის, ლია ელიავასა და დოდო ჭიჭინაძის სურათები გაუგზავნეს. პაპს ოთხივე ქალბატონის სილამაზის გამო აღფრთოვანება ვერ დაუფარავს და უთქვამს: ესენი (მედეა ჯაფარიძე და ლია ელიავა) — „დიდებული ევროპაა“! ო, ეს (ლიანა ასათიანი) — „მშვენიერი აღმოსავლეთი“; აი, ეს კი (დოდო ჭიჭინაძე) — ეს სახე მართლაც ქართულია, „სილამაზე ქართულადო“!.. ქართველი ქალის სახე, სიკეთისა და სათნოების განსახიერება — ქალბატონი დოდო ჭიჭინაძე 85 წლის ასაკში გარდაიცვალა... მის მიერ ნათამაშები როლები — „დავით გურამიშვილში“, „შეწყვეტილ სიმღერაში“, „ჭრიჭინასა“ თუ „ბაში-აჩუკში“ — დღემდე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მაყურებელზე. მართალია, უმშვენიერეს ქალბატონს პირადი ცხოვრება სათანადოდ ვერ აეწყო, მაგრამ მთელი ცხოვრება დიდი სიყვარულით გაატარა. თავად უშვილო, გამუდმებით სხვის შვილებზე ზრუნავდა და იმითაც ბედნიერი იყო, რომ მის მიმართ გამოთქმულ სამადლობელ სიტყვებს ხშირად ისმენდა...

■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ

ვინ შეუერთდება 7 ნოემბრის აქციას

7 ნოემბერს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ოპოზიციური ძალების ნაწილი ფართომასშტაბიანი აქციების გამართვას აპირებენ. არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებას ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებენ, ოპოზიციონერი ლიდერი, სალომე ზურაბიშვილი კი დანარჩენ ოპოზიციონერებს სასტუმრო „რედისონში“ ეპატიჟება და საკუთარი პოზიციების კიდევ ერთხელ დაფიქსირებისკენ მოუწოდებს.

„საქართველოში ოპოზიცია ისეთივე უუნაროა, როგორიც — ხელისუფლება“

ხათუნა ბახტურიძე

სალომე ზურაბიშვილი:

— ამჯერად ჩემი მიზანი ოპოზიციური ფლანგის ერთიანი პოზიციის გარშემო გაერთიანებაა. სასტუმრო „რედისონში“ დავდებ დოკუმენტურ ანალიზს — სააკაშვილის 6-წლიანი მმართველობის შესახებ. მე ყველა პარტიას ვთავაზობ, ამ საკითხთან დაკავშირებით დამოუკიდებელი ანალიზი წარმოადგინოს და საზოგადოებას თავისებურად განუმარტოს, თუ რატომ არის მიუღებელი სააკაშვილის ხელისუფლება ქვეყნისთვის.

კახა კუკავა, *კონსერვატიული პარტიის ლიდერი:*

— არასამთავრობო ორგანიზა-

ციების მიერ მოწყობილ აქციაზე აუცილებლად მივალთ და ჩვენს სათქმელს ვიტყვით.

— რაიმე ახლის თქმას თუ აპირებთ?

— არა, ჩვენი მოთხოვნები უცვლელია — გვსურს, პრეზიდენტის და პარლამენტის ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს.

— „რედისონში“ არ მიხვალთ?

— როგორ არა, მივალთ და ჩვენს პოზიციას იქაც დავაფიქსირებთ.

მანანა ნაჭყებია, *„ალიანსი საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი:*

— 7 ნოემბერი ძალზე ცუდად

მახსენდება: იმ დღეს ზურგში რამდენიმე ტყვია მომხვდა, მომწამვლელი გაზიც საკმაოდ დიდი დოზით მივიღე და არა მგონია, ამ თარიღის აღნიშვნა ღირდეს... ახლა პოლიტიკოსების მხრიდან ყველაზე გონივრული ნაბიჯი ხელისუფლების შეცვლაა. ჩვენ, „ალიანსი საქართველოსთვის“ ვაპირებთ, ხელისუფლებაში ისეთ დემოკრატიულ ძალებთან ერთად მოვიდეთ, რომლებიც მშვიდობიან აქციებს არასოდეს დაარბევენ.

— არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამ თარიღის აღნიშვნა უკვე გადაწყვიტეს. 7 ნოემბერს აქციაზე არ წახვალთ?

— აქციაზე გული ნამდვილად არ მიმიწევს, მაგრამ ალიანსმა გადაწყვიტა, ამ დღეს დაგეგმილ ღონისძიებებს გამოეხმაუროს.

— სალომე ზურაბიშვილის ინიციატივაზე — სააკაშვილის 6-წლიანი მმართველობის შეფასების შესახებ დოკუმენტს წარდგენაზე რას იტყვით?

— ვფიქრობ, ქართველმა ხალხმა პრეზიდენტ სააკაშვილის 6-წლიანი მოღვაწეობა უკვე შეაფასა და საკუთარი პოზიცია საპროტესტო აქციებითაც გამოხატა, მაგრამ თუ ქალბატონი სალომესგან კონკრეტულ შემოთავაზებას მივიღებთ, პრობლემა არ არის, ჩვენს პოზიციას კიდევ ერთხელ დავაფიქსირებთ.

გაგრძელება იხ. გვ. 10

როგორ შევიძინოთ ყველაზე პოპულარული საქონელი
გასაყიდ ფასზე გაცილებით იაფად?
„პალიტრის“ მედიასახლის
ანტიკრიზისული პროექტი
„მედია-დანაზოგი“
ფასი: ~~120~~ 90
წნევის საზომი აპარატი
MICROLIFE BP A80
შვეიცარიული
ხარისხი
2008 წ.
საუკეთესო
პროდუქტი
ნომინაციაში
„სიზუსტის კლასი“
ადგენს: არტერიულ
წნევას, პულსს, არითმიას
„სიტყვა და საქმის“ პირველ მეერდზე დაბეჭდილია კუპონი,
შეაგროვეთ 3 ცალი.
მიიტანეთ „მირკოს“
აფთიაქში
დაზოგეთ
30 ლარი!
პეკინის 13
ტელ: 37 98 73
ფასი: ~~620~~ 545
ავტომატური
სარეცხი მანქანა
ZANUSSI ZWF155
ანტონიო ზანუსის 93 წლიანი
იტალიური მემკვიდრეობა
A კლასის ელ.პროდუქტი
სარეცხის მაქს. წონა 5 კგ
გაწურვის სისწრაფე 600 გრ/წ
სრული ავტომატური მართვა
გაჟონვისგან დაცვის რეჟიმი
12 პროგრამა
შეაგროვეთ 4 ცალი.
მიიტანეთ „მეგატექნიკის“
მაღაზიებში
დაზოგეთ
75 ლარი!
მარჯანიშვილის 16
პეკინის 11
ტელ: 24 46 46/47
ანონსი
მომავალი ორშაბათიდან
9-დან 16 ნოემბრამდე
გაზქურა
COREDDO
იხილეთ „მედია-დანაზოგის“
ახალი შემოთავაზება
საბურავი
YOKOHAMA
ინტერნეტმაღაზია

დასაწყისი იხ. გვ. 8

ლევან შატბერაშვილი, *ლეიბორისტების წარმომადგენელი:*

— ჩვენ 7 ნოემბერს დავდგებით იმ ხალხის გვერდით, რომელსაც 2 წლის წინ ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა. სხვათა შორის, პოლიტიკურ პარტიებს შორის ლეიბორისტები ყველაზე მეტად დავზარალდით.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ იმ დღეს მე და ჩემი მეგობრები სამჯერ მოვიწამლეთ და სამჯერ გავილახეთ (ერთხელ პარლამენტის შენობასთან, მეორედ — რიყეზე და მესამედ — მეტრო „ავლაბრის“ წინ, როდესაც სამების ტაძრისკენ მივდიოდით).

— **ასე თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მეტად, კობა დავითაშვილი დაზარალებულა...**

— სამაგიეროდ, მეორე დღეს, ჩვენ წინააღდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა — სამშობლოს ღალატისა და ჯაშუშობის ბრალდებით.

— **7 ნოემბერს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ აქციას შეურთდებით თუ სასტუმრო „რედისონში“ მიხვალთ?**

— ჩვენ მხოლოდ ხალხის გვერდით დავდგებით!

— **თქვენი აზრით, საპროტესტო აქციის გამართვას რაიმე შედეგი მოჰყვება?**

— ჩვენ არა გვაქვს იმის ილუზია, რომ 7 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილს თავისი საქციელის შერცხვება და გადადგება. უბრალოდ, ამ დღეს „ლეიბორისტები“ ტრაგედიის მეორე წლისთავს ხალხთან ერთად აღვნიშნავთ.

კოზა დავითაშვილი, *„ხალხის პარტიის“ ლიდერი:*

— ხალხს ძალიან კარგად ახსოვს, 2007 წლის 7 ნოემბერს ყველაზე მეტად ვინ დაზარალდა. იმ დღის გახსენება მიმძიმს. სააკაშვილმა 2 წლის წინ ქართველების წინააღმდეგ ძალადობრივი აქტი განახორციელა, საკუთარ ხალხს 9 აპრილი მოუწყო და ამიტომაც, აუცილებლად შევუერთდებით არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ აქციას და სასტუმრო „რედისონშიც“ მივალთ, ჩვენი პოზიციის დასაფიქსირებლად.

მაგდა პოპიაშვილი, *„ეროვნული ფორუმის“ პრესცენტრის ხელმძღვანელი:*

— აქციას, რომელიც ერთდღიანია და სიმბოლურ ხასიათს ატარებს, აუცილებლად შევუერთდებით. რაც შეეხება ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის ინიციატივას, ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია.

ალბათ, საზოგადოებისთვის საინტერესო იქნებოდა იმის გაგებაც, თუ რას აპირებენ 7 ნოემბერს საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, მაგრამ პარლამენტში „შებრუნებულმა“ ოპოზიციონერებმა ამ საკითხზე ლაპარაკი ნაადრევად მიიჩნიეს, უბრალო მოქალაქეების აზრი კი ასეთია:

გურამ სორდია, *მუშა:*

— არსადაც არ წავალ! 7 ნოემბერს სახლში დავჯდები და ტელევიზორსაც არ ჩავრთავ! ოპოზიცია სულ რაღაცას გვპირდება, მაგრამ არასდროს არაფერს აკეთებს.

ეკა აფციაური, *სტუდენტი:*

— აქციაზე აუცილებლად წავალ, მაგრამ ჩემი მხრიდან ეს ოპოზიციის მხარდაჭერა არ იქნება. უბრალოდ, მინდა, პროტესტი გამოვხატო ხელისუფლების მიმართ, რომელმაც ხალხი დაარბია. საქართველოში ოპოზიცია ისეთივე უუნარაა, როგორიც — ხელისუფლება.

მამუკა ასათიანი, *მეწარმე:*

— იმედი მაქვს, ოპოზიცია ახლა მაინც გამოიყენებს სიტუაციას და 7 ნოემბერს, ქუჩაში გამოსულ ხალხს რაიმე მნიშვნელოვან წინადადებას შემოგვთავაზებს. პირადად მე, ყველაფრისთვის მზად ვარ და რამდენჯერაც დამიძახებენ, იმდენჯერ გამოვალ იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ნაცვლად, ახალი მიწებიც დაგვაკარგვინა.

თინა ამირანაშვილი, *დიასახლისი:*

— სად წავიდე, შვილო? 2007 წელს ისე მცემეს, ძვალი და რბილი გამიერთიანეს; მერე გუბაზ სანიკიძე გამოვიდა და სულ საქონლები გვიძახა. საქონელი ის არის, ვინც ზურგზე სახრის დარტყმას ეჩვევა. მე აღარ ვაპირებ, ვინმეს თავი გავალახვინო.

გია ოქროპირიძე, *მხატვარი:*

— 9 აპრილის გარდა, არც ერთ საპროტესტო აქციაზე არ ვყოფილვარ. მაშინ ეროვნული იდეებით ვიყავი შეპყრობილი და თავის გაწირვაც შემეძლო, ახლა კი რისთვის დავდგე ქუჩაში? — პოლიტიკური ძალები თანამდებობისთვის იბრძვიან. ბოდიში, მაგრამ თავს არავის გამოვაყენებინებ.

თეა თავაძე, *სტუდენტი:*

— 7 ნოემბრიდან დღემდე, არც ერთ აქციას არ გამოვკლებივარ, მაგრამ რა გამოვიდა?.. პოლიტიკოსობა მხოლოდ მიტინგებზე სიტყვით გამოსვლა არ არის. მე მათგან ჭკვიანურ და საქმიან ნაბიჯებს ველოდი...

ესმა ჭოლოკავა, *ბიოლოგი:*

— აქციაზე წასვლას არ ვაპირებ და სხვებსაც ვთხოვ, ნუ წავლენ. ეს პოლიტიკოსები დაგვიძახებენ, გამოგვიყვანენ, რაღაც განცხადებას გააკეთებენ და მერე გვეტყვიან, — დაიშალეთო! თუ გინდათ, წინასწარ გეტყვით, 7 ნოემბერს რომელი პოლიტიკოსი რას იტყვის. მათი განცხადებები ილიას და აკაკის ლექსებივით მაქვს გაზეპირებული.

■

გონივრული სასესხო მაგება თუ ახალი „ვალის ორმო“?!

ზღვარი, რომლის გადალახვაც მსესხებლებს უეჭველად დაუზარალებს

„კრედიტინფო საქართველო“-ს მონაცემებით, დღეს საქართველოში ნეგატიური სესხების რაოდენობა 270 ათასს აჭარბებს — სწორედ ამდენი ვადაგადაცილებული სესხი და გადაუხდელი ვალია აღრიცხული კომერციულ ბანკებში. ის ფიზიკური თუ იურიდიული პირები კი, ვინც ამ საბანკო პროდუქტებით სარგებლობდნენ, „კრედიტინფოს“ „შავ სიაში“ მოხვდნენ... ყველაფერი ლიბერალური საბანკო პოლიტიკით დაიწყო, რომელსაც შემდეგ „საკრედიტო ბუმიც“ კი უწოდეს.

ემა ტუხიაშვილი

ბანკებს ჭარბი ფული როცა გაუჩნდათ და შესაბამისად, ამ ფულით — უფრო მეტი ფულის შოვნის შესაძლებლობაც, სესხის, საკრედიტო ბარათებისა და „განვადების“ (ნაწარმის ნისიად გაყიდვა) იოლად გაცემას მიჰყვეს ხელი. ბანკების საკრედიტო ოფიცრები მაღაზიებსა და ქუჩებშიც კი გვთავაზობდნენ იოლ, მაგრამ ძვირ ფულს. ნისიად კი, სახლის, ავტომობილის, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და სამოსის გარდა, სტომატოლოგიური მომსახურების მიღებაც კი იყო შესაძლებელი.

აღარ ღირს იმის შეხსენება, რაც შარშანდელი წლის განმავლობაში მოხდა: ზოგს საბანკო განვადება დღემდე მძიმე ტვირთად აწევს, ზოგს კი საფულეში რამდენიმე ბანკის ცარიელი საკრედიტო ბარათი უდევს და თანხის დაბრუნებას დღემდე ვერ ახერხებს. მიუხედავად ამისა, ბოლო დროს ბანკებმა კვლავ დაიწყეს კრედიტების გაცემა. მართალია, ახლა ბანკის მიერ გასესხებული ფული კიდევ უფრო ძვირი ღირს, რადგან საპროცენტო სარგებელი უწინდელზე გაცილებით მაღალია, მაგრამ ვალის აღების სურვილი დღესაც ბევრს აქვს და საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიებშიც ამა თუ იმ ნივთის განვადების მსურველთა რიგი დგას.

ლელა დალაქიშვილი, *ბანკის კლიენტი:*

— პირველად განვადებით როცა ვისარგებლე, ტელევიზორი ვიყიდე. სტაბილური შემოსავალი მქონდა და სესხი დროულად დავფარე. შემდეგ გავთამამდი და ასევე შევიძინე კომპიუტერი. ბანკმა საკრედიტო ბარათიც მაჩუქა, რომელზეც 500 დოლარი იყო დარიცხული. ვფიქრობდი, ამ ფულით მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ვისარგებლებდი, მაგრამ ძნელია, გაუძლო ცდუნებას, როდესაც ფული გეგულება. შემდეგ შემოსავალი შემიმცირდა, ხარჯი კი გაიზარდა. განვადებას, საკრედიტო ბარათზე ყოველთვიურად შესატანი თანხაც დაემატა. როდესაც ფული აღარ მქონდა, სხვა ბანკს მივმართე სესხისთვის და მათი საკრედიტო პროდუქტით ვისარგებლე. ეს ფული იმ მომენტში კი ძალიან წამადგა, მაგრამ ჩემი საბანკო ვალდებულებები კიდევ უფრო გაიზარდა. შემდეგ ისევ სხვა ბანკისგან ვისესხე ფული... რაღა დაგიმალოთ და, საკრედიტო ოფიცრისთვის არ მითქვამს, რომ სხვა ბანკებში უკვე მქონდა სესხი აღებული. დღეს საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ვარ და ჩემი ჯამაგირი თითქმის მთლიანად საბანკო ვალდებულებების გასტუმრებას ხმარდება.

გია ნარჩემაშვილი, *ბანკის კლიენტი:*

— ერთ ბანკში სამომხმარებლო სესხს ვიხდი, მეორეში საკრედიტო ბარათი მაქვს აღებული, მესამეში კი განვადების ბარათით ვსარგებლობ. სამომხმარებლო სესხს რის ვაი-ვაგლახით ვიხდი, ბარათებზე კი ყოველთვიური მინიმალური თანხა შემაქვს და ფული როცა მჭირდება, ისევ გამომაქვს; ბანკი პროცენტს მაჭრის, სესხი კი არ იფარება. ჩემს მდგომარეობაში უამრავი ადამიანია, ზოგი 5-6 საბანკო პროდუქტით სარგებლობს. ისეთ ხალხსაც ვიცნობ, ვისაც ბანკი სესხს არ აძლევდა და სხვას გამოატანინეს ბანკიდან ფული. მოკლედ, დღეს ლამის მთელ საქართველოს ბანკის ვალი აქვს და ჯერაც ვერ გაუსტუმრებია. თუმცა ახლა, რომ გაიგო, ბანკები კრედიტების გაცემას კვლავ იწყებენო, ბევრს კვლავ გაუჩნდა ფულის სესხების სურვილი.

ირაკლი ლექვინაძე, *ეკონომიკის ექსპერტი:*

— იყო თუ არა გამართლებული ლიბერალური საბანკო პოლიტიკა? ამ კითხვაზე პასუხი იმ შედეგებმა გაგვცა, რომლებიც „საკრედიტო ბუმმა“ მოგვიტანა. სესხის აღების პირობები ძალიან გამარ-

ტივებული იყო. მინიმალური ხელფასის საფუძველზეც შეგეძლოთ, გესარგებლათ განვადებით ან სხვა საბანკო პროდუქტით. ხშირად კრედიტის მისაღებად მხოლოდ სახელფასო ცნობის წარდგენაც კმაროდა. არცთუ იშვიათად, ბანკი არც კი ამოწმებდა, სინამდვილეში იღებდა თუ არა ადამიანი დასახელებულ ხელფასს... საბოლოოდ საბანკო სექტორი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს ჯერ კიდევ შარშანდელ აგვისტოს ომამდე მოხდა, ხოლო ომმა კიდევ უფრო დაჩქარა ნეგატიური პროცესი. ომი რომც არ ყოფილიყო, გარკვეული დროის შემდეგ ბანკები ფინანსური პრობლემების წინაშე მაინც აღმოჩნდებოდნენ. ხშირად ამბობენ (თუმცა მე არ მინდა ამგვარი შეფასება გამოვიყენო), რომ ის, რაც მოხდა, ბანკების გაუაზრებელი საკრედიტო პოლიტიკის შედეგი იყო. მაგრამ გარკვეულწილად, არასასურველ შედეგამდე მიგვიყვანა სწორედ ლიბერალურმა, გამარტივებულმა სისტემამ და მოსახლეობისგან მოკლე ხანში მაღალი სარგებლის მიღების სწრაფვამ.

— მაგრამ მოსახლეობას არავინ აიძულებდა კრედიტების აღებას. ძირითადად, რამ შეასრულა იმ ანკესის როლი, რომელზეც ადამიანები წამოეგნენ?

— რა თქმა უნდა, სესხის აღება ნებაყოფლობით ხდებოდა, მაგრამ პროცესი ხომ ბანკების მხრიდანაც იყო პროვოცირებული! ერთმა ადამიანმა აიღო გამარტივებული პირობებით სესხი, მეორესაც გაუჩნდა ამის სურვილი: როცა შესაძლებლობა გაქვს, ფული ისესხო, რატომაც არა?! ყველას გაუჩნდა სურვილი, დაეკმაყოფილებინა ის მოთხოვნილება, რომლის გადახდის შესაძლებლობა იმ მომენტისთვის არ ჰქონდა. ხშირ შემთხვევაში ადამიანებში რატომღაც, ასეთი — მეტისმეტად ოპტიმისტური განწყობილება სუფევდა — რომ სულ ექნებოდა შემოსავალი და ფიქრობდა: მოდი, ახლა ამას გავაკეთებ და გასტუმრების საშუალება ხვალ და ზეგ გამოჩნდებაო... პირველ რიგში, მომხმარებელმა უნდა შეაფასოს საკუთარი მატერიალური მდგომარეობა, რომ შემდეგ მძიმე მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს, თუმცა ბანკებსაც მიუძღვით განსაზღვრული პასუხისმგებლობა — მათ არ უნდა გასცენ ისეთი კრედიტები, რომელთა ამოღება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. არსებობს რისკების შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ბანკები ხელმძღვანელობენ. დღეს ეს კრიტერიუმები გამკაცრებულია. აქამდეც უფრო კონსერვატიული პოლიტიკა რომ გაეტარებინათ, ამდენი ვადაგადაცილებული და პრობლემური სესხი არ იქნებოდა.



არცთუ იშვიათად, ბანკი არც კი ამოწმებდა, სინამდვილეში იღებდა თუ არა ადამიანი დასახელებულ ხელფასს...

— ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის შედეგად ბანკებმაც იზარალეს და მომხმარებელმაც...

— რა თქმა უნდა... მომხმარებელი იმანაც დააზარალა, რომ ეკონომიკური კრიზისი დაგვემთხვა, ომი გადავიტანეთ, იყო ერთგვარი პოლიტიკური არასტაბილურობა, რამაც შეამცირა ბიზნესის განვითარების ტემპები, იმპორტი, ექსპორტი, ზოგადად ბიზნესაქტივობა, ამის შედეგად კი ბევრი ადამიანი უმუშევარი დარჩა. ძირითადად ხომ სწორედ ისინი იყვნენ დასაქმებული, ვისაც სხვადასხვა ბანკში კრედიტი ჰქონდათ აღებული. სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ კი გადახდისუუნარონი გახდნენ. ზოგს სამსახური არ დაუკარგავს, მაგრამ კრიზისის გამო შემოსავალი შეუმცირდა. ერთადერთი, რასაც ბანკები ვერ გაითვალისწინებდნენ, ომი იყო, მაგრამ ისედაც, ბანკებს, ბოლოს და ბოლოს, უნდა „დაემუხრუჭებინათ“, რადგან ეს საკრედიტო ბუმი უსასრულოდ ხომ ვერ გაგრძელდებოდა!..

— ბევრი მომხმარებელი ერთდროულად რამდენიმე ბანკის საკრედიტო პროდუქტით სარგებლობდა. ბანკები, კლიენტებთან დაკავშირებით, ინფორმაციას ერთმანეთში თუ ცვლიდნენ?

— როცა ბანკების მიერ პროცესის მიშვებაზე ვსაუბრობთ, ეს ნიშნავს, რომ ისინი საჭიროდ არ მიიჩნევდნენ, კლიენტის საკრედიტო ისტორია შეემოწმებინათ. ხომ შეიძლება, ერთ ბანკში მქონდეს კრედიტი, ვერ ვფარავდე და მეორიდან ვიღებდე კრედიტს საიმისოდ, რომ პირველის კრედიტი დავფარო?!.. ხშირად ასეც ხდებოდა და პრინციპში, დღეს ბევრს სულ ცოტა, ორი ბანკის საკრედიტო ბარათები მაინც აქვს აღებული. არსებობს საერთო საინფორმაციო სისტემა — „კრედიტინფო“, სადაც კლიენტთა მონაცემთა ბაზებია თავმოყრილი. დღეს როცა კრედიტის ასაღებად მიმართავთ, ბანკს ხელი მიუწვდება ყველა მონაცემზე თქვენ შესახებ — სად რა საბანკო პროდუქტით სარგებლობთ, როგორ ასრულებთ ვალდებულებებს და სხვა. ადრე კი მხოლოდ შეკითხვით შემოიფარგლებოდნენ, რაზეც შეიძლებოდა, ადამიანს ტყუილიც ეპასუხა და ამის გადამოწმება არ ხდებოდა.

— წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, ბანკები სესხებს ფაქტობრივად, არ გასცემდნენ, შეჩერებული იყო განვადებების დაკრედიტებაც. ახლა ზოგიერთმა ბანკმა კვლავ დაიწყო როგორც იპოთეკური, ასევე სამომხმარებლო სესხების, საკრედიტო ბარათების გაცემა. მაღაზიებში უკვე, განვადებით სარგებლობის მსურველთა რიგებსაც ნახავთ. თვით მაღაზიებიც მომხმარებელს ფასდაკლებასა და შეღავათიან პირობებს სთავაზობენ....

— საკუთრივ ბუნებრივი პროცესია. ბანკები კრედიტების გაცემაზე უარს იმიტომ ამბობდნენ, რომ ეკონომიკის დაცემის პროცესი მიმდინარეობდა და ამას პოლიტიკური არასტაბილურობაც ერთვოდა. ბუნებრივია, ასეთ დროს სესხი — ჰაერში გადაყრილი ფულია. ივნისის შემდეგ, ეკონომიკის გამოცოცხლება შეინიშნება. ჯერჯერობით ომამდელ ტემპებს არ მიაღწია, მაგრამ ბევრად უფრო უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ომიდან წლევანდელ მაისამდე იყო. ვითარება სტაბილურია როგორც სახელმწიფო, ისე ბიზნესსექტორში და ადამიანებს სტაბილურობის განცდა გაუჩნდათ. მომხმარებელიც მიიჩნევს, რომ შეუძლია, გადახდისუნარიანობა შეინარჩუნოს, ბანკებიც ფიქრობენ, რომ რისკები შემცირდა და მეტ სითამამეს იჩენენ გადაწყვეტილების მიღებისას.

— მომხმარებლისთვის რამდენად მომგებიანია, ვთქვათ, დღეს განვადებით რაიმე ნივთის შეძენა?

— საერთოდ, მომგებიანია პროდუქტის პირდაპირ შეძენა და ფულის სრულად გადახდა: კრედიტით სარგებლობისას, ყოველთვის იმაზე მეტის გადახდა გიხდებათ, ვიდრე ფასის ერთბაშად დაფარვის შემთხვევაში. ამჟამად პროცენტი მაღალია. მაგრამ ბევრ მომხმარებელს მაინც ურჩევნია, ეტაპობრივად დაფაროს გადასახდელი თანხა და უღირს, გადაიხადოს ნამატი, რომელსაც პროცენტის სახით, ბანკი იღებს. ამიტომაც არის მოთხოვნა განვადებებსა და სესხებზე.

— სურვილი და ოპტიმიზმი კარგია, მაგრამ თუ არსებობს რაიმე მარტივი მათემატიკური მოდელი, რომლითაც ყველა მომხმარებელი, სანამ საბანკო ვალდებულებას იტვირთავს, საკუთარი შემოსავლისა და გადახდისუნარიანობის შეფასებას შეძლებს?

— ზოგადი ფორმულა არ არსებობს. სასურველია, ოჯახს გამოთვლილი ჰქონდეს, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში რა შემოსავლებს ელოდება და აქედან გამომდინარე, გამოთვალოს, თუ საკუთარი ბიუჯეტიდან რა თანხა შეუძლია გამოყოს ისე, რომ საბანკო კრედიტი მტკივნეულ დარტყმად არ იქცეს. აუცილებელია, კრედიტის მომსახურება შემოსავლის 30%-ს არ აჭარბებდეს — ეს მაქსიმუმია, რომელსაც არ უნდა გადააჭარბო. სხვა შემთხვევაში, ადამიანი ყოველთვის დადგება პრობლემების წინაშე... ■

დავა ფოლკლორის სიწმინდისათვის:

მისაღებია თუ არა ქართული ცეკვისთვის წელს ზემოთ შიშველი მამაკაცი და დეკოლტირებული მანდილოსანი?

ქართული სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ ყოფილ ხმის რეჟისორს ჯორდან პასკალს საქართველოს ისტორიის გაყალბებაში სდებს ბრალს. ქართულ შოუბიზნესში საკმაოდ კარგად გარკვეული ფრანგი ამჟამად ანსამბლ „სამაიას“ პროდიუსერია და „ერისიონთან“ თანამშრომლობის დროს ყოფილი პარტნიორის, ჯიმ ლოს მიერ მოფიქრებული სახელი — „ქართული ლეგენდაც“ „თან გაიყოლა“... ჯემალ ჭკუასელის თქმით, ლოს მასზე საავტორო უფლება აქვს, მაგრამ „ქართულ ლეგენდას“, როგორც წარმატებულ შოუპროექტს, „ერისიონმა“ გაუთქვა სახელი, ახლა კი მას პასკალ ჯორდანი „სამაიას“ მიაწერს, თან სხვადასხვა ქვეყნის მაყურებლის წინაშე ქართულ კულტურასა და ტრადიციებს დამახინჯებული სახით წარმოაჩენს. შევეცადეთ გაგვერკვია, ვინ სცოდავს ქართული ფოლკლორის წინაშე და სად გადის ზღვარი შოუსა და ტრადიციულ ცეკვებს შორის.

ლალი პაპასკირი

ჯემალ ჭკუასელი:

— ჯორდან პასკალი ანსამბლ „ერისიონში“ ხმის რეჟისორად მუშაობდა, ამერიკელი ჯიმ ლო კი პროდიუსერი იყო. რახან თავისი საქმის კარგი პროფესიონალი იყო, მასთან მუშაობის საწინააღმდეგო არაფერი გვქონია. მართალია, ბოლო დროს იგი ჯიმ ლოს სხვა დავალებებსაც ასრულებდა, მაგრამ მისი ინიციატივით სცენაზე არაფერი შეცვლილა.

— გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ანსამბლ „სამაიას“ აფიშებზე „ქართული ლეგენდის“ ლოგო იყო დადებული...

— რაც შეეხება „ქართულ ლეგენდას“ — ეს სახელი ჯიმ ლოს ეკუთვნის, მაგრამ პოპულარობა ანსამბლმა „ერისიონმა“ მოუტანა. თუმცა რახან მისი საკუთრებაა, „წაღების“ უფლებაც აქვს, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ჯორდან პასკალი ამ სახელით საქართველოს ისტორიას აყალბებს.

— როგორ?

— გამოდის, რომ „ქართული ლეგენდა“ ანსამბლ „სამაიას“ შეუქმნია, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიც (თუ ერთ-ერთ ინტერნეტსაიტს დავუჯერებთ) ჯემალ ჭკუასელია, ქორეოგრაფი კი — რეზო ჭოხონოლიძეა... რადგან საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც მსოფლიო საკონცერტო ორგანიზაციების სტანდარტებს შეესაბამება, ჩვენ მას სამართლებრივად ვერ შევედავებით. გარდა ამისა, ის გარემოებაც გასათვალისწინებელია, რომ ქართული სიმღერა და ცეკვა მსოფლიოში უანალოგოა და სხვა ქვეყნის კანონებით ვერ ვიხელმძღვანელებთ. შესაბამისად, არც სასამართლოში საჩივრის შეტანას აქვს აზრი.

— რატომ?

— ამისთვის არც სახსრები გვაქვს, არც დრო და ამიტომაც, ვერც ვერაფერს მოვიგებთ... როგორც ჩანს, ჯორდან პასკალის დამოკიდებულება, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია, — იგი ცდილობს, „სამაიაში“ „ქართული ლეგენდა“ გააკეთოს, არადა, ეს არის ანსამბლი, რომელსაც არსებობის მხოლოდ ერთწლიანი ისტორია აქვს, ზოგიერთი მისი მოცეკვავე ჩემ მიერ არის „ერისიონიდან“ დათხოვნილი, ზოგი კი სხვა ანსამბლიდან გადავიდა. იმასაც ამბობენ, რომ ეს ანსამბლი საფრანგეთშია დარეგისტრირებული.

— ბატონო ჯემალ, ხელშეკრულებაში ჩადებული იყო, რომ ჯიმ ლოს ლოგოს წაღების უფლება ექნებოდა?

— დიახ, მაგრამ მთავარი პრობლემა, ლოგოსა და სახელში კი არა, იმ წარმოდგენებშია, რომლებსაც ისინი მართავენ. ის, რასაც ანსამბლი „სამაია“ მსოფლიო მაყურებელს „ქართული ლეგენდის“ სახელით სთავაზობს, ჩვენი ქვეყნის ტრადიციული ხელოვნება არ არის, სხვა რაღაცაა... „ქართული ლეგენდის“ სახელი ანსამბლმა „ერისიონმა“ შექმნა, ჩემი ხელმძღვანელობით და ჯიმ ლოს დაფინანსებით. მასთან სასაყვედურო არაფერი მაქვს, დიდი სამსახური გაგვიწია ჩვენ და ქართულ კულტურას, მაგრამ ახლა ეს კაცი მსოფლიოს ეუბნება — ასეთი ყოფილა „ქართული ლეგენდაო“... მთელი ცხოვრება ამ საქმეს მივუძღვენი და ის, რაც ახლა კეთდება, ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, მიუღებელია. ერთხელ ჯორდან პასკალი ანსამბლში ერთ-ერთ გერმანულ საპროდიუსერო კომპანიის წარმომადგენელთან, ქალბატონ ირინა ლაარისთან ერთად მოვიდა და შემოგვთავაზეს, — მოცეკვავე ბიჭებს წელზევით გავხადოთო. უარით გავისტუმრე, — ამაზე მეორედ აღარ დამელაპარაკოთ-მეთქი. მაშინ მათ შემოთავაზებაზე გამეცინა, მაგრამ ახლა ვხვდები,

რომ სულაც არ ყოფილა სასაცილო. მაშინ ჯორდან პასკალმა მითხრა, — დაიმახსოვრეთ, ბატონო ჯემალ, ამას თქვენ თუ არ გააკეთებთ, სხვა გააკეთებსო. ასეც მოხდა... ისინი ამას სიახლეს უწოდებენ, მაგრამ ასე არ არის. „ერისიონს“ მთელი მსოფლიო იცნობს, ამდენი წელია, შოუ ტრადიციულ ტანისამოსში ჩაცმული მომღერლებითა და მოცეკვავეებით იდგმება და ჩვენი კონცერტით უკმაყოფილო ადამიანი არ შემხვედრია. ახალს ალბათ არაფერს ვამბობ, მაგრამ იმიტომაც გაუძლო ქართულმა ფოლკლორმა საუკუნეებს, რომ მასში ტრადიციებია ასახული და შენარჩუნებული, ქართველი კაცის ბუნებასა და ცხოვრების ადათ-წესებს გადმოსცემს... ამ ვითომ სიახლეებზე, ერთი ძველი ქართული გამოთქმა მახსენდება: „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა“... XXI საუკუნეში „ოქროს დისკი“ მოგვცეს და ასეთი დაფასება იმასაც გვავალდებულებს, რომ ვიცოდეთ, რა არის ქართული ცეკვა. მსოფლიოში სახელგანთქმული კომპანია „უნივერსალის“ გამოკვლევით, ქართულ

ხალხურ სიმღერებს ღირსეული ადგილი უჭირავს, რაც, როგორც ჩანს, ჩვენს უცხოელ მეგობრებს აღიზიანებთ. გულსატკენია, როცა მათი მიზნების რეალიზაცია ისევ ქართველების ხელშეწყობით ხდება... ეს ხალხი კი, პოპულარობის მოსახვეჭად, უკან არაფერზე იხევს: 2010 წლის 14-15 აპრილს, კრემლის ყრილობათა სასახლეში კონცერტები უნდა ჩაგვეტარებინა, ეს ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე იყო დაგეგმილი, მაგრამ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დღევან-


Musique et danse
Dimanche 23 novembre 2008 - 16h00

Directeur artistique : Djemal CHKUASELI
Chorégraphe : Revaz CHOKHONELIDZE
Billetterie MAC Robert Lieb, FNAC et Ticketnet
Georgian Legend
Legend of the Storm : Samaia

Georgian Legend est composée d'artistes géorgiens – hommes, enfants (entre 8 et 11 ans) qui collaborent avec des musiciens dans un métissage de cultures et d'influences musicales.

Pendant les 15 derniers siècles, la Géorgie a été envahie par se reprises. Le résultat en est une culture multiethnique riche, des

ინტერნეტში „სამაიას თავკაცებად „ერისიონის“ ხელმძღვანელები გვევლინებიან...

დელი პოლიტიკური ვითარება ამ ქვეყანაში სიმღერისა და ცეკვის მორალურ უფლებას არ გვაძლევს და გასტროლზე უარი ვთქვით (უარის მიუხედავად, იქიდან ახლაც გვირეკავენ); „სამაია“ კი, რომელიც თურმე „ქართული ლეგენდის“ სახელის „შემქმნელი“ ყოფილა, თანახმაა, ლენინგრადში კონცერტები გამართოს... საქმე ის არის, რომ ეს ხალხი ქართულ ხალხურ სიმღერასა და ცეკვას თავიანთი ე.წ. შოუთი რეპუტაციას ულახავენ: ეროვნულ ფოლკლორს შიშველ-ტიტველი ან პრიალა კოსტიუმებში ჩაცმული მოცეკვავეებითა და თავიანთი უსახური სიმღერებით წარმოაჩენენ. როცა უცხოელი მაყურებელი ამ ანსამბლის კონცერტს ნახავს, აუცილებლად იტყვის, — ეს არის ის ცნობილი „ქართული ლეგენდა“ და ქართველების საამაყო ტრადიციული ფოლკლორიო?!. ამიტომაც ვამბობ: ამ შემთხვევაში, უცხოელებთან არანაირი პრეტენზია არა მაქვს, ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ და ქართული ტრადიციები არც აინტერესებს, მაგრამ ქართველი როგორ კადრულობს ამას?! რა მნიშვნელობა აქვს, რა თანხას უხდიან ამ საქმეში? ისინი ხომ საქართველოს უფუჭებენ საქმეს!..

— კი, მაგრამ თუკი ეს შოუა, რატომ არა აქვთ უფლება, ის გააკეთონ, რაც მოსწონთ?

— „ერისიონიც“ მაყურებელს შოუს სთავაზობს, მაგრამ ჩვენ შოუ ისე გავაკეთეთ, რომ ისტორიულ ფესვებს არ მოვწყვეტივართ, ისინი კი შეცვლილ ქართულ საცეკვაო სიმღერებზე დგამენ რაღაც „ხამჟურ“ ნომრებს... როგორც ჩანს, იმ წარმოდგენას სხვანაირად ვერ გააფორმებენ, რადგან ანსამბლში 20-30-მდე წევრი ჰყავთ და როგორც ვიცი, ზოგიერთმა მოცეკვავემ უკვე დატოვა ანსამბლი. ერთ-ერთ ხელმძღვანელს სატელევიზიო ინტერვიუში განუცხადებია, ქორეოგრაფი არ გვყავს, ბიჭები რასაც უნდათ, იმას დგამენო... ამ სფეროში ოდნავ მაინც ჩახედული ადამიანი მიხვდება, ეს რას ნიშნავს. ჩვენი ანსამბლი შაბათ-კვირასაც კი მეცადინეობს, რათა დიდი წვალებით მიღწეული შედეგი არ დავკარგოთ, ესენი კი ქორეოგრაფს საჭიროდაც არ მიიჩნევენ... შეიძლება, ვიღაცას ეს გასართობი ან ბიზნესის საკეთებელი საქმიანობა ეგონოს, მაგრამ ფოლკლორი ქვეყნის სახე, ისტორია და კულტურაა, იგი ტრადიციებზე საუბრობს და ასეთი ზერელე მიდგომა ქვეყნის იმიჯისთვის დამღუპველია. არ მინდა, დავაკონკრეტო, ვინ, მაგრამ ანსამბლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ამბობდა, — მოცეკვავე გოგონებს დეკოლტე რომ აცვიათ, ამით არაფერს ვაფუჭებთო. მაპატიეთ, მაგრამ თუ იმაზე გვაქვს პრეტენზია, რომ მსოფლიოს ქართული ფოლკლორით ეროვნულ ტრადიციებს ვაცნობთ, გასულ საუკუნეებში ქართველ მანდილოსნებს დეკოლტე და მოკლე კაბა არ ეცვათ...

— როგორც აღნიშნეთ, სასამართლოში ჩივილს აზრი არა აქვს, მაშ, რას აპირებთ?

— როგორც გითხარით, ეს ის შემთხვევაა, როცა ჩივილიც არ არის მომგებიანი. საშუალება რომ გვქონდეს, მოსკოვში ჩავიდოდით და იქაურ მაყურებელს ვანახვებდით, ნამდვილი „ქართული ლეგენდა“ რომელია, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, ჩვენს ქვეყანას სხვა პრობლემები აქვს. თუმცა მიმაჩნია, რომ სახელმწიფო ჩარევის გარეშე ეს პრობლემა ვერ მოგვარდება, მით უმეტეს, რომ კანონების გარეშე ბრძოლა ძნელია... მას შემდეგ, რაც „სამაიას“ აფიშები მოსკოვსა და ლენინგრადში გამოჩნდა, ხშირად მირეკავენ და მეკითხებიან, — ქუჩებში გამოკრულ აფიშებზე „ქართული ლეგენდის“ ლოგოა დადებული, გაგვარკვიეთ, რუსეთში მართლა ჩამოდიხართო? — არა-მეთქი... ისიც კი მითხრეს, — როცა გავიგეთ, რომ ეს „ერისიონი“ არ არის, ბილეთების დაბრუნება გადავწყვიტეთ, მაგრამ აღარ გვიბრუნებენ და ისღა დაგვრჩენია, გამოსასვლელში დავხვდეთ და გავლახოთო... ღმერთმა დაგვიფაროს, ასე მოხდეს! კაცმა არ იცის, ამას იქაური ხელისუფლება როგორ გამოიყენებს. მაგრამ არ შეიძლება მაყურებელი ასე უსინდისოდ მოატყუო... ბატონი ჭაბუკა ამირანაშვილი ძალიან კარგი მუსიკოსია, მაგრამ რასაც იგი ქართული საცეკვაო მუსიკისთვის აკეთებს, ჩემთვის მიუღებელია და ეს მას დიდი ხნის წინ ვუთხარი. ნამდვილ ქართულ სიმღერას სხვა რაღაც სჭირდება. თუ ისინი ამას ფოლკლორს არ უწოდებენ, მაშინ სხვა სახელი მოუფიქრონ და ის დაარქვან...

— ანუ კონკურენტისთვის უპირატესობის დამტკიცება მოგიწევთ?

— „სამაიასა“ და „ერისიონს“ შორის კონკურენცია არ არსებობს: ჩვენ მთელი მსოფლიო გვიცნობს, ამიტომაც, ყველას უნდა დავანახვოთ, რომ ნამდვილი „ქართული ლეგენდა“ მაშინ შეიქმნა, როცა „სამაია“ არც არსებობდა... ბოლო გასტროლის დროს კიევში, 4-ათასკაციან დარბაზში გამოვდიოდით და კონცერტის შემდეგ მაყურებელმა სცენიდან არ გაგვიშვა, 45 წუთი გვიკრავდნენ ტაშს; სხვა გზა არ გვქონდა და ფარდა დავხურეთ. ეს არის ჩვენი იარაღი, ფეხზე ღირსეულად უნდა ვიდგეთ.

რახან საქმე ქართული ეროვნული საგანძურის ნაწილს — ფოლკლორს ეხება, ანსამბლ „სამაიას“ მუსიკალურ ხელმძღვანელს, ბატონ ჭაბუკა ამირანაშვილს მივმართეთ თხოვნით, ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ანსამბლის ქართველ მესვეურებს გაეკეთებინათ, მაგრამ მისი თქმით, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერ თემაზე პასუხს საზოგადოებას, „სამაიას“ პროდიუსერმა ჯორდან პასკალმა უნდა გასცეს. მას უცხოეთში ელფოსტის საშუალებით დავუკავშირდი.

ჯორდან პასკალი:

— ჩვენი მხრიდან არანაირი სკანდალის საფუძველი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არა ვართ ამ სკანდალის ინიციატორები. ანსამბლ „ერისიონთან“ ურთიერთობა ჯერ კიდევ 2007 წელს შევწყვიტე და მას შემდეგ, ჩვენ ამ ანსამბლთან ურთიერთობასა და თანამშრომლობაზე, მით უმეტეს — მის ხელმძღვანელობაზე არასდროს არაფერი გვითქვამს. არც მიზეზი დამისახელებია, თუ რატომ წავედი „ერისიონიდან“, არ მიმაჩნდა საჭიროდ. ახლა კი მართლაც მოცებს ჩვენს შოუსთან დაკავშირებით დაწყებული აჟიოტაჟი, რომელიც ქართული პრესისა და ტელეკომპანია „იმედის“ მეშვეობით ატყდა. საინფორმაციო გადაცემაში ჩვენ მიმართ წამოყენებული იყო ბრალდებები და ფაქტები, რომლებიც სიმართლეს არ შეესაბამება. საქმე ის არის, რომ იმ ადამიანებს, ვინც ეს თემა წინ წამოსწიეს, ანსამბლ „სამაიას“ შოუ ნანახიც არა აქვთ. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ სიუჟეტი ტენდენციურად იყო მომზადებული და ჩვენი პოზიციის გამოხატვის საშუალება არ მოგვეცა... ერთი სიტყვით, ჩვენ წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს ასე არ დავტოვებთ და ვაპირებთ, სასამართლოს მივმართოთ; როდის გავაკეთებთ ამას, საზოგადოებას ახლო მომავალში პრესის საშუალებით შევატყობინებთ.

— ბატონო პასკალ, ანსამბლ „სამაიას“ საიტზე მითითებულია „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელის, ჯემალ ჭკუასელისა და ქორეოგრაფ რევაზ ჭოხონელიძის გვარები; საიდან მოხვდა ისინი აღნიშნულ საიტზე და რა მიზანს ემსახურებოდა მათი განთავსება „სამაიას“ ინტერნეტგვერდზე?

— ეს ტყუილია... ჩვენს გვერდზე არც ყოფილა და არც არასდროს გვიხსენებია

ამ ადამიანების სახელები და გვარები. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუ ჩვენს ვებგვერდს — www.samaia.com ნახავთ...

— ბატონო პასკალ, ინტერნეტში შეგიძლიათ იხილოთ გვერდი, სადაც „ქართული ლეგენდის“ ლოგო დევს, ანსამბლ „სამაიას“ სახელია მითითებული და „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელისა და ქორეოგრაფის გვარები წერია...

— ჩვენი საიტის სახელი ტყუილად არ მიხსენებია: სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ იმ დოკუმენტთან არაფერი გვაკავშირებს. ბატონ ჯემალ ჭკუასელსა და ბატონ რეზო ჭოხონელიძეს ვურჩევთ, სასამართლოში უჩივლონ იმ კომპანიას, რომელმაც ეს ყალბი ინფორმაცია გამოაქვეყნა. ამით თავიანთ უფლებებსაც დაიცავენ და სიმართლის გამოაშკარავებით, ეს უაზრო დავაც დასრულდება... ვინც გადაცემას თვალს ყურადღებით ადევნებდა, შენიშნავდა, რომ სიუჟეტში ნაჩვენები იყო დოკუმენტი, რომელზეც დაბეჭდილი იყო „ერისიონის“ ხელმძღვანელობის სახელები და გვარები, კომპიუტერის ეკრანზე კი ჩვენი შოუს გვერდი მოჩანდა — ანუ ყველაფერი ისე იყო გაკეთებული, რომ მაყურებელს ნანახი ერთმანეთთან დაეკავშირებინა და ამიტომაც შეიქმნა მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს იმ ადამიანების გვარებს ბოროტად ვიყენებდით...

— ადგილობრივი ქორეოგრაფების თქმით, ის, რაც ანსამბლ „სამაიას“ შოუს სახით აქვს გაკეთებული, ქართული ფოლკლორის პრინციპებს ეწინააღმდეგება, თუნდაც მოცეკვავე მამაკაცების წელზევით გაშიშვლება და ქართული საცეკვაო მუსიკის შეცვლა... რას იტყვით ამაზე?

— დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ სახელმწიფო ანსამბლი არ ვართ, ეს არის კომერციული პროექტი... თუმცა მთელ მსოფლიოში მოგზაურობისას (ჩვენი ანსამბლი 2 წლის არის და ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით 200 წარმოდგენა გავმართეთ), ქართული კულტურის ელჩებად ვითვლებით. ამ პასუხისმგებლობას სრულად ვაცნობიერებთ და ისიც კარგად გვესმის, თუ რა საქმეს მოვკიდეთ ხელი. აქვე მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ ქართულ კულტურასა და ტრადიციებს უდიდეს პატივს ვცემთ. ასე რომ, არა მგონია, დასაგმობ საქმეს ვაკეთებდეთ, — ჩვენი შოუ მთელ მსოფლიოში ქართული კულტურისა და ტრადიციების პროპაგანდას ეწევა, თუმცა შოუბიზნესის მოთხოვნების გათვალისწინებით, ყველაფერი ვითარდება და ამას ვერც ნაციონალური ცეკვები აუვლის გვერდს. ჩვენი შოუ საათნახევარი გრძელდება. აქ არის ერთი ნომერი — „ფარიკაობა“, — სადაც მოცეკვავე მაისურის გარეშე (თუმცა — არა შიშველი) 30-წამიან სოლოს ასრულებს. ეს ცეკვა XX საუკუნეში შეიქმნა, როგორც ქართული ნაციონალური ანსამბლის საცეკვაო პროგრამის ნაწილი. მაშინ ამ ცეკვას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რადგან ის არ იყო ფოლკლორის სიღრმეებიდან წამოსული, მხოლოდ შოუს გასალამაზებლად დადგმული, ხევსურული ფარიკაობა იყო. მაგრამ გავიდა დრო და „ფარიკაობა“ ქართული ანსამბლების პროგრამაში ერთ-ერთი ყველაზე ყურებადი ცეკვა გახდა. და კიდევ ერთი: ჩვენ ვიცით, რომ არიან ქართული საცეკვაო კოლექტივები, მათ შორის, ძალიან ცნობილი ანსამბლები, რომლებიც საზღვარგარეთ ყოფნისას ქართულ კულტურას რადიკალურად განსხვავებულად წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, რატომ გამოიწვია აჟიოტაჟი ჩვენმა შოუმ? ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი შოუ ერთადერთია, რომელიც ამჟამად მთელ მსოფლიოში მოგზაურობს და სწორედ ეს არ ასვენებს ვიღაცას... ისე კი, ცნობისთვის — ყოველი ჩვენი წარმოდგენა დიდი ოვაციებით მთავრდება და ამას მაყურებელი ფეხზე დგომით გამოხატავს. ეს არის შოუს შეფასების კრიტერიუმი...

დასასრულ გეტყვით — ვაპირებთ, საზოგადოებას ამის შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მივაწოდოთ. სიმართლის დასამტკიცებლად კი ყველა დოკუმენტი და მტკიცებულება გვაქვს. დარწმუნებული ვარ, ანსამბლის იმიჯს აღვადგენთ.

როგორც ვხედავთ, ჯორდან პასკალი უკან არ იხევს და საკუთარი პოზიციის დაცვას შემდგომშიც აპირებს. საქმის სამართლებრივი მხარე ამ შემთხვევაში, მაინც მეორეხარისხოვანია; მთავარია, პასუხი გაეცეს კითხვებს, რომლებიც დასაწყისში დავსვით: ვინ სცოდავს ქართული ფოლკლორის წინაშე და რა მასშტაბითა თუ დოზით შეიძლება, ტრადიციული ხელოვნების „მოდერნიზება“? ვფიქრობთ, საბოლოოდ, ეს ამოცანა სპეციალისტების მონაწილეობით უნდა ამოიხსნას. ■

კარლა ბრუნიმ უბრალო კლერკს დაადგა თვალი(?!.)

ბელგიის თანამშრომლობის სამინისტროს აღმასრულებელი მდივნის, 33 წლის შარლ მიშელის მიერ საფრანგეთის პირველი ლედის მისამართით გაკეთებულმა განცხადებამ კინაღამ პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია: მიშელმა ბრიუსელელ ჟურნალისტებს გაანდო, რომ მასსა და 41 წლის კარლა ბრუნის შორის, რომელსაც გასულ თვეში, ნიუ-იორკში შიდსის პრობლემებთან დაკავშირებულ კონფერენციაზე შეხვდა, „რაღაც იყო“. საბედნიეროდ, „ეს რაღაც“ მხოლოდ სათვალიანი კლერკისთვის კარლას ვითომდა „ინტერესით ნასროლი მზერა“ აღმოჩნდა.

ხიბლში ჩავარდნილი შარლ მიშელი

„ერთ მომენტში ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა და მე პირადად ნამდვილად ვიგრძენი, რომ ჩვენ შორის ნაპერწკალმა გაირბინა“, — განაცხადა მიშელმა.

კარლა ბრუნის დიდი ხანია, „მამაკაცების მომთვინიერებლად“ მოიხსენიებენ. მას ბევრ სახელგანთმულ მამაკაცთან, მათ შორის, ბრიტანელ როკვარსკვლავებთან — მიკ ჯაგერთან და ერიკ კლეპტონთანაც ჰქონდა რომანი. მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტზე გათხოვების შემდეგ ბრუნი ყველანაირად ცდილობს კეკლუცის იმიჯისგან გათავისუფლებას.

ასე რომ, ძალზე საეჭვოა, ესოდენ ტიტულოვანი მეუღლის ხელში ჩაგდების შემდეგ, ყოფილ მოდელს მომელოტო სათვალიანი კლერკისთვის მიექცია ყურადღება. მიუხედავად ამისა, მიშელის გამონათქვამებს პრეზიდენტის გარემოცვის მხრიდან მაინც სერიოზული გულისწყრომა მოჰყვა. „პირველი ლედი თავისი ქორწინებით ძალიან ბედნიერია და მსგავსი ინსინუაციების საგანი არ უნდა გახდეს“, — განაცხადეს საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტაციის წარმომადგენლებმა.

მაგრამ შარლ მიშელის კოლეგებს მიაჩნიათ, რომ ამ ამბავს რაღაც სარჩული მაინც ედო. ბევრი მათგანი შარლს ზედმიწევნით თავაზიან და საკმაოდ მიმზიდველ მამაკაცადაც მიიჩნევს. „შარლს მარტო კარლას გარეგნობა კი არა, სამყაროზე მისი იდეალისტური შეხედულებებიც ყოველთვის მოსწონდა, — გაანდეს ჟურნალისტებს სიყვარულს მოწყურებული კლერკის მეგობრებმა, — ასე რომ, ის არცთუ ისე უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ ნამდვილად შეიძლებოდა, კარლასთან რაიმე გამოსვლოდა“.

Daily Mail ■

ვატიკანი მარქსის იდეებით შეიარაღდა

რომის ახალი პაპის, ბენედიქტ XVI-ს ხელში ვატიკანმა გალილეო გალილეის, ჩარლზ დარვინის და ოსკარ უაილდის რეაბილიტირება მოახდინა, ახლახან კი ჯერი კარლ მარქსზეც მიდგა.

ვატიკანის ოფიციალური გაზეთის — Osservatore Romano — ბოლო ნომერში, პაპის გრიგორიანული უნივერსიტეტის ცნობილმა ფილოსოფოსმა პროფესორმა გეორგ სანსომ მარქსიზმის ფუძემდებელი ხაზგასმით შეაქო, ისიც განაცხადა, რომ მარქსის სწავლებიდან ბევრი რამ დღესაც აქტუალურია და, ჰარმონიის ძიებისას, მისი ნაშრომებისთვის თვალის გადავლება საზოგადოებას ნამდვილად არ აწყენდა. ამასთანავე, სანსომ აღნიშნა, რომ მარქსის (რომელიც, სხვათა შორის, კომუნიზმს კაცობრიობის განვითარების კანონზომიერ ეტაპად მიიჩნევდა) ფილოსოფიურ ნაშრომებს მეცნიერულ კომუნიზმში ინტერპრეტირებით დიდი ზიანი მიადგა. ამდენად, ეკონომიკაში მათი გამოყენება ალბათ, ვეღარ მოხერხდება და მხოლოდ სულიერადღა უნდა შევიმეცნოთო.



როგორც ჩანს, ვატიკანი მომავალში მარქსის იდეებზე დაყრდნობასაც კი აპირებს და ამის დასტურად თუნდაც ბენედიქტ XVI-ის ამასწინანდელი განცხადება — მსოფლიო კრიზისი ღვთის მიერ იმის გამო მოვლენილი სასჯელია, რომ მდიდრები ღარიბების ინტერესებს საერთოდ აღარ ითვალისწინებენო, — გამოდგებოდა...

The Times ■

„ცელქი“ მიშელ ობამა

ამერიკის პირველი ლედი მიშელ ობამა მასთან სტუმრად მისულ დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს ჯანსაღი კვებისა და სპორტის დიდ მნიშვნელობაზე ესაუბრა. მიშელმა სუფრა გააწყობინა და თვალნათლივ აუხსნა მოსწავლეებს, როგორი საჭმელია ერთდროულად, გემრიელიცა და სასარგებლოც. ამის შემდეგ კი ბავშვები სპორტულ თამაშებში ჩააბა და მაგალითიც პირადად უჩვენა.

მართალია, სახტუნელასთან ურთიერთობა მიშელს დიდად როდი გამოუვიდა, მაგრამ სამაგიეროდ, ხულა-ხუპში ბადალი ნამდვილად არ ჰყავდა. ისე, ჰავაი, სადაც ბარაკ ობამა დაიბადა, ხულა-ხუპის სამშობლოა და სპორტის ამ სახეობაში თავის შერცხვენა ალბათ, არც მის მეუღლეს ეკადრებოდა. მით უმეტეს, რომ ობამამ ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ხაზგასმით განაცხადა, — ჩემთვის ცნობილ ხულა-ხუპერთა შორის, ჩემი ცოლი ყველაზე უკეთესიაო. სხვათა შორის, ხულა-ხუპის თაყვანისმცემლები ირწმუნებიან, რომ ეს კალორიების დაწვის (100 კ/კალორია 10 წუთში) ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. გარდა ამისა, საგრძნობლად ამაღლებს განწყობილებას და სექსუალურ ცხოვრებაზეც მხოლოდ დადებითად მოქმედებს. ■

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 18

ავერსის კლინიკა
AVERSI CLINIC

"ავერსის კლინიკა" მუდამ თქვენს სამსახურშია

ავერსის კლინიკა თქვენს უზადო ღიმილზე ზრუნავს

"ავერსის კლინიკაში" გახსნის დღიდან 32 ათასზე მეტი პაციენტია რეგისტრირებული. აქ სამუშაო დღე დილის 9-ზე იწყება და 21 საათამდე გრძელდება, შაბათი და კვირაც სამუშაო დღეებია, ასე რომ, "ავერსის კლინიკის" კარი მუდამ ღიაა. კლინიკის პერსონალი ძალისხმევას არ იშურებს, რომ პაციენტებმა თავი კომფორტულად იგრძნონ და კლინიკიდან არა მხოლოდ განკურნებულნი, არამედ უფრო ხალისიანნი, იმედით სავსენი დაბრუნდნენ შინ.

"ავერსის კლინიკის" სტომატოლოგიური განყოფილება კი თქვენს უზადო ღიმილზეც ზრუნავს.

დენტალური იმპლანტატი ორთოპედიული კონსტრუქციის ყველაზე თანამედროვე საყრდენი საშუალებაა. "ავერსის კლინიკაში" იმპლანტაცია უახლესი აპარატით, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით ტარდება. ფრანგული წარმოების აპარატი Implantcenter, რომელიც პროცედურის დროს ძვლის გადახურების ალბათობას ფაქტობრივად გამორიცხავს, დენტალური იმპლანტატის ჩანერგვის პროცესს მაქსიმალურად ამარტივებს.

ვესაუბრეთ "ავერსის კლინიკის" ორთოპედს ლევან ხარატიშვილს:

- ჩვენი კლინიკა მომხმარებელს კბილის იმპლანტაციას საუკეთესო დანადგარით სთავაზობს. ევროპული სტანდარტები კლინიკისთვის პრიორიტეტულია, ამიტომ აპარატურას, მასალას, პრეპარატებს და კვალიფიციურ კადრებს ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. უნიკალური იმპლანტცენტრი, რომლითაც ჩვენ ვმუშაობთ, მის მსგავს აპარატს მხოლოდ ევროპის ულტრათანამედროვე კლინიკებში თუ ნახავთ, - ძვლის გადახურებას გამორიცხავს, რადგან ძვლის გაგრილების უნიკალური სისტემით არის აღჭურვილი. მასში ჩამონტაჟებულია არა მხოლოდ ფიზიოდისპენსერი, არამედ პიეზოტომიც.

რა პლუსი აქვს იმპლანტაციას ორთოპედიული რეკონსტრუქციის სხვა მეთოდებთან შედარებით?

- იმპლანტაცია საშუალებას გვაძლევს, აღვადგინოთ თანკბილვა, მოვაწესრიგოთ ღეჭვის ფუნქცია და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი ჯანსაღი კბილების დაუზიანებლად ხდება.

რამდენი ხანი სჭირდება იმპლანტაციას?

- დენტალური იმპლანტაცია ორი სახისაა. პირველია ერთეტაპიანი

იმპლანტაცია, როდესაც ძვალში ნახევარ საათში მაგრდება დენტალური იმპლანტატიც და გვირგვინიც. მას უმთავრესად მსახიობები, ჟურნალისტები და ტელეწამყვანები მიმართავენ, რადგან მათთვის ვიზუალური მხარეა მთავარი.

ორეტაპიანი იმპლანტაცია კი გაცილებით ხანგრძლივი პროცესია - ძვალში თავდაპირველად დენტალური იმპლანტატი მაგრდება, სამი თვის შემდეგ კი გვირგვინი. ეს შუალედი საჭიროა, რათა ორგანიზმმა სრულყოფილად მოახერხოს უცხო სხეულთან ადაპტირება, ღრძილი აღდგეს და ბაქტერიების ჭრილობაში შეჭრა გამოირიცხოს. აქვე გეტყვით, რომ ერთეტაპიანი იმპლანტაციის შედეგად ჩანერგილი დენტალური იმპლანტატიც სრულ ფუნქციურ დატვირთვას სამი-ოთხი თვის შემდეგ იღებს, როდესაც შეხორცების პროცესი დასრულდება და ორგანიზმი უცხო სხეულს შეითვისებს.

უკუჩვენება თუ არსებობს? მაგალითად, დიაბეტით დაავადებულებისთვის თუ შეიძლება იმპლანტაცია?

- დენტალური იმპლანტაცია კატეგორიულად ეკრძალებათ შიდსით დაავადებულ და ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებს, ორსულობის, ლაქტაციისა და ვირუსული ინფექციის დროსაც არ არის სასურველი, დიაბეტი კი ბარიერად აღარ მიიჩნევა - თუ გვექნება ენდოკრინოლოგის სათანადო დასკვნა, სისხლის, შარდის ანალიზების პასუხები, დენტალური იმპლანტაცია ნებადართულია.

იმპლანტაციის შემდეგ პაციენტი ტკივილს დიდხანს გრძნობს?

- მერვე კბილის ამოღება გაცილებით ტრავმულია, ვიდრე დენტალური იმპლანტაცია. ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატს მხოლოდ პროცედურის შემდეგ, ძილის წინ ვუნიშნავ. თუ იმპლანტაციის შემდეგ ტკივილი მესამე-მეოთხე დღესაც იგრძნობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ოპერაცია წარუმატებლად დასრულდა, რაღაც რიგზე არ არის, ამიტომ ტკივილგამაყუჩებლით პრობლემის მიჩუმათება არ ღირს, ექიმთან დროულად უნდა მიხვიდეთ.

რა მასალას იყენებთ იმპლანტაციისთვის?

- "ავერსის კლინიკა" სტომატოლოგიურ მასალებს, მათ შორის დენტალურ იმპლანტატებს დიდი ყურადღებით არჩევს. უწინარეს ყოვლისა, ვითვალისწინებთ მასალის უსაფრთხოებას, ბიოთავსებადობას და საიმედოობას. ხელსაყრელია იმპლანტატის ფასებიც, ასე რომ, პაციენტს ამ მხრივ ფართო არჩევანი აქვს. ჩვენ ვცდილობთ, საუკეთესო მაღალტექნოლოგიური სერვისი პაციენტებისთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ჩვენი კლინიკა ამას წარმატებით ახერხებს. ასე, რომ ეწვიეთ ავერსის კლინიკას, რათა მომხიბვლელი და შეუდარებელი ღიმილი გქონდეთ.

ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

მისამართი: ვაჟა-ფშაველას ქ. №27ბ
39 83 67; 39 48 53
967-227
WWW.AVERSI.GE

ჰილარი კლინტონი „შესანილბავ“ კოსტიუმებს ატარებს

ცოტა ხნის წინ, მოსკოვში სამუშაო ვიზიტით მყოფმა, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა რამდენიმე დღის განმავლობაში ოთხი კოსტიუმი გამოიცვალა და ოთხივე ამხანაგების — სტალინისა და მაოს ფრენჩებს მოგაგონებდათ...

კოსტიუმმა, რომლითაც ამერიკის მეორე ლედი კრემლში გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე წარდგა, ორმოცდაათს გადაცილებული, მსხლის ფიგურის მქონე რუსი ქალების ასპროცენტიან სიმპათიას დაიმსახურებდა. ქალბატონი კლინტონის სახის გამოსაცოცხლებელი, თეთრი ფურფუშებიანი ბლუზა კი საბჭოთა მასწავლებელი ქალის ჩაცმულობის აუცილებელი ატრიბუტი გახლდათ. 1990-იან წლებში, ბრენდ „ტომ კლაიმით“ შეკერილმა მსგავსმა, სხვადასხვა ფერის ჟაკეტებმა მეწარმე ანატოლი კლიმინს არაერთი მილიონი აშოვნინა.

მაგრამ ეს 90-იან წლებში ხდებოდა, დღეს კი ჰილარი კლინტონის შარვლიან კოსტიუმებსა და ჟაკეტებს ჟურნალისტები და სტილისტები უგემოვნოდ და ანტისექსუალურადაც კი მოიხსენიებენ.

მსგავსი უფორმო კოსტიუმების ჩაცმა ჰილარი კლინტონმა თეთრი სახლის სტაჟიორ მონიკა ლევინსკისთან მისი ქმრის „კურკურში“ „გამოჭერამდე“ მცირე ხნით ადრე დაიწყო. ამერიკელთა არცთუ ისე უსაფუძვლო ვარაუდით, ჰილარი კლინტონი ასე სწორედ მონიკა ლევინსკის ზედმიწევნით სექსუალური ჩაცმულობის საპირწონედ გამოეწყო ანუ ის „უკვე მაშინ ამჟღავნებდა სექსუალურად დაუკმაყოფილებელი პირმოთნისა და შინაური დესპოტის ყველა თვისებას, რომლისთვისაც ორალურ სექსს აუხსნელი ტაბუ ადევს“.

როგორც ჩანს, „ხის ლედის“ (ასე შეარქვეს ქალბატონ კლინტონს სამშობლოში) საფირმო სტილად, მისივე სექსუალური ტემპერამენტიდან გამომდინარე, შარვლიანი კოსტიუმები იქცა. თანაც ეს კოსტიუმები კლასიკური და ტანზე მორგებული კი არა, გრძელი ჟაკეტის, თითქმის სერთუკის ფორმის და უთუოდ თეძოების „შემნიღბავიც“ უნდა იყოს. ამის შედეგად, პარადოქსული სურათი მივიღეთ: შარვლიანი კოსტიუმი ხომ ნაზი აგებულების ქალბატონთა ქალურობის ხაზგასასმელად შეიქმნა. აკი, სწორედ ამ ხერხს იყენებდნენ ცნობილი „სტილის პროვოკატორები“ — ჟორჟ სანდი, კოკო შანელი და მარლენ დიტრიხი. მაგრამ ქალბატონი კლინტონის შემთხვევაში კოსტიუმმა მხოლოდ „კაბიანი ტეტიის“ ეფექტი თუ გააძლიერა.

არადა, ბევრი ამერიკელი ქალი დღემდე აღტაცებით იხსენებს მხრებმოშიშვლებულ ჰილარი კლინტონს, რომელიც ქმართან მისი პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს გამართულ მეჯლისზე ცეკვავდა. მაშინ მას დონა კარანის ბრწყინვალე კაბა ეცვა; ხალხს ასევე არ ავიწყდება პრეზიდენტის მეორე ვადით ინაუგურაციისადმი მიძღვნილი საღამო, რომელზეც ჰილარი ოსკარ დე ლა რენტას მდიდრული კაბის ნაკეცებს მოხდენილად ისწორებდა...

სხვათა შორის, 1993 წლამდე შარვლიან ქალებს სენატში დებატებზე საერთოდ, არ უშვებდნენ... ■

თურქი პარლამენტარები ჯგუფური სექსით ერთობოდნენ



თურქეთში ხმაურიანი სექსსკანდალი აგორდა. ქვეყნის პარლამენტის ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა იზეტ ოზდემმა განაცხადა, რომ „ხალხის მსახურნი“ თავისუფალ დროს ორგიებს აწყობდნენ. თანაც, პარლამენტის მომსახურე პერსონალთან ჯგუფური სექსით მარტო თავად კი არ ერთობოდნენ, არამედ მსგავს „წვეულებებზე“ საკუთარ ნათესავებსაც ხშირად ეპატიჟებოდნენო.

ორგიები პირდაპირ პარლამენტის სასადილოში ეწყობოდა. პარლამენტარები დამლაგებელ და მზარეულ გოგონებს სექსუალურ მომსახურებას სამუშაოდან გაგდების მუქარით აიძულებდნენ. სხვათა შორის, იზეტ ოზდემმა დეპუტატები მხოლოდ მას შემდეგღა „ჩააგირავა“, როცა მსგავს ქმედებაზე თავადაც წაუსწრეს, დააპატიმრეს და გვარიანი ჯარიმაც დააკისრეს. მართალია, ამ ხმაურიან საქმესთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაიწყო და ოზდემის ბედიც არაერთმა მისმა „კომპანიონმა“ გაიზიარა, თუმცა თავად ოზდემი მაინც დარწმუნებულია, რომ ჯერ ყველა ცოდვილი არ გამოუაშკარავებიათ. მისი თქმით, არიან ისეთებიც, ვინც სამსახურიდან დღემდე მხოლოდ იმის წყალობით არ გაუშვიათ, რომ თავიანთ არანაკლებ ცოდვილ უფროსებს აფარებენ ხელს...

თურქული საიტი **Sonsayfa** ■

სახე

24 მანეთად ნაყიდი ბილეთები, შეურყვნელი დასავლეთი და კონტრასტი დასავლეთსა და საქართველოს შორის

ალბათ იშვიათია ადამიანი, რომელსაც მოგზაურობა არ იზიდავს; ქართველი როკერი — ლადო ბურდული კი მიიჩნევს, რომ მოგზაურობას თავისი განსაზღვრული ასაკი აქვს... რომლის გადაბიჯების შემდეგ, ადამიანი წყნარ და მდორე ცხოვრებას უბრუნდება. ამჯერად უცხო ქვეყნის შთაბეჭდილებებსა და მოგზაურობაზე ლადო ბურდულს ვესაუბრეთ — როგორ მოგზაურობდა საბჭოთა დროს და როგორია მისი საოცნებო საქართველო, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

ელენე ბასილიძე

— მოგზაურობა მიყვარდა... ვფიქრობ, რომ მოგზაურობას თავისი ასაკი აქვს; 16-17 წლიდან სხვადასხვა ქვეყანაში დავდიოდი, სულ ვმოგზაურობდი და უამრავი რამ მაქვს ნანახი. მერე კი უკვე ასაკი რომ მომემატა, საქართველოში ჩემს საქმეს მივყავი ხელი.

— რა გჭირდებოდა მოგზაურობისთვის?

— მაშინ, როცა კონსერვატორიაში ვსწავლობდი, კომუნისტების დრო იყო, სტიპენდია 50 მანეთი მქონდა და სტუდბილეთით თვითმფრინავის ორმხრივი ბილეთის აღება 24 მანეთი მიჯდებოდა. თუ რაიმე კარგი კონცერტი ან „ტუსოვკა“ იგეგმებოდა, მეგობრები მოსკოვიდან მირეკავდნენ და მეორე დღეს უკვე მათთან ვიყავი ხოლმე (ისეც ხდებოდა, შუაღამით რომ დამირეკავდნენ, დილით უკვე მოსკოვში ვიყავი). ალბათ ბევრი დამეთანხმება, რომ ძალიან ადვილი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში გადაფრენა, მაგრამ საზღვარგარეთ წასვლა საშინელება გახლდათ, თვითმფრინავები მხოლოდ მოსკოვიდან დაფრინავდნენ. ათასი ნებართვა, ვიზა და „კაგებე“ უნდა გადაგელახა, რომ სასურველ ქვეყნამდე ჩაგეღწია. თან მაშინ უცხო ქვეყნის საელჩოები მხოლოდ მოსკოვში იყო და გასამგზავრებლად ბევრი წვალება გჭირდებოდა. სამაგიეროდ, იმ ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა სივრცეში შედიოდა, „ავტოსტოპებითაც“ კი მიმოგზაურია. ჩემი ცხოვრება მე მებარა, თავს საკუთარი თავის ბატონ-პატრონად მივიჩნევდი და კარგადაც ვერთობოდი. მართალია, ახლა ყველა გზა გახსნილია, მაგრამ ამას წინათ, ახალგაზრდების საუბარს მოვკარი ყური, ერთი მეორეს ეკითხებოდა: შავი ზღვა როგორიაო?! რა თქმა უნდა, იმას არასოდეს ვიტყვი, საბჭოთა რეჟიმი სჯობდამეთქი, მაგრამ ყველაფერი იაფი იყო და 200-300 მანეთად ისე მაგრად „იგულავებდი“, რომ დღეს მსგავსი დროს ტარებისთვის 2.000 დოლარი არ გეყოფა... ისე, მაშინ ჩემნაირები ცოტანი იყვნენ, რომლებსაც საბჭოთა წყობილების მიმართ პროტესტის გრძნობა უჩნდებოდათ, თუმცა ყველანი ერთმანეთს ვიცნობდით... ხალხი თითქოს 2 ბანაკად იყო გაყოფილი — ჩვენ და ისინი, რომელნიც კომუნიზმზე ლოცულობდნენ... მიუხედავად იმისა, რომ მათ გაცილებით მეტი ფული ჰქონდათ და გაცილებით მაგრად შეეძლოთ დასვენება, ვიდრე ჩვენ, ამას ვერასოდეს ახერხებდნენ ჩვენზე უკეთესად! მაშინ რომ დროს ვატარებდით, „პატრიოტთა ბანაკებში“ გატარებულ დღეებს ნამდვილად სჯობდა...

— დაახლოებით რამდენი ქვეყანა გინახავთ?

— თუ ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ თითქმის ყველა ქვეყანას არ ჩავთვლით, რამდენჯერმე ვარ ნამყოფი — გერმანიაში, ჰოლანდიასა და საფრანგეთში. პირველად გარმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1976 წელს მოვხვდი; მაშინ გერმანია ორ ნაწილად იყო გაყოფილი... იმ პერიოდში მივხვდი, რამხელა ბედნიერებაა ისეთ დალაგებულ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ერთმანეთს არ ატყუებენ და ტყუილი კანონით ისჯება! ყველა ბედნიერი და გაღიმებულია... გერმანიაში პატარა პანსიონატში ვცხოვრობდი... სწორედ იმ პანსიონატმა

მომცა შესაძლებლობა, გამეცნობიერებინა, თუ რა იყო კარგი და ცუდი, ვისი უნდა დამეჯერებინა და ვისი წინააღმდეგი ვყოფილიყავი... პირველი შოკი მაშინ მივიღე, ავტობუსში რომ ჩავჯექი და დაბალ ხმაზე მუსიკა მოვისმინე! ის სულ არ ჰგავდა ჩვენსას — პატარა ფანჯრები რომ ჰქონდა, გარეთ არაფერი ჩანდა და შიგ ვირთხებივით ვიყავით გამომწყვდეულები; ამ ყველაფრის შემდეგ გერმანული კომფორტი, ნამდვილ სამოთხედ მომეჩვენა (*იცინის*).

— რომელია თქვენთვის დაუვიწყარი ქვეყანა?

— ...გერმანია! ძალიან მიყვარს და თავად გერმანელ ხალხსაც დიდ პატივს ვცემ...

გერმანელ ხალხსაც დიდ პატივს ვცემ...

— მიუხედავად იმისა, რომ ცივ ხალხად მიიჩნევა?

— თუ დაგინახეს, რომ „მაიმუნი“ ხარ, მაღაზიიდან აღარ იცი, რა მოიპარო, მაშინ ცივები იქნებიან, აბა, რა?! ასე რომ, გერმანია ის ქვეყანაა, სადაც თავს კომფორტულად ვგრძნობ.

— რომელიმე ქვეყანა თუა ისეთი, რომელსაც ვერაფრით შეეგუეთ?

— ასეთი შეგრძნება ამსტერდამში ყოფნისას გამიჩნდა. ჩასვლისთანავე შევნიშნე, რომ ის, რაც საქართველოში გარყვნილებად მიიჩნეოდა და კანონით ისჯებოდა, იქ იმის რეკლამა კეთდებოდა! საოცარი თავისუფლება რომ დავინახე, კანაღამ გადავირიე (*იცინის*). მახსოვს ასევე ნამდვილი ბერლინი, სანამ საბჭოთა კავშირიდან ჩეჩნების კრიმინალური დაჯგუფებები ჩავიდოდნენ და ბავშვების მოტაცება, მანქანებით ვაჭრობა და ათასგვარი სისაძაგლე დაიწყებოდა... მოკლედ, კარგი დასავლეთი მახსოვს, ასე ვთქვათ, შეურყვნელი (*იცინის*)

— ლადო, უცხო ქვეყნის სამზარეულოს ადვილად ეგუები?

— იცი, რა? არ მაქვს სამზარეულოსადმი დიდი გართულება; ჭამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, რადგანაც გამორჩეული გურმანი არ ვარ; იოლად ვიკვებები. ამ ბოლო დროს, პარიზში ყოფნის მერე უფრო დავიწყე საკვების გარჩევა. იქ ისეთი უგემური კერძები იყო, რომ განსხვავება აშკარა იყო ჩვენსა და მათ სამზარეულოს შორის. მიყვარს იაფად და ხარისხიანად ჭამა, „ფასთ ფუდების“ კლიენტი ვარ. აი, სასმელებს რაც შეეხება, ლუდის „პრომოუტერი“ ვარ ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა საქართველოში ლუდის სმა „გრეხად“ მიიჩნეოდა და ამ სასმლით მხოლოდ ცუდი ხალხის სადღეგრძელოს ამბობდნენ. პირველად, როცა გერმანიაში ლუდი გავსინჯე, მაშინ მივხვდი, თუ როგორ გვატყუებდნენ, რომ მათ ლუდსა და ჩვენს „რაღაც სასმელსაც“ ლუდი ერქვა (*იღიმება*)... 1992 წელს პირველად „ბორდოს“ ღვინო რომ დავლიე, მივხვდი, ქარხნული წესით ჩამოსხმულ ღვინოს თურმე გემო ჰქონია, მაშინ საქართველოში კარგი ღვინო მხოლოდ ოჯახში მზადდებოდა...

მათ თუ გაღიზიანებულები ჰქვიათ, ჩვენ ყველა „ასათიანის“ პაციენტები ვყოფილვართ

— როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ სტუმრობ იმავე ქვეყანას, თუ დაჰკვირვებიხარ, რამდენად იცვლება მათი ცხოვრება?

— პატარ-პატარა ცვლილებები ყოველთვის შესამჩნევია, მაგრამ საზღვარგარეთ ახლა ქალაქებს ჩვენსავით არ ალამაზებენ... მათი იერი უკვე ჩამოყალიბებულია და იშვიათად ცვლიან რაიმეს...

— როდესაც მოგზაურობიდან მშობლიურ ქვეყანას უბრუნდები, რა გრძნობა გეუფლება?

— ყველა ნორმალური ადამიანისთვის, რომელსაც საკუთარი ქვეყანა უყვარს, სამშობლოში დაბრუნება, რა თქმა უნდა, დიდი სიხარულია... რამდენიმე დღის წინ პარიზსა და ნანტში ვიყავი მიწვეული. ფესტივალი იყო — „თბილისი ანდერგრაუნდი 80-იანები“ და მეგობარმა მთხოვა, 30 წელია, თბილისიდან „დიმპიტაური“ ჩამოდის და იქნებ თქვენც ჩამოხვიდეთ და რაიმე ახალი გვაჩვენოთო.

— შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდებოდი...

— კი, მართლა არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ, სასწაული იყო, მაგრამ რატომღაც იქაურობას სულ საქართველოს ვადარებდი... თბილისზე ათჯერ დიდ ქალაქში მანქანები სიგნალს არ აძლევდნენ, უწვრილეს ქუჩებში ჩუმად და წყნარად დადიოდნენ, უღიმოდნენ და გზას უთმობდნენ ერთმანეთს... უეცრად ჩვენი ქვეყანა გამახსენდა, „პიპინი“, დედის გინება, ფანჯრიდან წელამდე ამომხტარი მყვირალა მძღოლები და გული დამწყდა... ფრანგები ამბობდნენ, კრიზისის გამო ხალხი ცოტა გაღიზიანებული და დაძაბულიაო... მათ თუ გაღიზიანებულები ჰქვიათ, ჩვენ ყველა „ასათიანის“ პაციენტები ვყოფილვართ (*იღიმება*)! ჩავატარეთ კონცერტები და უკან დაბრუნებისას გულწრფელად გეტყვი, რაღაც-რაღაცებმა სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო... პარიზიდან მოვფრინავდი. უზარმაზარი აეროპორტია და თვითმფრინავები საოცარი განრიგით დაფრინავს. ჩვენთან ისე ალბათ ავტობუსებიც არ დადიან. ამ მხრივ საქმე საოცრად მოწესრიგებულია... თვითმფრინავი რომ აფრინდა, ილუმინატორიდან, 5-10 წუთის განმავლობაში, სიამოვნებით ვათვალიერე პარიზი: მოვლილი ბუნება, ლამაზ-ლამაზი სახლის სახურავები... საქართველოს რომ მოვუახლოვდი, ტელევიზორში ავღანეთს რომ აჩვენებენ — დაბომბილსა და მიწასთან გასწორებულს, აქაურობა დაახლოებით იმას ჰგავდა. ყველაფერი უფერული... დღისით ჩამოვფრინდი და დაფრენისას, პირველი, რაც დავინახე, აეროპორტის მახლობლად ძროხები და ცხვრები ბალახობდნენ... დანგრეულ შენობებთან ნაგავი ეყარა, სადაც ძაღლები იქექებოდნენ... არ მინდა, რა, ასეთი საქართველო!.. მინდა, რომ ის სუფთა იყოს როგორც გარეგნულად, ასევე — სულიერად...

— ოცნების ახდენას გისურვებ!..

— გაიხარე, დიდი მადლობა! ■

არ მინდა, რა, ასეთი საქართველო!..

გოგიჩა და მისი ახალი ამპლუით გახარებული „პრინცესები“

„იმედის“ არხზე, ცოტა ხნის წინ, ორი ლამაზი გოგონას მონაწილეობით გადაღებული „პრომო“ გამოჩნდა. იმის გამო, რომ ვიდეორგოლში ეს ორი გოგონა საძინებელსა და სააბაზანოშია გადაღებული, ამ გადაცემით უამრავი ადამიანი დაინტერესდა. ისიც კი თქვეს, დილის გადაცემას გოგონები სააბაზანოდან დაიწყებენო... რასაკვირველია, ეს უბრალო ჭორია. მომღერალი ქრისტინე იმედაძე და „მის საქართველო 2009“-ის მონაწილე — ნუკი კოშკელიშვილი გადაცემას „იმედის“ სტუდიიდან გიორგი გოგიჩაიშვილთან ერთად წაიყვანენ. ინტერვიუს ჩასაწერად მათ სამსახურში ვეწვიე.

ნათია ჟვანია

— საიდან გაჩნდა იდეა, რომ „იმედის“ დილის გადაცემის წამყვანებად სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები მოეწვიეთ?

გოგიჩა:

— ცოტა „გავიზარდე“ და ამიტომაც აღარ ვარ საბავშვო გადაცემაში, თუმცა ისევ იქ დაბრუნება მინდა, ოღონდ ამ გადაცემის პარალელურად. აქ კი ინგა დადიანის მეშვეობით მოვხვდი. ინგა დილის გადაცემის პროდიუსერია. სწორედ მან მომმართა ამ წინადადებით. მეც დავთანხმდი, მიუხედავად იმისა, რომ „რუსთავი 2“-ის მხრიდანაც მქონდა გარკვეული შემოთავაზება. ვარჩიე, ჩემი კარიერა „იმედში“ გამეგრძელებინა, რადგან აბსოლუტურად ყველა სახის გადაცემის წამყვანი ვყოფილვარ, მაგრამ დილის პროექტში მონაწილეობა აქამდე არ მიმიღია. მოკლედ, ინგას წყალობით, დღეს სამსახური მაქვს. მერე ეს ჩემი პრინცესებიც მოიყვანეს...

ქრისტინე:

— ნამდვილად არ ვიცი, აქ როგორ მოვხვდი. „იმედში“ აბსოლუტურად სხვა საქმეზე ვიყავი მოსული და შემთხვევით ამ გადაცემაში აღმოვჩნდი... ძალიან მიხარია, რადგან რაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე, მას შემდეგ ამ პროფესიით არ მიმუშავია. არადა, მაინტერესებდა... სიმართლე რომ ვთქვა, კორესპონდენტობა არ მინდოდა, რადგან არ მომწონს; გადაცემის წამყვანობაზე კი ნამდვილად ვოცნებობდი, მაგრამ ამას ხმამაღლა არ ვამბობდი.

— რატომ?

— საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების მეშინოდა და ვერ ვბედავდი, ვინმესთვის ამ წინადადებით მიმემართა. ახლა კი აბსოლუტურად მოულოდნელად მოვხვდი დილის გადაცემაში. ამ შემოთავაზებაზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყოდი.

ნუკი:

— რაც შემეხება მე, პირველად „იმედის“ ტელევიზიაში, „მის საქართველოს“ „პრომოს“ ჩაწერაზე მოვედი. ჩემი ტექსტი რომ ჩავწერე, რეჟისორმა მთხოვა, თუ შეგიძლია, თქვი: „ახლა დილის რვის ნახევარია. გარეთ წვიმს, მაგრამ მე შემოვიტან ხალისს თქვენს ცხოვრებაში“. მეც ვთქვი ეს წინადადება და წამოვედი. ზუსტად ერთ კვირაში კი დამირეკეს, მომიწვიეს, გოგიჩასთან ერთად „პილოტი“ ჩაწერეს და დილის გადაცემის წამყვანადაც დამამტკიცეს.

— რა პროფესიის ხარ? ჟურნალისტიკის სფეროში რაიმე სახის გამოცდილება თუ გაქვს?

— პროფესიით დიპლომატი ვარ. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მესამე კურსზე ვსწავლობ. ჟურნალისტიკაში კი არანაირი გამოცდილება არა მაქვს. სიმართლე რომ ვთქვა, ამაზე ყოველთვის ვოცნებობდი. ხომ იცით, ჩემი ასაკის ადამიანებს ყველაფერი გვაინტერესებს და გვინდა, საკუთარი თავი ბევრ სფეროში გამოვცადოთ. მგონია, რომ გადაცემის წამყვანობაზე ბევრი ოცნებობს. მე ეს შანსი მომეცა და ვნახოთ. იმედი მაქვს, ამას კარგად გამოვიყენებ...

— როგორც გავიგე, „მის საქართველოს“ კონკურსის ხუთეულში ვერ გახვედი...

— მართალი ხარ, ხუთეულში არ გავსულვარ, მაგრამ გავხდი — „მის ტელეგენურობა“ და „მის ინტელექტი“.

გოგიჩა:

— და მიიღე სამსახური „იმედში“. ესეც ხომ „მის საქართველოს“ წყალობით მოხდა! მგონია, რომ გადასარევი ჯილდოები შეგხვდა.

— ნუკი, როგორ ფიქრობ, ჟურნალისტობას თავს კარგად გაართმევ? მგონი, არც ისე ადვილია, პირდაპირ ეთერის საშუალებით მთელ საქართველოს ელაპარაკო...

— მაქსიმალურად ვეცდები, დილის გადაცემის ხელმძღვანელობის იმედი გავამართლო. ამაში აქ არსებული დადებითი მუხტიც დამეხმარება. ყველა კარგად შემხვდა და ყველა მეხმარება. ამიტომ მგონია, რომ ჟურნალისტობას შევძლებ.

— დილის ეთერს სამივე ერთდროულად წაუძღვებით?

გოგიჩა:

— არა. ერთი კვირა ნუკი იმუშავებს, მეორე კვირას — ქრისტინე შემომიერთდება. მე კი სულ ვმუშაობ.

ქრისტინე:

— გოგიჩა შეუცვლელია!..

— გოგონებო, გოგიჩა გამოცდილი ტელეწამყვანია. გეხმარებათ? რჩევებს გაძლევთ?

— გოგიჩა ყოველთვის ყველაფრით კმაყოფილია და შენიშვნებს არ გვაძლევს. ეს კი იმის ბრალია, რომ ძალიან კეთილი ადამიანია.

ნუკი:

— ამდენი წელი ბავშვებთან თუ იმუშავებ, შენც კეთილი იქნები.

ქრისტინე:

— იმ ბავშვებთან ხანდახან, გოგიჩასთან ერთად, მეც დავდიოდი, მა-

გრამ წამყვანის გამოცდილება ვერ მივიღე. ისე კი კეთილი მეც ვარ. რაც შეეხება ჩემს წამყვანობას, მგონია, რომ ეს მეც კარგად გამომივა, რადგან ვიღაც-ვიღაცებს გამოსდით. როგორც ვიცი, უნიჭო არ ვარ... პირდაპირ ეთერში მუშაობის პრაქტიკა არა მაქვს, მაგრამ ამ სპეციალობას ხომ დავეუფლე. ამიტომ ყველანაირად შევეცდები, რომ დილის გადაცემას ღირსეულად წავუძღვე.

— ქრისტინე, ინტერვიუს დაწყებამდე ერთ-ერთი სტატიის სათაურის გამო, ჟურნალისტებზე ბრაზობდი. ეს პირველი შემთხვევა არ არის, ყოველთვის რაღაც სკანდალში ეხვევი. როგორ ფიქრობ, რისი ბრალია?

— ჟურნალისტი ბოროტი არ უნდა იყოს და ცუდად არ უნდა დაასათაუროს სტატია. მესმის, ამას ჟურნალის კარგად გაყიდვის მიზნით აკეთებს, მაგრამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ამით მე მიქმნის პრობლემას ოჯახში, ქმართან. ისე, მართალი ხარ, ყოველთვის ვეხვევი სკანდალში, მაგრამ — რატომ, ვერაფრით ვხვდები... ჯერ ვერ დავადგინე.

— ახლა ხმაური თქვენ გადაცემის „პრომომ“ გამოიწვია, რომელშიც, ფაქტობრივად, შიშვლები ჩნდებით კადრებში. ამ „პრომოს“ როცა იღებდით, მაშინ არ ფიქრობდით იმაზე, რომ ხალხი „კუდებს“ გამოაბამდა?

— ძალიან მომწონს ეს „პრომო“ და მიმაჩნია, რომ იმ კადრებში ძალიან ლამაზად გამოვიყურები.

ნუკი:

— მეც ასე ვფიქრობ. ეს „პრომო“ ძალზე ლამაზია.

— გოგიჩა, ჟურნალისტი მეულლე — ნათია ბანძელაძე როგორ შეხვდა დილის გადაცემაში შენს მიწვევას? „რუსთავი 2“-ის შემოთავაზებაზე იმიტომ ხომ არ თქვი უარი, რომ ნათია იქ მუშაობს?

— ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. ცოლ-ქმრის ერთად მუშაობა, არ არის მაინცდამაინც კარგი. მან ჩემი დღის განრიგი ზეპირად არ უნდა იცოდეს. იქნებ მინდა, რომ გავიდე და მეგობარი ვნახო. განა ეს ნათიასთვის პრობლემა იქნება, მაგრამ ცოლ-ქმარმა ერთმანეთზე ბევრი რომ იცის, ურთიერთობა უკვე ინტერესს კარგავს. 12 წელია, მე და ნათია ერთად ვცხოვრობთ და ჩვენთვის ყოველი დღე აღმოჩენაა. მინდა, მომავალშიც ასე გაგრძელდეს. ნათიას ძალიან გაუხარდა, მუშაობა „იმედის დილაში“ რომ დავიწყე.

— პროფესიულ რჩევებს ხშირად გაძლევს?

— რა თქმა უნდა. საერთოდ, ისეთი ოჯახი გვაქვს, რომ ერთმანეთს ყოველთვის ვაძლევთ გარკვეულ რჩევებს. ჩვენი შვილების თაობა ყველაფერს სხვაგვარად აღიქვამს. ამიტომ მათი რჩევებიც ძალიან გვაინტერესებს. ეს ჩვენთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. ოჯახის წევრების რჩევებს აუცილებლად ვითვალისწინებ.

— ნათია ხომ არ ეჭვიანობს, ეთერში ორ ლამაზ გოგონასთან ერთად რომ ჩნდები?

— არა, რას ამბობ?! ორივე ჩემი შვილის ტოლია. მათ, როგორც ჩემს შვილებს, ისე ვუყურებ. რა არის საეჭვიანო?

— გოგონებო, თქვენი ოჯახები როგორ შეხვდნენ თქვენს ახალ საქმიანობას?

ნუკი:

— გასულ ზაფხულს, მამაჩემი მეუბნებოდა, — სექტემბრიდან აუცილებლად უნდა დაიწყო მუშაობაო. თუმცა მას მიაჩნდა, რომ აუცილებლად საკონსულოში უნდა მემუშავა. სხვა რამის გაგონებაც კი არ სურდა. როცა „იმედის დილის“ წამყვანობა შემომთავაზეს, ჩემდა გასაკვირად, ძალიან გაუხარდა. ვგრძნობ, რომ ჩემით ამაყობს კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ჩვენი გადაცემის „პრომო“ ცუდად აღიქვა, მამას ამასთან დაკავშირებით, პრობლემა არ ჰქონია.

ქრისტინე:

— ჩემი ოჯახის წევრებსაც გაუხარდათ ჩემი „იმედში“ მუშაობის დაწყება. სულ მეუბნებოდნენ, იქნებ რაღაც სერიოზული გააკეთო ცხოვრებაშიო. ისინი ჩემს მუსიკალურ კარიერას ყოველთვის არასერიოზულად აღიქვამდნენ და მათთან სულ პრობლემა მქონდა ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებისა და სათაურების გამო. მიაჩნდათ, რომ ჟურნალისტობა უფრო სერიოზული საქმე იყო, ვიდრე — რესპონდენტობა. ერთადერთი ოჯახის წევრი, ვისაც ჩემი სამსახურის დაწყება არ უხარია, ჩემი შვილია, რადგან არ ესიამოვნება, დილით რომ გაიღვიძებს და გვერდით არ დავხვდები. მაგრამ არა უშავს, ტელევიზორს რომ ჩაურთავენ, თან მიყურებს და თან ისაუზმებს.

— იქნებ თქვენი გადაცემის კულუარებშიც ჩაგვახედოთ. ტექსტს ალბათ გიწერენ. ექსპრომტად ამბობთ რაიმეს თუ მხოლოდ სცენარის მიხედვით საუბრობთ?

ნუკი:

— ჩვენი გადაცემა ძალზე ბუნებრივია და სწორედ ამით განსხვავდება სხვა გადაცემებისგან. ჩვენ გვაქვს გადაცემის „ჩონჩხი“, დანარჩენი კი ჩვენზეა დამოკიდებული. დიალოგს აბსოლუტურად ჩვენით წარვმართავთ.

გოგიჩა:

— ისეთი ატმოსფეროა, თითქოს ოჯახში ხარ და ოჯახის წევრებთან საუბრობ. ტექსტს წინასწარ არ ვიზუთხავთ.

ქრისტინე:

— უკვე ბევრი ვიცი, ვინც ჩვენს გადაცემას სიამოვნებით უყურებს. მართალია, მყავს მეგობრები, რომლებიც ზუსტად ვიცი, რომ პირდაპირ ეთერში ვერასოდეს მიხილავენ, რადგან შუადღეს იღვიძებენ, მაგრამ იმედი მაქვს, მაინც ბევრი მაყურებელი გვეყოლება.

— გოგიჩ, როგორც თქვი, საბავშვო გადაცემაში დაბრუნებაზე ისევ ფიქრობ...

— მინდა, რომ რაღაც საბავშვო გადაცემა გავაკეთო, რადგან ჩვენს სატელევიზიო სფეროში ბავშვებს ძალზე ცოტა დრო ეთმობა. რაღაც განსხვავებული უნდა მოვიფიქრო.

ნუკი:

— გოგიჩ, მოვიფიქრე: შენს გადაცემაში, სტუდიაში მოვლენ ბავშვები, დახატავენ რომელიმე მულტფილმის პერსონაჟს. მათ შორის საუკეთესოს შეარჩევ და იმ ნახატს მულტფილმის გმირად გამოიყენებ. ასე გადაიღებ მრავალსერიიან ნამუშევარს და გადაცემაც საკმაოდ რეიტინგული გამოვა.

გოგიჩა:

— გადასარევი იდეაა. მერე მე რას მეუბნები, შენ გააკეთე ეს გადაცემა. ყოჩაღ!

ნუკი:

— ტყუილად კი არ გავხდი „მის ინტელექტი“!.. ■

მათ, როგორც ჩემს შვილებს, ისე ვუყურებ

„პური მეპურემ უნდა გამოაცხოს“

რისი რცხვენია შალვა რამიშვილს

დღეს მოუცლელია, ინტერვიუსთვის საჭირო დროს წინასწარ კითხულობს. დრო ციხეში საკმარისად ჰქონდა იმისთვის, რომ ეფიქრა მომავალ ცხოვრებაზე, თავის გაკეთებულ განცხადებებზე, რომლისაც ახლა რცხვენია კიდეც, და ოჯახზე, რომელმაც, როგორც თავად ამბობს, დიდი გამოცდა გაიარა და წარმატებით ჩააბარა.

შალვა რამიშვილის, როგორც ცინიკოსის იმიჯი ნელ-ნელა იმსხვრევა. აღარც ამპარტავნობა იგრძნობა მის ხასიათში. ციხემ ძალიან შემცვალაო, — ამბობს. ვნახოთ, რამდენად შეიცვალა ცნობილი ტელეწამყვანი.

ნინო მჭედლიშვილი

— **შალვა, თუ გაქვს ისეთი თვისება, რომელიც ბავშვობიდან შეგიგრჩა?**

— კი. მოუსვენრობა (*მართლაც, ინტერვიუს მსვლელობისას მუდმივად წრიალებდა ადგილზე. — ავტ.*).

— **კიდევ?**

— საწინააღმდეგო სქესისადმი ინტერესი და თავგადასავლების სიყვარული...

— **შეგიძლია, ამ მხრივ თავი ტომ სოიერს შეადარო?**

— არა. ბავშვობაში დედა მკაცრად მზრდიდა და მუდმივად ცდილობდა, მოვეთოკე... გულახდილად გეტყვი, მთელი ბავშვობა გამუდმებული „ბრძოლა“ მქონდა დედასთან. უნდოდა, რომ ხუთოსანი ვყოფილიყავი, კლასში ყველაზე კარგად მესწავლა, ეზოში ნაკლები დრო გამეტარებინა... მე კი რაღაცებში ვწინააღმდეგებოდი. თუმცა ბევრს ვკითხულობდი და ეს გარკვეულწილად, ჩვენს ურთიერთობას არეგულირებდა.

— **მაშინ, რატომ გეჩხუბებოდა დედა?**

— იმიტომ, რომ მხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობდი და არა — სასკოლო სახელმძღვანელოებს...

— **როგორ ერთობოდი?**

— კინოში სიარული მიყვარდა.

— **სკოლაში როგორ სწავლობდი?**

— ჩემი მასწავლებლები ამბობენ, რომ ძალიან კარგი და ნიჭიერი მოსწავლე ვიყავი.

— **რომელ კლასამდე?**

— ბოლომდე...

— **თუ იყო ისეთი საგანი, რომელიც არ გიყვარდა?**

— კი, როგორ არა, ქართული ენა და ლიტერატურა არ მიყვარდა. ალბათ გახსოვთ ჩემი სკანდალური განცხადებები ილია ჭავჭავაძის შესახებ. ახლა იმ განცხადებების მრცხვენია კიდეც: ვინ ვარ მე, რომ ილია ჭავჭავაძე აუგად მოვიხსენიო?!. მაგრამ მაშინ რაღაც ეპატაჟური იყო ჩემში, მინდოდა, ქართულ რეალობას გავქცეოდი... 15 წლის ასაკიდან სურვილი გამიჩნდა, ყველაფერს ქართულს დავპირისპირებოდი. არ მომწონდა ქართული რეალობა და ვერ ვაცნობიერებდი, რომ ჩვენს ხელთ არის ამ რეალობის შეცვლის შესაძლებლობა. მე კი მეგონა, რომ ქვეყანა არ ვარგოდა, ხალხი და ლიტერატურა. ალბათ თვითონ ვიყავი შეუმდგარი ადამიანი და საკუთარ „კომპლექსებს“ სხვას ვაბრალებდი.

— **ამას არასრულფასოვნების კომპლექსი ჰქვია...**

— ჰო, ეს მჭირდა ალბათ. „კუმირებს“ ვებრძოდი. ამ ბრძოლაში ძალიან ღრმად შევტოპე და სწორედ ამის გამო იყო, ილია ჭავჭავაძისა და ზოგადად ყველაფერი ქართულის მიმართ გამოხატული ჩემი აგრესია. მათ შორის — ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართაც...

— **რას იტყვი ქართულ ტრადიციებზე?**

— ერი არ შეიძლება, იყოს ცუდი ან — კარგი. ერი ერია და ყველა ის ტრადიცია, რაც აქვს ამა თუ იმ ერს, ავკარგიანობის თვალსაზრისით რთულად შესაფასებელია.

— **მათ შორის „ქალწულობის ინსტიტუტიც“?**

— „ქალწულობის ინსტიტუტი“ სოციალური ფონიდან გამომდინარე, მალე აღარ იქნება ჩვენში. თუ რიტმი აჩქარდა, თუ XXI საუკუნეში ახალგაზრდები იმდენ ფულს იშოვიან, რომ დამოუკიდებლად ცხოვრებას შეძლებენ, ურთიერთობის ფართო წრე ექნებათ, ოჯახს მოსწყდებიან, ეს ამ ტრადიციაზე დიდ გავლენას მოახდენს. ტრადიცია ხომ სოციუმზეა მიბმული?..

— **საწინააღმდეგო სქესის მიმართ ინტერესი მქონდა ბავშვობიდანო,**

— **მითხარი. გახსოვს, ვინ იყო შენი პირველი ინტერესის ობიექტი?**

— სკოლაში მიყვარდა ალბათ ვიღაც, მაგრამ არ მახსოვს... იქნებ ბევრიც იყო ერთდროულად. არც ეგ მახსოვს...

— **კლასელი გყვარებია?**

— როგორ გეკადრება! ჩვენს დროს კლასელს ვერ შეიყვარებდი, ვერც მეზობელს...

— **ერთი შენი სასიყვარულო თავგადასავალი გაიხსენე, რა!**

— ნუ ჩამაცივდები, არ მახსოვს...

— **მეუღლე, როდის გაიცანი?**

— 1998 წელს.

— **თეა სიყვარულში პირველი რომ გამოგტყდომოდა, მის მიმართ ინტერესი დაგეკარგებოდა?**

— არა, რა თქმა უნდა. თეა არის ადამიანი, რომელიც ძალიან მიყვარს, ჩვენმა სიყვარულმა დიდი გამოცდა გაიარა და ყველაფერს გაუძლო... ის ჩემი ცხოვრების ნაწილია, ჩემი მეგობარია, შეყვარებულია და ყველაფერია. ჩვენი შეხვედრა ბედისწერა იყო და რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გამოტყდებოდა პირველი სიყვარულში?.. თუ გაინტერესებს, გეტყვი, რომ ეს ფუნქცია მე ვიკისრე და სხვათა შორის, დიდი ძალისხმევა დამჭირდა თეას გულის მოსანადირებლად.

— **რატომ?**

— როგორ გითხრა, თეა ძალიან მომხიბვლელი გოგონა იყო და არის. მისნაირი გოგონების მოხიბვლა იოლი არ არის. თან ამ ცხოვრებაში მაშინ მე საკუთარი ადგილი ჯერ კიდევ მოსაძებნი მქონდა.

— **არც თაყვანისმცემელთა „არმია“ გყავდა გარშემო?**

— არა, რა თქმა უნდა, თაყვანისმცემელთა „არმია“ არასდროს მყოლია და არც მეყოლება.

— **რატომ?**

— ჩემნაირ მამაკაცებს არ ჰყავთ ბევრი თაყვანისმცემელი...

— **თავად როგორი ხარ?**

— ოდნავ ცინიკური, შემტევი, ზედმეტი სენტიმენტალიზმის წინააღმდეგი.

— **არარომანტიკულიც?**

„ძნელია სამშობლოდან ემიგრაციაში მეორედ წასვლა“

ვისი პროექტია სერიალი – „ჟამი ყვავილობისა“

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ქართული სერიალი — „ჟამი ყვავილობისა“ რამდენიმე კვირაა, რაც ტელეეკრანებზე გამოჩნდა, უკვე მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს. პროექტის იდეის ავტორი და ერთ-ერთი მთავარი როლის, ბიზნესმენ კოტე აბულაძის როლის შემსრულებელი, რუსთაველის თეატრის ყოფილი მსახიობი, ირაკლი აშვაძე გახლავთ. ბატონი ირაკლი სულ რამდენიმე წელია, რაც სამშობლოში დაბრუნდა. მანამდე ის ემიგრაციაში ცხოვრობდა. სერიალსა და სხვა ცხოვრებისეულ საინტერესო ამბებზე სასაუბროდ ბატონ ირაკლის, წყნეთში, გადასაღებ მოედანზე შევხვდი...

ნათია ჟვანია

— რა გახდა იმის მიზეზი, რომ მუშაობა ქართულ, მრავალსერიან ფილმზე დაიწყეთ?

— ხომ იცით, ქართველები ამბიციური ხალხი ვართ და ვფიქრობთ, რომ ყველაფრის გაკეთება შეგვიძლია. საქართველოში ამხელა პროექტის განხორციელება, ცოტა არ იყოს, რთულია, მაგრამ მაინც გავრისკეთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. როგორც ვიცი, საზოგადოებაში ქართული სერიალის მიმართ მოთხოვნილება არსებობდა. ამიტომ 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობთ და ამ პროექტს მონდომებას და ენერგიას არ ვაკლებთ.

სერიალზე მუშაობის პროცესში

— როგორ ფიქრობთ, პროექტი გაამართლებს?

— დიდი ხანი არ არის, რაც სერიალი ეთერში გადის და მაყურებლის დიდი მოწონება ხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა „ცუდ“ დროს გადის — საღამოს 7 საათიდან, როცა ხალხი სამსახურიდან შინ ბრუნდება და ბევრი ყურებას ვერ ასწრებს — მაღალი რეიტინგი აქვს. „რუსთავი 2“-ს ვთხოვეთ, რომ იქნებ 8 საათზე გადაიტანონ სერიალი. შეგვპირდნენ და ვნახოთ...

— ისე, სერიალის გადაღებები რომ დაგეკრულებინათ და ეთერში მერე გაგეშვათ, არ შეიძლებოდა?

— ჩვენი გადაწყვეტილება არ ყოფილა, რომ პარალელურ რეჟიმში ყოფილიყო ყველაფერი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. არხს ეს ხელს აძლევს და თანაც ფინანსებთანაც არის დაკავშირებული. პირადად მე, სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, რომ სერიალი ეთერში ასე ადრე გაეშვათ, ეს სახიფათო იყო. როცა პირველად საქართველოში ასეთი დიდი მასშტაბის პროექტი მზადდება, ცოტა მეტი ხელის შეწყობა, ყურადღება, მდგომარეობის გათვალისწინება და უფრო სწორი დაგეგმარებაა საჭირო და ეს მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინოს. მოკლედ, მიუხედავად რთული პირობებისა, ხარისხიანი პროდუქციის შექმნას მაინც ვახერხებთ.

— თქვენ სერიალის იდეის ავტორი ხართ. გარდა ამისა, მასში ერთ-ერთ მთავარ როლსაც ასრულებთ. პარალელურად კიდევ უამრავი საქმით ხართ დაკავებული. ყველაფერს ერთმანეთთან როგორ ათავსებთ?

— ძალიან მიჭირს. გულახდილად გეტყვით, რომ არც ერთი სცენის გადაღებისთვის მზად არ ვყოფილვარ. არანაირი საშუალება არ მქონდა, რომ თუნდაც ერთი დღით ადრე, ჩემს როლზე მემუშავა ან თუნდაც ტექსტი მესწავლა. გადასაღებ მოედანზე მივდივარ და ტექსტს იქ ვკითხულობ. ეს მსახიობისთვის რთულია, მაგრამ რას ვიზამ, სხვა გამოსავალი არ მაქვს. სხვათა შორის, ბევრი მსახიობია იმავე მდგომარეობაში.

— როგორც იდეის ავტორმა, იქნებ გვითხრათ, რა არის ამ სერიალის არსი? რა გინდათ, აჩვენოთ და თქვათ?

— სიუჟეტზე წინასწარ საუბარი არ მსურს. ზოგადად კი, იმის თქმა შემიძლია, რომ ეს ყველაფერი ჩვენი ცხოვრებაა ანუ ის, რაც ჩვენ გარშემო ხდება, რაც გვაწუხებს, რაზეც გული გვტკივა... ამრიგად, სერიალი ჩვენს სევდასა და სიხარულზეა დაფუძნებული. მგონი, სწორედ ამიტომაც არის ფასეული. რაც შეეხება იდეას, ამაში დამეხმარნენ ფოკუს-ჯგუფის წევრები. მათ გამოკითხვა ჩაატარეს. სერიოზულად გამოვიკვლიეთ, რამდენად საჭირო იყო საქართველოში მსგავსი პროექტის შექმნა. ამ გამოკითხვებს მეც ვესწრებოდი და სერიალისთვის უზარმაზარი მასალა სწორედ იქიდან მოვიპოვე. გამოდის, რომ ამ სერიალის შექმნაში ქართველი საზოგადოებაც მონაწილეობდა, რაც სასიამოვნოა.

— როგორც ვიცი, კასტინგი უკრაინაშიც ჩაატარეთ და სერიალში გადასაღებად იქაური მსახიობი, ტანია კაზანცევა ჩამოიყვანეთ. ეს რატომ გახდა საჭირო? გოგონა ხომ ქართველის როლს ასრულებს.

— არა, ტანია მთლად ქართველსაც არ თამაშობს. თბილისი ხომ ინტერნაციონალური ქალაქია და აქ მრავალეროვანი ხალხი ცხოვრობს, მათ შორის, რუს-ქართველებიც. ტანიას პერსონაჟს უკრაინელი დედა და ქართველი მამა ჰყავს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ამ როლის შემსრულებელი უკრაინიდან ჩამოგვეყვანა. ბედნიერი ვარ, რომ გაგვიმართლა და ტანიას მსგავსი ადამიანი შეგვხვდა.

— მისი ქართული ენის უცოდინარობა ხელს არ გიშლით?

— ამასთან დაკავშირებით გარკვეული სირთულეები, რასაკვირველია, არის. მას ქართველი მსახიობი ახმოვანებს. მსახიობზე აუგს არ ვამბობ, კარგად გამიგეთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ რაც უნდა კარგად იყოს გახმოვანებული, გარკვეულ დაღს ასვამს მის თამაშს. როცა დუბლიაჟი კეთდება, მასში რაღაც სიყალბის ელემენტი

კოტე ტიპური ქართველი მამაკაცია. ჩემი აზრით, დღეს საქართველოში მრავლადაა ასეთი ადამიანი

მაინც არის, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს, რადგან ტანია ძალიან კარგად თამაშობს.

— თქვენს გმირს — ბატონ კოტეს როგორ დაახასიათებთ?

— კოტე ტიპური ქართველი მამაკაცია. ჩემი აზრით, დღეს საქართველოში მრავლადაა ასეთი ადამიანი. ვერ იტყვი, რომ ის ცუდია, ან — კარგი... იგი დღევანდელი ცხოვრების ტიპური წარმომადგენელია: ბიზნესმენი, რომელმაც საქმიანობა იმ საშინელ დროს წამოიწყო, როცა ქვეყანაში ათასი უბედურება ხდებოდა. კოტე ამ სიტუაციებმა გამოაწრთო. იგი მოსიყვარულე მამა, კარგი მეგობარი და მკაცრი უფროსია. რა თქმა უნდა, თავისი პატარა ცოდვებიც აქვს...

— თქვენ და მას საერთო თვისებები თუ გაქვთ?

— რასაკვირველია. ბევრ რაღაცაში არ მგავს, მაგრამ ჩვენ შორის საერთოც ბევრია. ბოლოს და ბოლოს, მის როლს ხომ მე ვთამაშობ? არ მჯერა მსახიობის, რომელიც ამტკიცებს, სახეს განყენებულად ვქმნიო. წარმოუდგენელია, შექმნა ისეთი სახე, რომელიც შენთან არანაირ კავშირში არ არის. დამიჯერეთ, ნებისმიერი კარგად ნათამაშევი როლი, მსახიობის შინაგანი ბუნებიდან მოდის...

— მოდი, თემა შევცვალოთ და ცოტა თქვენს ცხოვრებაზეც ვისაუბროთ. როგორც ვიცი, საზღვარგარეთ ცხოვრობდით და სულ ცოტა ხანია, რაც საქართველოში დაბრუნდით. სად ცხოვრობდით და რატომ გადაწყვიტეთ იქ გამგზავრება?

— საკმაოდ დიდხანს ვიყავი ჰოლანდიაში. იქ 1993 წელს გავემგზავრე. მოგეხსენებათ, მაშინ საქართველოში რა რთული სიტუაციაც იყო. არც გაზი გვქონდა, არც — შუქი; ჩემი მეუღლე კი ორსულად იყო. გადავწყვიტეთ, ცოტა ხნით, ასე ვთქვათ, გამოსაზამთრებლად ჰოლანდიაში წავსულიყავით. მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ემიგრანტობამ ჩაგვითრია და საზღვარგარეთ საკმაოდ დიდხანს შევრჩით. გარდა ამისა, გასამგზავრებლად უამრავი არასასიამოვნო და დამთრგუნველი მიზეზიც მქონდა. უბრალოდ, ახლა ამაზე საუბარი არ მსურს.

— ჰოლანდიაში რას საქმიანობდით?

— ემიგრაციაში ყოფნისას ძალზე რთულია გზის გაკვალვა და ადგილის დამკვიდრება. თუმცა მე გამიმართლა. ერთმა რუსმა ებრაელმა რეჟისორმა, რომელიც ამსტერდამში ცხოვრობს, სხვადასხვა ეროვნების მსახიობები შეკრიბა და ინტერნაციონალური სპექტაკლი დადგა (წარმოდგენა რამდენიმე ენაზე სრულდებოდა). ამ უჩვეულო პროექტში ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოვხვდი, რის შემდეგაც სხვა სპექტაკლებშიც მიმიწვიეს. მოგვიანებით იქ თავადაც დავდგი რამდენიმე სპექტაკლი. სხვათა შორის, ჰოლანდიურ სერიალებშიც მივიღე მონაწილეობა. ხოლო სერიალ — „საიდუმლო სამსახურში“ ერთ-ერთ მთავარ, დაღესტნელი ტერორისტის როლს ვთამაშობდი. ძალიან საინტერესო სერიალი იყო. მაგრამ მისი მხოლოდ პირველი სეზონი გავიდა ეთერში, რადგან 2001 წლის 11 სექტემბრამდე გადაიღეს და მასში ცოტა ლოიალური დამოკიდებულება იყო ტერორისტებისადმი. მერე საშინელი ტრაგედია მოხდა და სერიალი შეწყდა. ასევე, ბელგიურ სერიალშიც მიმიწვიეს. ის ეთერში დღემდე გადის. უკვე 8 წელია, რაც ხალხი ამ სერიალის („ფლიკენი“) სხვადასხვა სეზონს დიდი გულისყურით ადევნებს თვალყურს. სხვათა შორის, იმდენად პოპულარულია, რომ ბელგიის ქალაქ გენტში, სადაც სერიალის სიუჟეტი ვითარდება, ყოველ წელიწადს „ფლიკენის“ დღესასწაული ეწყობა. ამ პოლიციური სერიალის 4 სერიაში მივიღე მონაწილეობა. ვითამაშე მთავარი პერსონაჟი — რომან დაში, წარმოშობით მოლდაველი, ტრეფიკინგით დაკავებული კრიმინალი. ეს რაც შეეხება ჩემს პროფესიას. გარდა ამისა, სხვა სამსახურიც მქონდა, რადგანაც ოჯახს მხოლოდ ჩემი მსახიობობით ვერ ვარჩენდი.

— თქვენი ოჯახის წევრები იქ თუ საქმიანობდნენ?

— მეუღლე მუშაობდა, ბავშვები სწავლობდნენ. ახლა უფროსი ვაჟიც უკვე მუშაობს, უმცროსი ჯერ ისევ სწავლობს. ისინი კვლავ ჰოლანდიაში ცხოვრობენ. მე სამი წელია, რაც საქართველოში დავბრუნდი. მინდოდა, იქიდან ოჯახიც წამომეყვანა, მაგრამ ჯერჯერობით არ გამოდის.

— იქაურ ქართველებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— საერთოდ, ქართველებს ემიგრაციაში ყოფნისას ერთმანეთთან ურთიერთობა გვიჭირს. მიუხედავად ამისა, იქ არის ორი ოჯახი, რომელთანაც დიდი ხანია, ვმეგობრობთ. ემიგრაციის მთელი ჭირ-ვარამი ერთად გადავიტანეთ და დღემდე ისე ვახლობლობთ, რომ თითქმის ნათესაობაშია გადასული ჩვენი ურთიერთობა.

— ჰოლანდიიდან არანაირი შემოთავაზება არ გაქვთ?

— ჩემმა ერთ-ერთმა ახლობელმა, რომელიც მსახიობიც გახლავთ და რეჟისორიც, შემომთავაზა, შვეიცარიის (წარმოშობით იტალიელია, მაგრამ შვეიცარიაში ცხოვრობს) ერთ-ერთ თეატრში სპექტაკლი „მედეა“ დამედგა. კარგ ანაზღაურებასაც დამპირდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, სერიალის „ჟამი ყვავილობისას“ გამო უარი ვუთხარი.

— გადაღების დასრულების შემდეგ კვლავ ჰოლანდიაში დაბრუნდებით?

— ჩემი იქ დაბრუნება წარმოუდგენელია. ძნელია სამშობლოდან მეორედ წასვლა. მართალია, იქ ყველაფერი დალაგებულია და უკეთესი ცხოვრებაა, მაგრამ მე მაინც სახლში ყოფნა მირჩევნია. რასაკვირველია, პერიოდულად, ჰოლანდიაში ოჯახის მოსანახულებლად ჩავდივარ... ■

ჯექსონიდან ბურჯანაძემდე

ანუ როგორი გემოვნება აქვს ყურებამდე შეყვარებულ ამიკოს

თავის დროზე, მშობლების ხათრით, ბათუმში საზღვაო აკადემიაში ჩაბარა. გემის კაპიტანი ვერ გამოვიდა, მაგრამ ამას არც დარდობს... „კომედი შოუს“ ერთ-ერთი ნიჭიერი მსახიობი — ამიკო ჩოხარაძე არ გამორიცხავს, რომ მომავალში საკუთარი სიმღერაც ჩაწეროს. მისი მუსიკალური გემოვნება ბევრისთვის ცნობილია. ბავშვობიდან მაიკლ ჯექსონი უყვარდა. სარკის წინ საათობით ვარჯიშობდა და ცდილობდა, ლეგენდარული მომღერლისთვის მიებაძა...

მერი კობიაშვილი

— ამიკო, როგორი უნდა იყოს გემოვნებიანი ადამიანი?

— ნებისმიერ ადამიანს ინდივიდუალური გემოვნება აქვს. ჩემი აზრით, უგემოვნო ადამიანი არ არსებობს. ზოგიერთი ჩაცმულობით აფასებს პიროვნებას. მაგრამ ეს არ არის სწორი. შეიძლება, რაც მე მომწონს, სხვას არ მოეწონოს, ან — პირიქით. როგორც ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენ.

— კი, მაგრამ მგონი, ყველაზე ხშირად გემოვნებაზე დაობენ...

ადამიანებთან კონტაქტში შესვლა არ მიჭირს

— გეთანხმები. ზოგიერთი მედავება, მაიკლ ჯექსონის სიმღერებს რატომ უსმენო. მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ვინც ჯექსონს არ უსმენს, უგემოვნო ადამიანია. სხვას ნამდვილად ვერ გავაკრიტიკებ.

— თუ გქონია ისეთი შემთხვევა, როცა რადიკალურად განსხვავებული გემოვნების ადამიანთან ურთიერთობა ვერ აგიწყვია?

— ადამიანებთან კონტაქტში შესვლა არ მიჭირს. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ჩვეულებრივად მაცვია. რომელიმე ერთ მუსიკალურ მიმდინარეობაზე ჩაციკლული არ ვარ.

რომელიმე ერთ მუსიკალურ მიმდინარეობაზე ჩაციკლული არ ვარ

— როგორ ფიქრობ, მაიკლ ჯექსონი რატომ მოგეწონა? ბავშვობიდან მისთვის მიბაძვა რატომ გადაწყვიტე?

— ის პირველი მუსიკოსი იყო, რომელსაც მოვუსმინე და ხელოვნად აღვიქვი, სხვა მუსიკოსებზე იმავეს თქმა გამიჭირდება. ჯექსონის მსგავსი წარმატებით ვერც ერთ მომღერალს ვერ ვითამაშებ. ზოგს შეიძლება, ხმით მივბაძო, ზოგს — რამე მანერით (მაგალითად, მონსერატ კაბალიეს ხმით მივბაძავ, მაგრამ გარეგნობით ვერ დავემსგავსები). ჯექსონს კი ყველაფრით ვბაძავ.

— ამიკო, იმ ადამიანთა რიგს მიეკუთვნები, რომელთაც ჭამა არ უყვართ?

— ჭამა მიყვარს. წუნია არ ვარ, მაგრამ როცა ოჯახში შემწვარი კარტოფილია, ყურადღებას სხვას აღარაფერს ვაქცევ. თვითონაც ბევრჯერ მომიმზადებია, ვისთვისაც გამისინჯებია, ყველას მოსწონებია და შევუქივარ კიდეც. რაღაც განსაკუთრებული რეცეპტი არ მაქვს. უბრალოდ, კარტოფილი კარგად უნდა დაიბრაწოს...

— სასმელთან დაკავშირებით როგორი გემოვნება გაქვს?

— მეგობრებთან ერთად დალევა და ქეიფი კარგია, მაგრამ მე ხშირად არ ვხვდები ასეთ სიტუაციაში. ისე, ნაბახუსევზე ცუდად ვხდები. წელიწადში შეიძლება, სამჯერ ან ოთხჯერ დავთვრე მაგრად. ამოჩემებული სასმელიც არ მაქვს. კლუბში როცა მივდივარ, ყველაზე მაგარ სასმელს — „რედ ბულს“ გეახლებით... ქართულ ტრადიციულ სუფრასთან ბოლომდე ვრჩები. რომ იტყვიან, ჭიქას არ ვტოვებ. მთავარია, იმ დროს სითბოში არ მოვხვდე, თორემ გავითიშები.

— მოდი, შენს საქმიანობას დავუბრუნდეთ. ყველაზე კარგ იუმორისტად ვის მიიჩნევ?

— ბევრისთვის საყვარელი იუმორისტია ჯიმ ქერი. ის მეც მიყვარს. ბავშვობიდან მასში ყველაფერი მომწონდა. ახლა ცოტა ასაკში კი შევიდა, მაგრამ მაინც მაგარ ფილმებს იღებს. ქართველი იუმორისტების უმრავლესობა ცდილობს, რაღაცით მაინც მიჰბაძოს ჯიმ ქერის, მათ

შორის მეც ვარ.

— როდესაც ცდილობ, ვინმეს მიბაძო, წინასწარ ბევრს მეცადინეობ?

— როცა პოპულარული ადამიანის პაროდიას ვაკეთებ, მასზე დიდხანს არ ვფიქრობ. მაგალითად, იმ პერიოდში, როცა ბურჯანაძეს ვბაძავდი, ტელევიზორში, ყველა არხზე ის იყო. მის ჩაცმულობასა და ვარცხნილობაზე დიდხანს დაკვირვებამ ნამდვილად არ მომიწია. უფრო მისი ლაპარაკის მანერას ვსწავლობდი. ისე, მას ლაპარაკის განსაკუთრებული მანერა არა აქვს. შიგადაშიგ, ქვედა ტუჩს ოდნავ დაბლა სწევს. ძალიან დინჯია და დაფიქრებული...

— მანდილოსნების სამოსში თავს როგორ გრძნობ?

— ბურჯანაძეს რომ ვთამაშობდი, ქალის შარვალი მეცვა და საშინელ დისკომფორტს განვიცდიდი. რამდენჯერმე კაბიც ჩაცმამაც მომიწია (კიდევ კარგი, მამაკაცებს კაბები არ გვაცვია). მიკვირს შოტლანდიელი მამაკაცების, რომლებიც თავიანთ ეროვნულ სამოსში თავს კომფორტულად გრძნობენ.

— შენი როლებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგწონს?

— ყველაზე ხშირად აჭარელის როლში ვარ. ამოჩემებული როლი ნამდვილად არ მაქვს. ერთ გამოსვლაზე ხანდახან თერთმეტი მინიატიურა გვაქვს ხოლმე და თერთმეტივეში სხვადასხვა რამ ხდება. ამიტომ ვერ გიპასუხებ, რა უფრო მომწონს. ჩემთვის ყველა როლი საყვარელია. თუ მაყურებელს მოეწონება, ნებისმიერს სიამოვნებით გავიმეორებ.

— ხშირად გიწევს შენი მეგობრის — ფაქოს კოცნა, ეს ცოტა რთული სათამაშო არ არის?

— ფაქო ძალიან მიყვარს. ჩვენი გემოვნება ერთმანეთს ემთხვევა. ფაქოს შეყვარებულს უეჭვიანია და უთქვამს კიდეც მისთვის, ამიკოსთან ერთად უფრო მეტ დროს რატომ ატარებ, ვიდრე ჩემთანო... მართლაც მინიატიურების თამაშისას ერთმანეთს მეგობრულად ვკოცნით ხოლმე. იყო დრო, როცა ჩვენზე ამბობდნენ, ცისფერები არიანო. ასეთი ჭორი გულთან ახლოს სერიოზულად არ უნდა მიიტანო. ფაქტია, რომ როცა პოპულარულია ადამიანი, მასზე ჭორაობენ. ამიტომ ჩვენზე გავრცელებული ჭორი არც მწყენია.

— შენი აზრით, ჩვენი მაყურებელი გემოვნებიან იუმორს უყურებს ქართულ ტელეეკრანებზე?

— ქართველი მაყურებელი ძალიან მომთხოვნია. ძნელია და ალბათ ვერც მოვახერხებთ, რომ ყველას მოვეწონოთ. ჩვენთვის ხშირად უთქვამთ, გვინდა, რომ ტელეეკრანზე ინტელექტუალური იუმორი ვიხილოთო. შეგიძლია, მითხრა, ინტელექტუალური იუმორი როგორია?

— ვინც ასეთი პრეტენზია გამოთქვა, არ გიკითხავს, რას გულისხმობდა?

— ვკითხე და ვერ მიპასუხა... ვინც ჩვენგან ინტელექტუალურ იუმორს ითხოვს, თვითონაც არ იცის, რისი ნახვა სურს. ჩვენი იუმორი მრავალფეროვანია. ვისაც ასეთი პრეტენზიები აქვს, მგონია, რომ თავად მოიკოჭლებს გემოვნებაში. მსგავსი პრეტენზიების მქონე ადამიანს ვურჩევ, სარკესთან დაჯდეს და პრეტენზიების ნათლად ჩამოყალიბებაში იმეცადინოს... ყველა შოუს თავისი მაყურებელი ჰყავს.

— თავად თუ უყურებ სხვა იუმორისტულ შოუებს?

— რა თქმა უნდა, მაგრამ იმიტომ არა, რომ მათზე უკეთესი ხუმრობების მოფიქრების სურვილი მაქვს. უბრალოდ, გადაცემისგან სიამოვნებას ვიღებ. ყველას მსგავსი იუმორი ვერ გვექნება. ჩვენს გუნდშიც კი ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული იუმორის მქონე ადამიანები ვართ გაერთიანებულები.

— ოდესმე თუ გიფიქრია იმაზე — ძალიან ბევრი ფული რომ გქონოდა, როგორ იცხოვრებდი? როგორია შენი ოცნების სახლი, აღმიწერე...

— როცა საკუთარი სახლი მექნება და მეუღლე მეყოლება, მარტო მე ვერ გადავწყვეტ, იქ როგორი გარემოს შექმნა მენდომება. სახლის მოწყობას მეუღლეს ვანდობ. ამ შემთხვევაში ქალის გემოვნებას უნდა ენდო. დღესდღეობით ოცნების სახლი არ მაქვს... შეიძლება, უბრალოდ ერთოთახიანი ბინა მქონდეს და იქ შესანიშნავად ვიგრძნო თავი და სამსართულიან სახლში შეიძლება, დისკომფორტიც განვიცადო. მაგრამ სამომავლოდ არც იმას გამოვრიცხავ, რომ სამსართულიან სახლში ისე გავმრავლდეთ, რომ ვერც ვეტეოდეთ და ამით ვიამაყო... საერთოდ, კარგ ცხოვრებას ბევრი შრომა და წვალება უნდა. ვცდილობ, ჩემი შრომით შევიქმნა კომფორტი. იმედია, მოვახერხებ.

— ვიცი, რომ შეყვარებული გყავს. მოგვიყევი, როგორ მიიქცია მან შენი ყურადღება?

— როცა ჩემი ახლანდელი შეყვარებული გავიცანი, თავიდან ვმეგობრობდით. არც მიფიქრია, ეს გოგო შეიძლება, შემიყვარდეს-მეთქი. მაგრამ მალევე აღმოვაჩინე, რომ ხასიათით ძალიან ვგავდით ერთმანეთს... ასე რომ, ჯერ მისი ხასიათი შემიყვარდა და მერე — თვითონ. სხვისი აზრი ამ შემთხვევაში ნაკლებად მაინტერესებს. თუმცა ოჯახის აზრსაც, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებ, მაგრამ გადაწყვეტილებას თავად მივიღებ. იმ გოგონას საკუთარ თავზე მეტად ვაფასებ. მოკლედ, გეტყვი, მაგრად მიყვარს... ■



ქართველი მაყურებელი ძალიან მომთხოვნია

ფაქო ძალიან მიყვარს

ბურჯანაძეს რომ ვთამაშობდი, ქალის შარვალი მეცვა და საშინელ დისკომფორტს განვიცდიდი

დაუმორჩილებელი ამერიკა

შეუძლია თუ არა უცხოელ მსახიობს, დიდ ჯინოში თავბრუდამხვევი ჯარიერა აიწყოს და საერთოდ, რამდენად სჭირდება ამერიკულ ჯინოს უცხოელი მსახიობები?

თავიანთ სამშობლოში გაელვებული ახალი ვარსკვლავები ჰოლივუდში ყოველწლიურად ჩადიან და მის დაპყრობას ცდილობენ, მაგრამ უმრავლესობას არაფერი გამოსდის. დანარჩენები? თუ ამერიკის კინოინდუსტრიის გადამეტებულ „კარჩაკეტილობას“ გავითვალისწინებთ, პასუხი ცხადი იქნება: დანარჩენებიც ვერაფერს მიაღწევენ! არადა, მაყურებელი ჰოლივუდში ევროპელ მსახიობთა ბრწყინვალე კარიერის ათეულობით მაგალითს იცნობს. ამის საილუსტრაციოდ, ამერიკის კინოაკადემიის 2008 წლის დაჯილდოების ცერემონიაც გამოდგება. ჯილდო მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის — ინგლისელმა მსახიობმა მოიპოვა, ჯილდო მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის — ესპანელს გადაეცა, ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი კი ფრანგი აღმოჩნდა. საერთოდაც, ბოლო წლებში ევროპელმა რეჟისორებმა და მსახიობებმა არაერთი „ოსკარი“ მოიპოვეს.

ამერიკის ტელევიზია უცხოელთა ნამდვილ შემოტევას განიცდის. ყველაზე დიდი პოპულარობით კი სერიალის — „ექიმი ჰაუსი“ ცნობილი გმირი ჰიუ ლორი სარგებლობს.

პოპულარულ მსახიობთა სახელებისა უბრალოდ ჩამოთვლაც კი ცხადყოფს, რომ ჰოლივუდის იმ ვარსკვლავთა შორის, რომლებიც ასე უყვარს რიგით მაყურებელს, უამრავი მსახიობი ამერიკელი არ არის. რასელ ქროუ, ჰიუ ჯეკმანი და ნიკოლ კიდმანი ავსტრალიელები არიან, კოლინ ფარელი და პირს ბროსნანი — ირლანდიელები, კეიტ უინსლეტი, ტიმ როტი და ენტონი ჰოპკინსი — ინგლისელები, სტელან სკარსჰარდი და პიტერ სტორმარე — შვედები, სელმა ჰაიეკი — მექსიკელია, ხოლო ანტონიო ბანდერასი, ჰავიერ ბარდემი და პენელოპა კრუსი — ესპანელები. ყველა მათგანი დიდ, სერიოზულ ფილმებში თამაშობს, ყველა მათგანი სახელგანთქმული მსახიობია. აქ ერთი მნიშვნელოვანი კითხვა ჩნდება, რას ნიშნავს წარმატება? „ოსკარებს“? მრავალმილიონიან ჰონორარებს? თუ მსახიობისადმი ბულვარული პრესის გადამეტებულ ყურადღებას?

ულამაზესი პენელოპა კრუსი დიდი სტუდიების ფილმებში რეგულარულად თამაშობს, მაგრამ მას უმეტესად „დეკორაციული“ ფუნქცია აკისრია ხოლმე. მსახიობის ყველა ბრწყინვალე ნამუშევარი ესპანელი პედრო ალმოდოვარის ფილმებს უკავშირდება.

უცხოელი მსახიობები ჰოლივუდში პოპულარულნი არიან. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად — რასელ ქროუ, ჰიუ ჯეკმანი, ჯეკი ჩანი და სხვები „20-მილიონიანთა კლუბის“ წევრებიც კი არიან. ამერიკულ ტელევიზიაში კი უცხოელთა ნამდვილი შემოტევაა, მაგრამ ეს მსახიობები ძირითადად ამერიკელ პერსონაჟებს განასახიერებენ ანუ ისინი მშობლიური აქცენტის გარეშე ლაპარაკობენ. მაგალითად, ბრიტანელები: ჰიუ ლორი სერიალში „ექიმი ჰაუსი“, დემიან ლიუისი — „ცხოვრება“, ჯოზეფ ფაინსი — „გაიხსენე, რა იქნება“, ავსტრალიელები: საიმონ ბეიკერი — „მენტალისტი“, ანა ტორვი — „მხარე“... ერთადერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისი ტიმ როტის პერსონაჟია სერიალში „მომატყუე“, სადაც მსახიობმა აქცენტი შეგნებულად შეინარჩუნა და საფირმო ფრაზამ What's going on love მის გმირს კიდევ უფრო მეტი მომხიბვლელობა შესძინა. რატომ ხდება ასე? სატელევიზიო ბოსების განმარტებით, ისინი ახალ სახეებს ეძებენ ანუ ისეთ მსახიობებს, რომლებიც: ა) მაყურებელს ჯერ ყელში არ

ამოსვლია; ბ) მათ მიერ ნათამაშებ გმირებთან გაიგივებულნი არ არიან და გ) მზად არიან ქანცგამწყვეტი სატელევიზიო გრაფიკით გაცილებით ნაკლები გასამრჯელოს ფასად იმუშაონ, ვიდრე მათი ამერიკელი კოლეგები მოითხოვენ.

ჰოლივუდში უცხოელ მსახიობებს როლებს კი არა, ტიპაჟებს აძლევენ. ამის საუკეთესო მაგალითად ბრწყინვალე ჩინელი მსახიობები — ჯეტ ლი და ჯეკი ჩანი გამოდგებიან.

ამ საკითხს შედარებით ღრმად თუ ჩავწვდებით, ერთდროულად რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთება. პირველი — ჰოლივუდის ყველაზე გავლენიან მსახიობთა სიაში ორი უცხოელი მსახიობია და ორივე მათგანი წარმოშობით ავსტრალიიდანაა. ჰოლივუ-

დური გაგებით, გავლენა — ფილმის ჩაშვებისა და მისთვის სერიოზული ფულის მოპოვების უნარს გულისხმობს. ამ სიაში კი არც ერთი ევროპელი არ არის. არის მხოლოდ ერთი ჩინელი — ჯეკი ჩანი. მისი სახელის ხსენებასთან დაკავშირებით კი შეგვიძლია მომდევნო, ძალზე მნიშვნელოვან მომენტზე გადავიდეთ.

თუ ევროპელ მსახიობთა მიერ ნათამაშებ როლებს ყურადღებით დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ხშირად ეს აბსოლუტური Typecast-ია ანუ მწველი ლათინელი მამაკაცების როლებზე ლამაზ სამხრეთამერიკელებს იწვევენ, სიყვარულით გაუმაძღარი ფრანგის როლზე — რომელიმე ფრანგ მსახიობს. მათ სათამაშოდ, როლის ნაცვლად ტიპაჟს აძლევენ. ამის საუკეთესო მაგალითად, ჩინელთა ბრწყინვალე სამეული — ჩოუ იუნ ფატი, ჯეტ ლი და ჯეკი ჩანი — გამოდგება. როგორც უკვე ვთქვით, ისინი როლებს კი არა, ტიპაჟებს თამაშობენ. ჩოუ იუნ ფატი — მკაცრი ბრძენი ჩინელის ტიპაჟს თამაშობს, რომელსაც მსუბუქი ტრაგიკული ნოტები ახლავს. ჯეტ ლი — მკაცრი, მდუმარე ჩინელია, რომლის გმირებს თავშეკავებული სადიზმის ელფერი დაჰკრავთ, ხოლო ჯეკი ჩანი — ახირებული კომიკური ჩინელის როლების უბადლო შემსრულებელია, მისი გმირები კედლებზე დარბიან და ათეულობით ბანდიტს ერთი ხელის მოსმით უმკლავდებიან.

ამ მოვლენის კიდევ ერთ თვალსაჩინო მაგალითს ულამაზესი პენელოპა კრუსი წარმოადგენს. იგი რომელიმე დიდ და სტუდიურ ფილმში რეგულარულად თამაშობს, მაგრამ მას მსახიობობაზე მეტად „დეკორაციული“ ფუნქცია ეკისრება. ქვეყანაში, სადაც ბოლო 10 წლის განმავლობაში ესპანური ენისთვის მეორე სახელმწიფო ენის სტატუსის მისანიჭებლად იბრძვიან, ლათინელ ლამაზმანთა მონაწილეობით გადაღებულ ფილმს გარკვეული კონ-

კურენტული უპირატესობა აქვს. მიუხედავად ამისა, პენელოპა კრუსის ყველა ბრწყინვალე სამსახიობო ნამუშევარი ესპანელი პედრო ალმოდოვარის ფილმებს უკავშირდება.

თანამედროვე ჰოლივუდის საუკეთესო რეჟისორები უცხოელები არიან, ისეთები, როგორიც მექსიკელი გილერმო დელ ტორროა...

ამბობენ, რომ ეს ახალი კინემატოგრაფიული ეპოქისათვის დამახასიათებელი ავადმყოფობაა, რომ გრეტა გარბოსა და მარლენ დიტრიხის ეპოქაში ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდა — როდესაც კინოს „ავტორები“ (აუტერს) მართავდნენ, ისინი ევროპელ მსახიობებს არა ფაქტურის, არამედ ნიჭის გამო იწვევდნენ, მაგრამ დროება შეიცვალა!

ამასთან, სრულიად გაუგებარია ლოგიკა, რომლის მიხედვითაც აუდიტორია ზოგიერთ უცხოელ მსახიობს შეიყვარებს ხოლმე, ზოგს კი უარყოფს. აი, მაგალითად, რამდენიმე წლის წინ გენიალურმა ბრიტანელმა კომიკოსმა რიკი ჟერვემ ამერიკის დაპყრობა გადაწყვიტა. მას სამშობლოში უკვე დიდი ხანია, საკულტო მსახიობის სტატუსი აქვს, მისი შექმნილი სერიალის „ოფისი“ რიმეიკი ამერიკაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ამის მიუხედავად, მისი პირველივე ფილმი ამერიკაში ისე ჩავარდა, რომ გასაკვირიც კია, მეორეზე მუშაობის საშუალება რომ მისცეს... სასწაული ვერც რიკი ჟერვეს ახალმა კომედიამ — „სიცრუის შექმნა“ მოახდინა. ფილმი მაყურებელმა გულგრილად მიიღო, ხოლო შემოსავალმა მხოლოდ 18 მილიონი დოლარი შეადგინა. მიზეზი არავინ იცის. უბრალოდ, რატომღაც, ჟერვეს ტიპაჟი ბრიტანელებს ძალიან მოსწონთ, ამერიკელები კი აბსოლუტურად გულგრილნი რჩებიან.

ამ კონტექსტში ძალზე საინტერესოა, თუ როგორ წარიმართება ამერიკაში ავსტრიელი კრისტოფერ უოლცის კარიერა, რომელმაც კვენტინ ტარანტინოს ფილმში — „უბადრუკი ნაძირალები“ ნათამაშები პოლკოვნიკ ლანდაუს როლის შემდეგ სუპერგმირულ ფილმში — „მწვანე ბზიკი“ (რომელიც აგრეთვე Typecast-ის თვალსაჩინო მაგალითია) — არამზადის როლი მიიღო. იქნებ ამ როლს სხვებიც მოჰყვეს, მაგალითად, დადებითი გმირები?

... — ან ინდოელი ნაიტ შიამალანი

რადგან „მწვანე ბზიკი“ ვახსენეთ, აქ კიდევ ერთ ტენდენციას უნდა შევეხოთ: იმას, რაც უცხოელი მსახიობებისთვის ბოლომდე მიუწვდომელია (ან ძალზე იშვიათად აღწევენ), უცხოელი რეჟისორები საკმაოდ იოლად აღწევენ. თანამედროვე ჰოლივუდის საუკეთესო რეჟისორები სწორედ უცხოელები არიან. ტონი და რიდლი სკოტები, ნაიტ შიამალანი, მიშელ გონდრი („მწვანე ბზიკი“), ენგ ლი, გილერმო დელ ტორო, პიტერ ჯექსონი... ცოტა ხნის წინ მათ რიგს რუსი რეჟისორი თემურ ბეკმამბეტოვიც შეუერთდა. უფრო ადრე ჰოლივუდში წარმატებით მოღვაწეობდა ანდრონ მიხალკოვ-კონჩალოვსკი. რუს მსახიობთა კარიერა ჰოლივუდში 15-წუთიანი დიდებით მთავრდება. ისინი ზოგჯერ მთავარ როლებსაც კი თამაშობენ, მაგრამ როგორც წესი, კარიერას ვერ იწყობენ.

შესაძლოა, ამის უმთავრესი მიზეზი ენობრივი ბარიერია. ამ მხრივ ავსტრალიისა და დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებს ამერიკის შეერთებულ შტატებში პრობლემა არ ექმნებათ. ისინი ხომ პრაქტიკულად, იმავე ენაზე მეტყველებენ... იგივე ჯეკი ჩანი კი მის პირველ ჰოლივუდურ ფილმებში რეპლიკებს უბრალოდ იზუთხავდა, რადგან ინგლისურად ერთი სიტყვაც კი არ ესმოდა. საერთოდაც, ეს უცხოელ მსახიობთა შორის საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა.

დაბოლოს, არ შეიძლება, არ გავიხსენოთ „მთავარი“ უცხოელი მსახიობი, რომელმაც ამერიკაში წარმოუდგენელ წარმატებას მიაღწია და თითქმის ყველა ვარსკვლავი დაჩრდილა. მხედველობაში გვყავს, კალიფორნიის დღევანდელი გუბერნატორი, ავსტრიელი არნოლდ შვარცენეგერი, რომელიც დღემდე აქცენტით მეტყველებს, მაგრამ ამან მის კარიერას ვერაფერი დააკლო. უფრო მეტიც, როგორც ამბობენ, დაეხმარა კიდეც!

■

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

ცხოვრება

ნაზი, ნონა და პოლკოვნიკი

მარი ჯაფარიძე

დაახლოებით 2-3 თვეში ერთხელ, ჩემს მობილურზე ერთი ადამიანის ზარი შემოდის და ტელეფონის ეკრანზე ამ დროს იწერება — „ნაზი“. ეს ჩემი მეგობრის სახელია, რომელიც „პატრონს“ სულ არ შეეფერება.

— ჰა, რას შვრები, როგორ ხარ, ცოცხალი ხარ? გამოდი, ერთ ჭიქა არაყზე და ყავაზე გეპატიჟები, — მამაკაცური, ჩახლეჩილი ხმით მკითხავს ნაზი და გაიცინებს.

მე, ასეთი „ნაზი“ და „ჰაეროვანი“ არსება, შევხტები ხოლმე, მისი ხმის გაგონებაზე, რადგან ვიცი, რაღაც ახალი, საშინელი ამბავი უნდა მითხრას (სხვა შემთხვევაში არ ვახსენდები) — ან ქვეყანა დაიქცა, ან სახლი ჩამოენგრა თავზე, ან მეზობელი შემოაკვდა...

ამ ხმის პატრონი ისეთი ქალბატონი გახლავთ, რომ შეუმჩნეველი არ რჩება. მაღალი, ჩადგმული, ისეთი, გაჭენებულ ცხენს შიშველი ხელით რომ შეაჩერებს. ლამაზი არ ეთქმის (იმედია, არ ეწყინება), მაგრამ შარმიანი ნამდვილადაა. ნაზი ქვრივია და დიდ კომპანიაში, ბუღალტრად მუშაობს. თან, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია და თბილისელი ბუღალტრების ნახევარზე მეტს კონსულტაციასაც უწევს. საკმაოდ მაღალი ხელფასი აქვს და თავს უვლის.

მეგობრები თითქმის არ ჰყავს. ვიდრე მისი ქმარი, ვალოდია ცოცხალი იყო, მის ძმაკაცებთან მეგობრობდა, მათთან ერთად სათევზაოდ დადიოდა, ანკესი და ბადეც კი თავისი, საკუთარი ჰქონდა და თევზაობიდან დაბრუნებულს, შეეძლო, საათობით ელაპარაკა, როგორი ლამაზია მზის ამოსვლა მდინარის ნაპირზე და როგორ დაიჭირა ყველაზე დიდი თევზი. ჩემთვის ეს ყველაფერი ძალიან მოსაწყენია, მაგრამ ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა, იძულებული ვიყავი, ყურადღებით მომესმინა.

ერთ დღეს, ისევ ერთ ჭიქა არაყსა და ყავაზე დაპატიჟებული (არაყს ის სვამს ხოლმე, ყავას — მე), მის სახლში სტუმრად გახლდით. სამზარეულოში ვისხედით და ვლაპარაკობდით. მაშინ გამომიტყდა:

— იცი, რაც ჩემი შვილი სასწავლებლად ინგლისში გავუშვი, თავს მარტო ვგრძნობ. სამსახური კარგი მაქვს, მანქანა მყავს, არაფერი მაკლია, მაგრამ ვგრძნობ, რომ რაღაც მაინც ვერაა ისე, როგორც საჭიროა.

— გათხოვდი, — შევთავაზე გამოსავალი.

— უუუჰ, — დაიჯღანა ნაზი, — რა აიტანს კაცს? თანაც, არც არაფერში მჭირდება, მაგათი დედაც! კაცს არ მოვაშლევინებ ნერვებს.

— მაშინ ადექი და ძაღლი იყიდე, — მარტოობისგან თავდასაღწევი სხვა გამოსავალი შევთავაზე.

— რომელი? — დაინტერესდა ჩემი წინადადებით.

— პუდელი ან „ბალონკა“.

— რას ამბობ?! — შეიცხადა.

— რა, არ მოგწონს? — ვერ მივხვდი, რატომ შეიცხადა ასე სასტიკად.

— რას ამბობ, გოგო? ძაღლი სულ სახლში ხომ არ მეყოლება? გარეთაც ხომ უნდა გავიყვანო და წარმოიდგინე, 186 სანტიმეტრი სიმაღლის, ლამის 100 კილო ქალი რა სასაცილო ვიქნები, გვერდით ასეთი ციცქნა ძაღლი რომ მეყოლება.

— ჰოო, მაგაზე კი არ მიფიქრია... მაშინ არ ვიცი, რა გირჩიო...

ამ თემაზე აღარ გვილაპარაკია. 1 თვის შემდეგ კი დამირეკა.

— ჰა, რას შვრები, როგორ ხარ, ცოცხალი ხარ?

— კი, ცოცხალი ვარ, შენ როგორ ხარ? — თავზარი დამეცა, ნეტავ, ამჯერად რა მოხდა-მეთქი?

— ძაღლი მოვიყვანე, ისეთი საყვარელია, ისეთი ლამაზი, გაგიჟდები... ყველაფერი ვუყიდე, საყელურიც, საკვებისთვის პატარა ჯამიც, საჭმელიც და პატარა სახლიც, ზაფხულში აივანზე დავუდგამ და იქ დაიძინებს, ზამთარში კი სახლში შემოვიყვან, — უცებ მომაყარა სათქმელი და ბოლოს ამოისუნთქა.

— რა ჰქვია?

— ნონა დავარქვი, როდის მოხვალ სანახავად?

— ამ დღეებში შემოგივლი, — დავპირდი.

— კარგი, მე და ნონა გელოდებით, — ყურმილი დაკიდა.

სიმართლე რომ ვთქვა, არ მიყვარს, როცა ცხოველებს ადამიანის სახელებს არქმევენ. ნონას გაგონებაზე კი თვალწინ ჩემი ნაცნობი, ახალგაზრდა ქალბატონი წარმომიდგა — ლამაზი, კეკლუცი, ნამდვილი მზეთუნახავი, იდუმალებით მოცული და ცოტა სულელი... მამაკაცები ხომ ასეთ ქალებზე გიჟდებიან და თავს კარგავენ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ნონას მიერ მოხიბლული მამაკაცები თავს დროებით კარგავენ, ვიდრე „იპოვიან“, ნონა დედოფალივით ცხოვრობს. მაგრამ ყოველთვის გამოჩნდება ისეთი მამაკაცი, ვინც მზადაა, ნონას გამო ათასი სისულელე ჩაიდინოს.

ნაზისთან მისვლა მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მოვახერხე. როგორც იქნა, დრო გამოვნახე, ზოომაღაზიაში მოზრდილი ძვალი ვიყიდე და სტუმრად წავედი.

— ვაიმე, დედა! — შევკივლე, როდესაც ნაზიმ კარი გააღო და ოთახიდან გამოვარდნილი უზარმაზარი სენ-ბერნარი შემომახტა. ნონა სენ-ბერნარი აღმოჩნდა. სავარძელში რომ ჩავჯექი, ძაღლი მომიახლოვდა, დამყნოსა და თავი მუხლებზე დამადო.

ოდესმე გქონიათ შემთხვევა, სენ-ბერნარს თქვენს მუხლებზე თავი დაედო? მისი უცნაური თვალები სულ ახლოს იყო ჩემს სახესთან... ის ნამდვილად ჰგავდა იმ ნონას, რომელიც მისი სახელის გაგონებაზე გამახსენდა — ლამაზი, მედიდური და არც ისე ჭკვიანი... ნაზი არ ეთანხმებოდა ჩემს აზრს ძაღლის უჭკუობის შესახებ, რადგან ნონა ძალიან უყვარს.

ამის შემდეგ ნაზისთან ჩემი ვიზიტების სიხშირემ იმატა... წინასწარ დავრეკავდი ხოლმე, მოვდივარ-მეთქი და ნონა და ნაზი მელოდნენ. შემდეგ ნონა სახელოში კბილებს ჩამავლებდა და ოთახში მიმათრევდა. დიდი ხნის განმავლობაში ვეხვეწებოდი ხოლმე:

— ნონა, გამიშვი კბილები, ყავა უნდა დავლიო და ხელს მიშლი... ნონა, აიღე თავი ჩემი მუხლებიდან, ისედაც საშინლად მცხელა...

გაზაფხულზე კი ნონა დაიკარგა. ნაზის გარეთ გაუშვია და აღარ დაბრუნებულა. ბევრი ეძება, გაზეთში განცხადებაც კი გამოაქვეყნა და მპოვნელს სოლიდურ ჯილდოსაც დაჰპირდა, მაგრამ ვერ იპოვა.

ძალიან იდარდა ნაზიმ ნონას გაუჩინარება, მეც ვინერვიულე... ახალი ძაღლი კი არ იყიდა, ნონას მაგივრობას ვერ გამიწევსო.

ამ ამბის 1 წელი გავიდა...

იმ დღესაც, მეგონა, რომ მშვენიერი დღე გათენდა, მაგრამ დილიდანვე ნაზის ზარმა დამაფრთხო. მის — „ჰა, რას შვრები, როგორ ხარ, ცოცხალი ხარ“-ზე პასუხი უკვე მოფიქრებული მქონდა, — კარგად ვარ, ცოცხალი ვარ-მეთქი, უნდა მეთქვა, მაგრამ...

— ნონა დაბრუნდა, — მოულოდნელად მითხრა.

— რა�ა? — რომ ეთქვა, სახლში უცხოპლანეტელი მყავსო, ის უფრო არ გამიკვირდებოდა, ვიდრე ნონას გამოჩენა, მაგრამ ფაქტს სად გავექცეოდი?

რაღა თქმა უნდა, იმ საღამოსვე ვესტუმრე, ნონას სანახავად, მაგრამ სადარბაზოში შევედი თუ არა, რაღაც ხმაური შემომესმა. ქალი და მამაკაცი რაღაცაზე დაობდნენ. ჯერ ვიფიქრე, ალბათ ნაზის მეზობელი ცოლ-ქმარი ჩხუბობს-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ქალის ხმა ნაზის ეკუთვნოდა.

აღმოჩნდა, რომ ძაღლის ახალი პატრონი ანუ მისი გამტაცებელი მოსულა, ნონას წასაყვანად.

ის კაცი პოლიციელი აღმოჩნდა და სიტუაციის იოლად მოსაგვარებლად, უნიფორმით იყო მოსული, რომელზეც პოლკოვნიკის სამხრეები ეკეთა, მაგრამ რა იცოდა, ვის გადაეყარა? ნაზი ასე იოლად არ დათმობდა თავის ნონას და არც იმის ჩიტი იყო, თავი დაეჩაგვრინებინა.

მამაკაცის მიერ, მშვიდობიანი მოლაპარაკების მცდელობა, რომ ნაზის ძაღლი დაებრუნებინა, იმით დასრულდა, რომ ქალმა „შეუკურთხა“. პოლკოვნიკი დაიბნა და ნაზის დაემუქრა.

— რაა? — ჰკითხა ქალმა. — მემუქრები? ახლა ერთ ადამიანს დავურეკავ და ხვალ ვაგზლის დაცვაში დაგაყენებენ და ბედნიერიც იქნები, სამსახური სულ რომ არ დაკარგე.

პოლკოვნიკმა შეაგინა. ნაზიმ გინებითვე უპასუხა. მე კი ნონასთან ერთად შესასვლელში ვიდექი და თვალყურს ვადევნებდი. პოლკოვნიკი ნაზის ცხონებულ ქმარზე უფრო ტანმორჩილი იყო, მაგრამ „გაბარიტებით“ არ ჩამოუვარდებოდა. მან დოინჯი შემოირტყა და ღიპი გადმოაგდო. განრისხებულმა ნაზიმ ზუსტად ასეთივე პოზა მიიღო.

როდესაც მამაკაცმა ყველა საშუალება ამოწურა და ძაღლის დაბრუნებაზე მაინც უარი მიიღო, „ბრძოლის“ აკრძალულ მეთოდებზე გადავიდა.

— შე ძუკნავ, მომეცი ძაღლი, ჩემი შვილები იტირებენ, რომ არ მივიყვანო, — დაიყვირა პოლკოვნიკმა და შეტევაზე ღიპით გადავიდა.

— აი, დარდი, შენი შვილები ფეხებზე მკიდია, ეს ძაღლი ჩემი იყო და შენ მოიტაცე, მე არც ქმარი მყავს და შვილიც უცხოეთშია, ნონა მყავდა და ისიც შენ მომტაცე, ახლა დამიბრუნდა და არავითარ შემთხვევაში არ გაგატან!

პოლკოვნიკმა ღია კარში შემოიხედა, მერე უსიტყვოდ გაბრუნდა და კიბეზე ჩაირბინა. ნაზიმ ხმაურით დაკეტა კარი.

— უჰ... რამდენი მაჩხუბა ამ დეგენერატმა... ნონა, მოდი ჩემთან, — ძაღლს დაუძახა და იქვე ჩაცუცქდა. ნონა სახეს ულოკავდა, ეფერებოდა მონატრებულ პატრონს. ხუმრობა ხომ არაა, სულ პაწაწინა იყო, როცა ნაზიმ მოიყვანა და გაზარდა. ჰოდა, ძაღლსაც ახსოვდა მისი სითბო და იმიტომაც დაუბრუნდა...

ნონამ მეც გამიხსენა და მონატრების ნიშნად გვერდიდან არ მცილდებოდა.

დილით ნაზიმ დამირეკა.

— წარმოგიდგენია, იმ დეგენერატმა დილით ყვავილები მომართვა და ბოდიშიც მომიხადა. უზარმაზარი, წითელი ვარდების თაიგულია, კომბოსტოს მაგონებს.

„ალბათ ნაზი ერთადერთი ქალია, ვისაც ვარდების თაიგული კომბოსტოს აგონებს“... — გავიფიქრე და გამეცინა.

— შენ არ ინერვიულო, ძაღლს არ წამართმევს, უბრალოდ, ბოდიში მოიხადა და ეგაა, — დამამშვიდა ნაზიმ.

მე კი მივხვდი, „პოლიციის ენაზე“ ვარდების თაიგული რასაც ნიშნავდა, მაგრამ ნაზისთვის არაფერი მითქვამს.

შემდეგ, პოლკოვნიკი ნაზისთან იმის გამო მივიდა, რომ ძაღლის გაყალბებული პასპორტი მიეტანა, შემდეგ რესტორანში დაპატიჟა... ჩემი აზრით, კვანძის გახსნის დრო ახლოვდებოდა. შემდეგ, ნაზის თვალები ბედნიერებისგან საოცრად უციმციმებდა...

— რა ვქნა? ჩემზე უმცროსია 3 წლით, ცოლ-შვილიც ჰყავს, როგორ მოვიქცე? — მეკითხებოდა სასოწარკვეთილი, მაგრამ როგორც წესი, ასეთ კითხვებზე პასუხს არ ელოდებიან და მეც გავჩუმდი.

რამდენიმე დღის შემდეგ ნაზიმ ისევ დამირეკა.

— მგონი, ნონა ცუდადაა.

— რა სჭირს?

— დილით გარეთ გასვლაზე უარი თქვა, სულ სძინავს და უხალისოდაა.

— საჭმელზეც უარს ხომ არ ამბობს?

— არა, ისევ ისე ჭამს, გაუმაძღარივით.

— მაშინ არ ინერვიულო, შესაძლოა, „ფეხმძიმედაა“, — დავამშვიდე გამოცდილი კინოლოგივით.

იმ საღამოს ნონას მოსანახულებლად მივედი, მაგრამ ძაღლი არ შემომგებებია. მხოლოდ ფეხზე ადგა და კუდით „მითხრა“, რომ ჩემი დანახვა გაუხარდა. მოვეფერე, მაგრამ როგორც ჩანს, არ ესიამოვნა. წავიდა და კუთხეში მიწვა.

— იმ დეგენერატმა „გააუპატიურა“, — ყვიროდა ნაზი.

— წარმომიდგენია, — გამეცინა მე.

— ხვადი მოუყვანა ალბათ და იმას „გააუპატიურებინა“!

— მიდი, დაურეკე და „მამა“ გაახარე, — შევთავაზე.

ნაზიმ ცოტა ხანს „ითუხთუხა“, მერე კი ტელეფონი აიღო და ნომერი აკრიბა.

— უი, როგორ გამიხარდა, მე კი მეგონა, არაფერი გამოუვიდათ, — თქვა „მოძალადემ“.

ახლა მას უკვე „კანონიერი“ მიზეზი ჰქონდა, რომ საცხოვრებლად ნაზისთან გადმოსულიყო, რადგან ნაზი ძაღლს ვერ ამშობიარებდა.

აი, ასე!

პოლკოვნიკს თევზაობა არ უყვარს, ნადირობა ურჩევნია, ნაზის დაბადების დღეს სანადირო თოფიც აჩუქა. როგორც ვხვდები, არც ინტელიგენტურობით გამოირჩევა, რადგან ერთხელ ნაზი თვალჩალურჯებული დამხვდა, ორჯერ კი თვითონ პოლკოვნიკს ჰქონდა მსგავსი „ლაქა“ თვალის გარშემო, მაგრამ ერთმანეთს მაინც მშვენივრად უგებენ.

მე კი ვგრძნობდი, რომ პოლკოვნიკი ვერ მიტანდა და სულ მაინტერესებდა — რატომ?

ერთხელ კი ნაზის გამოუტყდა, რომ ჟურნალისტებმა ცხოვრება დაუნგრიეს და მეც ჩემი პროფესიის გამო შემიძულა.

ნონას 3 ლეკვი „შეეძინა“ და ვიდრე „ლეკვობის ფაზა“ გრძელდებოდა, ბედნიერი იყო. შემდეგ ლეკვები გაიზარდნენ და დედის დაჩაგვრა დაიწყეს. ნონა სამზარეულოში ემალებოდა ხოლმე საკუთარ შვილებს და პატრონს სევდიანი თვალებით შველას სთხოვდა... ■

გულის კარნახით ვიცხოვრე და... დავმარცხდი

თაღლით პატიმრებზე, რომლებიც მობილურის საშუალებით გარე სამყაროსთან კონტაქტს ამყარებენ, მერე კი გულუბრყვილო გოგონებს სიყვარულს ეფიცებიან და ბევრ რამესაც ცინცლავენ, არაერთხელ დაგვიწერია. მაგრამ ამჯერად უფრო სერიოზულ ურთიერთობაზე გიამბობთ, რომელიც პატიმარსა და მის ადვოკატს შორის განვითარდა... („როცა ქალს სიყვარული ენატრება“, — „კვირის პალიტრა“, 2007 წლის 23 ივლისი).

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი პირველი
„მაპატიე, მე არ ვარ შენი ღირსი“

მაგდამ ძალიან ბევრი ტკივილი, ცრემლი, უძილო ღამე და ჯაფა გადაიტანა, რათა შვილებისთვის არაფერი მოეკლო. ბოლოს, მაინც დადგა ფეხზე, — სამსახურიც იშოვა და საზოგადოებაშიც ადგილი დაიმკვიდრა. მის სიტყვას ყველგან პატივს სცემდნენ, შვილებიც გაათხოვა და უეცრად, მოულოდნელი სიყვარული მეხივით დაატყდა თავს. ვის აღარ მოსწონდა, ვინ არ ცდილობდა მისი გულის მოგებას, მაგრამ მაგდამ მაინცდამაინც „ის“ აირჩია... თუმცა, აჯობებს, ცოტა შორიდან დავიწყოთ.

14 წლის იყო, გურამს რომ შეუყვარდა. მერე ბიჭი ჯარში გაიწვიეს და მანაც გამომშვიდობებისას მკერდზე მჯიღის ცემით გააფრთხილა გოგო, სხვისკენ არ გაიხედო, თორემ შენც მოგკლავ და იმასაცო. მაგდას რა გაფრთხილება უნდოდა, ისედაც ღამეებს ათენებდა გურამზე ფიქრით... ორმა წელმა ფიქრსა და ოცნებებში გაიარა. გურამი დაბრუნდა თუ არა ჯარიდან, ერთ კვირაში ცოლად გაჰყვა. ჯერ ქეთი გაჩნდა, მერე სოფო. გურამს მშობლების იმედი ჰქონდა, იცოდა, ისინი მის ცოლ-შვილს არაფერს მოაკლებდნენ, თვითონ კი დროსტარებას არ იკლებდა. ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა — ქალამნად. ეგონა, სულ ასე გაგრძელდებოდა, მაგრამ... ოჯახის მარჩენალი მამა მოულოდნელად გარდაიცვალა. გურამმა თავი ვერაფერს გაართვა, ვეძისში საკუთარი სახლი გაყიდა და რუსეთში გაემგზავრა, — იქიდან გამოგიგზავნით ფულსო. წავიდა და წავიდა... საერთოდ აღარ ეხმიანებოდა დედასა და ცოლ-შვილს, ფულის გამოგზავნას ვინ დაეძებდა?! დარჩა მაგდა დედამთილისა და ორი პატარა გოგონას ამარა. მისი მშობლებიც თავს ძლივს ირჩენდნენ და მაგდას, როგორ დაეხმარებოდნენ?! მიხვდა ქალი, რამეს თუ არ იღონებდა, შვილები დაეღუპებოდნენ. ნაცნობების მეშვეობით უცხოელთა ფირმაში დაიწყო მუშაობა. ოთახების დალაგება და საჭმლის მომზადება ევალებოდა. კარგი გასამრჯელო კი ჰქონდა, მაგრამ მიხვდა, საშუალო განათლებით კარგ კარიერას ვერ გაიკეთებდა. არადა, 24 წლის იყო, წინ მთელი ცხოვრება ჰქონდა და სულ ვიღაცის „მსახურად“ ხომ არ იქნებოდა? ცოტაოდენ თანხას თავი რომ მოუყარა, მისაღები გამოცდებისთვის მოემზადა და იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩააბარა. სწავლის დასრულებისთანავე საადვოკატო ფირმაში მოეწყო. ქეთი სკოლას ამთავრებდა, სოფო კი მერვე კლასში იყო, ბებო რომ ლოგინად ჩავარდა. საწყალს, შვილის ნახვის ნატვრაში ამოხდა სული. მაგდამ დღემდე არ იცის, ვინ გააგებინა გურამს დედის სიკვდილი. დასაფლავებამდე ორი დღით ადრე ჩამოვიდა, ერთ ლამაზ, რუს ქალთან ერთად, რომელსაც მაგდა ასე გააცნო — Она моя бывшая жена-ო. გოგონებს კი 100-100 დოლარი ჩამოურიგა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა და ასე გამოხატა მამობრივი სიყვარული... „მგლოვიარე სტუმრებმა“ დაკრძალვისთანავე დატოვეს თბილისი.



აქამდე თუ პატარა იმედი მაინც ჰქონდა მაგდას, გურამი ჩამოვა და ყველაფერი გამოსწორდებაო, ახლა ესეც გაუქრა. გული ბევრ რამეზე ეტკინა, მაგრამ ძალა მოიკრიბა, საქმესაქმეზე აიღო და ძალიან მალე, ცნობილი ადვოკატი გახდა. ჯერ ქეთი გაათხოვა, სამი წლის შემდეგ — სოფო. ორივე სიძით კმაყოფილი იყო. ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ამ მხრივ მაინც გაუმართლა...

რამდენიმე წლის წინ ერთი საქმე აიღო. ნიკას ყაჩაღობა ბრალდებოდა. ადვოკატმა იმდენი ქნა, 9-წლიანი სასჯელი ექვს წლამდე შეუმცირა. ადვოკატსა და პატიმარს შორის ურთიერთობა სასამართლოს შემდეგაც გაგრძელდა და უფრო გაღრმავდა. მათ ერთმანეთთან მხოლოდ საქმე აღარ აკავშირებდათ. ქალსა და მამაკაცს დიდი გრძნობით უყვარდათ ერთმანეთი. მაგდას ფიქრები არ ასვენებდა: 11 წლით უფროსი ვარ ნიკაზე, რას იტყვის ხალხი? ხომ იტყვიან, დაბერდა და ჭკუა გამოეცალა, ამდენ კოლეგასა და ცნობილ ადამიანში რაღა მაინცდამაინც პატიმარი შეუყვარდაო? ამ ფიქრებს ნიკასაც უმჟღავნებდა, ის კი ამშვიდებდა: ხალხის აზრს ნუ მიაქცევ ყურადღებას, ენა უძვლოა, ათას რამეს იტყვიან, მთავარი ისაა, რომ ერთმანეთი გვიყვარს და ერთად ყოფნა გვინდაო.

ბოლო ხანს ნიკა მოსვენებას არ აძლევდა მაგდას: პატიმრობაში დრო ნელა გადის, კიდევ სამი წელი ვერ მოვითმენ, მოდი, აქ დავიწეროთ ჯვარი და მერე უკვე, როგორც ცოლი, ისე შემოხვალ ჩემთანო. მაგდაც დაჰყვა მის ნებას, მოელაპარაკა მღვდელს, რომელიც ხშირად დადიოდა კოლონიაში და ცოტა ხანში, ჯვარიც დაიწერეს. სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა შვილებსა და სიძეებს მოელაპარაკა. ისინი გაოცებულნი იყვნენ მაგდას არჩევანით. უფროსმა სიძემ თავი ვერ შეიკავა და მაინც ურჩია: არ მოტყუვდე და იმედგაცრუებული არ დარჩეო... მაგდას კი არაფერი ესმოდა. მოუთმენლად ელოდებოდა

ნიკას გათავისუფლებას.

როგორც იქნა, გაილია პატიმრობის მტანჯველი ვადა და ნიკა გათავისუფლდა. რაღა თქმა უნდა, მაგდასთან გადავიდა საცხოვრებლად (ნიკა ქუთაისიდან გახლდათ). სამი თვე უბედნიერესი იყო ქალი. ნიკას სამსახურის დაწყება უნდოდა, მაგრამ მაგდა არ ანებებდა — რა გეჩქარება, ჯერ დატკბი თავისუფლებითო, — ეუბნებოდა. ერთ საღამოს კი, მაგდას მეხივით დაატყდა თავს ახალი ამბავი... სამსახურიდან გვიან დაბრუნდა. ნიკა ყოველთვის ურეკავდა ხოლმე, სახლში მისულს კი კართან ეგებებოდა. იმ საღამოს კი არც დაურეკავს და არც კართან დახვედრია. ოთახები გაოცებულმა შემოიარა და მერეღა შეამჩნია სამზარეულოს მაგიდაზე დადებული წერილი.

„მაგდა, უნდა მაპატიო! გთხოვ, შემინდე! ვიცი, საზიზღარი ვარ, ცუდად მოგექეცი, მაგრამ თეოს გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. ჩვენი ჯვრისწერის ამბავი რომ გაიგო, თავი მოიწამლა და ძლივს გადაარჩინეს. მას ჩემზე დიდი ამაგი აქვს. შენც, ჩემო მაგდა, მაგრამ მას უფრო მეტი, თანაც, ჩვენ საერთო შვილი გვყავს, რომელიც ახლა 8 წლისაა. თეო ჩემი კლასელი იყო. ვერც ჯვრისწერა მოვასწარით და ვერც ხელის მოწერა, რადგან, სულ ციხეში ვიყავი. მას ვუკრძალავდი ჩემთან გამოჩენას, ამიტომაც არაფერი იცოდი მის შესახებ. მაპატიე, მე არ ვარ შენი სიყვარულის ღირსი. ნიკა“.

სიყვარულის დაკარგვამ, შელახულმა ღირსებამ და შეურაცხყოფამ თავზარი დასცა მაგდას. კარგა ხანს, გარეთ გასვლა არ უნდოდა. მერე კი, შვილების, სიძეების, კოლეგების თხოვნით, ისევ დაუბრუნდა საყვარელ საქმეს, მაგრამ სანამ ამ დიდ სიყვარულს დიდ გულისტკენასთან ერთად „გადახარშავდა“ საკმაო დრო დასჭირდა.

ამბავი მეორე

რაც შემემთხვა, ჩემი ბედისწერა იყო

მაგდა:

— ნიკას სამარცხვინო გაპარვის შემდეგ, პირველი, რაც გამახსენდა, ჩემი სიძის სიტყვები იყო: არ შეცდე, იმედგაცრუებული არ დარჩეო. თურმე, რა ჭკვიანურად განჭვრიტა ჩვენი მომავალი, მაგრამ როდის იყო, შეყვარებული ქალი გონებით წყვეტდა?! მაშინ გული რასაც მკარნახობდა, ისე ვმოქმედებდი... დაბრმავებულ-დაყრუებული ვიყავი. არც არავისი მესმოდა და არც მინდოდა, ვინმეს რამე საწინააღმდეგო ეთქვა. მჯეროდა, რომ ის ძალიან კარგი ადამიანი იყო. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მიმაჩნდა.

— **მაგდა, რაც შენგან წავიდა, აღარ გინახავს ნიკა?**

— რა აზრი ჰქონდა? მან თეო აირჩია, რომელთანაც შვილიც ჰყოლია. სცენებს ხომ არ მოვუწყობდი, რას ჰქვია, მიმატოვე და ცოლ-შვილს დაუბრუნდი-მეთქი? მშობელი მოვალეა, მიხედოს და იზრუნოს შვილზე, მიუხედავად იმისა, უყვარს თუ არა ცოლი.

— **გასაკვირია, რომ მისი ადვოკატი იყავი და არც კი იცოდი, ცოლ-შვილი რომ ჰყავდა.**

— მეც ეგ მიკვირს, მაგრამ როგორც წერილში მწერდა, უკრძალავდა თბილისში ჩამოსვლას. დედამისი, ძმა და ერთ-ერთი ძმაკაცი კი არაერთხელ მინახავს.

— **როგორ მოერია დარდს? ვიცი, რომ სამსახურში გასვლა აღარც გინდოდა...**

— ჩემი თავის მიკვირს, რომ საბედისწერო ნაბიჯი არ გადავდგი. ჯერ გურამმა მიმატოვა, მრავალი წლის შემდეგ კი — ნიკამ. თითქოს ურიგო ქალი არა ვარ, თაყვანისმცემლებიც ყოველთვის მყავდნენ და მაინც, ორჯერ მიმატოვეს საყვარელმა მამაკაცებმა. რატომ — ვერ გამიგია. ბედისწერის არ მჯეროდა, ახლა კი, დარწმუნებული ვარ, რომ იგი ნამდვილად არსებობს და ადამიანის ცხოვრებას მთლიანად განაგებს. აღარ მინდა კაცისკენ გახედვა. მხოლოდ ის მსურს, ჩემს პროფესიულ საქმეში ისევ დავწინაურდე, როგორც ეს ნიკასთან შეხვედრამდე იყო.

— **გურამი სამუდამოდ გაქრა შენი ცხოვრებიდან?**

— დღესასწაულებზე მირეკავს და მილოცავს. გარდა ამისა, სამივე შვილიშვილის დაბადების დღე ახსოვს და მაშინაც გვეხმიანება.

— **მეორე ცოლთან ჰყავს შვილები?**

— მეორესთანაც ჰყავს და მესამესთანაც. მეორესთან 5 წელი იცხოვრა და გოგონა შეეძინა, მესამესთან კი დიდხანს გაძლო, ქალ-ვაჟი ჰყავს მასთან. ის უდარდელი კაცი იყო ყოველთვის. იმასთან ყოფნა ერჩივნა, ვისთანაც ნაკლებად შეწუხდებოდა. ბოლო მეუღლეს მაღაზიათა ქსელი აქვს მოსკოვში. ამდენად, აღარ მიკვირს, რომ მასთან დიდხანს დარჩა... ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

გრაფი თარხანი

„გრაფო, ძალიან საინტერესოდ წერთ. გადავწყვიტე, მეც მოგწეროთ, რადგან კომპეტენტური ადამიანის აზრი მაინტერესებს. რამდენჯერმე ჩემი ქმარი ღალატზე შევისწარი. წინათ ძალიან ფრთხილობდა, ახლა კი თითქოს აღარ აწუხებს ის ფაქტი, ჩემს ყურამდე მოვა თუ არა ღალატის ამბავი. მაინტერესებს, სად დავუშვი შეცდომა და რატომ მღალატობს ქმარი? პატივისცემით, მანანა“.

— „ქორწინების უღელი იმდენად მძიმეა, რომ ის ორმა ადამიანმა უნდა ზიდოს. ხანდახან კი სამმაც“. ეს სენტენცია ალექსანდრე დიუმა-შვილმა ჯერ კიდევ XX საუკუნეში გამოთქვა და დღემდე აქტუალურია. თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, ცოლს მამაკაცების 44-76% ღალატობს, ხოლო ქმრებს — ქალების 21-50%. ქალების 25% აღიარებს, რომ ქმარს სექსუალურ ფანტაზიებში ღალატობს. მამაკაცებში ეს % გაცილებით მცირეა, რადგან მათ ფანტაზიის პრაქტიკულად განხორციელება ურჩევნიათ. მამაკაცების 43%-ს სურვილი აქვს, რომანი თანამშრომელ ქალთან გააბას. ქალებს კი ურჩევნიათ, სამსახურში მხოლოდ დაკისრებული მოვალეობა შეასრულონ. თუმცა, გამოკითხულთა 25% წინააღმდეგი არაა, კოლეგასთან ინტიმური კავშირი ჰქონდეს. ცოლ-ქმრული ღალატის მიზეზად ქალების 70% უიღბლო ქორწინებას ასახელებს. მოღალატე მამაკაცების 50% კი მიიჩნევს, რომ ქორწინებაში გაუმართლა. სინდისის ქენჯნას მოღალატე ცოლების მხოლოდ 13% არ გრძნობს. ძლიერი სქესის წარმომადგენლებიდან გრძნობა მხოლოდ მათ ახსენებს თავს, ვისი ღალატიც გამოაშკარავდა.

დონ-ჟუანის სინდრომი

მამაკაცებს შორის, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არსებობენ ისეთები, ვისაც ნერვული აშლილობა აქვს. მათთვის დამახასიათებელია თვითდამკვიდრების არაჯანსაღი სურვილი და მრავალრიცხოვანი სექსუალური კავშირებით საკუთარი პერსონის მნიშვნელობისა და „წონის“ დამტკიცება. როგორც წესი, ასეთი ადამიანები არ ქორწინდებიან და არც ხანგრძლივი, მყარი ურთიერთობის მომხრენი არიან. თუნდაც დაქორწინდნენ, „ავადმყოფობას“ მაშინაც ვერ უმკლავდებიან და ცოლთან საუკეთესო ურთიერთობის შემთხვევაშიც კი მოუწესრიგებელ სექსუალურ ცხოვრებას ეწევიან.

სექსუალური შურისმაძიებლები

ეს სრულიად განსხვავებული „კლასია“. თითოეულ მათგანს ცხოვრების რაღაც ეტაპზე ქალმა ატკინა გული და აიძულა, თავი არასრულფასოვან მამაკაცად ეგრძნო.

რაში მდგომარეობს ღალატის მიზეზი?

შესაძლოა, ეს თანამშრომელიც კი ყოფილიყო, რომელმაც სამსახურებრივ კიბეზე გადაასწრო. ასეთი მამაკაცი მთელ ქალურ სამყაროზე შურისძიებას ერთადერთი, ხელმისაწვდომი მეთოდით ცდილობს. ის ამცირებს ქალებს და აიძულებს, თავი ცუდად იგრძნონ. კმაყოფილია მაშინ, როცა ასეთი ქალების რიცხვი დიდია. სექსუალურ შურისმაძიებლებს შორის ნაკლებია დაოჯახებული მამაკაცები. მათი ცოლები უბრალოდ, ვერ იტანენ დაცინვას და გარბიან. „შურისმაძიებლები“ შეგნებულად აბამენ რომანს და ხშირად ამის აფიშირებასაც კი ახდენენ, რომ ცოლს გული ატკინონ. თუ მამაკაცი ცოლის ყურმოჭრილი მონაა და მისი პანიკურად ეშინია, სამაგიეროს საყვარელს უხდის და აიძულებს, ინერვიულოს. ისინი ნოყიერ ნიადაგს იმ ქალებში პოულობენ, რომლებიც სიყვარულსა და თანადგომას ეძებენ.

მოწყენილობის საწინააღმდეგო წამალი

ღალატისკენ ლტოლვა იმ მამაკაცებსაც ახასიათებთ, ვისი ქორწინებაც იღბლიანია. დროთა განმავლობაში სიყვარული ქრება, ლტოლვას კი ოჯახური, ყოველდღიური ცხოვრება ცვლის. მამაკაცები, რომელთაც მძაფრი შეგრძნებები, რისკი და გამარჯვებულის როლი მოსწონთ, მშვიდ ცხოვრებას ვერ ეგუებიან. თუმცა, ოჯახურ იდილიას აფასებენ და დაუფიქრებელი ნაბიჯით მის დანგრევას ერიდებიან. ასეთი მამაკაცების რომანები ხანმოკლეა და დიდ საიდუმლოს წარმოადგენს, თუმცა, მოწყენილობის ჟამს მხიარულებას ჰმატებს და თავს გმირად წარმოადგენინებს. ასეთ შემთხვევაში ქორწინება მხოლოდ მაშინ ირღვევა, თუ ცოლი ღალატის შესახებ გაიგებს, რაც ძალზე იშვიათად ხდება.

ემოციური იზოლაცია

ხშირად ისეა, რომ ოჯახში მამაკაცს ლიდერის პოზიცია უკავია, კონცენტრირებას მოვალეობის შესრულებაზე ახდენს, ხოლო შინაურები ცდილობენ, სულიერი და ფსიქოლოგიური პრობლემები მის გარეშე გადაჭრან. ცოლი ცდილობს, ქმარს წვრილმანი პრობლემებით თავი არ მოაბეზროს და ბავშვებსაც უკრძალავს ამას. მამაკაცი ხვდება, რომ მას სიხარულსა და დარდს არავინ უზიარებს და მიიჩნევს, რომ მას მხოლოდ იყენებენ და ოჯახს ამაში ბრალს სდებს. სიტუაციას მაშინვე განმუხტავს ოჯახის წევრების მხრიდან საკუთარი შეცდომების აღიარება და ახლობელი ადამიანების ცხოვრებაში შერწყმა. თუ ასე არ მოხდა, მაშინ მამაკაცისთვის გაცილებით იოლია, სხვა დაადანაშაულოს და ისეთი საყვარელი მოძებნოს, რომელიც მის სულიერ სამყაროს დააფასებს. თუ ის დროთა განმავლობაში მამაკაცს მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის წყაროდ მიიჩნევს და მისით აღფრთოვანება გაუვლის, მამაკაცი მისგან წავა და სხვას მოძებნის. ერთ მშვენიერ დღეს კი შესაძლოა, ისეთი მტაცებელი ქალის გვერდით აღმოჩნდეს, რომელიც თავის ნამდვილ გრძნობებს ოსტატურად შენიღბავს და მისით აღფრთოვანებას გამოხატავს მანამ, ვიდრე გამორჩენა ექნება.

სექსი და სიმდიდრე

ბევრი ფსიქოლოგიური პრობლემის მქონე მამაკაცი ცდილობს, თავისი პრობლემები სექსის საშუალებით შეიმსუბუქოს. როგორც წესი, ცოლს პრობლემების შესახებ ვერ ელაპარაკება და ნუგეშს გარე კავშირებში პოულობს. საყვარელი არასოდეს ეტყვის: „მე ხომ გაფრთხილებდი!“ არასოდეს უსაყვედურებს და დატუქსავს. პირიქით, შეიცოდებს და მოეფერება. უბედური და განაწყენებული ადამიანების თანადგომა ქალების დამახასიათებელი თვისებაა.

ქალური ღალატის მიზეზები

სექსუალური დაუკმაყოფილებლობა

ქალების უმეტესობა ღალატის მიზეზად სწორედ ამ ფაქტორს ასახელებს. თუმცა, ეს არ ეხებათ ნიმფომანებს, რომლებიც მამაკაცებთან ურთიერთობისას მხოლოდ სექსუალურ დაკმაყოფილებას

ეძებენ. ქალების უმეტესობა ქმარს არ უტყდება, რომ ორგაზმს არ განიცდის და პრობლემის გადაჭრას გვერდითი კავშირების საშუალებით ცდილობს.

ფსიქოლოგიური დამოკიდებულებისგან გათავისუფლება

ზოგიერთი ქალი მიიჩნევს, რომ ქორწინება მის ინდივიდუალიზმს ბოჭავს და ცდილობს, სხვა მამაკაცთან ურთიერთობით, ქმარზე ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას თავი დააღწიოს. სხვა მამაკაცთან ის იმ თვისებებს ავლენს, რომელსაც ქმართან მალავს. ჩვეულებრივ, ასეთ ქალებს რამდენიმე რომანის ერთდროულად გაბმა სჩვევიათ და თითოეულ მამაკაცთან სხვადასხვა როლს ირგებენ.

ურთიერთობის ძიება

შესაძლოა, გაგიკვირდეთ, მაგრამ ქორწინების გარეთ ურთიერთობებში ბევრი ქალი მხოლოდ სექსსა და თავისუფლებას კი არა, ურთიერთობასაც ეძებს. ისინი იმ ემოციურ შიმშილს იკლავენ, რომელიც ცოლქმრულ ურთიერთობაში იჩენს ხოლმე თავს. თუმცა, ასეთ დროს ქმარი ყველაზე საიმედო საყრდენად რჩება.

შურისძიება ღალატის გამო

ბევრი ქალი ქმარს გაბრაზებულ გულზე ღალატობს, იგებს რა მისი ღალატის შესახებ. ზოგი ამას შეგნებულად აკეთებს, თავდაჯერება რომ დაიბრუნოს. ზოგიერთი კი საყვარელში მორალურ მხარდაჭერას ეძებს. სხვები მოქმედებენ პრინციპით: „მისთვის შეიძლება, ჩემთვის — არა?“

ღირს თუ არა წარსულში დაბრუნება?

„გრაფო, ქმარს 4 წლის წინ გავშორდი. მაშინ ძალიან ვინერვიულე, მაგრამ მერე შევეგუე ჩემს ყოფას და ახლა თავს კარგად ვგრძნობ. ამ ბოლო დროს ყოფილი ქმარი შემომიჩნდა და შერიგებას მთხოვს. რა ვქნა? ღირს შერიგება? არ ვარ დარწმუნებული, რომ ის ისევ მიყვარს“.

— საერთოდ, წარსულში დარჩენილ სიყვარულთან დაბრუნება ძალზე აქტუალური საკითხია. ამ შემთხვევაში მხოლოდ ყოფილ ქმარს არ ვგულისხმობ. მინდა, ამ თემით დაინტერესებულ მკითხველს რჩევა მივცე, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ეს რჩევა ყველა სიტუაციას არ მოერგოს და კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული რჩევა იყოს საჭირო.

მაშ ასე, ნორმალურია თუ არა, რომ ხანდახან ძველი ურთიერთობის აღდგენა და იმ ადამიანთან დაკავშირება გსურს, რომელიც წინათ გყვარებია და გეგონა, რომ ცხოვრებაში აღარასოდეს შეხვდებოდი? რატომ დგამ ნაბიჯს წარსულთან შესახვედრად, რატომ გინდა მისი აწმყოში დაბრუნება, ოდესღაც ხომ ამ ურთიერთობას წერტილი დაუსვი და რისთვის აახლებ?

სამყაროში, სადაც ყველაფერი იცვლება, შენ მუდამ ახალსა და არაჩვეულებრივს ეძებ. ხანდახან პოულობ კიდეც... წარსულში. ადამიანი, რომლის დავიწყებასაც აპირებდი, ხელახლა გამოჩნდება და კვლავ იპყრობს შენს გაქვავებულ და ნატკენ გულს. იქნებ, ასე იმიტომ ხდება, რომ გინდა, შეყვარებული იყო, შესაფერისი კანდიდატურა კი არ არსებობს? იქნებ, ის ადამიანი არც წასულა შენი გულიდან და უბრალოდ, დროებით დატოვა „საცხოვრებელი“, ახლა კი ისევ გამოჩნდა — ახალი იმიჯით, ახალი ოცნებებითა და შეცდომების გამოსწორების სურვილით. მისი სურნელი კი ძველებურად სასიამოვნო და თავბრუდამხვევია...

რა ძალა აქვს ასეთი ამ გრძნობას, რომ ერთხელ განშორებისა და ამით გამოწვეული უამრავი ტანჯვის შემდეგ ისევ მზად ხარ, იმავე მდინარეში თავით გადაეშვა?.. აქ ძალზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, შეგიძლია თუ არა წყენის დავიწყება და პატიება. შენ თუ გაპატიებენ შეცდომას? ხშირად ხდება ისე, რომ ძველი ურთიერთობის აღდგენის შემდეგ ადამიანები სხვაგვარად იქცევიან. ალბათ იმიტომ, რომ ამ ორმა ადამიანმა თავის დროზე, საერთო წარსულით ერთმანეთი შეცვალა. ჰოდა, წარსულში დაბრუნებული 2 ადამიანი ფრთხილობს, რომ ძველი შეცდომები არ გაიმეოროს.

მაგალითად, განშორების მიზეზი ღალატი იყო. რამდენი ტკივილი და ტანჯვა მოგაყენა ამან? რამდენჯერ მოკალი ფიქრში საყვარელი ადამიანი? ახლა ისევ მასთან ყოფნა გინდა. ისევ ხვდები, სეირნობ, ყავაზე მიპატიჟებას იღებ და ისევ საერთო მომავალზე ლაპარაკობთ, მაგრამ დიდი სიფრთხილით, რადგან უკვე აღარც ენდობი. მუდმივად ეცდები, მისი ნათქვამი და ნამოქმედარი გადაამოწმო და თუ რაიმე საეჭვოს დაინახავ, სკანდალს ატეხ. რამდენ ხანს შეიძლება, ასეთ რეჟიმში ცხოვრება? მაგრამ რა უნდა ქნა, როდესაც გული მაინც მისკენ გეწევა?.. საკუთარ თავთან განმარტოებასა და ფურცელზე მისი დადებითი და უარყოფითი თვისებების ჩამოწერას გირჩევ. რაც ყველაზე მეტად გაგაოცებს, ის იქნება, რომ დადებითი თვისებების სიაში უამრავი პლუსი იქნება, ხოლო უარყოფითში — მხოლოდ ერთი მინუსი — „ოდესღაც მიღალატა“.

ალბათ დამეთანხმები, რომ ღალატის მიმართ ყველას სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვს: ზოგი მიიჩნევს, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ვერსად გაექცევი, რადგან ცოცხალი ადამიანები ვართ და ყოველდღე „ლობიოს ჭამა“ ყველას მოჰბეზრდება, ზოგიერთი კი ღალატში მხოლოდ სხვა ადამიანთან ფიზიკურ სიახლოვეს კი არა, „სულიერ ღალატს“ ხედავს. როგორ უნდა გიყვარდეს ადამიანი, რომელმაც გიღალატა? როგორ უნდა იცხოვრო მასთან მთელი ცხოვრება, როცა ყოველ წუთს მის ერთგულებაში ეჭვი გეპარება? ოდესღაც ხომ ის ერთგულებასა და მარადიულ სიყვარულს გპირდებოდა და გეუბნებოდა, რომ მისთვის ერთადერთი იქნებოდი, მის გულშიც და საწოლშიც. შემდეგ კი ერთი ხელის მოსმით, ყველაფერი დაანგრია... ჰოდა, შორდები მოღალატეს და დაკარგულ სიყვარულს გლოვობ, რამდენიმე ხნის შემდეგ კი მასთან ურთიერთობას აახლებ, იმავე გრძნობითა და იმედებით, ოღონდ წყენა უკვე დავიწყებული გაქვს და გინდა, ყველაფერი „სუფთა ფურცლიდან“ დაიწყო. მაგრამ ამ დროს ისევ საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოდიხარ. ის არ პასუხობს ტელეფონის ზარს და მაშინვე წარსული და ღალატი გახსენდება. შეხვედრაზე უარს გეუბნება და ფიქრობ, რომ ის სხვასთანაა და ამიტომ ვერ ახერხებს შენს ნახვას. როგორ უნდა მოიქცე?

მართალი იქნება ის, ვინც იტყვის, რომ ნდობა უნდა ისწავლო. ასევე მართალი იქნება, ვინც იტყვის, რომ უნდა მიატოვო და დაივიწყო მოღალატე და ისიც, ვინც იტყვის, რომ ერთმანეთს დრო უნდა მისცეთ და ყველაფერი თავისით მოგვარდება. მაგრამ ვინ იცის, როგორ უნდა შეძლო სწორი პასუხის განსაზღვრა და, რაც მთავარია, მისი შესრულება? როგორ უნდა მიატოვო ის უკვე მეორედ და კვლავ იტანჯო? ან როგორ გაუმკლავდები ახალი განშორებით გამოწვეულ ემოციას...

დაუფარავად უნდა გითხრა, რომ წარსულში დარჩენილი ურთიერთობის „სუფთა ფურცლიდან“ დაწყება შეუძლებელია! ამ სიყვარულს უკვე აქვს წარსული, რომელიც მუდამ „შენ გვერდით“ იქნება და თავს შეგახსენებს. ამიტომაც, მუდამ წარსულისა და აწმყოს შედარებით იქნები დაკავებული: რა იყო მაშინ და რა ხდება ახლა?.. სადამდე მიგიყვანს ასეთი ურთიერთობა, არავინ იცის. დიდი შანსია, რომ ისევ მტკივნეულ განშორებამდე. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ისევ ქორწინების სახლამდე მიგიყვანოს და ამის მერე იცხოვრებთ ერთად — შენ, ის და თქვენი წარსული. მრავალწლიანი თანაცხოვრების შემდეგაც გაიხსენებთ, რა მოხდა მაშინ, პირველად, რატომ დაშორდით, რატომ შეხვდით ხელახლა და საკუთარი შეცდომების ანალიზის „თანხლებით“ გაატარებ ცხოვრებას იმის შიშით, რომ კიდევ რაიმე არ შეგეშალოთ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ არსებითად, არც ერთი თქვენგანი არ შეცვლილა. თუნდაც წარსულ სიყვარულს 100 წლის შემდეგ შეხვდე, მასში მაინც იმ ადამიანს დაინახავ, ვინც ოდესღაც გიყვარდა, კოცნიდი და ეფერებოდი. შესაძლოა, ახლა ორივეს მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება გაქვთ და დაბრძენდით, დისკოთეკებზე სიარულის ნაცვლად, კლასიკურ ლიტერატურას კითხულობთ, მაგრამ თქვენი ხასიათი, ჩვევები, ძირითადი მსოფლაღქმა უცვლელი რჩება. ამიტომ, უნდა გახსოვდეს, რომ როდესაც წარსულს იბრუნებ, იძენ არა ახალს, არამედ — კარგად დავიწყებულ ძველს, ნაცნობსა და ერთხელ დაკარგულს... თუმცა, ცხოვრებაც ხომ სწორედ ამიტომაა მშვენიერი, რომ ბევრ საიდუმლოს შეიცავს და წინასწარ არასოდეს იცი, რა იქნება მომავალში...

■

მდგმურების ცხოვრება და დიასახლისების ჩივილი

რამდენიმე დღის წინ ჩემს ნათესავს ვესტუმრე, რომელიც ქალაქის ცენტრში, კერძო ბინაში ცხოვრობს. ოჯახის ძირითადი შემოსავლის წყარო გაქირავებული ოთახებიდან შემოსული თანხაა. ნათესავის ეზოსთან „სასწრაფო“ და საპატრულო მანქანები შევნიშნე და ძალიან შევშინდი, რადგან მამამთილი ჰყავს ავად და ვიფიქრე, რაიმე ხომ არ დაემართა-მეთქი? საბედნიეროდ, შევცდი. თურმე მათი ერთი მდგმური, კახელი გოგონა, მეორეს — იმერელ ბიჭს გაჰყოლია ცოლად. ეზოში კი მათი მშობლები ჩხუბობდნენ. გოგონას დედა ცუდად გამხდარიყო და „სასწრაფოც“ მის გამო გამოეძახათ; პოლიცია კი მოჩხუბარი მამების გაშველებას ცდილობდა...

ნათია ჟვანია

რამდენიმე დღის შემდეგ შევიტყვე, რომ ახალდაქორწინებულები არც ერთ ოჯახს არ მიუღია, სხვაგან უქირავებიათ ბინა და ორივე მათგანი სამსახურს ეძებს, რომ ახალშექმნილი ოჯახი როგორმე შეინახონ. ჩემი ნათესავი ამ ამბავს რომ მიყვებოდა, სხვა მდგმურების ამბებითაც დავინტერესდი. ხალისით დამთანხმდა და ყველაფერი მიამბო. ამას სხვა საინტერესო ცხოვრებისეული შემთხვევებიც შეემატა...

დალი, *46 წლის:*

— როცა გავთხოვდი, საცხოვრებლად მეუღლის მშობლებთან, გადმოვედი. კერძო სახლში ვცხოვრობდით და საკმაოდ მოზრდილი ეზოც გვქონდა. მთელი ჩვენი სამეზობლო ოთახებს აქირავებდა და ოჯახს ამით არჩენდა. ჩემს დედამთილ-მამამთილს კი მაღალანაზღაურებადი სამსახური ჰქონდა და მდგმურებზე არც ფიქრობდნენ. ჩემი მეუღლეც მუშაობდა. მთელი დღის განმავლობაში შინ მხოლოდ მე ვიყავი ბავშვებთან ერთად. გადავწყვიტე, ეზოში რამდენიმე ოთახი მეც ამეშენებინა და გამექირავებინა. ჩემს ქმარს ეს რომ ვუთხარი, უარზე დადგა: რაში გვჭირდება დამატებითი შემოსავალი, ფული თუ გინდა, მე მოგცემო. რასაკვირველია, ამ წამოწყების მიზეზი მატერიალური დაინტერესებაც იყო, — საკუთარი შემოსავალი ვის აწყენს, — თუმცა უფრო, უსაქმურად და მარტო ყოფნა რომ მომბეზრდა, მდგმურების მიღებაც ამიტომ მსურდა. დედამთილმა მხარი ამიბა და 5 პატარა ოთახი ავაშენეთ. მას შემდეგ 17 წელი გავიდა და მდგმურები ისევ მყვანან. ამასობაში, მამამთილი გარდამეცვალა, დედამთილი ავად არის, მუშაობა აღარ შეუძლია და სახლში ზის. ჩემი მეუღლე კი ძველ სამსახურში შეამცირეს და ახლა ერთ-ერთ ობიექტზე დარაჯად მუშაობს. რომ არა ჩვენი მდგმურები, ალბათ თვიდან თვემდე თავს ვერც გავიტანდით. მართალია, ხანდახან ძალზე რთულია მდგმურების ატანა, მაგრამ ახლა ჭკუა ვისწავლე და თუ დამქირავებელს კარგი თვალით არ შეეხედავ, ბინას არ მივაქირავებ ხოლმე. არც სტუდენტ ბიჭებზე მიყვარს ბინის მიქირავება, რადგან ადრე ორი კასპელი ბიჭი დაბინავდა ჩვენთან, მათთან ბიჭებიც მოდიოდნენ ხოლმე და იყო გაუთავებელი ქეიფები; მერე ნასვამები გარეთ გამოვიდოდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ და ამის გამო მეზობლები შენიშვნას მაძლევდნენ. არც ჩვენ გვსიამოვნებდა ასეთი ხმაური, რადგან დაძინების საშუალებას არ გვაძლევდნენ. ბიჭებს რამდენჯერმე შენიშვნა მივეცით. ორი დღე ახსოვდათ შენიშვნა, მერე ისევ თავიდან იწყებდნენ. ერთ დღესაც მორიგი ქეიფის შემდეგ ერთმანეთთან ვეღარ მორიგდნენ, იჩხუბეს და ერთი ბიჭი დაჭრეს კიდეც. ძლივს გავაშველეთ. პატრულიც გამოვიძახეთ და „სასწრაფოც“. კიდევ კარგი, ის დაჭრილი ბიჭი გადარჩა. ჩვენი მდგმური კი ციხეში მიაბრძანეს. მას შემდეგ, თუ ბიჭს მშობელი არ ახლავს, ბინას აღარ ვაძლევ. მშობელზე კიდევ ერთი უსიამოვნო შემთხვევა გამახსენდა. ერთმა ახალგაზრდა კაცმა ბინა იქირავა, თან გამაფრთხილა, ოთახში მხოლოდ მე და დედაჩემი ვიცხოვრებთო. სანდომიანი ახალგაზრდა ჩანდა და ბინა მივაქირავე. ორ დღეში ხანში შესულ ქალბატონთან ერთად დაბრუნდა. იმ ქალს ლაპარაკის თავიც კი არ ჰქონდა. ამის გამო შეშფოთება რომ გამოვხატე, დამამშვიდა, თბილისში სწორედ იმიტომ ვართ ჩამოსულები, რომ დედა ექიმთან ვატარო და ვუმკურნალოო. ის კაცი დილით მიდიოდა სამსახურში და საღამოს შებინდებულზე ბრუნდებოდა; დედამისს გამზადებულ საჭმელს მაგიდაზე უტოვებდა; მიუხედავად ამისა, გული მაინც არ მითმენდა და ყოველდღე იმ ქალბატონს მოსაკითხად შევაკითხავდი ხოლმე. ერთხელაც რომ შევედი, გარდაცვლილი დამხვდა. კინაღამ გული გამისკდა. შევყარე მთელი უბანი. აღმოჩნდა, რომ არც იმ კაცის სამსახურის მისამართი ვიცოდი და არც — ტელეფონის ნომერი. ვიფიქრე, საღამოს ხომ მაინც დაბრუნდება-მეთქი და მოთმინებით დავიწყე ლოდინი, მაგრამ ნურას უკაცრავად. 3 დღე ისე გავიდა, არ გამოჩენილა. ძალიან შევშინდით. მესამე დღეს ვიკადრეთ და პოლიცია გამოვიძახეთ. იმ კაცს ბოლო ორი თვის ქირა ჰქონდა გადასახდელი და ვიფიქრეთ, მკვდარი დედა შეგვატოვა და თვითონ, ქირა რომ არ გადაიხადოს, იმიტომ გაიქცა-მეთქი. პოლიციამ გამოგვიცხადა, ცხედარს ვერსად წავიღებთ, აჯობებს, თქვენთან დარჩესო. ამაზე სულ გადავირიეთ. ამასობაში, ჩვენი მდგმურიც გამოჩნდა. თურმე მისთვის სოფლიდან დაურეკავთ და შეუტყობინებიათ, მამა გყავს ცუდადო; სამსახურიდან პირდაპირ სოფელში წასულა, იმ იმედით, ვინმე მომვლელს ნახავდა და გვიან ღამით ისევ თბილისში დაბრუნდებოდა, მაგრამ მამა მძიმე მდგომარეობაში დახვდა და იძულებული გახდა, რაიონის საავადმყოფოში გადაეყვანა, სადაც ოპერაცია გაუკეთეს... საწყალი, ისე შემეცოდა. დედის სიკვდილიც ძალზე განიცადა, თუმცა ამას ელოდა კიდეც, რადგან ის ქალი ჩვენთან პირდაპირ ონკოლოგიურიდან მოუყვანია. ექიმებმა უთხრეს, მაინც ვეღარ გადარჩება და ამის აქ ყოფნას აზრი არ აქვსო, მაგრამ ჩვენ ეს ამბავი არ გაგვიმხილა — შეეშინდა, ბინას არ მომაქირავებდითო. მოკლედ, იმ კაცმა 2 თვის ქირა გადაგვიხადა და დედის ცხედარიც წაასვენა, მაგრამ დანარჩენი მდგმურებიც უკან მიჰყვნენ. აბა, ჩვენთან ვინღა გაჩერდებოდა? სამი დღის განმავლობაში ცარიელ ოთახში უცხო მიცვალებული ესვენა!.. სამიოდე წლის წინ ჩვენთან ერთი ახალგაზრდა კაცი მოვიდა. დაახლოებით, 45 წლის იქნებოდა. საერთოდ, დიასახლისებს წესად გვაქვს — ყველას ოჯახურ მდგო

გამომძიებლის მოგონება

გაიძვერა და ლილიპუტი

ამას წინათ ახლობლის სასამართლო პროცესზე, რომელიც რაიონში ტარდებოდა, მისი ადვოკატის წაყვანა დამევალა. ადვოკატი შუა ხნის, ენაწყლიანი მამაკაცი აღმოჩნდა და მთელი გზა საინტერესო ამბებს მიყვებოდა. წინათ თურმე გამომძიებლად მუშაობდა და ეს ამბებიც სწორედ მაშინდელი გახლავთ. ვფიქრობ, „ცოდვაა“, ისინი მხოლოდ ასე, ზეპირად გადასაცემ ამბებად დარჩეს და „გზის“ მკითხველს არ გავაცნო. „პრეამბულა“ მისი მონათხრობის მიხედვით აგებული, ჩემი ფანტაზიის ნაყოფი გახლავთ, „ამბულა“ კი „უნებლიე რესპონდენტის“ ნაამბობი.

მარი ჯაფარიძე

პრეამბულა

ლაურა ქორწილში იყო მიწვეული. ქალმა იფიქრა, რომ, თავისი სილამაზის უკეთ წარმოსაჩენად, ჯობდა, ახალი ტანისამოსი შეეძინა და ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე შოპინგი მოაწყო. არა, ტანისამოსის უქონლობას კი არ უჩიოდა, უბრალოდ, რამდენიმე კვირის წინ, დაბადების დღეს, მდიდარმა და „მატერიალურად უზრუნველყოფილმა“ მამიკომ ბრილიანტის თვლებით გაწყობილი, ოქროს „ტროიკა“ უყიდა — ბეჭედი, საყურე და მსხვილ ჯაჭვზე დაკონწიალებული კულონი. ჰოდა, სწორედ ამ „ტროიკის“ შესაფერისი ტანისამოსის შეძენა უნდოდა. ერთ-ერთ სამსართულიან მაღაზიაში შევიდა, გამყიდველები და მენეჯერები მთელი საათის განმავლობაში აწამა და მაღაზიიდან ფუთებით ხელში, კმაყოფილი გამოვიდა. ის იყო, ზღურბლზე გადმოაბიჯა, რომ ვიღაც დაეჯახა. პაკეტები ხელიდან დაუცვივდა და ლამის თვითონაც ტროტუარზე გაიშხლართა. თავი ძლივს შეიკავა და როცა ორივე ფეხზე მყარად დადგა, ფუთების ასაღებად დაიხარა.

— უკაცრავად, ქალბატონო, — გაისმა მამაკაცის ოდნავ ჩახლეჩილი ხმა, — ახლავე დაგეხმარებით...

ლაურას თავხედის გალანძღვა უნდოდა, მაგრამ სიტყვები პირზე შეაშრა. მის წინ ნამდვილი კინოვარსკვლავის გარეგნობის, თვალისმომჭრელი სილამაზის, მწვანეთვალება მაჩო იდგა. მისმა თავბრუდამხვევმა ღიმილმა, ძვირფასმა ტანისამოსმა და პარფიუმის სურნელმა ქალის ტვინს — „გადატვირთვის“, სახის კუნთებს კი ღიმილის ბრძანება მისცა...

„რა მაგარი ტიპია!“ — გაიფიქრა ლაურამ

— არა უშავს, ჩემი ბრალია, ვერ დაგინახეთ, — ხმამაღლა მხოლოდ ეს თქვა.

— აი, ინებეთ, ქალბატონო, — მაჩომ პაკეტები გაუწოდა, — მე დიტო მქვია, კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს.

— ლაურა, — ხელი გაუწოდა ქალმა.

— მოგეხმარებით, შორს ცხოვრობთ? — თავი გამოიდო მამაკაცმა.

— მანქანამდე მიმატანინეთ, — მომხიბვლელი მამაკაცის დახმარებაზე უარი არ თქვა ქალმა.

დიტომ ქალი გალანტურად, წინ გაატარა და თვითონ უკან მიჰყვა.

რამდენიმე წამში მამაკაცმა პაკეტები იქვე მდგარ, ლაურას თეთრ ჯიპში ჩაალაგა, შემდეგ კი თავდახრილმა კიდევ ერთხელ მოუბოდიშა. უეცრად გამოცოცხლდა და სხარტად უთხრა:

— ლაურა, 2 წუთი დამელოდეთ, არ წახვიდეთ, — სევდიანი მზერა გაუხდა მამაკაცს.

— კარგი, არ წავალ...

— ახლავე დავბრუნდები...

მამაკაცი ჩქარი ნაბიჯით გაშორდა, ლაურა კი მანქანაში ჩაჯდა, ძრავი აამუშავა და ფანტაზიებს მიჰყვა... აზრი მარჯვენა კარის გაღების ხმამ გააწყვეტინა. სავარძელზე ულამაზესი ვარდების თაიგული დაეშვა.

— ეს თქვენ, — რაღაცნაირი, იდუმალი ხმა ჰქონდა მამაკაცს, — ეს „მცირე ბოდიშია“ ამ ინციდენტის გამო. „დიდ ბოდიშს“ კი რესტორანში მოგიხდით, თუ ჩემს მიწვევას დათანხმდებით.

— თანახმა ვარ, — ლაურას გაუხარდა კიდეც, მამაკაცის მიერ შეთავაზებული წინადადება და სიამოვნებით დათანხმდა, — აი, ჩემი სავიზიტო ბარათი, დამირეკეთ და შევთანხმდეთ.

— ნახვამდის, — მამაკაცმა კარი ღიმილით დახურა და წელში მოხრილმა, ფანჯარაში ღიმილით შეიხედა.

„ამბულა“

— ადრე პოლიციაში ვმუშაობდი გამომძიებლად. ერთ ღამეს მორიგე ვიყავი. ბიჭები უსაქმურობისგან ვამთქნარებდით, რადგან მშვიდი ღამე იყო, არავინ გვაწუხებდა და არც დანაშაულის შესახებ გვატყობინებდა ვინმე. დაძაბული დღის შემდეგ მოვეშვით. დღისით ძებნილი დავაკავეთ, რომელსაც მთელი 2 წელი ვეძებდით. ამ კაცმა ლამის ჭკუიდან გადაგვიყვანა. საქმე ის გახლდათ, რომ მისი სახლის წინ ჩვენი ინფორმატორი ცხოვრობდა. დაგვირეკავდა ეს კაცი, გვეტყოდა, აგერ, თქვენი ძებნილი ფანჯარაში იყურებაო, ავიდოდით სახლში და ვერ ვნახულობდით. ვერ ვიგებდით, ასე უცებ სად მიდიოდა. ოჯახის წევრები კარს ყოველთვის გვიღებდნენ, არასოდეს დაუშლიათ ჩვენთვის ბინის გაჩხრეკა, მაგრამ ვერა და ვერ დავაკავეთ დამნაშავე. ცალკე ინფორმატორი დაიღალა მისი თვალთვალით, ცალკე — ჩვენ. ჰოდა, ერთ დღეს მინისტრის მოადგილისგან დავალება მივიღეთ — ან 10

სანამ სიდამვე ლედამიწას გადაკაჩენდეს, მახინჯები დაღოკავენ მას.

დღის განმავლობაში დამნაშავეს დაიჭერთ, ან განცხადებებს დაწერთ და სამსახურიდან წახვალთო. გადავწყვიტეთ, ძებნილის სახლში გვემორიგევა. 2 დღე-ღამის განმავლობაში ენაცვლებოდნენ ბიჭები ერთმანეთს. მესამე დღეს მე და ჩემს კოლეგას, მახოს მოგვიწია მორიგეობამ. თურმე, ბინა, რომელშიც ძებნილი ცხოვრობდა, მაღალჭერიანი ყოფილა. ოჯახს ჩვეულებრივი, დაბალჭერიანი სახლის ჭერის სიმაღლეზე მეორე ჭერი გაუკეთებია, სადაც შესასვლელი დერეფანში მდებარე, კედელში ჩაშენებული კარადიდან ყოფილა. ეს ჩვენი დამნაშავე შეძვრებოდა კარადაში, ავიდოდა ზედა თაროზე, მერე ჭერში და იწვა იქ, სანამ ჩვენ სახლს ვჩხრეკდით. ბუნებრივია, იქ ვეღარ გაჩერდა. ჩვენი მორიგეობის დროს, ხველა აუტყდა. შინ მხოლოდ დედა, ცოლი და შვილი — პატარა გოგონა იყვნენ და მამაკაცის ხმის გაგონებაზე ყურები ვცქვიტეთ. ცოტა ხანში ხველა ისევ განმეორდა, შემდეგ კი კარადაში ბრახუნიც გაისმა. ძებნილი კარადიდან გამოვიდა და ჩაგვბარდა.

აი, ასეთი დაძაბული დღის შემდეგ, ბიჭები განყოფილებაში ვისხედით, ყავას ვწრუპავდით და ვისვენებდით.

ღამის 3 საათზე ტელეფონმა დარეკა. მორიგემ „ლევიტანის ხმით“ გვაცნობა, რომ თბილისში, ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში ბინა გაიძარცვა. მისამართი ჩავიწერეთ, ძაღლი წავიყვანეთ და წავედით.

დანაშაულის ადგილზე დაზარალებული — ძალიან ლამაზი, ქალბატონი დაგვხვდა.

ქალი შეშინებული იჯდა და ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

დაკითხვა იქვე დავიწყეთ.

— რა მოხდა, ქალბატონო? — ვკითხე და წინ დავუჯექი.

— გუშინწინ, მაღაზიასთან ახალგაზრდა მამაკაცი დამეჯახა. ისეთი ლამაზი იყო, ჯორჯ ქლუნი და ლეონარდო დი კაპრიო ერთად რომ აიღო, აი, ისეთი. დღეს საღამოს რესტორანში დამპატიჟა, ძალიან კარგად მექცეოდა, ნამდვილი ჯენტლმენის განსახიერება გახლდათ. რესტორნიდან რომ წამოვედით, თვითონ შემომთავაზა, სახლში, ყავაზე დამპატიჟეო. უარი არ მითქვამს. მის სტუმრობაზე არც ერთი ქალი უარს არ იტყოდა.

— რა თქმა უნდა, სექსიც გქონდათ, არა? — პირდაპირ ვკითხე, რადგან მივხვდი, ამ თემაზე ლაპარაკი უჭირდა.

— დიახ, — გაწითლდა.

— რა მოხდა მერე?

— მერე სააბაზანოში შევიდა, მე საძინებელში დავრჩი. როგორც ჩანს, ამ დროს გარეთა კარი გააღო და თავისი მეგობარი, ლილიპუტი შემოუშვა.

— რა ლილიპუტი, რას ამბობთ, ქალბატონო? თქვენ დაბოლილი ხომ არ ხართ?

— არა, მართლა ლილიპუტი იყო, ასე, 140 სანტიმეტრი სიმაღლის მამაკაცი იქნებოდა. მერე დიტომ შუბლზე იარაღი დამადო, ლილიპუტმა კი...

— გაგაუპატიურათ? — ვკითხე დაძაბულმა.

— არა, არა, — ისევ გაწითლდა ქალი, — ლილიპუტმა სკოჩით ხელ-ფეხი შემიკრა, პირში ჩვარი ჩამიტენა და სახლის ჩხრეკა დაიწყეს. ოქროულსა და ანტიკვარულ ნივთებს მალევე მიაგნეს, მაგრამ ფული ვერ იპოვეს. ჩვარი ამომიღეს პირიდან და მკითხეს, ფულს სად ვინახავდი. არ ვუთხარი. მერე ჩვარი ისევ ჩამტენეს და ძებნა განაგრძეს. მალე

მიაგნეს კიდეც. ყველაფრისთვის სულ 15 წუთი დასჭირდათ.

— ბევრი წაიღეს?

— დაახლოებით 20 ათასი დოლარის ღირებულების ოქროულობა და 15 ათასი დოლარი.

— პოლიცია როგორ გამოიძახეთ, ხელ-ფეხი შეკრული რომ გქონდათ?

— როცა წავიდნენ, კარი ღია დატოვეს. გაჭირვებით მივფორთხდი კართან, მერე სადარბაზოში გავედი და მეზობლის კარზე თავით ავტეხე ბრახუნი. მალე გამომხედეს.

ქალი პირსახოცის ხალათით იჯდა სავარძელში და ტიროდა. მომეჩვენა, რომ დანაკარგის გამო კი არა, დაკარგული იმედის გამო ტიროდა. ადამიანურად შემეცოდა. სხვათა შორის, მართლა ძალიან ლამაზი იყო. ჩემი კოლეგა, მახო კი იდგა და პირდაღებული შეჰყურებდა დაზარალებულს.

თითის ანაბეჭდები არსად იყო. ძაღლი კვალს მხოლოდ კორპუსის ბოლომდე მიჰყვა. როგორც ჩანს, დამნაშავეებს იქ მანქანა ელოდა.

— ცუდად ხომ არ ხართ? გნებავთ, „სასწრაფოს“ გამოვიძახებთ, — შევთავაზე ქალს.

— არა, არა, კარგად ვარ.

— შეგიძლიათ, დამნაშავეთა ფოტორობოტის შექმნაში დაგვეხმაროთ?

— დიახ, შემიძლია.

— მაშინ განყოფილებაში უნდა გამოგვყვეთ. თანაც, მე და ჩემს კოლეგას თქვენთან დამატებით რამდენიმე კითხვა გვაქვს.

1 საათის შემდეგ განყოფილების უფროსის კაბინეტში ვისხედით და მხატვარი ლაურას ნაამბობის მიხედვით დამნაშავეთა ფოტორობოტს ადგენდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩემს მაგიდაზე 2 ნახატი იდო. ერთზე ჰოლივუდის ნამდვილი ვარსკვლავი იყო გამოსახული, მეორეზე გამოსახული ადამიანი კი ღამურას უფრო ჰგავდა.

— კიდევ რაიმე განსაკუთრებული ნიშნები ხომ არ შეგინიშნავთ? — ვკითხე ქალს ბოლოს.

ლაურა ისევ გაწითლდა.

— კისერზე მოზრდილი ნაიარევი ჰქონდა, ტანზე კი ტატუ. მკერდზე, მარცხენა მხარეს ვეფხვი ჰქონდა ამოსვირინგებული, მარჯვენა მხარეს — თავის ქალა, გადაჯვარედინებული ძვლებით და ჭიპის ქვემოთ, რუსული „წარწერა“ — „უშიშარი მებრძოლი“.

— გმადლობ, ქალბატონო ლაურა, თავისუფალი ხართ.

— რაღაც მინდა გკითხოთ...

— დიახ.

— თუ მას დააკავებთ, მომცემთ იმის ნებას, რომ თვალებში ჩავხედო?

— რა თქმა უნდა, ეს აუცილებელიც კი იქნება, რადგან უნდა ამოიცნოთ დამნაშავე.

ქალი წავიდა, ჩვენ იმ წუთიდანვე შევუდექით დამნაშავის ძებნას. რამ-

დენიმე დღის შემდეგ გაირკვა, რომ თურმე თბილისის მასშტაბით ეს მეოთხე, მსგავსი შემთხვევა იყო, მაგრამ წინა 3 შემთხვევაში დაზარალებულები გათხოვილი ქალები იყვნენ, რომლებიც ქმრებს ღალატობდნენ. ამის გამო საჩივრები უკან გაჰქონდათ. ასე რომ, ამ ყაჩაღების მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა და მხოლოდ ოპერატიული ინფორმაცია არსებობდა. ეს გავიგე თუ არა, მაშინვე ლაურას დავურეკე და ვკითხე, ხელზე საქორწინო რგოლი ეკეთა თუ არა? აღმოჩნდა, რომ ქმართან განშორების შემდეგ ლაურა საქორწინო რგოლს მაინც ატარებდა.

მთელი 2 თვე მუხლჩაუხრელად ვიმუშავეთ ამ საქმეზე და ყველა გზა მოვსინჯეთ, დამნაშავეს იქაც კი ვეძებდით, სადაც არ უნდა გვეძებნა, მაგრამ უშედეგოდ.

ჩემი კოლეგა, მახო, „დანაშაულის დეტალების გასარკვევად“, კვირაში ერთხელ სტუმრობდა ლაურას, მერე კი ერთ მშვენიერ დღეს გამოგვიცხადა, ცოლად მომყავსო. მალე დაქორწინდნენ და ქორწილშიც დაგვპატიჟეს.

მათი ქორწილიდან 1 წელიწადში მახო სიმამრის „ბლატებით“ დააწინაურეს, მე კი ისევ ძველ თანამდებობაზე ვიყავი. ერთხელ, სამსახურის საქმეზე ერთ-ერთ „კაპეზეში“ შევიარე. უკვე უკან მოვდიოდი, როდესაც კართან ჩემი ძველი ნაცნობი შემხვდა — განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი.

მასაც გაუხარდა ჩემი დანახვა, გადამეხვია და თავის კაბინეტში მიმიპატიჟა, — დიდი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს და ვილაპარაკოთო.

აღმოჩნდა, რომ ავტოავარიის საქმეს იძიებდა. ვიღაც ნაძირალა ჯიპით დიდი სიჩქარით მიქროდა თურმე და გადასასვლელზე დედა-შვილს დასჯახებია. გოგონა იქვე გარდაცვლილა, დედა კი უმძიმეს მდგომარეობაში, საავადმყოფოში გადაუყვანიათ. დამნაშავე მიმალულა, მერე ალიბის უზრუნველყოფა მოუხდენია და პოლიციაში განცხადება შეუტანია, რომ მანქანა მოჰპარეს. ახლა ის კაცი დაკავებული ჰყოლიათ, მაგრამ დანაშაულს ვერ უმტკიცებდნენ და ჩემი მეგობარი წუხდა, რომ ეს გაიძვერა დაუსჯელი რჩებოდა. თან ბრალის წაყენების ბოლო დღე იყო და თუ ვერ წაუყენებდნენ, უნდა გაეშვათ.

ოთახში ახალგაზრდა მამაკაცი შემოვიდა, რომელიც ამ კაცის ადვოკატი აღმოჩნდა და კლიენტთან შეხვედრა ითხოვა. ჩემი მეგობარი თავისი კაბინეტის წინ მდებარე ოთახისკენ გაუძღვა, კარი კი ღია დატოვა, საიდანაც სკამზე მჯდარ, ახალგაზრდა, სიმპათიურ, თეთრ, სპორტულ შარვალსა და შავ მაისურში გამოწყობილ მამაკაცს მოვკარი თვალი, რომელიც სიგარეტს ეწეოდა. გავიფიქრე, სათვალე რომ ეკეთოს, ნამდვილი ბანკირის გარეგნობა ექნებოდა-მეთქი.

გარკვეული დროის შემდეგ ადვოკატი შემოვიდა და განაცხადა, რომ მისი კლიენტი თავს დამნაშავედ არ ცნობს და არც აპირებს იმ დანაშაულის აღიარებას, რომელიც მას არ ჩაუდენია.



— მე წავედი, — სიტყვა გავაწყვეტინე ადვოკატს და მეგობარს ხელი ჩამოვართვი, გამომშვიდობების ნიშნად.

დერეფანში გამოსულს არ მასვენებდა აზრი, რომ ეს კაცი (დამნაშავე) სადღაც მენახა. უეცრად გამახსენდა, რომ კისერზე ნაიარევსაც მოვკარი თვალი და გონება გამინათდა. არავითარ შემთხვევაში ეს დამთხვევა არ იქნებოდა. ჩქარი ნაბიჯით გავემართე უკან, ჩემი მეგობარი გამომძიებლის კაბინეტისკენ. ის და ადვოკატი იმ ოთახში დამხვდნენ, სადაც ეჭვმიტანილი იჯდა.

— თემურ, მე, როგორც სამძებრო განყოფილების თანამშრომელი, მოვითხოვ, დამნაშავეს პირისპირ შემახვედრო და რამდენიმე კითხვის დასმის უფლება მომცე.

თემური დამთანხმდა, მაგრამ ადვოკატმა გააპროტესტა და მოითხოვა, ეჭვმიტანილი მხოლოდ მისი თანდასწრებით დამეკითხა. თავად ეჭვმიტანილიც თავს აქნევდა, თანხმობის ნიშნად.

— შენც გეშინია ჩემთან მარტო დარჩენის? შენ ხომ „უშიშარი მებრძოლი“ ხარ? — ვკითხე და თითით იმ ადგილზე მივანიშნე, სადაც წესით, ეს წარწერა უნდა ჰქონოდა.

დამნაშავე გაფითრდა და გამომძიებელს და ადვოკატს სთხოვა, მარტო დავეტოვებინეთ.

ისინი გავიდნენ თუ არა, მაშინვე მაისური გამოვუწიე და ჩავხედე.

ჩემი ვარაუდი გამართლდა. მარჯვენა მხარეს ვეფხვი ჰქონდა ამოსვირინგებული, მარცხნივ — თავის ქალა.

— მოსაფიქრებლად 5 წუთი გაქვს: ან აღიარებ, რომ ავარია შენ მოახდინე და დედა-შვილს დაეჯახე, ან მე მოვყვები, როგორ ძარცვავდი გათხოვილ ქალებს ლილიპუტთან ერთად და ჯგუფურ ყაჩაღობაში წაგიყენებენ ბრალს. ეს კი იმაზე მეტ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე ავარიისთვის მოგისჯიან. დრო დავინიშნე, — საათზე დავიხედე და ოთახიდან გავედი. ცოტა ხანში შევბრუნდი. თვითდაჯერებული იდიოტი სადღაც გამქრალიყო. მის ადგილზე მობუზული გაიძვერა იჯდა.

— თანახმა ვარ თქვენს წინადადებაზე, ვაღიარებ, რომ ავარია მე მოვახდინე, — მითხრა ნირწამხდარმა, — იმ დღეს საჭესთან მე ვიჯექი და ავარიაც მე მოვახდინე...

— ახლა ამას გამომძიებლისა და ადვოკატის წინაშე გაიმეორებ, — ვუთხარი და თემურს დავუძახე.

— ვიცოდი, რომ ტატუირება დამღუპავდა, — ჩაილაპარაკა უმწეოდ.

ოთახიდან გამოვედი. სიმართლე გითხრათ, მღელვარებისგან ხელები მიცახცახებდა.

— დამნაშავე მზადაა, აღიარებითი ჩვენება მოგცეთ, — ვუთხარი თემურს.

— ეს როგორ მოახერხე? — გაოცებით მკითხა მეგობარმა, მაგრამ პასუხი არ გავეცი, მხარზე ხელი მოვუთათუნე და იქაურობა დავტოვე.

p.s. სასამართლომ მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

■

სამყარო

აჭირებული ირემი, დაუნდობელი მტაცებლები და შუა ზღვაში გამართული ქეიფი

საქართველოში ბევრი მონადირე და მეთევზეა, მაგრამ ისინი ყოველგვარი წესის დაცვის გარეშე იკმაყოფილებენ თავიანთ აზარტულობას, რაც ნამდვილ მონადირეებს გულს სტკენთ. საქართველო-ჩეხეთის და საქართველო-იაპონიის ურთიერთობათა ასოციაციების პრეზიდენტი, ბატონი კარლო ქველაძე მოყვარული მონადირეა, მაგრამ ნადირობისა და თევზაობის წესებს არასდროს არღვევს. ტახი, დათვი, უამრავი ირემი, ჯიხვი, კურდღელი, ხოხობი, იხვი, მწყერი, ნიამორი — ეს იმ ცხოველთა და ფრინველთა არასრული ჩამონათვალია, რომელთა მონადირებითაც ბატონ კარლოს ტრაბახი შეუძლია. მის სამუშაო კაბინეტში შესული, წიგნებისა და უამრავი ფოტოს გვერდით მოთავსებულ ბევრ ფიტულს, ირმის რქებს, ნიამორის თუ ტახის თავს წააწდებით, იქვე, იატაკზე კი „დათვია“ გართხმული, რომელიც მზადაა, სტუმრის სხეულის სიმძიმე უსიტყვოდ აიტანოს.



ნადირი არასდროს დამსხმია თავს, მაგრამ ერთხელ, ლამის მეგობარმა მიმსხვერპლა

აზარტული მონადირის მხიარული თავგადასავლები

ლიკა ქაჯაია

— მამაჩემი რაიკომის მდივანი იყო კასპში და მან მონკავშირის თავმჯდომარე გამაცნო, რომელსაც სანადიროდ დავყავდი ხოლმე. ცალპირიანი თოფი მქონდა და შაშვებზე ვნადირობდი. სწორედ მაშინ შემიყვარდა ფლორა და ფაუნა. სხვათა შორის, რასაც ამ ოთახში ხედავთ, ყველაფერი მე მოვინადირე... მახსოვს, ჩემს ბავშვობაში მტკვარში იმდენად ბევრი თევზი იყო, რომ უფროსები სათევზაოდ ჭრაქით მიდიოდნენ: მარცხენა ხელში მხრჩოლავი ჭრაქი ეჭირათ, მარჯვენაში — ხმალი. თევზი შუქზეც კი მოდიოდა და მათ ხმლით იჭერდნენ. თევზჭერის მეორე მეთოდს, რომელიც ქართლში ასევე გავრცელებული იყო, „ტოტის გაწყვეტა“ ერქვა ანუ — მდინარე მტკვრის რომელიმე ტოტს ქვით გადავლობავდით, ბრეზენტს გავჭიმავდით, წყალს რომ არ გაეყონა და ვაგებდით ფაცერს.

— დათვი, რომლის ტყავზეც ახლა ფეხი გვიდგას, თქვენი მოკლულია?

— ჰო, დათვი ქსნის ხეობაში მოვკალი. მახსოვს, იქ სანადიროდ სამნი წავედით. ტყეში რომ შევედით, ერთ ბილიკთან დამაყენეს და მითხრეს: ამ ბილიკზე დათვი აუცილებლად გამოივლის, აქედან ფეხი არ მოიცვალო, ჩაუსაფრდი და ესროლეო. როცა ჩემი მეგობრები ცხოველის დასაფრთხობად წავიდნენ, ეჭვი შემეპარა, — აქ არ გამოივლის-მეთქი და ადგილი შევიცვალე. ცოტა ხანში სწორედ იმ ბილიკზე ჩაირბინა დათვმა, სადაც წესით, უნდა დავლოდებოდი... როცა მეგობრებს ხელცარიელი დავხვდი, მიხვდნენ, რომ ადგილი შევიცვალე და გამიჯავრდნენ: ჩვენ დათვი დავაფრთხეთ და არ არსებობს, აქ არ გამოევლოო! მეორე დღესაც იმ ბილიკთან დამაყენეს. ამჯერად, ნებისყოფა მეყო და ჩასაფრებული ვიყავი მანამ, ვიდრე ცხოველმა არ ჩამოიძუნძულა. ჰოდა, ახლა სწორედ იმ დათვის ტყავზე გიდგათ ფეხი (*იცინის*)...

— ეს ტახი როგორლა მოინადირეთ?

— ეს ტახი ლენქორანის ტყეში (რომელიც ირანის საზღვართან მდებარეობს) მოვკალი. როცა ნანადირევს ვამოწმებდი, მის ბარძაყში ჩაჭედილი ტყვია ვიპოვე — ჩემამდე ვიღაცას დაეჭრა და ლამის მთელი ფეხი დამპალი ჰქონდა. ამ ტახის თავის ფიტული შინ მოვიტანე, მისი ხორცისგან მომზადებული კერძი კი გემრიელად გეახელით (*იცინის*). ამ ამბიდან ცოტა ხანში მე და ჩემი მეუღლე აზერბაიჯანში ჩავედით. ბაზარში ვიყავით, მანქანით, როცა ჩვენთან ვიღაც კაცი მოვიდა და რუსულად გვითხრა: „სუში, კაბან ნე ხოჩეშ?“ — როგორ, როგორო? — ჰკითხა ჩემმა მეუღლემ. — „ა, შტო, კაბან ნე ხოჩეშ?“ — გაიმეორა იმან. ჩემმა მეუღლემ გადმოხედა და სიცილით მითხრა: აჰა, ამ კაცმა გიცნო. ეტყობა, მისი კლიენტი ხარ! ვითომ სანადიროდ დადიხარ, სინამდვილეში კი აქ მოდიხარ, გარეულ ტახს ყიდულობ და მერე ტრაბახობ, რომ მოინადირეო (*იცინის*).

— ნადირობისას სახიფათო სიტუაციაში არ აღმოჩენილხართ?

— ნადირი არასდროს დამსხმია თავს, მაგრამ ერთხელ, ლამის მეგობარმა მიმსხვერპლა: სანადიროდ წავედით მე და პროფესორი ნუგზარ ალექსიძე, რომელიც ამ საქმეში გამოუცდელი გახლდათ. ნადირობას რომ მოვრჩით და მანქანაში ჩავსხედით, ვუთხარი: ნუგზარ, თოფიდან ტყვიები ამოიღე, მანქანაში დატენილი თოფით ჯდომა არ შეიძლება-მეთქი! —

როდესაც ნადირობა დასრულდება, ნანადირევს მონადირეთა სახლის წინ, მინდორზე გაშლიან

რას ამბობ, რამდენი ხანია, ტყვიები ამოვიღეო. — გიყურებდი და არ ამოგიღიამეთქი. — აი, ჩემი თუ არ გჯერაო და, ჩახმახს თითი გამოჰკრა. ტყვია თოფის ორივე ლულიდან გავარდა და მანქანის სახურავი ყვავილივით გადაიფურჩქნა. ასე გამიფუჭა მანქანა, მაგრამ ავტომობილს ვინ ჩივის, კიდევ კარგი, თოფის ლულა ზევით იყო მიმართული და არა ჩემკენ, თორემ ტვინს გამასხმევინებდა (*იცინის*).

— ყველაზე დიდი სიამოვნება რომელი ცხოველის მონადირებამ მოგანიჭათ?

— საერთოდ, ნადირობა და თევზაობა აზარტული საქმეა. სიამოვნების რა მოგახსენოთ, მაგრამ მახსოვს ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთი ნადირობისას ირემს ვესროლე. ცხოველი წაიქცა და მის ჩამოსატანად მთაზე მარტო ავედი. ვხედავ, „გადაწყვეტილია“ წელში, ვერ დგება. აი, სწორედ მაშინ დავინახე ირმის ტირილი, მისი ცრემლი და ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდი, შემებრალა და ცრემლები მეც გადმომცვივდა. ირმის ტყეში დატოვება არ ივარგებდა — მტაცებლები არ დაინდობდნენ. ორი ვარიანტი იყო — მისთვის ან დანით უნდა გამომეჭრა ყელი, ან თოფი მესროლა. ავდექი და ტყვია დავახალე, ოღონდ ისე, რომ მისთვის არც შემიხედავს. ეს გულში ხინჯად დღემდე მაქვს.

— და მიუხედავად ამისა, ნადირობა ამის შემდეგაც განაგრძეთ, არა?

— უკვე გითხარით, რომ ნადირობა ძალიან აზარტული საქმეა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ასაკი შემომეპარა, ნადირობას შევეშვი და თევზაობა დავიწყე. სხვათა შორის, ნავი, რომლითაც ზღვაში სათევზაოდ გავდივარ ხოლმე, საკუთარი ხელით ავაწყვე. ერთხელ ნავზე ავიტანე მაყალი, ნახშირი, შეშა და მეგობრებთან ერთად, სათევზაოდ გავედი. თევზს რომ დავიჭერდით, მას იქვე გამოვწელავდით, ზღვის წყლით ვრეცხავდით, შამფურზე წამოვაგებდით და ვწვავდით. რადგან მსგავსი რამ არავის ენახა და გაეგონა, ნაპირზე მყოფებს უფიქრიათ, ეტყობა, ხანძარი გაუჩნდათო და ჩვენს დასახმარებლად უამრავმა ადამიანმა მოცურა. როცა ნახეს, რომ მწვადს ვწვავდით და ვქეიფობდით, ლამის გაგიჟდნენ (*იცინის*)... სხვათა შორის, ბუნებით ძალიან ემოციური ვარ, სულ რაღაცაზე ვფიქრობ, მინდა, ყოველთვის და ყველაფრის საქმის კურსში ვიყო, მაგრამ თევზაობისას რადიკალურად ვიცვლები — თითოეული თევზის დაჭერას ისე ველოდები, ამ დროს ისეთი ბედნიერი ვარ, ღმერთმა დაგვიფაროს და ქვეყანა რომ დაინგრეს, ვერაფერს გავიგებ... ერთხელ მეგობარმა, რეზო ნაცარიშვილმა მთხოვა, სათევზაოდ მეც წამიყვანეო. მე და ზურაბ ნოღაიდელმა (ოღონდ, არა ექსპრემიერმა) გადავწყვიტეთ, მას გავხუმრებოდით. ზურამ იყიდა გამხმარი ტარანი, რომელიც რეზოს ანკესს გამოაბა და წყალში ჩაუშვა. ცოტა ხანში მეგობარს ვუთხარი: ამ ჯოხს რაღაც, ძალიან მძიმედ ამოძრავებ და ნახე, თევზი ხომ არ დაიჭირე-მეთქი? უნდა გენახათ მისი გაოცებული სახე, როცა ანკესი ამოსწია და გამხმარი ტარანი დაინახა...

— ოდესმე, დინამიტით თუ გითევზავიათ?

— ასეთ რამეს არასდროს ვიკადრებ!.. 60-იან წლებში ხშირად მიწევდა ჩეხეთში გამგზავრება. იქ არსებობს ნადირობისა და თევზაობის წესები, რომელთა დარღვევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მონადირის მოწმობის აღება უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარებისა და სწავლის ტოლფასია. სავალდებულოა, ყველა მონადირემ იცოდეს, ამა თუ იმ ადგილას რომელ ცხოველს ან ფრინველს წააწყდება, ტყე, სადაც სანადიროდ მიდის, გორაკიანია თუ არა და რაც მთავარია, აუცილებლად უნდა იცოდეს სროლის წესი — ყველაზე დიდ დანაშაულად მიიჩნევა ცხოველის დაჭრა, მისი ვერმოკვლა, რადგანაც დაჭრილი ნადირი სადღაც აუცილებლად მოკვდება და მისი გვამი ან გაიხრწნება, ან რომელიმე მტაცებელი შეჭამს. შენ უნდა იცოდე, სად დაუმიზნო, რათა აუცილებლად მოკვდეს. ასევე, უნდა იცოდე, როგორ გაატყავო, რათა ბეწვი არ დაუზიანდეს, როგორ დაამარილო. ვიდრე მონადირის წიგნაკს აიღებ, უნდა იმუშაო მეურნეობაში, მოთიბო ბალახი, გასხლა ხეები და ა.შ. ამ ყველაფრის შესწავლას დაახლოებით, 6 თვე მაინც სჭირდება.

— როგითმა მონადირემ ეს წესი რომ დაარღვიოს...

— ეს სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევა და წესრიგის დამღვევი აუცილებლად დაისჯება! მონადირის წიგნაკის აღების შემდეგ გეძლევა თოფის ყიდვის უფლება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შეგიძლია, ნებისმიერ დროს აიღო ხელში იარაღი და სანადიროდ წახვიდე... ნადირთა რაოდენობა რომ არ შემცირდეს და ესა თუ ის ცხოველი თუ ფრინველი არ გადაშენდეს, ამისთვის ე.წ. მეურნეობები მუშაობენ და ადგენენ სიას, თუ რომელ რაიონში რა რაოდენობის ცხოველისა და ფრინველის მოკვლაა შესაძლებელი. ამ ინფორმაციას მონადირეები მედიის საშუალებით იგებენ და ვისაც ნადირობის სურვილი გაუჩნდება, უნდა გამოცხადდეს შესაბამისი რაიონის მონადირეთა სახლში, რომელიც ისევეა მოწყობილი, როგორც დაახლოებით, ჩვენი მთავრობის სახლი. იქ შეადგენენ სიას იმ ადამიანებისას, რომლებიც იმ დღეს გამოცხადდნენ და მონკავშირის თავმჯდომარე გამოაცხადებს: მივდივართ სანადიროდ. დღეს მხოლოდ 3 ირმისა და 10 კურდღლის მონადირების უფლება გვაქვს! შემდეგ მონადირეთა ჯგუფი გაიყოფა 2 ნაწილად: ერთი ცხოველს ჩაუსაფრდება, მეორე კი მათ „სარეკად“ ანუ — ცხოველების დასაფრთხობად წავა. არსებობს ნადირობის კიდევ ერთი წესი: მოკლული კურდღელი ქამარზე კი არ უნდა ჩამოიკიდო, არამედ ტყეში გაკეთებულია სპეციალური ბილიკები და იქ უნდა დადო.

უამრავი კურდღელი და 2 შველი მოვკალით

— რატომ?

— ამ ბილიკებზე გამოივლის ტრაქტორი, რომელსაც აქვს მისაბმელი და მასზე განთავსებულია სპეციალური საკიდები — ნანადირევს თავდაღმა კიდებენ, რათა სისხლისგან დაიცალოს და ბეწვი არ გაუფუჭდეს. როდესაც ნადირობა დასრულდება, ნანადირევს მონადირეთა სახლის წინ, მინდორზე გაშლიან და მათ მონკავშირის თავმჯდომარე დაითვლის. შემდეგ ჩამოთვლიან, ვინ რა და რამდენი ცხოველი მოკლა, მაგრამ მიუხედავად იმისა, იმ დღეს შენ რაიმე მონადირე თუ არა, შინ ხელცარიელი არ წახვალ, ნანადირევი ყველაზე ნაწილდება. როდესაც სანადიროდ მე წამიყვანეს, უამრავი კურდღელი და 2 შველი მოვკალით. კურდღელი განაწილდა ყველა მონადირეზე, შველი კი მონადირეთა სახლში არსებულ სამზარეულოში მივიტანეთ, სადაც მზარეულებმა სხვადასხვაგვარი კერძი მოამზადეს და

კარგად მოვილხინეთ.

— თქვენ თუ გქონდათ მონადირის მოწმობა?

— მე, როგორც სტუმარს და ნადირობის მოყვარულს, უფლება მომცეს, მათთან ერთად მენადირა და ამით დიდი

ეს ტახი ლენქორანის ტყეში მოვკალი

პატივი დამდეს. როცა საქმეში გამომცადეს, მას შემდეგ სანადიროდ სულ მეპატიჟებოდნენ... რაც შეეხება თევზაობას... იქ განსაზღვრულია, ამა თუ იმ მდინარეზე რამხელა თევზის დაჭერაა შესაძლებელი. ამიტომ, მეთევზეები დაატარებენ ე.წ. მეტრიანს და თუ საეჭვო სიგრძის თევზს დაიჭერენ, მას აუცილებლად გაზომავენ. კატეგორიულად აკრძალულია მდინარეში ავტომობილის გარეცხვა, რადგანაც ადვილი შესაძლებელია, მანქანიდან წყალში ზეთი ჩაიღვაროს და თევზი დაავადდეს...

— ახლა არ მითხრათ, რომ თევზებს და ცხოველებს კვებავენ კიდეც.

— გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ერთხელ, მე და ჩემი მეგობარი, მილან მლადეკი სათევზაოდ წავედით. მე კმაყოფილი ვიყავი თევზების რაოდენობით, ის კი ბრაზობდა, — ცოტაა. როცა თევზაობას მოვრჩით, მილანი სოფლის საბჭოში წავიდა და იკითხა: თევზს საჭმელი როდის ჩაუყარეთო? როცა ჩემს სახეზე გაოცება შენიშნა, ამიხსნა, რომ თევზს არათუ ტბაში, არამედ გამდინარე წყალშიც კი უყრიან საკვებს. როცა საბჭოს შენობას მოვცილდით, მლადეკმა მითხრა: „დურაკი“ ვარ, ვიდრე სათევზაოდ წამოვიდოდით, რატომ არ დავრეკე და არ ვიკითხე, საჭმელი როდის ჩაუყარეს? საკვები თუ ჰქონდათ, ჩვენს სატყუარას როგორღა მიეკარებოდნენო?!

— თქვენთან სტუმრად ხშირად ჩამოდიან უცხოელები. ისინი სანადიროდ არ მიგყავთ ხოლმე?

— ერთხელ ჩვენთან ჩამოვიდა ბრნოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის რექტორი ვლადიმირ მედუნა და პრორექტორი ვლადიმირ ენენკლი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მაშინდელ რექტორს, იოსებ ბუაჩიძეს ვუთხარი, რომ ენენკლის ნადირობა ძალიან უყვარდა და მან დაურეკა ყაზბეგის რაიკომის მდივანს, რომელსაც სთხოვა: საპატიო სტუმრები ჩამოდიან ჩეხოსლოვაკიიდან და თქვენ გესტუმრებით, ჯიხვზე სანადიროდ. თან, გაეხუმრა: თუ ჯიხვს არ მოაკვლევინებთ, ყაზბეგიდან ჩამოსულ სტუდენტებს ინსტიტუტში სწავლის უფლებას აღარ მივცემთ და უკან, სახლებში გავბრუნებთო... ყაზბეგში ჩასულებს არაჩვეულებრივად შეგვხვდნენ. ყველა მონადირემ იცის, რომ ჯიხვის მოკვლა იოლი საქმე არაა. ამიტომაც, იქაურმა მონადირეებმა იცუღლუტეს — შინაური თხა გაუშვეს მთაში და როცა ფერდობზე ვიდექით, ის ენენკლის დაანახვეს: აი, ბატონო, ჯიხვი და ესროლეთო. ენენკლიმ დაუმიზნა, გაისროლა და მოკლა. იქ ასვლა ცოტა რთული იყო და ყაზბეგელებს თავი ქუდში ჰქონდათ — მათ პატივი დაგვდეს და თავად ჩამოიტანეს „ჯიხვი“, რომელსაც თავი არ ჰქონდა. ჩეხებს გაუკვირდათ, თავი სადააო? ქართველები არ დაიბნენ და უპასუხეს: იცით, საქართველოში ასეთი ტრადიცია გვაქვს, ნანადირევს თავი ადგილზე უნდა მოაჭრა და დატოვოო. ძნელი სათქმელია, ენენკლიმ ეს დაიჯერა თუ არა, მაგრამ სტუმარი იყო და ზედმეტი კითხვების დასმისგან თავი შეიკავა. „ჯიხვი“ შევწვით, ვივახშმეთ.

— თქვენც დაიჯერეთ, რომ ჯიხვის ხორცს მიირთმევდით?

— არა, დაახლოებით ვიცოდი, რაც მოხდა (*იცინის*). ვახშმის შემდეგ რაიკომის მდივანს ყველა ყაზბეგელი შეუკრებია და უთქვამს: ვინც კი მონადირეა და თოფის სროლა იცის, ყველანი სანადიროდ წადით; იცოდეთ, ხვალ დილით ერთ ჯიხვს მაინც თუ არ მოიყვანთ ან მოიტანთ, ცოცხალი ვერ გადამირჩებითო! მართლაც, მეორე დილით იმ სახლის ჭიშკართან, სადაც ჩვენ მოვისვენეთ, ახალმოკლული ჯიხვი დაგხვდა. ენენკლიმ იკითხა: გამიხარდა, ნანადირევი რომ მოგვართვით, მაგრამ ეს რა გიქნიათ, თავიანად რატომ მოიტანეთო? უთხრეს: თქვენ იმდენად პატივსაცემი სტუმარი ხართ, რომ მთიელებმა წესი დავარღვიეთ და თავიანად მოგართვითო... რამდენიმე ხნის შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში მომიხდა წასვლა. ენენკლიმ ჩემ წინაშე თავი მოვალედ იგრძნო და მითხრა: კარლო, ნებართვა ავიღე და სანადიროდ წავიდეთო. მან წამოიღო ბუკი, ირმის მოსატყუებლად და როცა საყვირს ჩაჰბერა, შორიდან მოგვესმა ცხოველის გამოძახილი. გაგვიხარდა, ირემი ასე მალე რომ აღმოვაჩინეთ. ის სულ უფრო გვიახლოვდება და როცა ენენკლიმ მითხრა: კარლო, მოემზადე, დაუმიზნე... დავინახე მონადირე, რომელსაც ხელში ბუკი ეჭირა. თურმე, ერთმანეთს ვეძახდით და კიდევ კარგი, ერთურთი დროზე შევნიშნეთ (*იცინის*)... სხვათა შორის, მაშინ ჩემი მეუღლეც თან მახლდა და მან ითხოვა ნებართვა, — თუ შეიძლება, ირმის ხორცისგან ქართულ კერძს მოვამზადებო. რა თქმა უნდა, მას უარი ვერ შეჰკადრეს. ჩეხებს ირმის ჯიგრისგან მომზადებული ყაურმა ისე მოეწონათ, ლამის გადაირივნენ და რეცეპტი სასწრაფოდ ჩაიწერეს. მწვადის შეწვაც არ იცოდნენ და გადავწყვიტე, ეს კერძიც მომემზადებინა. მათ ვთხოვე, — თუ შეიძლება, ამ ხეს ტოტს მოვაჭრი-მეთქი. გაიკვირვეს: რად გინდაო? ვუთხარი: ჩემს მანქანას ბენზინის გასაზომი გაუფუჭდა და ავზში უნდა ჩავყო, რათა შევამოწმო, საწვავი კიდევ მაქვს თუ არა-მეთქი. დაიწყეს სიცილი. როცა რამდენიმე შამფური გამოვთალე, მერე ხორცის ნაჭრების აღების ნებართვა ვითხოვე. უარი არ უთქვამთ. მალე მწვადის შეწვა დავიწყე. 5 წუთში ისეთი სუნი აუშვა, რომ ყველამ ჩემთან მოიყარა თავი. მწვადი ძალიან მოეწონათ...

— რას ურჩევთ ნადირობისა და თევზაობის ქართველ მოყვარულებს?

— აბსოლუტურად ყველას ვურჩევ, თევზაობას და ნადირობას მიჰყოს ხელი, დაიცვას დისციპლინა, წესები ნადირობის დროს. ვისაც როდის უნდა და რამდენიც უნდა, იმდენს რომ კლავს, ეს უსამართლობაა და ასეთი ადამიანები უნდა დაისაჯონ! სწორედ ჩვენი დაუდევრობის ბრალია, ტყეში ჩიტის ხმას რომ ვეღარ გაიგონებ. ჩვენ უწესოდ ვექცევით ბუნებას, და მალე, შედეგსაც მოვიმკით. ■

თევზაობისას რადიკალურად ვიცვლები — თითოეული თევზის დაჭერას ისე ველოდები, ქვეყანა რომ დაინგრეს, ვერაფერს გავიგებ...

აიკიდო — სულის ჰარმონიისკენ მიმავალი გზა

„აიკიდოში“ პირველი იეროგლიფი — „აი“ „ჰარმონიას“ ნიშნავს; „კი“ — „სულს“, „ენერგიას“; „დო“ — „გზას“, „მეთოდს“. გამოდის, რომ აიკიდო სულის ჰარმონიისკენ მიმავალი გზაა. საბრძოლო ხელოვნებებს შორის, აიკიდოს ყველაზე რთულ სახეობად მიიჩნევენ. ის სხვადასხვა იარაღისგან თავდაცვის ილეთებს შეიცავს და ამავდროულად, ყველაზე ეთიკურ და „რბილ“ ორთაბრძოლად მიიჩნევა.

ზურაბ გავარდაშვილი (მარცხნივ)
ულფი ევენაასი (შუამი)

მარი ჯაფარიძე

რით განსხვავდება აიკიდო სხვა ორთაბრძოლებისგან? აიკიდო აგრესორს კი არა, აგრესიას ებრძვის და უგუნურ ადამიანს ყოველთვის ინდობს. მასში არ არის თავდასხმისთვის განკუთვნილი ილეთები. ტექნიკურ არსენალში შედის მიტაცება, ბრძოლის ხაზიდან გასვლა და დარტყმის რამდენიმე ილეთი, რომელსაც ძირითადად, იმიტაციური ხასიათი აქვს და თავდამსხმელის ყურადღების გაფანტვაზეა გათვლილი. აიკიდოს ოსტატი თავდამსხმელის ენერგიას იყენებს და მას არასახარბიელო სიტუაციაში აყენებს, თავდასხმის გაგრძელების საშუალებას უსპობს.

როგორც აიკიდოს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, უეშიბამ თქვა, მისი გამოყენება 3 შემთხვევაში შეიძლება: „როცა შენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, როცა საფრთხე სხვის სიცოცხლეს ემუქრება და როდესაც ადამიანთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი საზოგადოებაში აგრესიული ქმედებით გამოირჩევა და დანარჩენებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ამ სამ სიტუაციაშიც კი, კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს. მშვიდობა, ჰარმონია და სიყვარული — უპირველეს ყოვლისა“.



პაატა ჯავახიშვილი (მარჯვნივ)

ზურაბ გავარდაშვილი,
საქართველოს აიკიდოს ფედერაციის პრეზიდენტი:

— საქართველოში პირველად გასული საუკუნის 90-იან წლებში დავიწყეთ აიკიდოს კლუბის ჩამოყალიბება. მაშინ შეკრებებსა და სემინარებზე რუსეთში, კერძოდ — ლენინგრადში დავდიოდით და წელიწადში სამჯერ მაინც გვიწევდა იქ ჩასვლა. პირადად მე, პირველ და მეორე დანზე გამოცდა ლენინგრადში ჩავაბარე.

— დანის მინიჭება გამოცდის საშუალებით ხდება?

— დიახ, მაგრამ მანამდე, საკმაოდ დიდი გზაა გასავლელი, ამისთვის თავდაუზოგავი შრომა და ვარჯიშია საჭირო.

— აიკიდოში ყველაზე დიდი საფეხური რა არის?

— მეათე დანი ყველაზე მაღალი საფეხურია, ტექნიკური ბაზა კი მეოთხე დანამდეა. მე ახლა მესამე დანი მაქვს და სრულყოფილი ტექნიკური ბაზის ათვისებამდე 1 საფეხური მაკლია. მეექვსე დანის შემდეგ ოსტატს შიხანის (იგივეა, რაც მაღალ საფეხურზე მდგომი მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია, ტექნიკურ ბაზაში ცვლილებები შეიტანოს) წოდება ენიჭება. ჩვენ ჩამოვიყვანეთ შვედი შიხანი, ულფი ავენაასი, რომელმაც თბილისში სემინარები და გამოცდა ჩაატარა. ულფი გახლავთ დიდი სენსეის, საიტო მოროხიროს მოსწავლე, თავად საიტო კი აიკიდოს დამფუძნებლის, მორიხეი უეშიბას უჩიდეში გახლდათ.

— „უჩიდეში“ რას ნიშნავს?

— უჩიდეშს ეძახიან მოსწავლეს, რომელიც მასწავლებელთან ცხოვრობს. უეშიბა და საიტო 20 წლის განმავლობაში, ივამაში (ქალაქია იაპონიაში) ერთად ცხოვრობდნენ. აიკიდოში იარაღით მუშაობა მორიხირო საიტოს შექმნილია — მან ახალი მიმართულება და სტილი — ტაკემუსუ აიკი ჩამოაყალიბა. სოტოდეში გახლავთ ჩვეულებრივი, „გარე“ მოსწავლე. ერთ მასწავლებელს შესაძლოა, ჰყავდეს 1000 სოტოდეში და რამდენიმე უჩიდეში. ულფმა უჩიდეშობა შემომთავაზა და ეს ჩემთვის დიდი პატივია. ფაქტობრივად, თავის ოჯახში მიმიპატიჟა. ეს ადამიანი თბილისში პირველად 2 წლის წინ ჩამოვიყვანეთ. მაშინ პირველი დანი ათმა აიკიდოკამ (აიკიდოში მოვარჯიშე) ჩააბარა, მეორე დანი — ორმა, მე კი მესამე დანი მივიღე. კარატე საქართველოში 70-იანი წლებიდან გახდა პოპულარული და ჩვენთან მეექვსე დანის მფლობელებიც არიან, აიკიდოში კი ყველაზე მაღალი, ჯერჯერობით, მესამე დანია.

— დანის მინიჭება მხოლოდ შიხანს შეუძლია?

— დიახ, მხოლოდ შიხანთან ჩაბარებული გამოცდის საშუალებითაა შესაძლებელი შედარებით მაღალ საფეხურზე გადასვლა, შემდეგ მონაცემები იგზავნება იაპონიაში და შესაბამისი სერტიფიკატიც გაიცემა. ჩვენ რეგისტრაციას გავდივართ ცენტრალურ ბაზაში და გვაქვს „დანწიგნაკი“, სადაც აღნიშნულია, რომელ სემინარებში მიგვიღია მონაწილეობა, როდის რომელ დანზე ჩავაბარეთ გამოცდა. შიხანი ამას ბეჭდით ადასტურებს. იმისათვის, რომ შემდეგ საფეხურზე გადახვიდე, გარკვეული რაოდენობის მაღალი დონის სემინარში უნდა გქონდეს მონაწილეობა მიღებული, მაგრამ რადგანაც საქართველოდან სხვა ქვეყნებში წასვლა-წამოსვლა სხვადასხვა მიზეზის გამო ძალიან ძნელია, ულფმა ჩვენს შემთხვევაში ამაზე თვალი დახუჭა. ის კი არა და, ულფი ჩვენთან ჩამოსვლაში დაწესებული ჰონორარის ნახევარს იღებს.

— ეს „ნახევარი“ რამდენია?

— 500 ევრო. რა თქმა უნდა, გზისა და სასტუმროს ხარჯს საკუთარ თავზე ვიღებთ. 2002 წელს საქართველოდან კმაყოფილი წავიდა და ამიტომაც, ახლა უპრობლემოდ დაგვთანხმდა ხელახალ ვიზიტზე. დავგეგმეთ, რომ გაისად ბაკური-

ანში ზამთრის სემინარები ჩავატაროთ, მსოფლიოს მასშტაბის. ულფმა ბაკურიანში ნახა ბაზა, სადაც სემინარების ჩატარებას ვაპირებთ და გვითხრა, ჩემი რეკომენდაციით 50-60 კაცი ჩამოვაო. არაა გამორიცხული, რომ იაპონიიდანაც გვესტუმრონ. ევროპასა და აზიაში ამ სფეროში სწორედ ულფი გახლავთ კურატორი. ეს საერთაშორისო სემინარი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან გამოცდილებას შევიძენთ და საქართველოს სახელსაც გავუთქვამთ, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩვენს ქვეყანაში სტაბილური სიტუაცია იქნება. ულფს ძალიან მოსწონს ჩვენი სამზარეულო და სუფრის ადათ-წესები. პირველ ჩამოსვლაზე ვერ გააკონტროლა თავი, ჭამა-სმაში აგვყვა და აქედან რომ წავიდა, ცუდად იყო — ნიგვზიანმა კერძებმა აწყინა. მას ძალიან მოსწონს ქართული ღვინო. ქვევრიდან ამოღებული, ჩემი დაწურული ღვინო რომ გასინჯა, აღფრთოვანდა.

— თბილისში აიკიდოთი დაინტერესებული ბევრი ადამიანია?

— დედაქალაქში 10 კლუბი და 4 დარბაზი გვაქვს. ულფს გაუკვირდა კიდეც და იკითხა: ამდენი როგორ მოახერხეთო?! კლუბები გვაქვს ფოთსა და ბათუმშიც.

— ამჯერად, რამდენმა ადამიანმა ჩააბარა ულფთან გამოცდა?

— 2 მეორე და 3 პირველი დანი გვყავდნენ წარდგენილი. პირველი ვიზიტისას ულფმა საკმაოდ შეღავათიანად ჩაიბარა გამოცდა და ბევრ რამეზე დახუჭა თვალი. იმედი გვქონდა, ამჯერადაც ასე მოხდებოდა, მაგრამ სიმკაცრე გამოიჩინა და ორმა აიკიდოკამ პირველ დანზე ვერ ჩააბარა. მეორე დანი ლაშა თვალაბეიშვილს და პაატა ჯავახიშვილს (ის დიდი ივანე ჯავახიშვილის შვილთაშვილი გახლავთ) მიენიჭა. ჩვენთან ვარჯიშობს ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, გიგი თევზაძეც. მასაც პირველი დანი აქვს.



მორიხეი უეშიბა

ულფი ევენაასი, *შვედი შიხანი:*

— ბატონო ულფ, როგორ მოგწონთ საქართველო?

— ძალიან მომწონს. ქართველები სტუმართმოყვარე ხალხი ხართ. განსაკუთრებით მომწონს „თამადის ინსტიტუტი“. სხვათა შორის, ჩემს ქვეყანაში, ახლობლების წრეში, სუფრასთან უკვე შემოვიღე თამადობა და სადღეგრძელოების თქმაც.

— თქვენ ბიოგრაფიიდან ყველაზე მნიშვნელოვანს რას გაიხსენებთ?

— ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემს მასწავლებელთან, საიტო მოროხიროსთან შეხვედრა იყო. მიხარია, რომ მასთან მეცადინეობის საშუალება მქონდა.

— რა არის საჭირო ამ სფეროში წარმატების მისაღწევად?

— ბევრი ნიუანსია, მაგრამ პირველ რიგში, მონდომებაა საჭირო; უნდა ივარჯიშო სტაბილურად და იმუშაო თავდაუზოგავად. უნდა აღვნიშნო, რომ აიკიდო ფიზიკური და გონებრივი მუშაობის შერწყმა გახლავთ.

— რამდენი წლის იყავით, როცა აიკიდოთი დაინტერესდით?

— 19 წლის ვიყავი, როდესაც კარატემ გამიტაცა, 23 წლის ასაკში კი აიკიდომ ჩამითრია.

— რატომ გააკეთეთ არჩევანი აიკიდოს სასარგებლოდ?

— თავიდან, როცა კარატეს ვეუფლებოდი, ის ძლიერ ფიზიკურ მზაობას მოითხოვდა და ვარჯიშს ბევრი დროც მიჰქონდა. მოვძებნე ორთაბრძოლის ისეთი სახეობა, რომელიც დროს გამომითავისუფლებდა. დავიწყე აიკიდოს შესახებ წიგნების კითხვა და ვნახე პატარა ჯგუფი, რომელიც აიკიდოში ვარჯიშობდა.

— რა პერიოდი დაგჭირდათ მაქსიმალური შედეგის მისაღწევად?

— ამისთვის 41 წელი დამჭირდა, მაგრამ უმაღლეს საფეხურს ჯერ კიდევ ვერ მივაღწიე.

— თუ იცით, დაახლოებით, რამდენი შიხანია მსოფლიო მასშტაბით?

— „შიხანი“ ნიშნავს მასწავლებელს და ეს უმაღლესი ტიტულია. თუ იაპონიას არ ჩავთვლით, მსოფლიოში სულ 10-15 შიხანია, აიკიდოში კი 1600000 ადამიანია ჩაბმული.

— ყველა პროფესიაში არსებობს შუღლი, კონკურენცია და ბრძოლა კოლეგებს შორის. ამ მხრივ რა ხდება აიკიდოში?

— მსგავსი რაღაცეები ჩვენთანაც ხდება. მასწავლებლები ცდილობენ, პოპულარულები გახდნენ და ამისთვის სხვადასხვა მიუღებელ ხერხს მიმართავენ. ვინც ამას ცდილობს, ის უკვე აღარაა პროფესიონალი და ზოგჯერ, ასეთი პედაგოგების დისკვალიფიკაციაც ხდება ხოლმე.

საიტო
მორიხირო

— ამა თუ იმ პედაგოგის დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილებას ვინ იღებს?

— ეს მორალური საკითხია — როცა მასწავლებელი იგრძნობს, რომ ამ სამყაროში მისი ადგილი აღარაა, თავისით მიდის.

— საქართველოში, „ქართული“ აიკიდო რა მდგომარეობაშია?

— საქართველოში აიკიდო რომ განვითარდეს, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაა საჭირო. ამჯერად ჩავატარე სემინარები და გამოცდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წინა წლებთან შედარებით, დღევანდელი მომზადების ხარისხი გაცილებით მაღალია და ქართველებმა ჩემი მოლოდინი გაამართლეს. საქართველოს ფედერაცია სწორი გზით მიდის.

— რას გვეტყვით ქალ აიკიდოკებზე?

— აიკიდოთი საკმაოდ ბევრი ქალია დაინტერესებული. ჩემს დარბაზში 3 მასწავლებელი ქალია. ბევრი გოგონა მოდის სავარჯიშოდ, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ფორმას ვერ ინარჩუნებენ, თხოვდებიან, შვილებს აჩენენ და ხელი ეშლებათ; ბევრი მათგანი ფიზიკურ მომზადებას ვერ უძლებს, ზოგს ოჯახური პრობლემები აქვს და ა.შ.

— შეიძლება თუ არა, ქალი შიხანი იყოს?

— შესაძლოა, იაპონიაში იყოს, მაგრამ დასავლეთში — არა. ძალიან კარგი იქნებოდა, ქალი შიხანი რომ არსებობდეს.

— ერთი და იგივე დანის მფლობელ ქალსა და მამაკაცს ერთნაირი ფიზიკური მომზადება აქვთ?

— რა თქმა უნდა! აიკიდოს პრინციპია — ადამიანს იმაზე მეტი არ მოეთხოვება, ვიდრე შეუძლია. ქალი მამაკაცს არაფრით ჩამოუვარდება. როცა ქალი მამაკაცს კარგ ილეთს უტარებს, შესაძლოა, კაცს ეს არ მოეწონოს, მაგრამ უნდა შეეცადოს, აჯობოს. აიკიდოში ქალთან ჯენტლმენობას ვერ გამოიჩენ. ჯენტლმენობა დარბაზის გარეთ... ვინაიდან არსებობს კონკურენცია ქალსა და მამაკაცს შორის, ამიტომ თანასწორი ბრძოლა მიდის. აიკიდოში ქალი, კაცი, დიდი და პატარა არ არსებობს, ყველა თანასწორია.

— აიკიდო ორთაბრძოლაა და მაინც, თქვენ ამბობთ, რომ ის მშვიდობიანია...

— დიახ, ეს ნამდვილად ასეა! აიკიდო სხვის დაჩაგვრაზე არაა ორიენტირებული. თითოეული ჩვენგანის მიზანია, სხვაზე მაღლა დავდგეთ, უკეთესი ადამიანი გავხდეთ. ჩვენ ვასწავლით, რომ ძალა ძალის წინააღმდეგ არ გამოიყენონ. თუ ძალა გიპირისპირდება, უნდა შეერწყა მას და გაანეიტრალო; ძალას უნდა მიჰყვე, წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიო — ეს წესი უნდა გამოიყენო ოჯახში, სკოლაში, სამსახურში ურთიერთობისას... აიკიდოს უპირველესი მიზანია, სამყარო უკეთესობისკენ გარდაქმნას და ეს გარდაქმნა ადამიანიდან იწყება.

— დარბაზს გარეთ თუ გქონიათ ისეთი სიტუაცია, როცა თქვენ ცოდნისა და ოსტატობის გამოყენება დაგჭირდათ?

— ბევრჯერ. ადრე საკმაოდ სასტიკ და „დახურულ“ ციხეში ვმუშაობდი და საქმე მქონდა რეციდივისტებთან. მე იქ პატიმრების ფიზიკურ განვითარებასა და რეაბილიტაციაზე ვზრუნავდი და მაშინ აიკიდოს ილეთების გამოყენება, თუნდაც, გაქცეული პატიმრების წინააღმდეგაც ხშირად მიხდებოდა. 15 წლის წინ დავასრულე პატიმრებთან მუშაობა და ჩამოვაყალიბე კომპანია, რომელიც რისკმენეჯმენტსა და კრიზისების მენეჯმენტს შეისწავლის. აქ შინაგან, სულიერ კრიზისზეა ლაპარაკი და არა — ეკონომიკურზე. ეს უფრო ფსიქოლოგიური სამსახურია და ადამიანებს რთული სიტუაციიდან თავის დაღწევას ვასწავლით.

— რამდენი წლის ხართ?

— 62-ის.

— ისევ კარგ ფორმაში ხართ?

— რა თქმა უნდა! ასაკში ვარ, მაგრამ ერთდროულად რამდენიმე კაცის დამარცხება არ გამიჭირდება. ყოველდღე ვვარჯიშობ და ფორმას არ ვკარგავ.

პაატა ჯავახიშვილი, *აიკიდოში მეორე დანის მფლობელი:*

— აიკიდოთი 9 წლის წინ დავინტერესდი. ჩემი მეგობარი ვარჯიშობდა, მე კი დავცინოდი ხოლმე, მაგრამ მერე მეც გადავწყვიტე, მევარჯიშა. ახლა უკვე მეორე დანი მაქვს, ულფთან ჩავაბარე გამოცდა... რაც მეტად შედიხარ აიკიდოს „სიღრმეში“, ის უფრო საინტერესო გეჩვენება. თავიდან ყველას აქვს კრიტიკული მომენტი და თუ ამას გადალახავ, ცხოვრების ბოლომდე ვეღარ მოეშვება. როგორც წესი, როცა დარბაზში სავარჯიშოდ მოდიან, წარმოდგენა არა აქვთ, სად მოვიდნენ. აიკიდო ყველას სპორტის სახეობა ჰგონია, არადა, ეს ხელოვნებაა.

— დღეში რამდენი საათი ვარჯიშობთ?

— დაახლოებით, 4-5 საათი.

— ეს ფიზიკური დატვირთვაა?

— დიახ, მაგრამ შენზეა დამოკიდებული, ძალიან დაიტვირთები თუ არა.

— პროფესიით ვინ ხართ?

— აღმოსავლეთმცოდნე, არმენოლოგი ვარ და თარჯიმნად ვმუშაობ.

— შემდეგი საფეხურისთვის — მესამე დანისთვის როდიდან დაიწყებთ მზადებას?

— მეორე დანი მივიღე თუ არა, მესამე დანის მიღებაზე დავიწყე ფიქრი... გამოცდის წინადღეს ულფმა გვითხრა: არ ინერვიულოთ. ჩათვალეთ, რომ მე ვარ თქვენი მოსწავლე და თითოეული მოძრაობა ნელა, თანაც, საფუძვლიანად უნდა ამიხსნათო... პირველი დანიდან მეორეზე რომ გადახვიდე, ამას 2 წელი სჭირდება, მეორიდან მესამე საფეხურზე გადასასვლელად კი 3 წელია საჭირო.

— როგორც ჩანს, საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია...

— ერთი ასეთი იგავი არსებობს: მოსწავლე მიდის აიკიდოს ოსტატთან და ეკითხება, — ორთაბრძოლას რამდენ ხანში შემასწავლიო? — 10 წელი დაგჭირდებაო. მოსწავლეს ეჩქარებოდა და ჰკითხა: დღეში ორჯერ რომ ვივარჯიშოო? — მაშინ 20 წელი დაგჭირდებაო. — სამჯერ რომ ვივარჯიშოო? — მაშინ 30 წელიწადში შეისწავლიო. მოსწავლეს გაუკვირდა, — რატომო? — თვალი რამდენი გაქვსო? — ორიო. — თუ ორივე თვალით „აწმყოში იქნები“, გაცილებით მეტ შედეგს მიაღწევ, ვიდრე ცალი თვალით აწმყოში იყო და მეორით მომავალში იყურებოდეო. მოკლედ, აიკიდოს სიჩქარე არ უყვარს და თუ შედეგის მიღება გინდა, მზად უნდა იყო ხანგრძლივი შრომისთვის. ვარჯიში სიხარულს უნდა განიჭებდეს. ნაძალადევად თუ ვარჯიშობ, არაფერი გამოგივა. აიკიდოში საქმე მორევაზე არაა. მისი დანიშნულებაა, კონფლიქტის დროს ძალას ძალა კი არ დაუპირისპირო, არამედ — ჩაახშო იგი. ძალის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაშია შესაძლებელი. ■

ამბობენ, ქორწინება ზეცაში წყდებაო... ცოლქმრული ცხოვრება საკმაოდ რთულია, მაგრამ ერთმანეთის სიყვარული, ბავშვებზე ზრუნვა ამად ღირს. ცხადია, ხშირად გსმენიათ ვერცხლისა და ოქროს ქორწილის შესახებ. მაინც რას ნიშნავს ეს სახელწოდებები? ვფიქრობთ უინტერესო არ იქნება, გაგაცნოთ, თუ რას ფიქრობენ ამასთან დაკავშირებით ფრანგები.

ქაღალდის ქორწილი

ამ თარიღს ზეიმობენ დაქორწინების წლისთავზე. ამ პერიოდის საქორწინო ურთიერთობა თავისი თვისებებით ქაღალდს მოგვაგონებს — ძალზე იოლია მისი დახევა, დაჭმუჭნა, გაჭუჭყიანება და დაწვა. ცოლ-ქმრის ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან იწყება და მხოლოდ წყვილზეა დამოკიდებული, ფურცელზე რა დაიწერება. დროის ეს მონაკვეთი მათგან და მათი ახლობლებისგან განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს.

მუყაოს ქორწილი

2 წელი გავიდა. ცოლ-ქმრის ურთიერთობა უფრო გამყარდა, ვიდრე — ერთი წლის წინ. ის უკვე აღარ წაგავს ქაღალდს, მაგრამ მუყაოს უარყოფითი თვისებები მაინც აქვს — ადვილად ისვრება, იწვის.

ჩითის ქორწილი

3 წელი შესრულდა. ქორწინება ჩითს დაემსგავსა — ჯერჯერობით არც ისე ძვირად ღირებულია, მაგრამ გიცავთ და გათბობთ. იგი რბილია, კარგად ირეცხება, უთოვდება. თუმცა ამავდროულად, ამ პერიოდში ქორწინება ჩითის მსგავსად იხევა და იხრწნება.

ხის ქორწილი

ამ თარიღს ზეიმობენ ქორწინების მე-5 წლისთავზე. ამ პერიოდში ქორწინება ხის მსგავსად იკრეს ძალას და მის ჩრდილქვეშ შეგიძლიათ დაისვენოთ, სიცხეს მოერიდოთ და ფოთლების შრიალში ჩაიძინოთ. ქორწინება ისევე, როგორც როგორც ხე, ნაყოფს ისხამს, მაგრამ ხის დარად, შესაძლოა, სუსტი და არამდგრადი აღმოჩნდეს, ვინაიდან ხე ავადდება, იხრწნება და წამიერად იწვის.

შალის ქორწილი

7 წლისთავზე ცოლ-ქმრის ურთიერთობა თბილი და კომფორტულია. ბავშვებიც წამოიზარდნენ. თითქოს ყველაფერი კარგადაა, თუმცა ზოგჯერ იგრძნობა, როგორ იჩხვლიტება შალის ქსოვილი და კიდევ... შალი ძალიან უყვარს ჩრჩილს. რატომღაც ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ ოჯახური ცხოვრებისთვის მეშვიდე წელი განსაკუთრებით სახიფათოა.

კალის ქორწილი

10 წელი — ამ წლების განმავლობაში ცოლქმრული ურთიერთობა მეტალის თვისებებს იძენს: ჯერჯერობით ის —

ცოლ-ქმრული ურთიერთობის ეტაპები



არც ისე მყარი, კალასავით რბილი და დრეკადია. ასევე ცოლ-ქმრის ურთიერთობაც რბილი, დამთმობი, მიმტევებლურია... მაგრამ კალა ძალიან მგძნობიარეა დაბალი ტემპერატურის მიმართ და თუკი მას „კალის ჭირი“ შეეყარა — კატასტროფა გარდაუვალია.

ბროლის ქორწილი

მისი რიგი მე-15 წელს დგება. ეს პერიოდი ბევრ საფრთხეს მოიცავს. ქორწინება ბროლივით მყარი და ლამაზია, მაგრამ სიფრთხილე გამოიჩინეთ: ბროლი ხომ მსხვრევადია, იოლად ტყდება და მას სათუთად უნდა მოეპყრათ.

ფაიფურის ქორწილი

ამ თარიღს ოჯახური წყვილი 20 წლის შემდეგ აღნიშნავს. ამ პერიოდში ქორწინება, ფაიფურის მსგავსად, მყიფეა და სათუთ მოვლას საჭიროებს.

ვერცხლის ქორწილი

25 წელი მართლაც რომ ღირშესანიშნავი თარიღია, რაც ოჯახის სიმტკიცეზე მეტყველებს. იგი ისეთივე ლამაზია, როგორიც ძველებური ვერცხლი და ძალზე უხდება ცოლ-ქმრის უკვე შევერცხლილ თმას.

მარგალიტის ქორწილი

აღნიშნავენ ქორწინების 30-ე წელს. ოჯახური ცხოვრება ბუნებრივ მარგალიტს ჰგავს. ქორწინებას მარგალიტის მსგავსად უნდა გაუფრთხილდეთ, რათა მან სილამაზე შეინარჩუნოს.

ლალის ქორწილი

40 წელი ლალის ქორწილის თარიღია. ცოლ-ქმრის ურთიერთობა უკვე თითქოს სისხლით გაერთიანდა: ლალი — სისხლისფერია. ქორწინება ლალივით მყარია და ყველა გამოცდას უძლებს.

ოქროს ქორწილი

50 წელი — ერთად. მართლაც რომ არაჩვეულებრივი თარიღია. ცოლქმრული ურთიერთობა მოქნილი და მყარია. მას ისევე არ ემუქრება კოროზია, როგორც სამეფო მეტალისგან დამზადებულ ნივთებს.

პლატინის ქორწილი

ნაკლებად ცნობილი თარიღია და მას ოჯახის შექმნიდან მე-60 წლისთავზე ზეიმობენ. ცოლ-ქმრის ურთიერთობას პლატინის თვისებები აქვს — მყარი, მძიმე და ცეცხლგამძლეა.

ბრილიანტის ქორწილი

ამ თარიღს ის ბედნიერი წყვილი ზეიმობს, ვინც ერთად 70 წელი იცხოვრა და ყველაფერს ბრილიანტის სიმტკიცით გაუძლო. ასეთი ქორწილი ისეთსავე იშვიათობას წარმოადგენს, როგორსაც მსხვილი, ბუნებრივი ალმასი.

მუხის ქორწილი

ცოლქმრული ურთიერთობის 80 წელი შესრულდა. იგი ბებერი, ძარღვიანი მუხის მსგავსია, რომლისგანაც ალბათ, მათ უკანასკნელ სასახლეს დაამზადებენ. სხვათა შორის, პორტუგალიის ერთ-ერთ პროვინციაში მცხოვრები მომავალი ცოლ-ქმარი, ერთსა და იმავე დღეს — 1801 წლის 1-ელ იანვარს დაიბადა. მათ ბედნიერად გაატარეს მთელი ცხოვრება და ორივენი 1899 წლის 31 დეკემბერს გარდაიცვალნენ.

■

10 წამი სტრესთან გასამკლავებლად

ბოლო პერიოდში სიტყვა „სტრესი“ მყარად დამკვიდრდა ჩვენს ყოველდღიურობაში. როგორ მოვერიოთ მას? გთავაზობთ სტრესის დასაძლევ რამდენიმე მარტივ და ეფექტიან საშუალებას.

მიირთვით თხილი და ნიგოზი

ფუნთუშა და ყავა თხილითა და ნიგვზით შეცვალეთ. მათში ხომ უამრავი საკვები ნივთიერებაა, რომელიც სეროტონინის გამომუშავებაში მონაწილეობს. თხილი და ნიგოზი შეიცავს E ვიტამინს, ანტიოქსიდანტებს, რომლებიც სტრესის დაძლევაში დაგეხმარებათ.

ამოისუნთქეთ

ღრმად ამოისუნთქეთ; თუკი ხელთ გაქვთ რომელიმე ეთერზეთი, შეისუნთქეთ და პრობლემებს სულ სხვა თვალით შეხედავთ. შედეგიც არ დააყოვნებს.

დაიზილეთ ყურის ბიბილოები

ყურის ბიბილოებზე კონცენტრირებულია უამრავი აკუპუნქტურული წერტილი. ამგვარად თქვენ დადებით ზეგავლენას მოახდენთ სხვადასხვა ორგანოზე. საამისოდ რთული ტექნიკის გამოყენება არ მოგიწევთ: მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითით, წრიული მოძრაობით დაიზილეთ ჯერ მარჯვენა, მერე კი — მარცხენა ყურის ბიბილო.

დალიეთ ჩაი

შავი ჩაის შემადგენლობაში არის ნივთიერება, რომელიც ორგანიზმს სტრესის დაძლევაში ეხმარება.

მიიღეთ C ვიტამინი

C ვიტამინი ადამიანის სისხლში დაბლა სწევს სტრესის ჰორმონებს, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ დიდი დოზით C ვიტამინის მიღებამ შესაძლოა, ალერგია გამოიწვოს.

მიირთვით მოცვი

მოცვი საოცარი თვისებების მატარებელია: დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე და არა მხოლოდ სტრესულ სიტუაციაში; სასარგებლოა თვალებისა და ტვინისათვის. მოცვი შეგიძლიათ შეცვალოთ მაყვლით ან ჟოლოთი.

დაჭიმეთ სხეული

აღმოჩნდა, რომ გაჭიმვა სტრესისგან გაგათავისუფლებთ და ამისთვის სპორტდარბაზში სიარული სულაც არ არის საჭირო. შეგიძლიათ, მარტივი სავარჯიშო თავადვე შეასრულოთ: ფეხის წვერები აიცილეთ იატაკს, შეძლებისდაგვარად აპრიხეთ და გაიჭიმეთ ისე, რომ ხელები და ფეხის წვერები დაგეძაბოთ.

საკუთარ თავს გვერდიდან შეხედეთ

შეეცადეთ, არსებულ სიტუაციას უცხო თვალით შეხედოთ. ეს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ.

გაიცინეთ

რაც შეიძლება ხმამაღლა გაიცინეთ! სიცილი — სტრესის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა.

■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ტორტილა მექსიკური ლავაშია.
2. ტეკილას აგავისგან ამზადებენ.
3. ლუიზიანის გერბზე ყარყატია გამოსახული.
4. ტარას ბულბა პოლონელებმა ცოცხლად დაწვეს.
5. „პიროლატრია“ და „ცეცხლთაყვანისმცემლობა“ სინონიმებია.
6. 1923 წელს ტოკიოში მიწისძვრამ 100 ათასი ადამიანი დამარხა.
7. ეთიოპია ყავის სამშობლოა. ეთიოპიის მთებში ახლაც იზრდება ველური ყავა.
8. ფაშისტური გერმანიისთვის ნავთობის უმთავრესი წყარო რუმინეთის საბადოები იყო.
9. „სულისმეტყველება“ — ასეა განმარტებული დალის ლექსიკონში სიტყვა „ფსიქოლოგია“.
10. ხვლიკ გეკონს ქუთუთოები არა აქვს, ამიტომ განუწყვეტლივ, ენით ისუფთავებს თვალებს.
11. დიეგო ველასკესის საფლავის ქვაზე ამოტვიფრულია ეპიტაფია — „ჭეშმარიტების ფერმწერს“.
12. დიდ ბრიტანეთში ყოველ მეორე ოჯახს ჰყავს შინაური ცხოველი. მათი შენახვა ინგლისელებს 517 მილიონი გირვანქა სტერლინგი უჯდებათ.
13. ლიხტენშტეინის დედაქალაქი ვადუცი პატარა, ლამაზ სოფელს ჰგავს. მისი მოსახლეობა 5 ათას ადამიანს არ აღემატება.
14. 1928 წლის 6 იანვარს, ლონდონში, ადიდებულმა ტემზამ მთელი უესტსაიდი დატბორა, წყლით გაივსო პარლამენტისა და „ბიგ ბენის“ ქვედა სართულები.
15. სოფი ლორენი პირველი მსახიობი გახლდათ, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო ფილმისთვის, რომელიც ინგლისურ ენაზე არ იყო გადაღებული.

16. ადრეულ საბჭოთა პერიოდში გამოცემულ დასურათებულ ანბანში ასო „ლ“-ზე ლენინის, ხოლო ასო „ტ“-ზე — ტროცკის პორტრეტი ეხატა.
17. „მთელ მსოფლიოში არ ვიცი, მაგრამ დიდ თეატრში 800-ჯერ ვიცეკვე ჩაიკოვსკის „გედების ტბა“, — იხსენებს მაია პლისეცკაია.
18. ემელიანე პუგაჩოვი უწიგნური იყო. ის რაღაც ნიშნებს ჯღაბნიდა და თანამებრძოლებთან თვალთმაქცობდა, ლათინურად ვწერო.

კომპაქტური „ჰონდა“

„მომავალი თაობის მოდელი Honda Civic, რომლის დებიუტიც ერთი ან ორი წლის შემდეგ შედგება, უფრო კომპაქტური და უჩვეულო დიზაინით იქნება გამორჩეული“, — განაცხადა „ჰონდას“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ცუნეო ტანაიმ. მისივე თქმით, თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ახალი Civic წინამორბედზე მსხვილი და ძვირად ღირებული იქნებოდა, მაგრამ ნავთობპროდუქტების, ლითონისა და სხვა ნედლეულის ფასის ანალიზის შემდეგ, კომპანიის ხელმძღვანელობამ პროექტის შეცვლა გადაწყვიტა და ის უფრო კომპაქტური, მსუბუქი, ეკონომიური იქნება. ამასთან, Honda Civic-ის ახალი პლატფორმა თავდაპირველად, ჰიბრიდული აგრეგატის გამოყენებაზე უნდა იყოს ადაპტირებული. შეგახსენებთ, Civic-ის პლატფორმას კომპანია „ჰონდა“ ფართოდ გამოიყენებს. მის საფუძველზე აიგო კროსოვერები — CR-V და HR-V, აგრეთვე მინივენი Stream და კომპაქტური FR-V. ამჟამინდელი Civic-ის ძარა სამი ტიპით გამოდის. ესენია, რუსეთში წარმოდგენილი ჰეჩბეკი, სედანი და კუპე, რომელიც აშშ-ში იყიდება. ■

„ფიატის“ სიახლე

„ფიატი“ ოფიციალური დებიუტისთვის Doblo-ს მომზადებას ასრულებს. ახალი მანქანის გამოშვება უახლოეს მომავალში, თურქეთში მდებარე „ფიატის“ საწარმოში დაიწყება. სიახლეს ოდნავ დაგრძელებული ბორბლების ბაზა და ძარას ახალი დიზაინი ექნება, წინიდან ახალი ფარები და რადიატორის ცხაური მიიქცევს ყურადღებას, ხოლო უკანა კარი ნახევრად შუშით იქნება დაფარული. ჯერჯერობით გაურკვეველია, ტექნიკური თვალსაზრისით რა ცვლილებებს განიცდის Fiat Doblo. ზოგიერთი მონაცემით, მას მოტორების დამოუკიდებელი ხაზი, მათ შორის, Multiair-ს ახალი სერიის 1,4-ლიტრიანი ძრავები ექნება. ■

ჩინური სერიული ლიმუზინი

ჩინეთში ლიმუზინის — Hongqi — სერიულ წარმოებას დაიწყებენ, რომლის დასახელებაც ქართულად ასე ჟღერს — „წითელი დროშა“. სიახლე დაახლოებით, 4 მილიონი იუანი (586 ათასი აშშ დოლარი) ეღირება. კომპანია FAW-ის წარმომადგენელთა თქმით, ასეთი ავტომობილის შემუშავებისთვის დაახლოებით, 2 წელიწადი დასჭირდათ. პირველი 17 მანქანა ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ააწყვეს, ხოლო 7 მათგანი ჩინეთის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ აღლუმში მონაწილეობდა. მანქანის სიგრძე 6,4 მეტრია, ხოლო მისი მასა 4,5 ტონას აჭარბებს. ავტომობილი მოძრაობაში მოჰყავს 12-ცილინდრიან მოტორს, რომელიც ასევე, ჩინეთშია შემუშავებული. ლიმუზინს უკან მხოლოდ ერთი მგზავრისთვის განკუთვნილი ადგილი აქვს, რომელიც ცენტრშია მოთავსებული. აღსანიშნავია, რომ Hongqi HQE სამთავრობო ლიმუზინ „წითელი დროშის“ უკვე მეოთხე თაობაა. პირველი მანქანა 1959 წელს გამოჩნდა.

Hogqi-ის პროტოტიპი პეკინის ავტოშოუზე, 1 წლის წინ იყო წარმოდგენილი. მის სავარაუდო კონკურენტებად მოდელები: Audi Q7, BMW X5, აგრეთვე, იაპონური მარკები — Infiniti, Lexus და Acura მიიჩნევა. მანქანის პრეზენტაციისას ითქვა, რომ სიახლე 12-ცილინდრიანი მოტორითაა აღჭურვილი. ■

„ლექსუსის“ სუპერავტო

კომპანია „ლექსუსი“ სუპერავტოს — LFA — სატრეკო მოდიფიკაციის შექმნას აპირებს, რომლის მასაც შემცირებული იქნება. შეგახსენებთ, ჩვეულებრივი 560 ცხ.ძ. სიმძლავრის ატმოსფერული V10, 4,8-ლიტრიანი მოტორითაა აღჭურვილი, რომელიც როტიზებული 6-საფეხურიანი სიჩქარის გადაცემათა კოლოფით და უკანა ხიდზე Torsen-ის დიფერენციალით იმუშავებს. Lexus-ის მონაცემებით, ასეთი ავტომობილი 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,7 წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 325 კმ/სთ-ს შეადგენს. ასეთი სუპერავტო მხოლოდ 500 ცალი გამოვა. წინასწარი მონაცემებით, ევროპაში საბაზო ავტომობილის ფასი დაახლოებით, 368 ათასი ევრო იქნება. ■

რუბრიკა მოამზადა ***ალექსი რეხვიაშვილმა***

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

19. ნიკოლა ტესლას და ტომას ედისონს საშინლად სძულდათ ერთმანეთი. თავის დროზე ედისონმა სერბ ფიზიკოსს 50 ათასი დოლარი შესთავაზა, თუ იგი ერთი პრობლემის გადაჭრაში დაეხმარებოდა. ტესლა საქმეს ჩაუჯდა და მოკლე ხანში მთელი რიგი პროექტები წარადგინა. ედისონი კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ტესლასთვის ფული არ გადაუხდია. როგორც ჩანს, ჩვენი ამერიკული იუმორი არ გესმისო, — გამოუცხადა გაოგნებულ ხელქვეითს. მოგვიანებით, ჯორჯ ვესტინგაუზმა ორმოც დაპატენტებულ გამოგონებაში ნიკოლო ტესლას ერთი მილიონი დოლარი გადაუხადა.

20. „აპა, ფრთებით ღამე მოაქვს ჩვენთვის ძერას, ღამურები აფრთხიალდნენ ნელინელა, საქონელმა მიაშურა ბაკს და კერას, ჩვენი შიშით ჩაკეტილა სახლში ყველა. ჟამი დადგა, კლანჭების და კბილებისა, ვინა-ვარდებთ ვისაც შეგვწევს ძალი-ღონე, ჯუნგლის კანონს თავმომწონედ ვინც დაიცავს, სანადიროდ გაეშურეთ, გამიგონეთ!“ — ამ ლექსით იწყება რედიარდ კიპლინგის ცნობილი ნაწარმოები — „მაუგლი“.

21. ერთხელ აკაკი წერეთლის მამას შავი ქვისა და მარგანეცის მოპოვებით დაინტერესებული ფრანგები ეწვივნენ. მათ მიწის ყიდვა სურდათ. როსტომ წერეთელმა კარგად მიიღო სტუმრები, უმასპინძლა, მაგრამ როცა საქმე მიწის გადაფორმებაზე მიდგა, საბუთს ხელი არაფრით არ მოაწერა. ეს პროცედურა მას დამამცირებლად მიაჩნდა. „მე ხელს ვერაფერზე მოვაწერ! სიტყვა ვუთხარი, ულვაშზე ხელი გადავისვი და მეტი რაღა საბუთი უნდათო?“ — უკვირდა გაბრაზებულ თავადს.

22. „ფლორენცია აღარასდროს იქნება ისეთი, როგორიც ადრე იყო“, — წუხდნენ იტალიელები 1944 წლის 3 აგვისტოს. ამ დღეს ფაშისტებმა უკან დახევისას ქალაქის ხიდები ააფეთქეს. ფლორენციის მშვენება სანტა ვეკიო და სანტა ტრინიტა მიქელანჯელოს პროექტით იყო აშენებული და გერმანელებს მათ დასანგრევად სამჯერ დასჭირდათ მუხტის ჩადება.

23. ავსტრია-თურქეთის ომის დროს თურქები ალყაშემორტყმული ვენის კედლების აფეთქებას ცდილობდნენ, რათა როგორმე, ქალაქში შეეღწიათ. ავსტრიელებისათვის ცნობილი იყო თურქების ტაქტიკა და გალავანთან წყლით სავსე ვარცლები ჰქონდათ ჩამწკრივებული. ისინი წყლის ზედაპირს აკვირდებოდნენ — თუკი ზედაპირზე რკალები გაჩნდებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ თურქები კედლის საძირკველში ნაღმის ჩასადებად გვირაბს თხრიდნენ.

უცნაური „თეთრი“ ადამიანები

ადამიან-ალბინოსს თეთრი თმა და კანი აქვს, თვალები — წითელი. ნორმალური შეფერილობის არქონა ორგანიზმში ნივთიერება მელანინის არარსებობით აიხსნება. ხშირია ნაწილობრივი ალბინიზმის შემთხვევა, როცა ადამიანის კანი თეთრი ლაქებითაა დაფარული, თმისა და კანის ფერი ნორმალურია, ხოლო თვალი — უპიგმენტო; არის შემთხვევები, როცა თეთრი თმა აქვს, კანისა და თვალის შეფერილობა კი ნორმალურია.

სიტყვა „ალბინოსი“ პორტუგალიელმა მწერალმა, ფრანსისკო ბალთასარმა შემოიღო. მას მიაჩნდა, რომ „თეთრი“ ადამიანები ევროპელებთან ურთიერთობის შედეგად იბადებოდნენ, თავად ევროპელებმა კი ალბინოსების შესახებ ესპანელი კონკისტადორის, ერნან კორტესისგან შეიტყვეს. ახალი მიწების (ახლანდელი მექსიკა) დაპყრობის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულმა კონკისტადორმა დღიურში ალბინოსების შესახებ დაწერა: „აცტეკების იმპერიაში, იმპერატორ მონტესუმის სასახლეში არსებობს აბსოლუტურად თეთრი ადამიანების ოთახი. მათ მზის დაბნელების დროს ღმერთებს მსხვერპლად სწირავენ...“ ზოგიერთ მეცნიერს ალბინოსების წარმოშობის საკუთარი ვერსია ჰქონდა. მაგალითად, ვოლტერს მიაჩნდა, რომ „თეთრი ადამიანი“ ორანგუტანგისა და ადამიანის შეჯვარების შედეგად ჩნდებოდა.

ალბინიზმის შემთხვევა ხშირია მცენარეთა და ცხოველთა სამყაროშიც. შეფერილობის არქონა ცხოველებში მელანინის, ხოლო მცენარეებში ქლოროფილის არარსებობის შედეგია. სხვათა შორის, ალბინოს კურდღლებსა და თაგვებს სპეციალურად ექსპერიმენტებისთვის, ლაბორატორიებში ამრავლებენ.

აღსანიშნავია, რომ ალბინოსი ცხოველები გამძლეობით არ გამოირჩევიან (ასევე არიან ადამიანებიც, მათ სუსტი მხედველობა და სმენა აქვთ) და მათ განსაკუთრებული ყურადღება, მზრუნველობა ესაჭიროებათ.

ცნობისათვის, ტაილანდის კუნძულ პხუკეტზე არსებობს ზოოპარკი, სადაც მხოლოდ ალბინოსი ცხოველები ჰყავთ. ■

„ალაპარაკებული ყუთი“

1936 წელს RCA-ს ლაბორატორიაში პირველი ტელევიზორი წარმოადგინეს. მას 5-დიუმიანი ეკრანი ჰქონდა და ხელით გამოთლილ თხილის ხის ყუთში იყო მოთავსებული. 1950 წლიდან ხის ყუთი პლასტმასის კორპუსით შეცვალეს. ევროპაში სიახლის მიმართ ინტერესი არცთუ ისე დიდი იყო. უფრო მეტიც, ბევრმა ტელევიზორი მხოლოდ იმისთვის იყიდა, რომ ელისაბედ II-ის ინგლისის დედოფლად კურთხევისთვის ეცქირა, რომლის ტრანსლაციასაც ტელევიზიით გადასცემდნენ.

1968 წელს იაპონურმა კომპანიამ — „სონი“ — პირველი ფერადი ტელევიზორი, „ტრიტონი“ გამოუშვა; იმავე კომპანიამ 80-90-იან წლებში ფართოეკრანიანი ტელევიზორების შექმნა დაიწყო.

პირველი დისტანციური მართვის პულტი — „ზარმაცი“ 1950 წელს, ამერიკული კომპანია „ზენიტის“ თანამშრომლებმა შექმნეს. პულტი ტელევიზორთან კაბელით იყო მიერთებული. 1956 წელს რობერტ ადლერმა ტელევიზორის უკაბელო პულტი — „დუ“ შექმნა; რამდენიმე წელიწადში კი პულტის გაყიდვა ტელევიზორთან ერთად დაიწყეს. ■

დინოზავრი — გიგანტური რეპტილია

დინოზავრები დაახლოებით, 300 მლნ წლის წინ გაჩნდნენ დედამიწაზე. ისინი სამყაროს ყველაზე უცნაური რეპტილიები იყვნენ. მათ შორის ყველაზე პატარა წიწილის, ხოლო დიდი — თვითმფრინავის ზომის იყო. უძველეს რეპტილიებს შორის მხოლოდ დონოზავრებს შეეძლოთ სიარული: ზოგიერთი მათგანი ოთხი, ზოგიც — ორი კიდურით გადაადგილდებოდა.

დინოზავრები 65 მლნ წლის წინ გადაშენდნენ. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მათი განადგურება ვულკანების ამოფრქვევის ან მეტეორიტის ჩამოვარდნის ბრალია. მათი ვარაუდით, მეტეორიტი ნახევარკუნძულ იუკატაზე (ახლანდელი მექსიკის ტერიტორია) უნდა ჩამოვარდნილიყო, რამაც ხმელეთზე ხანძარი, წყალში კი გიგანტური ტალღები გამოიწვია. მეტეორიტის ჩამოვარდნის შედეგად ფაუნის 70% განადგურდა.

დინოზავრის პირველი სამარხი ჩინეთში, 3 ათასი წლის წინ აღმოაჩინეს და ის გველეშაპად მიიჩნიეს. მოგვიანებით, ინგლისში აღმოჩენილი დინოზავრი ჯერ სპილო, შემდეგ კი გიგანტური ადამიანი ეგონათ.

1922 წელს უდაბნო გობიში (მონღოლეთი) გათხრების დროს დინოზავრის კვერცხს მიაგნეს. მეცნიერების ვარაუდით, მდედრი დინოზავრი ერთ ჯერზე 12 და მეტ კვერცხს დებდა. დინოზავრის კვერცხი სირაქლემისას ჰგავს, ოღონდ, მასზე გამძლეა (მოგეხსენებათ, სირაქლემას კვერცხის გატეხვა შეუძლებელია, მას ბურღავენ).

გიგანტურ დინოზავრებს წონითა და სიდიდით მხოლოდ ცისფერი ვეშაპი თუ შეედრება. ყველაზე მძიმე — ბრახიოზავრი 80 ტონას იწონიდა, სიმაღლით კი 48 მეტრი უნდა ყოფილიყო. მისი ჩონჩხი ტანზანიაში, 1909-11 წლებში აღმოაჩინეს და დღეს ბერლინის ნაციონალურ მუზეუმში ინახება.

ყველაზე პატარა დინოზავრები იყვნენ: კოსმოგნატუსი (იგი გერმანიისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე ბინადრობდა) და კოლორადოს შტატში (აშშ) აღმოჩენილი ფაბროზავრი. მათი სიგრძე 70-75 სმ, ხოლო წონა 3-დან 6 კილომდე იყო.

დინოზავრის ფეხის ყველაზე დიდი ნაკვალევი (136 სმ სიგრძეში და 81 სმ სიგანეში) გადროზავრს ეკუთვნის. იგი 1932 წელს, იუტის შტატში (აშშ) აღმოაჩინეს; ორნიტომიმიდს ყველაზე ბევრი — 220 კბილი ჰქონდა და მეცნიერების აზრით, ყველაზე სწრაფიც იყო — სავარაუდოდ, სირბილისას შეეძლო, 100 კმ/სთ სიჩქარე განევითარებინა; ყველაზე დიდ კვერცხს ტიტანოზავრი დებდა — 1961 წელს, მდინარე დიურანსის (საფრანგეთი) მახლობლად აღმოჩენილი კვერცხის ნარჩენების მიხედვით, მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ მისი სიგრძე 30, დიამეტრი კი 25,5 სმ უნდა ყოფილიყო; ყველაზე უტვინოდ სტეგოზავრია მიჩნეული — სიმაღლით 9-მეტრიან დინოზავრს თხილისოდენა ტვინი ჰქონდა. ■

უცნაური არსება — ჩუპაკაბრა

1995 წელს პუერტო-რიკოში უჩვეულო არსება — ჩუპაკაბრა გამოჩნდა. ის საქონელს ესხმის თავს, მას სისხლს სწოვს და ამიტომაც, ხშირად ვამპირსაც უწოდებენ.

ქალაქ კანოვანასის მკვიდრნი ხშირად ხედავენ წითელთვალება მფრინავ არსებას, რომელსაც გველივით გრძელი ენა აქვს. ზოგი მას მგელს ადარებს, ზოგი — კენგურუს, ზოგიც — დემონს, რადგან ჩუპაკაბრას გამოჩენას გოგირდის სუნიც ახლავს. ადგილობრივთა განცხადებით, სისხლის მსმელი არსება ადამიანებსაც ესხმის თავს, მაგრამ ამ ფაქტს არ ახმაურებენ. საერთოდ, პუერტო-რიკო საოცრებებითაა განთქმული. იქ ხშირად ხედავენ მფრინავ თეფშებს და ცაშიც ხშირად ჩნდებიან მოციმციმე სხეულები.

პუერტო-რიკოს გარდა, ჩუპაკაბრა კალიფორნიაში, პანამასა და მაიამიშიც გამოჩნდა. მან მაიამიში, ერთ ღამეში 69 მსხვილფეხა საქონელი, კალიფორნიაში — თხები, პანამაში კი ძაღლი იმსხვერპლა და მის თითოეულ მსხვერპლს ყელზე ნემსისმაგვარი კვალი აჩნდა. ■

დანგრეული საოცრებები

ალექსანდრიის შუქურა

1500 წლის წინ პირველი შუქურა ხმელთაშუა ზღვის პატარა კუნძულ ფაროსზე ააგეს, რათა გემი მარჯნის რიფებს არ დასჯახებოდა და ალექსანდრიის პორტში მშვიდობით შესულიყო. ღამით შუქურა ცეცხლით იქცევდა მეზღვაურების ყურადღებას, დღისით კი — შავი კვამლით.

XIV საუკუნეში შუქურა მიწისძვრამ დაანგრია. ■

ბაბილონის დაკიდებული ბაღები

ამ ულამაზესმა ბაღებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. ძველი ბერძნებისა და რომაელების ისტორიულ ჩანაწერებს თუ დავუჯერებთ, ბაღები ჩვენს წელთაღრიცხვამდე 600 წელს გაუშენებიათ. არქეოლოგების აზრით, ბაღები ახლანდელი ერაყის დედაქალაქის — ბაღდადის მახლობლად, მდინარე ევფრატის სანაპიროზე უნდა ყოფილიყო განლაგებული. ■

ტაძარი

პირველი წმინდანები და წმინდა მოღვაწეთა მეოხების ძალა

მართლმორწმუნე ქრისტიანები თაყვანს ვცემთ, პატივს მივაგებთ და მეოხებას ვთხოვთ წმინდანებს — იმ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებითა და აღსასრულით განსაკუთრებული, გამორჩეული ღვაწლი იტვირთეს ღვთის წინაშე. ქრისტიანულ ეკლესიაში პირველივე საუკუნეებიდან განადიდებენ წმინდანებს. როგორ ხდებოდა ქრისტიანობის პირველ ხანებში წმინდანად შერაცხვა? ვინ იყვნენ პირველი წმინდანები, რატომ შევთხოვთ მეოხებას მათ და რა მნიშვნელობა აქვს ამ მეოხებას? — ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე).

შორენა მერკვილაძე

— როგორ ხდებოდა ქრისტიანობის პირველ ხანებში წმინდანად შერაცხვა? ვიცით, რომ ამჟამად კანონიზაცია, წმინდანად შერაცხვა წმინდა სინოდის მიერ ხდება...

— წმინდანად კანონიზაციას გვიან შუა საუკუნეებიდან დაედო სათავე. როდესაც ადამიანი წმინდა ცხოვრებით ცხოვრობს ან მოწამებრივად აღესრულება, ადგილობრივი ეკლესიის სინოდი განიხილავს ამ პიროვნების საკითხს და ახდენს კანონიზაციას. ქრისტიანობის პირველ ხანებში ასე არ ხდებოდა — როდესაც მარტვილებრივი გზით და შემდგომში წმინდა ცხოვრებით გამორჩეული ადამიანი აღესრულებოდა, ის ავტომატურად ხდებოდა წმინდანი და ადგილობრივი ეკლესია იწყებდა მის მოხსენიებას ანუ საჩინო იყო ყველასათვის, რომ ეს ადამიანი ცხოვრობდა წმინდა ცხოვრებით და მისი აღსასრულიც იყო წმინდა.

შემდგომ საუკუნეებში, როდესაც მწვალებლური მიმდინარეობები გაჩნდა, ზოგიერთმა მღვდელმთავარმა, რომელიც ამა თუ იმ მწვალებლურ მიმდინარეობას ემხრობოდა, წმინდანებთან ერთად, მწვალებლების მოხსენიებაც დაიწყო და ამიტომაც, საჭირო გახდა, კანონიზაცია წმინდა სინოდის მიერ მომხდარიყო. ამის შემდეგ გადაწყვეტილებას კანონიზაციის შესახებ სინოდი იღებს.

— ვინ არიან ქრისტიანული ეკლესიის პირველი წმინდანები?

— პირველი წმინდანები არიან მოწამეები, მარტვილები. მოწამებრივად აღსრულებული პირველი წმინდანი გახლდათ სტეფანე, ერთ-ერთი პირველი შვიდ დიაკონთაგანი და ამიტომაც იწოდება პირველმოწამედ. პირველი წმინდანები არიან ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, შემდეგ — მოციქულები და მოციქულთასწორნი, რომელთა უმეტესობაც მოწამებრივად აღესრულა. როდესაც იერუსალიმში ქრისტიანთა პირველი დევნა დაიწყო იუდეველების მხრიდან, იმ დროსაც და შემდგომი დევნის პერიოდშიც უამრავი ადამიანი აღესრულა მოწამებრივად. მათი უმეტესობის სახელი ცნობილი არ არის ეკლესიისთვის, ისევე, როგორც წმინდა ცხოვრებით გამორჩეულ ადამიანთა, წმინდა მოღვაწეთა უმეტესობისა. ჩვენ იმ წმინდანთა ცხოვრების ამბავი ვიცით, რომელთა შესახებაც უფალმა ინება, რომ განეცხადებინა ადამიანთა წინაშე, ისიც — ჩვენს გასაძლიერებლად.

— წმინდანთა დასების შესახებ რას გვეტყვით?

— წმინდანთა დასები დაყოფილია იმის მიხედვით, თუ რა სახის მოღვაწეობას ეწეოდნენ დედამიწაზე ეს სასწაულები, ჯვარცმა, აღდგომა და ზეცად ამაღლება. მოციქულებმა სხვადასხვა ქვეყანაში იქადაგეს ქრისტეს სჯული.

მოციქულთასწორთა და **განმანათლებელთა** დასს შეადგენენ ის წმინდანები, რომლებიც უშუალოდ მაცხოვრის ქადაგებას არ დასწრებიან, მაგრამ მოციქულთა მსგავსად, ქრისტეს სჯულის გასავრცელებლად მოღვაწეობდნენ.

მოწამეებად იწოდებიან ქრისტესთვის ტანჯვა-წამებით აღსრულებული ქრისტიანები.

წმინდა მამებად იხსენიებიან ეპისკოპოსები და მთავარეპისკოპოსები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით სათნო ეყვნენ უფალს, მთელი ცხოვრება იღვწოდნენ, მოღვაწეობდნენ ღვთის სადიდებლად. ის მღვდელმთავრები, ადამიანები. არსებობს წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მოციქულთასწორთა, მოწამეთა, წმინდა მამათა, აღმსარებელთა, ღირსთა, მართალთა, უვერცხლოდ მკურნალთა და სალოსთა ანუ ქრისტესთვის სულელთა დასები.

ნებისმიერ წმინდანს შეგვიძლია, ნებისმიერი თხოვნით მივმართოთ და ის მეოხებას გაგვიწევს

წინასწარმეტყველებად იწოდებიან ძველი აღთქმის დიდმორწმუნე და ბრძენი მამები, რომელთაც ღმერთი გამოარჩევდა და მოუვლენდა ადამიანებს, რათა ეწინასწარმეტყველათ მაცხოვრის მოსვლა: მისი შობა, მიწიერი ცხოვრება, ჯვარცმა და მკვდრეთით აღდგომა. მოციქულებად იხსენიებიან მაცხოვრის მოწაფეები, მასთან ყველაზე ახლოს მყოფი ადამიანები, რომლებმაც თვალნათლივ იხილეს განკაცებული უფლის მიწიერი ცხოვრება, მისი რომლებიც მოწამებრივად აღესრულნენ, მღვდელმოწამეებად იწოდებიან.

აღმსარებელთა დასს შეადგენენ ქრისტიანი მოღვაწეები, რომლებიც უშიშრად აღიარებდნენ თავიანთ რწმენას, საჯაროდ მოუწოდებდნენ ადამიანებს ქრისტეს სჯულის მიღებისკენ. დევნის დროს ბევრი დაითმინეს ღვთისთვის, თუმცა მარტვილებრივი აღსასრული არ მიუღიათ.

ღირსთა სახელით ცნობილი არიან მონაზონნი — მამანი და დედანი, რომლებიც განერიდნენ ქვეყნიურ ცხოვრებას და ქალწულებრივი ცხოვრებით სათნო ეყვნენ უფალს. მათ, ვინც მოწამებრივი აღსასრული მიიღო — ღირსმოწამეებად იხსენიებენ.

მართალთა დასს შეადგენენ ისი-

ნი, რომლებსაც არ დაუტოვებიათ საერო ცხოვრება, არ გაშორებიან საზოგადო ცხოვრებას, მაგრამ ღვთის მცნებათა ჭეშმარიტი აღსრულებით სათნო ეყვნენ უფალს, ცხოვრობდნენ ქრისტეს სჯულის ღრმა რწმენითა და უფლის დიდებით.

უვერცხლო მკურნალთა დასში შედიან ის ადამიანები, რომლებიც უფლის სახელითა და რწმენით, უვერცხლოდ — უსასყიდლოდ კურნავდნენ სნეულთ.

ნეტარებად იწოდებიან ისინი, ვინც უფლის გამო ცხოვრობდნენ, ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთისა და ფუფუნების მკაცრი უარყოფით, მთელი თავიანთი ქონება გაყიდეს და მოწყალებად გასცეს, თვითონ კი სიგლახაკესა და უპოვარებაში ცხოვრობდნენ.

სალოსებად ანუ ქრისტესთვის სულელებად იწოდებიან ის ჭეშმარიტი ქრისტიანები, რომლებიც განგებ ისულელებენ თავს, რათა ღმერთის შესახებ სიმართლე ილაპარაკონ, ღვთის სიმართლე თქვან.

— ეკლესიის ისტორიაში უამრავი მაგალითი გვხვდება უდიდეს ცოდვილთა უდიდეს წმინდანებად ქცევისა. ეს რატომ და რის მიხედვით ხდება?

— უფალი ბრძანებს: არა არს კაცი, რომელი ცხოვნდეს და არა სცოდოსო. როგორ წმინდადაც უნდა ცხოვრობდეს ადამიანი, მაინც სცოდავს, თუკი რასაკვირველია, მასზე ღვთის ჯილდომ არ მოიწია, რასაც ჰქვია განღმრთობა, როდესაც ადამიანი აღწევს უცოდველ მდგომარეობას. ისეთი მამებიც არსებობდნენ, რომლებმაც მიწაზევე მიაღწიეს უცოდველ მდგომარეობას. რა თქმა უნდა, ამ დრომდე ისინიც სჩადიოდნენ ცოდვებს. მთავარია, როგორ გარდაიცვალა, რა მდგომარეობაში იმყოფება ადამიანის სული აღსასრულის დროს. მართლაც, უამრავი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ უდიდეს ცოდვილთა უდიდეს წმინდანებად გადაქცევისა. ხშირად, როდესაც ქრისტიანებს აწამებდნენ, იმ ადამიანების ნაწილი, რომლებიც ქრისტიანთა წამებას აღასრულებდნენ, იქვე ხდებოდნენ მოწამეები. იყო ისეთი მომენტებიც, როდესაც ადამიანები ქრისტიანულად არ ცხოვრობდნენ, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიმეცნეს ქრისტიანული სარწმუნოება, მოექცნენ, შემდეგ მთელი ცხოვრება ღვთივსათნოდ იცხოვრეს და ქრისტიანულად აღესრულნენ. ვიცით, რომ უფალი ყველა ადამიანის გულს უკაკუნებს, მაგრამ მათი მოქცევა და ქრისტიანული ცხოვრების დაწყება იმაზეა დამოკიდებული, როდის გაუღებს ადამიანი გულისკარს უფალს.

თვით „წმინდა წერილიც“ არ მალავს ყველაზე წმინდა ადამიანების მანკიერებებსა და ნაკლოვანებებსაც კი. გნებავთ, მათე მოციქულისა და სავლეს, შემდგომში — პავლე მოციქულის მაგალითები გავიხსენოთ. ამით გვიჩვენებს, რომ ადამიანს მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით არ ძალუძს, იყოს ღვთისთვის სათნო და მიაღწიოს სრულყოფილებას, ამისთვის უპირველესად, ღვთის წყალობა და შეწევნაა საჭირო. უცოდველობის და სიწმინდის მომნიჭებელი — უფალია.

თხოვნათა აღმსრულებელი მხოლოდ უფალია და არა რომელიმე წმინდანი

— რატომ შევთხოვთ მეოხებას წმინდანებს? რა ძალა აქვს წმინდანთა მეოხებას?

— ამ ადამიანებმა სიცოცხლეშივე მიაღწიეს კადნიერებას ღვთის წინაშე, რომ მათ ლოცვას ყოველთვის ისმენდა უფალი: ადამიანები სხვადასხვა განსაცდელის ჟამს, როგორც წესი, მაღალსულიერ მოღვაწეებთან მიდიოდნენ და შემწეობას სთხოვდნენ. ისინი ლოცვით შესთხოვდნენ უფალს მათ შეწევნას და ღმერთიც აღუსრულებდა სათხოვარს. თუკი მათ მიერ დედამიწიდან აღვლენილ ლოცვას ისმენდა უფალი, მით მეტად შესწევთ მეოხების ძალა ზეცაში დამკვიდრებულ წმინდანებს, რომლებიც თავიანთი წმინდა და მართალი ცხოვრებით სათნო ეყვნენ უფალს და სასუფეველი დაიმკვიდრეს. ისინი უფლის სიახლოვეს მყოფობენ, პირდაპირ ესაუბრებიან შემოქმედს და ღვთის წინაშე თხოვნისა და მეოხების კადნიერებაც აქვთ. მათი ლოცვა გაცილებით ახლოსაა უფალთან, ვიდრე ჩვენი ლოცვა, რომელიც შეპყრობილია ეჭვებით, გონებაგაფანტულობით, წმინდანების ლოცვა კი სრულიად განწმენდილია და განაძლიერებს ჩვენს ლოცვას ანუ გვეხმარება იმ თხოვნის აღსრულებაში, რომლითაც უფალს მივმართავთ.

— რატომ არის, რომ ზოგჯერ, სხვადასხვა საჭიროების შემთხვევაში, პირდაპირ ვთხოვთ მეოხებას რომელიმე წმინდანს?

— ნებისმიერ დროს, ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ წმინდანს შეგვიძლია, შევთხოვოთ შემწეობა და მეოხება. ყველა წმინდანზე ერთნაირადაა მოცემული სულიწმიდის მადლი და ნებისმიერ წმინდანს ნებისმიერ საკითხზე შეუძლია მეოხება ღვთის წინაშე. ასევე არსებობს ტრადიცია სხვადასხვა საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა წმინდანის მიმართ შეწევნის თხოვნისა. მაგალითად, უვერცხლო მკურნალებს შევთხოვთ სნეულებათაგან განკურნებას, იმის გამო, რომ ისინი ამქვეყნად, ხორცში ყოფნის ჟამს აღასრულებდნენ სნეულთა კურნებას. თუმცა ეს ღვთის მიერ არაა დაწესებული, არამედ ჩვენი არასრულყოფილად განწმენდილი გონებიდან გამომდინარეა. რადგან ვიცით, რომ წმინდანად შერაცხილი ადამიანები ამქვეყნადაც აღასრულებდნენ ამა თუ იმ საქმეს, გვწამს — თუკი რომელიმეს შევთხოვთ შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში მეოხებას, მეტად დაგვეხმარება. რაც უფრო დიდია ჩვენი რწმენა, შეწევნა უფრო ადვილად გვენიჭება, ამიტომ ეკლესიაც შეღავათს უწევს ადამიანებს — არ გვეკრძალება ამა თუ იმ საჭიროების შემთხვევაში მეოხება ვთხოვოთ რომელიმე კონკრეტულ წმინდანს, მაგრამ იმის გაფიქრებაც კი, რომ დავუშვათ, მხოლოდ უვერცხლო მკურნალთ შეუძლიათ სნეულებათაგან განკურნებაში შეწევნა და სხვას — არა, უკვე მწვალებლობაა. კიდევ ვიმეორებ, ნებისმიერ წმინდანს შეგვიძლია, ნებისმიერი თხოვნით მივმართოთ და ის მეოხებას გაგვიწევს, თხოვნათა აღმსრულებელი მხოლოდ უფალია და არა რომელიმე წმინდანი — უფალი მათ ლოცვას შეისმენს და აგვისრულებს ჩვენს სათხოვარს. უფალი ნებისმიერი წმინდანის ლოცვას იწირავს.

— რა მნიშვნელობა აქვს წმინდანთა თაყვანისცემას?

— ეს ადამიანები სათნო ეყვნენ უფალს. ჩვენ მათი ცხოვრება უნდა გავიხადოთ მაგალითად, ვინც ჩვენზე ადრე სათნო ეყვნენ უფალს და მათვე უნდა ვთხოვოთ დახმარება, რომ შეგვეწიონ, დაგვეხმარონ — ღვთივსათნოდ, რათა ღვთის დიდებით ცხოვრება შევძლოთ. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

საშიში დაავადება – მენინგიტი, ენცეფალიტი და მენინგოკოქცემია

თავისა და ზურგის ტვინი სამი გარსითაა დაფარული. ესენია: ზედა — მაგარი გარსი, შუა — აბლაბუდისებრი გარსი და ქვედა — რბილი გარსი. ზედა და შუა გარსებს შორის კაპილარული სივრცეა, ხოლო შუა და ქვედა გარსებს (ეს უკანასკნელი უშუალოდ ეხება ტვინის ზედაპირს) შორის — სუბარაქნოიდული სივრცე, რომელიც ამოვსებულია თავისა და ზურგის ტვინის სითხით ანუ ლიქვორით.

თავისა და ზურგის ტვინის გარსების ანთებას მენინგიტი (თავ-ზურგის ანუ ცერებროსპინალური მენინგიტი), ხოლო თავის ტვინის ქსოვილის ანთებას ენცეფალიტი ჰქვია. მენინგიტი უფრო ხშირად გვხვდება, მაგრამ ენცეფალიტი შედარებით მძიმედ მიმდინარეობს. არის შემთხვევები, როდესაც ანთება, ტვინის გარსთან ერთად, ტვინის ქსოვილსაც მოიცავს და ამ პროცესს მენინგოენცეფალიტი ეწოდება.

მენინგიტით შეიძლება დაავადდეს ნებისმიერი ასაკისა და სქესის ადამიანი, მაგრამ რისკ-ჯგუფში ძირითადად, ჩვილები და 10 წლამდე ასაკის ბავშვები შედიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 3 თვემდე პატარები იშვიათად ავადდებიან, რადგან მათ იმუნიტეტი აქვთ. შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული ამ ინფექციის გავრცელების ყველაზე აქტიური პერიოდია.

რა იწვევს მენინგიტს

მენინგიტის გამოწვევა შეუძლია ტვინის ზედაპირზე (გარსზე) მოხვედრილ პარაზიტულ მიკროორგანიზმს. მაგალითად: ბაქტერიას, ვირუსს, სოკოს და ა.შ. ბაქტერიებიდან ყველაზე ხშირად, ამ დაავადებას იწვევს მენიგოკოკები, ტუბერკულოზის ჩხირები, პნევმოკოკები, ჰემოფილური სტრეპტოკოკები, სტაფილოკოკები. აღსანიშნავია, რომ ეპიდემიურ ხასიათს მეტწილად, მენიგოკოკური მენინგიტი იძენს, რადგან ის ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება; სხვა ბაქტერიები კი ტვინის გარსამდე ორგანიზმში არსებული ჩირქოვანი კერიდან (ცხვირ-ხახა, ყური, ფილტვები და ა.შ) ლიმფის, სისხლის ან ნერვის ირგვლივი ქსოვილის მეშვეობით აღწევენ.

ვირუსული მენინგიტის გამომწვევია: ენტეროვირუსი, ადენოვირუსი, ჰერპესვირუსი, გრიპის ვირუსი. მენინგიტის გამომწვევი ვირუსი ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება.

ვირუსული და ბაქტერიული მენინგიტი კლინიკურად ერთნაირად მიმდინარეობს. კერძოდ, იწყება უეცარი შემცივნებით და ტემპერატურის 39-40 გრადუსამდე მატებით. ავადმყოფს პირველივე წუთებიდან აღენიშნება თავის ტკივილი, რომელიც ძალიან მალე, აუტანელი გახდება და ის კიდევ უფრო ძლიერდება ღამით ან ხმაურისა და მოძრაობის დროს. ამასთანავე, ავადმყოფს ეწყება ღებინება, რაც შვების მომტანი ნამდვილად არ არის.

ამრიგად, ვითარდება მენინგიტისთვის დამახასიათებელი ტრიადა:

* მაღალი ტემპერატურა;
* ღებინება;
* თავის ტკივილი.

ზოგჯერ, მენინგიტისთვის დამახასიათებელ გამოვლინებას წინ უძღვის საერთო სისუსტე, ოფლიანობა, ზომიერი თავის ტკივილი და 1-2 დღის განმავლობაში ტემპერატურის უმნიშვნელო მატება. ამ სიმპტომების გარდა, მენინგიტისათვის დამახასიათებელია კუნთების ტკივილი და მკვეთრი ჰიპერესთეზიები (კანის მგრძნობელობის მატება) და სახეზე წამოწითლება (ჰიპერემია). ავადმყოფს აღიზიანებს ხმაური, შეხება, სინათლე, აქვს უძილობა და აგზნებულია.

სწრაფად ვითარდება და თანაც, პროგრესირებადია მენინგეალური სინდრომი:

* კეფის კუნთების რიგიდობა (დაჭიმულობა);
* ღებინება;
* კერნიგის (მენჯ-ბარძაყისა და მუხლის სახსარში ფეხის მოხრის შემდეგ ავადმყოფი ფეხის სრულყოფილად გამართვას ვერ ახერხებს) სიმპტომი;
* ბრუძინსკის (ზურგზე დაწოლილ ავადმყოფს, თავის გულმკერდისკენ გადმოხრის შემთხვევაში, რეფლექსურად ეხრება ფეხი მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრებში) სიმპტომი;
* პატარა ბავშვებში აღინიშნება ლესაჟას სიმპტომი (ბავშვის ხელში აყვანის შემდეგ, მას ფეხები მუხლებისა და მენჯ-ბარძაყების სახსრებში მოეხრება და ვეღარ გამართავს).

მკურნალობის ჩაუტარებლობის შემთხვევაში, დაავადების პირველი დღის ბოლოს ან მეორე დღის დასაწყისში ყალიბდება მენინგეალური პოზა: ავადმყოფი წევს გვერდზე, თავი უკან აქვს გადაგდებული, ქვედა კიდურები კი მუხლის და მენჯ-ბარძაყის სახსრებში ექნება მოხრილი (ე.წ. მეძებარი ძაღლის პოზა).

მძიმე შემთხვევაში, დაავადების დაწყების პირველ საათებში, უფრო ხშირად კი მეორე დღის ბოლოს, ავადმყოფს ტვინის შეშუპების გამო ეწყება აგზნება, ბოდვა, ჰალუცინაციები, გონების თანდათანობით დაკარგვა, ზოგჯერ აღინიშნება კრუნჩხვა; შეიძლება მოხდეს თვალის მამოძრავებელი, სმენისა და სახის ნერვების ტოქსიკურ-ინფექციური ხასიათის დაზიანება, რამაც შეიძლება, ფთოზი (თვალის ქუთუთოს დახრა), ანიზოკორია (მარჯვენა და მარცხენა თვალის გუგების არათანაბარი გაფართოება), სტრაბიზმი (სიელმე), სმენის დაქვეითება ან გაქრობა გამოიწვიოს.

მენინგიტის დროს ჰერპესული ინფექცია აქტიურდება და ვლინდება ტუჩებზე, ცხვირის ნესტოებთან, ყურებზე და ზოგჯერ, გამონაყარი ხელის მტევნებზეც კი ჩნდება.

მენინგიტი შეიძლება მსუბუქად, საშუალოდ და მძიმედ მიმდინარეობდეს. სწორი მკურნალობის ფონზე ავადმყოფი ორ კვირაში გამოჯანმრთელდება, მაგრამ დაავადების მძიმე მიმდინარეობის შემთხვევაში, სიცოცხლისათვის საშიში გართულებები ვითარდება.

თავისებურება ჩვილებში

1 წლამდე ბავშვებში მენინგიტი ატიპიურად მიმდინარეობს. ამ დროს დაავადების ძირითადი ნიშნებია: ცხელება, ღებინება და უეცარი, უმიზეზო ტირილი. ბავშვს ეწყება ხელების ტრემორი და თავი უკან აქვს გადაწეული. მენინგეალური სინდრომი ძირითადად, ყიფლიბანდის ამობურცვითა და დაჭიმულობით ვლინდება; კრუნჩხვები, კერნიგისა და ბრუძინსკის ნიშნები არ გამოვლინდება. სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა აქვს ლესეჟის სინდრომს.

გრიპი თუ მენინგიტი?

გრიპის ტოქსიკური ფორმის დროს

ადგილი აქვს მენინგიზმს ანუ მენინგიტისთვის დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობას (სიცხე, თავის ტკივილი, ღებინება და სხვ). ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თავ-ზურგტვინის სითხის გამოკვლევას.

მკურნალობა

ვირუსული და ბაქტერიული მენინგიტის დროს, მსგავსი კლინიკური სურათის მიუხედავად, თავ-ზურგ-ტვინის სითხის შემადგენლობა განსხვავებულია. სწორედ მისი გამოკვლევაა აუცილებელი დიაგნოზის დასაზუსტებლად და მართებული მკურნალობის ჩასატარებლად. ბაქტერიული მენინგიტის დროს აუცილებელია ანტიბიოტიკებით მკურნალობა, ვირუსული მენინგიტის შემთხვევაში კი უნდა ჩატარდეს ანტივირუსული და სიმპტომატური (ანუ იმ სიმპტომის წინააღმდეგ მიმართული მკურნალობა, რომელიც ავადმყოფს აღენიშნება) მკურნალობა.

მენინგოენცეფალიტი

ენცეფალიტი ტვინის ქსოვილის ინფექციური, ალერგიული ან ტოქსიკური აგენტით დაზიანებაა. ამ დროს ტემპერატურა ძალიან იმატებს, მენინგეალურ ნიშნებს ერთვის ტვინის დიფუზური და კეროვანი დაზიანებები: ცნობიერების მოშლა, კრუნჩხვა, რომელსაც ცვლის ძილიანობა. ცვლილებები აღინიშნება მხედველობისა და სმენის ორგანოების მხრივაც, მოგვიანებით კი ვითარდება დამბლა.

მენინგოენცეფალიტი მეტად რთული დაავადებაა და დროულ მკურნალობას საჭიროებს.

მენინგოკოქცემია

ადამიანის ორგანიზმში მენინგოკოკი ცხვირ-ხახის ლორწოვანიდან იჭრება და უმეტეს შემთხვევაში, ე.წ. ჯანმრთელი მატარებლობა ყალიბდება, 10-30%-ში ვითარდება ცხვირ-ხახის ანთება (ნაზოფარინგიტი), უფრო იშვიათად (1-3%) კი მენინგოკოკი გადალახავს ადგილობრივ ბარიერს და სისხლის მეშვეობით მთელ ორგანიზმში ვრცელდება — ხდება ინფექციის გენერალიზება, ყალიბდება ბაქტერიემია. ამ პროცესს თან სდევს მენინგოკოკების მასობრივი დაღუპვა და უხვად გამოიყოფა ტოქსინები (ტოქსიცემია), რომლებიც სისხლძარღვების ენდოთელიუმს აზიანებს.

ინფექციის გენერალიზების მიზეზი ორგანიზმის გამძლეობის დაქვეითებაა.

მენინგოკოქცემია იწყება მწვავედ, ძლიერი შემცივნებითა და ტემპერატურის 39-40 გრადუსამდე აწევით. პირველსავე საათებში გამოხატულია მძიმე ინტოქსიკაცია: ავადმყოფი ფერმკრთალია, დაჰკრავს ციანოზური ელფერი, ტუჩები და კანი მშრალი აქვს, სტკივა თავი, აღებინებს, უჩივის ტაქიკარდიას, ქოშინს, უძილობას, უმადობას და გაძლიერებულ წყურვილს.

სისხლჩაქცევები

მენინგოკოქცემიის ძირითადი სადიაგნოზო ნიშანია ჰემორაგიული გამონაყარი (სისხლჩაქცევები). დაავადების დაწყებიდან დაახლოებით, 5-20 საათის განმავლობაში, კანსა და ლორწოვან გარსებზე სხვადასხვა ზომის სისხლჩაქცევა ჩნდება. გამონაყარი უხვია და აქვს ზოგან წერტილოვანი, ზოგან კი ფართო (2-15 სმ დიამეტრის) სისხლჩაქცევების სახე. ასეთ კანს ექიმები ვარსკვლავიან ღამეს ადარებენ — გაფითრებულ, ციანოზურ კანზე მოჩანს უსწორმასწორო სისხლჩაქცევები, რომლებიც ზოგჯერ, ჩვენს თვალწინ ჩნდება და მართლაც ჰგავს სხვადასხვა ზომის მოციმციმე ვარსკვლავს.

სისხლჩაქცევები უმთავრესად, ზედა და ქვედა კიდურებზე, დუნდულებსა და ბარძაყებზე წარმოიქმნება. სახესა და სხეულის ზედა ნაწილებზე ჰემორაგიული გამონაყარის გაჩენა დაავადების დამძიმებაზე მიუთითებს. არცთუ იშვიათია

სისხლჩაქცევები სკლერაში, რაც ასევე, დაავადების სიმძიმის მანიშნებელია.

ჰემორაგიული ელემენტები ერთდროულად არ წარმოიქმნება და ისინი სხვადასხვა ფერისაა (ღია წითლიდან ალუბლისფრამდე). მძიმე მენინგოკოქცემიის დროს იწყება სისხლდენა ცხვირიდან, კუჭიდან, საშვილოსნოდან და სხვა ორგანოებიდან; ჩნდება სისხლჩაქცევები ლორწოვან გარსებსა და შინაგან ორგანოებში (თირკმელზედა ჯირკვლებში, მიოკარდიუმში, ენდოკარდიუმში, თირკმლებში, ტვინსა და მის გარშემო).

მენინგოკოქცემიის დამძიმების პარალელურად ირღვევა ჰემოდინამიკა — პულსი სუსტდება, წნევა ეცემა; აღინიშნება ქოშინი, ფილტვებში ისმის ხიხინი, ენა მშრალია, ღვიძლი და ელენთა — გადიდებული; მოზარდებს აწუხებთ ყაბზობა, ჩვილებს — ხშირი დეფეკაცია. თირკმლებში ვითარდება კეროვანი გლომერულონეფრიტის მოვლენები, შარდვა მცირდება.

მენინგოკოქცემიის დროს შესაძლოა, განვითარდეს პნევმონია, პლევრიტი, მიოკარდიტი, პერიკარდიტი, ენდოკარდიტი, იშვიათად — თვალის სისხლძარღვოვანი გარსის ანთება. გაცილებით ხშირია სახსრების დაზიანება, ართრიტისა და პოლიართრიტის სახით. დაავადების მეექვსე-მეშვიდე დღეს სახსრები შუპდება, წითლდება და მტკივნეული ხდება. მენინგოკოქცემიის უმძიმესი ფორმაა ელვისებურ მენინგოკოქცემია, რომელსაც აქვს მოულოდნელი და ძალიან მწვავე დასაწყისი და ვითარდება ინფექციურ-ტოქსიკური შოკი. ხშირად მენინგოკოქცემია მენინგიტთან ერთად ვითარდება და მაშინ ერთდროულად არის გამოხატული მენინგიტისა და მენინგოკოქცემიის კლინიკური სურათი.

მკურნალობა

ინფექციურ-ტოქსიკური შოკის თავიდან აცილების მიზნით, უნდა ჩატარდეს დროული ანტიბაქტერიული თერაპია (პენიცილინის ჯგუფის პრეპარატებით), შოკის შემთხვევაში კი აუცილებელია შოკის საწინააღმდეგო თერაპიის ჩატარება.

პროფილაქტიკა

* მენინგიტისა და მენინგოკოქცემიის პროფილაქტიკა გულისხმობს დაავადების ადრეულ გამოვლენას და სასწრაფო მკურნალობას;

* ავადმყოფი საავადმყოფოდან უნდა გამოიწეროს კლინიკური გამოჯანმრთელებისა და ცხვირ-ხახის მასალის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის 2 უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ;

* უნდა შემოწმდეს ყველა, ვინც კი დაავადებულთან კონტაქტში იყო;

* უნდა მოხდეს იმ შენობების (სკოლა, ბაღი, ბინა) სადეზინფექციო ხსნარებით დამუშავება, სადაც დაავადებული სწავლობს და ცხოვრობს;

* მზის სხივების ზემოქმედებისას მენინგოკოკი 15 წუთში კვდება. შესაბამისად, პრევენციის თვალსაზრისით, სუფთა ჰაერზე ყოფნა სასარგებლოა;

* არსებობს მენინგიტის საწინააღმდეგო ვაქცინა. იგი სავალდებულო აცრების კალენდარში არ შედის, მაგრამ სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ პირს შეუძლია ვაქცინაცია ჩაიტაროს. ■

P.S. **ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com **ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.**

ადამიანი

„მეტრო“ ორთაჭალაში, მგზავრებისგან გადარეული გამცილებლები ანუ თავგადასავლები გზაში

ცოტა ხნის წინ საქართველო-თურქეთის სატრანსპორტო კომპანიის ავტობუსით მომიწია მგზავრობამ. გამცილებლები გზაში იმდენ სახალისო ამბავს ჰყვებოდნენ, რომ თავი ვერაფრით შევიკავე, მათ საოცარ პროფესიაზე არ დამეწერა. მით უმეტეს, რომ მათ შორის, ჟურნალ „გზაზე“ შეყვარებული გამცილებელიც აღმოვაჩინე. ამრიგად, ავტობუსის გამცილებლები საკუთარ პროფესიასა და პრეტენზიულ კლიენტებზე ინტერვიუში თავადვე ისაუბრებენ.

ელენე გასილიძე

ხატია ხატისაშვილი:

— წელიწად-ნახევარია, რაც გამცილებელი გახლავართ. ჩემი მოვალეობაა, მგზავრები დანიშნულების ადგილამდე უსაფრთხოდ ჩავიყვანო. მგზავრობა 26-28 საათი გრძელდება და ამ დროის განმავლობაში მთლიანად მგზავრებს ვეკუთვნი (*იღიმება*).

— შენს მოვალეობაში რა შედის?

— ყურადღება უნდა მივაქციო ყველას, გამაგრილებელი სასმლითა და ყავით გავუმასპინძლდე, თვალყური ვადევნო მათ, რომ სავარძლები და სავარძლის სახელურები მგზავრებს არ „შემოეჭამოთ“ (*იცინის*)!

— ძირითადად, რომელი ქვეყნების მოქალაქეებთან გიწევს ურთიერთობა?

— უმეტესად, ქართველებთან და თურქებთან, მაგრამ მგზავრებს შორის, ამერიკელები, ინგლისელები, რუსები და ბევრი სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც არიან. სიმართლე გითხრათ, უცხოელები ჩვენგან საგრძნობლად განსხვავდებიან, ბევრი დადებითი თვისება აქვთ. კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ უცხო ქვეყანაში არიან და მათ უცხო ხალხი მასპინძლობს. ამიტომ ისინი ზრდილობითა და თავდაჭერილობით გამოირჩევიან. აი, ქუთაისელი მგზავრები კი, სრულიად განსაკუთრებული „მოვლენაა“ გამცილებელთათვის (*იღიმება*)... ამას ბევრი აღნიშნავს. რატომღაც ჰგონიათ, თუ მგზავრობის ფასი გადაიხადეს და ავტობუსში ამოვიდნენ, ეს უკვე ნიშნავს, რომ განუსაზღვრელი უფლებები აქვთ. კარგი გოგო ხარ და შენიშვნა მიეცი — ყველაფერს თავზე დაგამხობენ (*იცინის*). აზერბაიჯანელებიც რთული მგზავრები არიან, ისეთ რამეებს აკეთებენ, შეიძლება, ჭკუიდან შეგშალონ. თუ ავტობუსში 2 ან 3 აზერბაიჯანელი მაინც მგზავრობს, სიტუაციას ვეღარ ვაკონტროლებ. ქართველ მგზავრებს შორის ისეთებიც არიან, ვინც ჩვენი ტურით ხშირად დადიან თურქეთში და უკვე ლამის ოჯახის წევრად მიმიჩნევენ.

— რამდენად განსხვავდებიან თურქები ქართველებისგან?

— თურქები უფრო მოწესრიგებულები არიან. როცა ავტობუსში მხოლოდ თურქი მგზავრები მყვანან, ვიცი, რომ იმ დღეს ავტობუსს დალაგება არ დასჭირდება. იქაური მამაკაცები ქართველი ქალებისადმი დიდ სიმპათიას იჩენენ... ვერ ვიტყვი, რომ სახალისო სამსახური მაქვს, ხშირად ისე ვიღლები, რომ ფეხზე ვეღარ ვდგავარ. ღამით გამცილებლის დაძინება არ შეიძლება და ჩვენც მთელი ღამე მგზავრების ძილს ვდარაჯობთ. ხშირად სახალისო სიტუაციაც იქმნება. ამას წინათ, ოფისიდან მგზავრის ნომერი მომცეს და მითხრეს: დარეკე და უთხარი, სად უნდა მოვიდესო. მეც დავრეკე: ქალბატონო, „მეტროდან“ (ჩვენს სატრანსპორტო კომპანიას ჰქვია) გაწუხებთ და ორთაჭალაში უნდა მობრძანდეთ, ავტოსადგურის ტერიტორიაზე, ავტობუსი 2 საათში გადის-მეთქი. — რომელ მეტროსთან უნდა მოვიდეო? — ჩამეკითხა ქალბატონი. ცისფერი მეტროა, ქალბატონო, ორთაჭალის ავტოსადგურში რომ მოხვალთ, დაინახავთ-მეთქი. ცოტა ხანში ისევ ის ქალი მირეკავს და აღელვებული ხმით მეუბნება: რას ამბობ, შვილო, ყველგან ვიკითხე, ერთადერთი ცისფერი, „ისნის“ მეტროა და ახლა აქ ვდგავარ, ორთაჭალაში ჯერ მეტრო არ გაუყვანიათო (*იცინის*)! ერთხელ, როგორც კი სტამბოლიდან ჩვენი ავტობუსი დაიძრა, ერთი გოგო გემრიელად მოკალათდა სავარძელში, თითით მიმიხმო და მეუბნება: აბა, გენაცვალე, ახლა ვიძინებ, ჰოდა, გორს რომ მივუახლოვდებით, გამაღვიძე, იქ უნდა ჩავიდეო! 28 საათი თუ აპირებდა ძილს, არ ვიცი, მაგრამ საზღვარზე როგორ უნდა გადმოსულიყო, ამაზე ალბათ არც უფიქრია... როცა ადამიანი პირველად მგზავრობს, ყველაზე მეტად ნერვიულობს და ხშირად ისეთ არასერიოზულ კითხვებს სვამს, გაოცდები (*იღიმება*).



წელიწად-ნახევარია, რაც გამცილებელი გახლავართ

— ვიცი, რომ ჟურნალი „გზის“ აქტიური მკითხველი ხარ...

— (*იღიმება*) კი, მგზავნელი ვარ და როგორც ყველა მგზავნელს, ეს ჟურნალი ძალიან მიყვარს. როცა რომელიმე მგზავრს ხელში „გზა“ უკავია, მაშინვე ვეკითხები, ამ ჟურნალს საერთოდ კითხულობ თუ პირველად ახლა შეიძინეთ-მეთქი? მერე მის ფურცლებზე დაბეჭდილ ჩემს მესიჯებსაც ვაკითხებ (*იცინის*).

გიორგი მაღრაძე:

— 2 წელია, გამცილებლად ვმუშაობ და ჯერჯერობით ყველაფერს გმირულად ვუძლებ. კლიენტები მაღალი ხარისხის მომსახურებას ითხოვენ და ჩვენი ვალიც ისაა, რომ ყველა მოთხოვნა დავუკმაყოფილოთ, მაგრამ ხანდახან ისეთი მგზავრებიც მხვდებიან, სად გავიქცე, აღარ ვიცი, ყვირიან და ჯაჯღანებენ. ლამის არის, ჩავიდე და ავტობუსს ფეხით გავეკიდო (*იცინის*). ძალიან თუ დაიძაბება სიტუაცია, შემიძლია, მგზავრი ავტობუსიდან შუა გზაზე ჩავაბრძანო...

— ასეთი შემთხვევაც გქონია?

— კი. ამას წინათ აზერბაიჯანელები ჩავაბრძანე. იქაურები ძალიან რთული ასატანები არიან, ისეთ რამეს ითხოვენ ავტობუსში, რაც სერვისით გათვალისწინებული არ არის... გამცილებლად მუშაობის განმავლობაში დიდი გამოცდილება დამიგროვდა. ვცდილობ, რომ მგზავრობისას ავტობუსში არავინ მოიწყინოს და შეძლებისდაგვარად, ვახალისებ. ხანდახან თავადაც ვხალისობ მათზე. ამას წინათ ავტობუსში ერთი ქალი ამოვიდა და ჯერ ბალიში მოითხოდა, მერე — მუთაქა. ორივე მივეცი. მერე მეუბნება: შვილო, „პაკრივალა“ ხომ არ გექნებათო (*იცინის*)?.. ერთმა ქალმა ბავშვი მომაწოდა: გეხვეწები, დააძინე, მე ვერ ვაძინებო... მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი სამსახური ძალიან მომწონს და ადამიანებთან ურთიერთობაც მსიამოვნებს...

მარი შაშიაშვილი:

— 5 თვის წინ სამუშაოდ ანკარაში წავედი, მაგრამ არაფერი გამომივიდა და დაბრუნების შემდეგ, გამცილებლად საქართველო-თურქეთის სატრანსპორტო კომპანიაში დავიწყე მუშაობა. მგზავრობის მანძილზე ძალიან ვუახლოვდებით კლიენტებს და ხშირად მათი უნებლიე მესაიდუმლეებიც ვხდებით. საქართველოში თურქებზე მცდარი წარმოდგენა აქვთ. სინამდვილეში, გაცილებით უკეთესები არიან, ვიდრე ბევრს ჰგონია. აწყობილ ქვეყანაში ცხოვრობენ, არც კრიზისი აწუხებთ და არც მატერიალურად უჭირთ. დიდი ხანია, მათ ვაკვირდები და იცით, რა შევნიშნე? მიუხედავად იმისა, რომ მათთან „გაქანებული“ პატრიარქატია და მრავალცოლიანობაც „მოსული“, მამაკაცებს ცოლების დიდი რიდი და შიში აქვთ (*იღიმება*). სხვათა შორის, ქართველი ქალები იმიტომ უყვართ, — კარგი დედები არიანო, — აღნიშნავენ.

— ყველაზე რთული კლიენტები თუ გახსოვს?

— უჰ, სომხები!.. ამას წინათ, სომხების ჯგუფი მგზავრობდა და სანამ დანიშნულების ადგილამდე მივედი, მანამდე ნევროზი დამმართეს (*იცინის*). ავტობუსი ისეთი ჭუჭყიანი იყო, ყელამდე ნაგავში ვიყავით და ლამის გადავირიე. მოთმინების უნარი არ გააჩნიათ და რატომღაც ჰგონიათ, გამცილებელი რობოტი ხარ და ყველაფერი შეგიძლია. მგზავრებს შორის იმდენი გადარეული ადამიანი გვხვდება, უკვე აღარაფერი გვიკვირს. ამას წინათ, გზაში ერთი მგზავრი ავიყვანეთ და როცა პასპორტი ვთხოვე (ბილეთის გასაფორმებლად გვჭირდებოდა), გაკვირვებულმა შემომხედა: ჯერ ჩემთვის პასპორტი არავის მოუთხოვია და შენ ვინ ხარო?! ერიჰაა, ცუდადაა ჩემი საქმე-მეთქი... ცოტა ხანში მეუბნება: მე 2 პასპორტი მაქვს და რომელი მოგცეო?.. მეგონა, 2 ქვეყნის მოქალაქე იყო და რომელიც ახლოს გაქვთ, ის მომეცით, ჩემთვის სულერთია-მეთქი, — მივუგე... უეცრად შარვლის შეხსნა არ დაიწყო?! აგერ მაქვს ერთი პასპორტიო (*იცინის*)... აი, ასეთი გადარეულებიც გვხვდებიან!

ეკა როგაძე:

— ჯერჯერობით ვუძლებ ყველაფერს და ვნახოთ, კიდევ რამდენ ხანს გავუძლებ... ავტობუსში ისეთი ამბები ხდება, ხანდახან სასაცილოდ სულ არ გვაქვს საქმე... ამას წინათ სარფში მაგარი წვიმა წამოვიდა და ავტობუსში წვიმის წყალიც ჩამოვიდა. მგზავრები გადამერივნენ... ისეთი ამბავი დამაწიეს, თითქოს რამე ჩემი ბრალი ყოფილიყო... საინტერესოა, რა უნდა მექნა — ავსულიყავი და შიფერი გამესწორებინა (*იცინის*)?! თუ გადარეული მგზავრებით ივსება ავტობუსი, თურქეთამდე საოცარი თავგადასავლებით ჩავდივართ ხოლმე (*იცინის*). ■

„როცა ვხატავ, ფულზე არ ვფიქრობ“...

ოქტომბრის ერთ თბილ და მზიან დღეს რიყეზე მოვხვდი. კარგი ამინდი იყო და ტრანსპორტში ჩავჯდომას, ფეხით გასეირნება ვამჯობინე... რიყეზე ჩემი ყურადღება ერთმა ახალგაზრდა კაცმა მიიქცია, რომელსაც მოლბერტი გაეშალა და ხატავდა. ამ საქმით ისე იყო გართული, რომ მისი მოცდენა ალბათ არც კი შეიძლებოდა, მაგრამ თავი მაინც ვერ შევიკავე და ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, გამოველაპარაკე. დიდხანს გაჩერებას არ ვაპირებდი, მაგრამ დავით გედევანიშვილი საკმაოდ კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა...

ლალი ფაცია

— **დიდი ხანია, აქ დგახარ?**

— მეგობართან, შალვა თეთრაშვილთან ერთად, დილიდან აქ ვიმყოფები... საერთოდ, თბილისის ძველ უბნებში ხშირად დავდივართ და დასახატად საინტერესო ადგილებსა თუ შენობებს ვეძებთ. თბილისში ძველებური არქიტექტურით ნაგები შენობების რიცხვი ყოველდღიურად მცირდება: ზოგი თავისით ინგრევა, ზოგსაც ანგრევენ, ახალი რომ ააშენონ. სანამ ისინი საბოლოოდ განადგურდება, გვინდა, რომ ამ ქალაქის ძველებური პეწი და მშვენიერება ჩვენს ნამუშევრებში ავსახოთ...

— **ახლა რას ხატავ?**

— ძველ სახლს. ცოტა ხნის წინ აქ ფოტოაპარატით ვიყავით მოსულები და ბევრი რამ გადავიღეთ. ახლა კი აი, აგერ, იმ მშვენიერი სახლის (*ხელით მიჩვენებს. — ავტ.*) ხატვა დავიწყე, რომელსაც რეკონსტრუქცია უკეთდება. გარკვეული დროის შემდეგ, სულ შეიცვლება, რადგანაც რესტავრაციას უკეთებენ... მინდა, მოვასწრო და ჩემს ნამუშევარში მისი პირვანდელი იერი ავსახო.

— **ძველ თბილისში ყველაზე მეტად რა მოგწონს?**



ჩვენს ქალაქს საოცარი ხიბლი აქვს...

— ის, რომ ცოცხალია!.. რომ ძველ უბნებში ხალხი ცხოვრობს. დამეთანხმებით, ჩვენს ქალაქს საოცარი ხიბლი აქვს...

— **საერთოდ, დიდი ხანია, ხატავ?**

— რაც თავი მახსოვს...

— **შენი პირველი ნამუშევარი თუ გახსოვს?**

— არა... ეს კითხვა დაახლოებით ისე ჟღერს, როგორც — შენი დაბადების დღე თუ გახსოვსო?.. ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ბაბუა — ელიზბარ გედევანიშვილი ხელოვანი გახლდათ, რეჟისორი, საქართველოს და დაღესტნის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ამასთან — მხატვარიც... მთელი ბავშვობა შინ იმას ვუყურებდი, თუ როგორ ხატავდა ბაბუა. ასე რომ, ხატვაში პირველი გაკვეთილები მისგან მივიღე... მახსოვს, როდესაც მის საღებავებს მივუახლოვდებოდი, საოცარი განცდა მეუფლებოდა: მინდოდა, საღებავებისთვის ხელი შემევლო... ჩემში ის სხვადასხვა ფერი ჯადოსნურ განწყობილებას იწვევდა...

— **ახლაც ასეა?**

— საღებავებს, როგორც ცოცხალსა და სულიერ არსებებს, ისე ვეპყრობი...

— **რომელია შენი საყვარელი ფერი?**

— მკვეთრი ფერები მიყვარს: წითელი, იისფერი, ნარინჯისფერი, რუხიც...

— **როგორ გგონია — დღეს ამ სურათს დასრულებ?**

— ბედნიერი ვარ მაშინ, როცა სურათი ერთ დღეში სრულდება. ესე იგი, იმ დღეს შევძელი და მთლიანად სურათში ის განწყობილება გადმოვეცი, რომელიც მქონდა. მეორე დღეს ნამუშევრის გაგრძელება ცოტა რთულდება, რადგანაც ადამიანი ყოველთვის ერთსა და იმავე ხასიათზე არ არის... ამიტომ ვეცდები, ეს სამუშაო დღესვე დავასრულო, თუმცა, ვნახოთ...

— **როდესაც ხატვას იწყებ, რა არის შენთვის მთავარი?**

— ტექნიკის გარდა მთავარია, რომ სამუშაო რუტინული არ იყოს. შეიძლება, ბანალურად ჟღერს, მაგრამ მხატვარმა ხატვისას სიამოვნება უნდა მიიღოს. თუ ამ პროცესით სიამოვნებას არ იღებს, ეს მის ნამუშევარსაც ეტყობა... როდესაც ჩემს სურათს ყიდულობენ, მიხარია: ესე იგი, ვიღაცას ის აინტერესებს, რაც ენერგიას მმატებს...

— **როდესაც ცუდ განწყობილებაზე ხარ, არ ხატავ?**

— არა, ნამუშევარს უარყოფითი მუხტი რომ არ გადაეცეს... ეს დაახლოებით იმას ჰგავს — დიასახლისი რაღაცაზე რომ გაბრაზდება და იმ დღეს მომზადებული კერძი უგემური გამოსდის.

— **რა განათლება გაქვს?**

— თბილისის სამხატვრო აკადემიის ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის ფაკულტეტი დავამთავრე. აკადემიაში რომ ჩავაბარე, ქართული ენა ფაქტობრივად, არ ვიცოდი, რადგანაც გარკვეული პერიოდის მანძილზე მოსკოვში ვცხოვრობდი; როცა აქ ჩამოვედი, ენა დავიწყებული მქონდა, მხოლოდ რამდენიმე სიტყვაღა მახსოვდა. ამიტომ თანაკურსელებთან ურთიერთობა მიძნელდებოდა... კურსზე ხუთი საუკეთესო სტუდენტი სწავლის საფასურისგან თავისუფლდებოდა. მითხრეს, რომ ხუთეულში მოხვედრის შანსი არ მქონდა; ამ ნათქვამმა შემაგულიანა და მეორე კურსზე უკვე შევძელი, ხუთეულში მოვხვედრილიყავი. ჩემს პედაგოგებს (ალიკ სლოვინსკი, თამარ მინაშვილი, გენრიეტა იუსტინსკაია, ნინო გუნია) ვემადლიერები. ბაბუის გაკვეთილებისა და მათი ლექციების წყალობითა, ნელ-ნელა ჩამოვყალიბდი კიდეც მხატვრად...

— **შენი სურათი გამოფენა-გაყიდვაზე ხშირად გაყიდულა?**

— კი. ეს ხომ ჩემი ერთადერთი

საქმიანობაა, რომელსაც სიამოვნებასთან ერთად, ფულიც მოაქვს. ჩემი ნამუშევრები პერიოდულად იყიდება და თავს ამით ვირჩენ... ცოტა ხანს ჩეხეთში ვცხოვრობდი და ძველი პრაღის შესანიშნავ ხედებს ვხატავდი (სხვათა შორის, იქაურობა ძალიან შემიყვარდა). წამოსვლისას ერთ-ერთ ცენტრალურ გალერეაში ჩემი რამდენიმე ნამუშევარი დავტოვე. შარშანდელი აგვისტოს ომის შემდეგ თურმე რუსი ტურისტი ქალბატონი დაინტერესებულა ჩემი სურათით და უთხოვია, კედლიდან ნამუშევარი ჩამოეხსნათ. თანხაც გადაუხდია. მერე ამოუბრუნებია სურათი და გვარი წაუკითხავს: — ავტორი ქართველიაო? — უკითხავს და ნამუშევრისთვის ცივად უშვია ხელი: ფული დამიბრუნეთო... გული დამწყდა... თუ პოლიტიკა ადამიანებს ყოფს და ერთმანეთს აშორებს, ხელოვნებამ მათი გაერთიანება უნდა შეძლოს. ამიტომაც არ არსებობს ხელოვნებაში ეროვნებებს შორის საზღვრები. თუმცა გამონაკლისი ალბათ მაინც არის... არ ვნანობ, რომ მან ჩემი ნამუშევარი არ შეიძინა. ალბათ, მისი ღირსი არ იყო!..

— სურათს, რომელსაც ახლა ხატავ, გამოფენა-გაყიდვაზე გაიტან?

— კი, ის თბილისის ერთ-ერთ გალერეაში მოხვდება... ისე კი, როცა ვხატავ, მაშინ ფულზე არ ვფიქრობ... თუმცა ჩემი არაერთი სურათი, ევროპისა და ამერიკის მასშტაბით, ბევრი კერძო პირის კოლექციაში მოხვედრილა, ზოგიც გამიჩუქებია...

— რთულია დღეს, იყო მხატვარი?

— ვფიქრობ, ეს ყოველთვის რთული იყო, რადგანაც მხატვარი მუდმივად შემოქმედებით ძიებაშია, ხელოვნებაში საკუთარი თავი რომ იპოვოს. ეს არის მისთვის უმთავრესი ამოცანა... თვითკმაყოფილება შემოქმედისთვის საშინელი რამ არის. ამიტომ არ უნდა გაჩერდე და მიღწეულს არ უნდა დასჯერდე. გარდა მხატვრობისა, ვერ წარმომიდგენია სხვა სფერო, რომელშიც საკუთარი თავის რეალიზებას შევძლებდი.

ხატვა 50 წლის ასაკში დაიწყო...

— საუბრის დასაწყისში ბაბუა ახსენე. საინტერესო ადამიანი ყოფილა. იქნებ უფრო ვრცლად მოგიყვე მასზე?

— ის სულით ხორცამდე შემოქმედი იყო. დამთავრებული ჰქონდა „გიტისი“ — მოსკოვის უმაღლესი თეატრალური სასწავლებლის სარეჟისორო ფაკულტეტი... თავის დროზე, ჩვენი მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლისთვის დაწერა პიესა — „საიდუმლო დანაკარგი“, რომელიც იქვე დაიდგა. ცოტა ხანში კი ამ პიესის ბაზაზე მანვე შექმნა სცენარი მხატვრული ფილმისთვის — „მანანა“. სხვათა შორის, მთავარი როლის შემსრულებელი პატარა გოგონა — ნანული სარაჯიშვილიც ტრამვაიში თავადვე იპოვა: პატარა ნანული სრულიად მარტო, მშობლების გარეშე იჯდა ტრამვაიში და მღეროდა... ბაბუაჩემი მის საქციელს გაუოცებია, ბავშვის სითამამითა და უშუალობით მოხიბლულა. ზუსტად ისეთი გოგონა იყო, როგორიც მას მთავარი როლისთვის სჭირდებოდა... ბაბუაჩემი ასევე, მხატვრული ფილმების: „ზვიგენის კბილი“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ვინ შეკაზმავს ცხენს“, „კეთილი ადამიანები“ მეორე რეჟისორიც გახლდათ...

— დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე როგორ გახდა?

— დაღესტანში 60-იან წლებამდე თეატრი არ არსებობდა. როცა იქ თეატრის გახსნა გადაწყდა, ბაბუას წილად ხვდა პატივი, ჩასულიყო მახაჩყალაში და იქ უზარმაზარი კონკურსი მოეწყო (რადგანაც თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ოსტატობას ასწავლიდა, დოცენტი გახლდათ) და სამსახიობო ფაკულტეტისთვის ახალგაზრდები შეერჩია, რომლებიც შემდეგ დაღესტნის თეატრის მსახიობები გახდებოდნენ. მართლაც, კონკურსის შედეგად, 10 იქაური ახალგაზრდა შეარჩიეს. მოგვიანებით ისინი ბაბუაჩემის სტუდენტები გახდნენ. 5 წლის შემდეგ კი დაღესტანში თეატრი ჩამოაყალიბეს. ამისთვის ელიზბარ გედევანიშვილს დაღესტნის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭეს. მან ასევე მოამზადა მსახიობები აფხაზეთის, კერძოდ, სოხუმის მუსიკალური კომედიის თეატრისთვის და იქ პირველი მუსიკალური კომედიის თეატრიც გაიხსნა...

— რა საინტერესო ადამიანის შთამომავალი ყოფილხარ!.. მას, როგორც მხატვარს, ბევრი სურათი ჰქონდა დახატული?

— კი და უცნაურია, რომ ხატვა 50 წლის ასაკში დაიწყო... ჩვენი სახლი სავსეა მისი ნამუშევრებით. არ მყოფნის გამბედაობა და სითამამე, რომ დღეს ისინი კედლებიდან ჩამოვხსნა და მათ ნაცვლად, ჩემი ნამუშევრები ჩამოვკიდო...

— პერსონალური გამოფენის მოწყობას არ აპირებ?

— ჯგუფურ გამოფენებში ხშირად ვმონაწილეობ და უკვე ვგრძნობ, რომ დადგა დრო, საკუთარი პერსონალური გამოფენაც მოვაწყო. ალბათ ამას გაისად, გაზაფხულზე შევძლებ...

— წარმატებებს გისურვებ!

— გმადლობთ! ■

თბილისის ძველ უბნებში ხშირად დავდივართ და დასახატად საინტერესო ადგილებსა თუ შენობებს ვეძებთ

ნაზი მასწავლებლის უჩვეულო სტუმარი
და მოულოდნელი ჯილდო პრეზიდენტისგან

თურმე ძნელი ყოფილა, საკუთარ მასწავლებელზე დაწერო რამე, თუნდაც კარგი და სასიამოვნო... 14 სექტემბერს ქართულმა ტელეარხებმა გააშუქეს, თუ როგორ ეწვია პრეზიდენტი სახლში მხცოვან მასწავლებელს, ქალბატონ ნაზი წიკლაურს და მანქანით სკოლაში წაიყვანა. სკოლა კი გარდაბნის რაიონში, სოფელ ვახტანგისში მდებარეობს... თვალებს არ ვუჯერებდი, როდესაც ამ მხცოვან ქალბატონში ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი ვიცანი... ცრემლი მომერია... როგორ შეცვლილა-მეთქი ჩემი ლამაზი ნაზი მასწავლებელი...

მარი ჯაფარიძე

ბავშვობაში, მეზობელ ბავშვებთან ერთად „მასწავლებლობანა“ ალბათ ბევრს გითამაშიათ. მე ყოველთვის „მასწავლებელი“ ვიყავი და ჩემი ნაზი მასწავლებლის დგომის, სიარულისა თუ გაკვეთილის ახსნის მანერებს აქტიურად ვიყენებდი. ის ფაქტობრივად, ჩემთვის მასწავლებლის ეტალონი გახლდათ. მუდამ მშვიდი და აუღელვებელი იყო, 7 წლის მანძილზე გვასწავლიდა და ამ ხნის განმავლობაში მისი ერთი გაკვეთილიც კი არ გაგვიცდენია. არ არსებობდა მიზეზი, რომლის გამოც ის არათუ სკოლაში არ გამოცხადებულიყო, არამედ გაკვეთილზე დაეგვიანა. გასულ კვირას, გვიან საღამოს, ნაზი მასწავლებელს შინ გაუფრთხილებლად ვეწვიე. ძალიან ვღელავდი...

თვალებითა და სიცილით გიცანიო...

საუბარი ცოტა შორიდან დავიწყეთ...

იყალთოში ცხოვრობდა... იქ დაიბადა და გაიზარდა... სკოლა რომ დაამთავრა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების სურვილი გაუჩნდა, დედინაცვალმა უარი უთხრა... ამის მიუხედავად, თელავის პედაგოგიურ სასწავლებელში მაინც ჩააბარა და იქ სიარული ხშირად იყალთოდან ფეხით უწევდა.

— ტანისამოსი მოვქსოვე, ჩემს დედინაცვალს თბილისში გასაყიდად გავატანე და იმ ფულით „ლუქსის“, ძალიან ლამაზი ფეხსაცმელი ვიყიდე. თუმცა, ვინაიდან იყალთოდან ხშირად ფეხით მიწევდა თელავში ჩასვლა, ოღროჩოღრო და ტალახიან გზაზე ფეხსაცმელს გასაფუჭებლად ვერ ვიმეტებდი. გზაში ძველ ფეხსაცმელს ვიცვამდი, თელავის შესასვლელთან კი გამოვიცვლიდი ხოლმე და გამოპრანჭული მიგბაკუნდებოდი სასწავლებელში. მაინც ყველაზე ადრე მივდიოდი და არც ლექციებს ვაცდენდი. შემდეგ პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე და მუშაობაც დავიწყე.

— მუშაობა რომელ წელს დაიწყეთ?

1983 წლის გაზაფხული
ნაზი წიკლაური (შუაში) სადამრიგებლო კლასთან ერთად

— 1948 წელს. მაშინ თითქმის ყველა ახალგაზრდა პედაგოგობაზე ოცნებობდა. ახლა კი რატომღაც ეს პროფესია „მოდაში“ აღარ არის. ჩემს მოსწავლეებს ხშირად ვსაყვედურობ, რომ პედაგოგობის სურვილი არ აქვთ... ახლა რომ ვიწყებდე ცხოვრებას, ისევ ამ გზას ავირჩევდი. სკოლის გარეშე არ შემიძლია, ვერ გავძლებ... სულ იმის შიში მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს მუშაობა რომ ვეღარ შევძლო და რა მეშველება? ძალიან გამიჭირდება. თუ ბავშვი არ გიყვარს, მასწავლებელი ვერ იქნები. საოცარი სიამოვნებაა, როდესაც ახალი სასწავლო წელი იწყება, ზაფხულში, არდადეგებზე წასულ მოსწავლეებს სკოლაში ხელახლა ეგებები და ხედავ, როგორი გაზრდილები არიან... თავიდანვე ასეთი განწყობილებით დავიწყე მუშაობა და ამიტომაცაა, რომ ბავშვებთან ურთიერთობა არ მიჭირს. წლების განმავლობაში ჩემი მოსწავლე იყავი და თუ გაიხსენებ შემთხვევას, როცა მე გაკვეთილზე წესრიგის დამყარება დამჭირვებია ან დისციპლინაზე საუბარი?

— არა, მსგავსი რამ არ მახსენდება, გაკვეთილზე ყოველთვის ბუზის გაფრენის ხმა ისმოდა...

— ერთ ამბავს გავიხსენებ, რომელიც სწორედ თქვენს კლასში მოხდა... განათლების განყოფილებიდან დამსწრე გვყავდა. დირექტორმა ის ჩემს გაკვეთილზე შემოიყვანა. ქალბატონი უკანა მერხზე დაჯდა. თემაც კი მახსოვს — მამათა და შვილთა ბრძოლის ეპიზოდს ვხსნიდი. ერთი მოსწავლე არ მისმენდა. რამდენჯერმე შენიშვნა მივეცი — გია, მომისმინე-მეთქი. წყნარად კი იჯდა, ხმას არ იღებდა, მაგრამ წრიალებდა, ადგილს ვერ პოულობდა. დამსწრე გაგიჟდა, გაკვეთილი რომ დამთავრდა, გიას მიუბრუნდა და უთხრა, ამ გაკვეთილს რომ არ უსმენდი, სხვას სულ არ მოუსმენ, ეს ნამდვილად არ გეპატიება, ამიერიდან სამინისტროდან პირადად გავაკონტროლებ შენი სწავლა-განათლების საკითხსო...

— მგონი, გიას პრობლემა არ შეჰქმნია...

— მართალია, რადგან არც სკოლამ გასწირა და არც — სამინისტრომ. მახსოვს, ერთხელ, 1-ელ სექტემბერს, სკოლის შენობაში შევდიოდი. კიბეზე

პრეზიდენტის კორტეჟი ჩემს სახლთან რომ მოვიდა, ხალხი გაოცებული უყურებდა, ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა

პირველკლასელი ბავშვი ჩამორბოდა, — ჰოპაა, გამატარეე! — დაიძახა, ხელი მკრა და ისე მიმაგდო გვერდით, რომ არც დაფიქრებულა, რას აკეთებდა. — ამას რას მოვესწარი-მეთქი, — გამიკვირდა,

მაგრამ გამელიმა კიდეც. ის ჯერ 1 დღის მოსული იყო სკოლაში და ქცევის წესები არ იცოდა. ამის გამო მასზე გაბრაზება როგორ შეიძლება?! დაუშვებელია, ცელქ ბავშვს უთხრა, რომ ის კარგია და ამით „მოისყიდო“ იმისთვის, რომ გაკვეთილზე არ იხმაუროს. რადგანაც მან კარგად იცის, რომ ის სულაც არაა კარგი და ხვდება, რომ ატყუებ. ამის გამო ნდობას კარგავ. მასწავლებლობა რთულია... თუ ბავშვის ფსიქოლოგიაში ვერ ერკვევი, არაფერი გამოგივა... სკოლაში 61 წელი გავლიე. ყოველთვის ვგრძნობდი ბავშვების სიყვარულს და მეც იმავე გრძნობით ვპასუხობდი.

— ახლა ვახტანგისში ქართულ სკოლაში ასწავლით?

— დიახ, ამ სოფელში ძირითადად აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, ქართველები ძალიან ცოტანი არიან, მაგრამ ქართული სკოლა მაინც გაიხსნა. ეს აზერბაიჯანულ სამყაროში ერთი პატარა, ქართული კერა გახლავთ. ბოლო დროს, ისეთი ტენდენცია გაჩნდა, რომ დაბალ კლასებში, ძირითადად, აზერბაიჯანელი მოსწავლეები გვყავს. მიხვდნენ, რომ საქართველოში წარმატებას ქართული განათლებისა და ქართული ენის ცოდნის გარეშე ვერ მიაღწევენ. სკოლაში რომ შემოდიან, ქართულად ლაპარაკიც კი არ იციან, სამაგიეროდ, ზედა კლასებში უკვე გამართულად ლაპარაკობენ. ბევრი კარგი მოსწავლე მყავს. საუკეთესო გოგონები ადრიანად მოგვტაცეს (გათხოვდნენ) და სწავლა ვეღარ გააგრძელეს. გული მწყდება, მაგრამ... რას ვიზამ? სხვათა შორის, პრეზიდენტსაც მოვუყევი, გოგონები რომ „მომტაცეს“ და გულიანად იცინა...

— მოდი, მომიყევით, პრეზიდენტის თქვენთან სტუმრობის შესახებ.

— სიმართლე გითხრა, ვერ გავიგე, მაინცდამაინც მე რატომ შემარჩიეს, რომ ღირსების ორდენი გადმოეცათ. 11 სექტემბერს მარიკა ვერულაშვილმა დამირეკა და მითხრა, თქვენთან მოსვლა მინდაო, — გამიკვირდა, მაგრამ აბა, უარს როგორ ვეტყოდი?! მობრძანდა ქალბატონი მარიკა, გამესაუბრა და მითხრა, 14-ში სამსახურში არ წახვიდეთ, პრეზიდენტი მოგაკითხავთ და ის წაგიყვანთო. გადავირიე. ძალზე უხერხულად ვიგრძენი თავი — ნუ შეაწუხებთ პრეზიდენტს, ქალბატონო მარიკა, სკოლაში მე თვითონ წავალ-მეთქი. მოკლედ, ბატონი მიხეილი ჩემთან მოვიდა. მანამდე კი, 2 დღის განმავლობაში ვინ აღარ მესტუმრა, გუბერნატორიდან დაწყებული... მეკითხებოდნენ, რამე ხომ არ გჭირდებათო?.. არასოდეს არაფერი მითხოვია და არც ახლა მჭირდება რამე-მეთქი, — ვეუბნებოდი. ეს ამბავი არ გამიხმაურებია. არავინ არაფერი იცოდა... ამიტომ, პრეზიდენტის კორტეჟი ჩემს სახლთან რომ მოვიდა, ხალხი გაოცებული უყურებდა, ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა. მანქანა სადარბაზოსთან გაჩერდა და ბატონი მიხეილი სახლში ამოვიდა. ჟურნალისტებმა და ოპერატორებმა წინასწარ გამაფრთხილეს, კარი ოდნავ გამოღებული დატოვეთ, ბატონი

რამე მიირთვით-მეთქი, — სუფრასთან მოვიწვიე. წყალი დალია, ხაჭაპურის ნაჭერი აიღო, გემო გაუსინჯა და ნახელავი შეაქო, გემრიელი ხაჭაპურიაო

მიშა კართან მოვა, მერე გამოაღეთ, თქვენი შეხვედრა უნდა გადავიღოთო. — მე მას კარის გაღებას დავასწრებ-მეთქი? — გამეცინა. ცოტა ხანს ბატონი მიხეილი შუა ოთახში იდგა, მერე სავარძელში ჩაჯდა. წავიდეთო? — მკითხა. რამე მიირთვით-მეთქი, — სუფრასთან მოვიწვიე. წყალი დალია, ხაჭაპურის ნაჭერი აიღო, გემო გაუსინჯა და ნახელავი შეაქო, გემრიელი ხაჭაპურიაო. ამის შემდეგ წავედით. მანქანაში უკან ვიჯექი, ბატონი მიხეილიც გვერდით მომიჯდა. კარგი ჟესტი იყო. ეს მის თავმდაბლობაზე მიუთითებს. მეგონა, ძალიან ვინერვიულებდი, მაგრამ ისეთი თბილი და უშუალო ადამიანი აღმოჩნდა, რომ ყოველგვარი უხერხულობის შეგრძნება გამიქრა.

— რაზე ისაუბრეთ გზაში?

— ყველაფერზე ვსაუბრობდით. შეიძლება ითქვას, რომ ცოტა ვიჭორავეთ... მოვუყევი ჩვენი სკოლის შესახებ... მთელი გზა მელაპარაკებოდა... სკოლაში რომ მივედით, დირექციას საკლასო ოთახი სააქტო დარბაზში მოეწყო. იქ შევედით და სრულიად მოულოდნელად, გამოაცხადა, რომ ღირსების ორდენით მაჯილდოებდა... ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. არადა, მანამდე ამის შესახებ სიტყვა არავის დასცდენია... შემდეგ პრეზიდენტი ბავშვებს შორის, მერხთან, სკამზე ჩამოჯდა და მითხრა, ახლა ცოტა ხნით თქვენი მოსწავლე გავხდები და გაკვეთილი ჩამიტარეთო... ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ ჩემ შესახებ ყველაფერი იცოდა. ის, რომ ერთი შვილი მყავს; ისიც, რომ ის ექიმია... მარინას იმ საავადმყოფოს ამბებიც კი გამოჰკითხა, სადაც მუშაობს.

— საერთოდ, როგორი განწყობილება გქონდათ მანამდე პრეზიდენტის მიმართ?

— ცუდად მის მიმართ არასდროს ვყოფილვარ განწყობილი. სკოლაში ხუმრობით „მიშას“ მეძახდნენ, რადგან მის პოზიციას ყოველთვის ვიცავდი. დაუნახავები არ უნდა ვიყოთ, მან ბევრი კარგი საქმე გააკეთა, შეცდომაც დაუშვა, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, ქვეყანა რა მდგომარეობაში ჩაიბარა... ის დროც კარგად მახსოვს, როცა ხელფასებს თვეების განმავლობაში ვერ ვიღებდით. ახლა მასწავლებლებს ხელფასიც მოგვემატა და დროულადაც ვიღებთ... თუმცა სოციალური სფერო ცოტა მისახედია. პრეზიდენტმა ჩვენი სკოლა რომ ნახა, დაიბარა, ამ სკოლას მიხედეთო. იმედია, მოგვხედავენ... ისე, შედარებაც არაა: ადრე ერთი დანჯღრეული ავტობუსი გვყვადა, რომელიც აყრილ გზებზე ძლივს დაჩახჩახებდა, ახლა ყვითელი ავტობუსი გვემსახურება და გზაც დააგეს... ავტობუსი უფასოა. ამით პატრიოტულ საქმეს აკეთებენ — გარდაბნის რაიონში ქართული სკოლები ქრებოდა, რადგანაც მასწავლებლები სკოლაში ვერ დადიოდნენ; ვინ იცის, გზაზე, ტრანსპორტის ლოდინში, რამდენჯერ შემომღამებია?! ახლა კი არავითარი პრობლემა არაა და ამ არაქართულ რეგიონში ქართული სკოლები აღორძინების გზას დაადგა. ■

ქმრისგან მიტოვებული მრავალშვილიანი დედა

და თავს დატეხილი პრობლემები

ბაჩანა, მარიამი, თამარი, საბა და ანანო — ხუთ ბავშვს მარტოხელა დედა ერთ პატარა, ნესტიან, უმზეო ოთახში ზრდის. ეს პატარები ერთმანეთს უვლიან და დედას ამით ეხმარებიან. მინდა, ამ მრავალშვილიან ოჯახსა და მის დიასახლისზე გიამბოთ, რომელიც გმირულად უმკლავდება ყველანაირ გასაჭირს და ქვეყანას საუცხოო შვილს უზრდის...

თამუნა კვირკველია

მელანო რაზმაძე:

— სტუდენტობის პერიოდში ნაქირავებში, იმავე უბანში ვცხოვრობდი, სადაც მალხაზი. ის ჩემი ბინის წინ „აბირჟავებდა“ ხოლმე. საერთო მეგობრებიც გვყავდა, ერთმანეთი ასე გავიცანით. შეყვარებულობის პერიოდი წელიწად-ნახევარი გაგრძელდა.

— ჯვარდაწერილები თუ ხართ?

— ჯვარი ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში 1994 წლის 10 ივლისს დავიწერეთ. მოსიყვარულე, თბილი ოჯახი გვქონდა. გაგვიჩნდა 3 შვილი: ბაჩანა, მარიამი და თამარი. ჩემი ქმარი მუშაობდა, მაგრამ როგორც შემდეგ გავიგე, თურმე პოკერ-კლუბებში თამაშობდა. ვალები დაგვედო. მალხაზი მეუბნებოდა: ვალები იმიტომ მაქვს, რომ მატყუებენო. მე მას ვენდობოდი და მისი ყოველი სიტყვის მჯეროდა. ჩემ გარდა, მის ნათქვამში ყველას ეპარებოდა ეჭვი. მალხაზის მშობლები მოხუცები იყვნენ და ჯერ მამამთილი გარდამეცვალა, 47 დღეში კი — დედამთილიც... ვალების გადასახდელად, ბინაც გავყიდეთ და ქირით დავიწყეთ ცხოვრება. მოგვიანებით სამუშაოდ საცხობში მივედი; დღე და ღამეს ვასწორებდი, მაგრამ ქირის გადახდა მაინც ძალიან გვიჭირდა. მალხაზი თურმე ისევ თამაშობდა. ამასობაში მეოთხე შვილიც — საბა გაგვიჩნდა. ერთმა ნათესავმა მითხრა: გლდანში რადიოქარხანაში მოხუცი ქალი ცხოვრობს, რომელსაც მომვლელი სჭირდება; თუ მოუვლი, ბინის ქირა არ გექნება გადასახდელი და თავზე ჭერი მაინც გექნებაო... სხვა რა გზა მქონდა, ჩემი ოთხი შვილითა და მეუღლით გადმოვედი მოხუც ქალბატონთან 20-მეტრიან ოთახში. ეს ოთახი ფარდით გავტიხრე, ფარდის იქითა მხარეს ლოგინად ჩავარდნილი, სკლეროზიანი მოხუცი იწვა, აქეთ კი — ჩვენ, 6 სული. უკვე მეხუთე შვილზე ვიყავი ფეხმძიმედ. ოთახში არანაირი საცხოვრებელი პირობა არ იყო: ფანჯრებში ქარი შემოდიოდა, კედლები მინის ბლოკით იყო აშენებული, მაგრამ ჩემთვის მთავარი მაინც ის იყო, რომ ამ ბინაში ქირას არ ვიხდიდი...

— შემდეგ რა მოხდა?

— ერთ დღესაც გავიღვიძე და ჩემი ქმარი ჩემთან აღარ იყო... ეს ჩემთვის უდიდესი შოკი აღმოჩნდა. იძულებული გავხდი, მაღაზიიდან ყოველდღე ვალით ამომეტანა ბავშვებისთვის პური. არასდროს დამავიწყდება — ერთხელ თაკომ მითხრა: დედა, ხახვი და მარილი მაინც არა გვაქვს, პურთან ერთად რომ ვჭამოთო?.. ბავშვებს მამის გარეშე ძალიან გაუჭირდათ, ენატრებოდათ. საბას ღამით ტირილით ეღვიძებოდა და მამას კითხულობდა. ჩემს ცხოვრებაში მაშინ ყველაზე მძიმე პერიოდი იდგა. იძულებული გავხდი, ბავშვებით სოფელში გავხიზნულიყავი, არადა, სექტემბერი ახლოვდებოდა და ისინი სკოლაში უნდა წასულიყვნენ. მათი სკოლაში შეყვანა, რა თქმა უნდა, დაგვიანდა. არ მქონდა არანაირი სახსარი იმისთვის, რომ ეს არ მომხდარიყო. მშობლები პენსიონერები მყვანან, მათ ჩემი დახმარება არაფრით შეუძლიათ.

იძულებული გავხდი, ბავშვებით სოფელში გავხიზნულიყავი

— ამ ხნის განმავლობაში მეუღლე არ შეგხმიანებიათ?

— თვენახევრიანი დუმილის შემდეგ დამირეკა, მითხრა: თბილისში ჩამოდი, ფულს მოგცემ და ბავშვები სკოლაში წაიყვანეო. კიდევ ერთხელ მოვტყუვდი, 5 შვილით თბილისში ჩამოვედი, მაგრამ ფული არავინ დამახვედრა. ის სოფლის ნობათიც გამომელია, რომელიც დედამ სახლიდან გამომატანა და დავრჩი ისევ უყველაფროდ. შემდეგ ერთმა მეზობელმა საავადმყოფოში სანიტრად მუშაობა დამაწყებინა. თვეში 70 ლარს ვიღებდი. ბავშვები სკოლაში შევიყვანე. სახელმწიფომ სოციალური დახმარებაც დამინიშნა. დახმარების ფულს მალხაზის ვალებში ვიხდიდი... ცოტა ხნის წინ პატარა ანანო გამიხდა ავად, ვირუსი შეეყარა და ძალიან დასუსტდა. იძულებული გავხდი, მუშაობისთვის თავი დამენებებინა. ვალები თითქმის გავისტუმრე. ბავშვებს კეთილი მეზობლების შემწეობით საცხოვრებელი პირობები გავუუმჯობესე. ფანერით გავტიხრე ოთახი, ლამაზი ფარდები ჩამოვკიდე ფანჯრებზე. გალამაზებული ოთახი რომ ნახეს, ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— ახლა რომ დაბრუნდეს თქვენი მეუღლე, რას იზამთ? შეგიძლიათ, აპატიოთ?

— არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ დაბრუნდეს.არ მინდა, თავიდან გადავიტანოთ მე და ჩემმა შვილებმა ის საშინელება, რომელიც გამოვიარეთ... ■

თეატრად და პოლიუმად ქცეული ტელესივრცე

ლიკა ქაჯაია

ბევრი მაყურებელი უჩივის მსახიობების, მომღერლებისა თუ მოდელების მცდელობას, თავი ჟურნალისტიკაში დაიმკვიდრონ, ზოგი კი ამ სიახლეს მიესალმება და ამბობს: რა სჯობია ლამაზი ქალებისა და მამაკაცების ყურებას? თუ ახალი ამბით ვერ გაგვახარებენ, ღიმილს მაინც გვაჩუქებენ და გულში იმედს ჩაგვისახავენო. ჩემი რესპონტენდები ძირითადად, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები არიან.

„ჟურნალისტი ნებისმიერ სფეროში უნდა ერკვეოდეს"

მარიკო, *18 წლის:*

— ქართული ტელესივრცე მართლაც, არაპროფესიონალებით აივსო. თითქმის ყველა არხზე გამოდის მოდელი, მსახიობი, მომღერალი და გადმოგვცემს ახალ ამბებს. ისინი ცდილობენ, ყოველთვის მხიარულ განწყობილებაზე იყვნენ და როცა ჩვენთვის მტკივნეულ თემებზე ლაპარაკობენ, მაშინაც იცინიან, მაიმუნობენ, რაც ჩვენ, მაყურებელს ძალიან გვაღიზიანებს. როგორ შეიძლება, ინგა გრიგოლია სახლში იჯდეს და ვიღაც, ასე ვთქვათ, ქუჩიდან მოსული ჟურნალისტობდეს? გასაგებია, რომ ეკრანს ლამაზი სახეები უხდება, მაგრამ არც ინგა გრიგოლიაა უშნო ქალი. პირიქით, ის ბევრი მამაკაცის საოცნებო მანდილოსანია. ვერ ხედავთ, მან ჯაბა ქარსელაძესაც აუბნია თავგზა?!

— შენი აზრით, ჯაბა ქარსელაძისთვის თავგზის აბნევა ასეთი ძნელია?

— ალბათ, ძალიან ძნელია. მას ეტყობა, კარგი გემოვნება აქვს და როგორც გამოტყდა, ბევრი კარგი გოგოსთვის დაუდგამს თვალი. საღოლ, ჯაბა, რა.

— ჯაბა ინგას სიყვარულში მაია ასათიანის გადაცემაში გამოტყდა. მაია, როგორც ტელეწამყვანი, როგორ მოგწონს?

— ჩემი დასაწუნი რა სჭირს? მართალია, ზოგჯერ მისი ზედმეტი კითხვები და ცნობილი ადამიანებისადმი ლაქუცი გამაღიზიანებელია, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარია, საინტერესო გადაცემა ჰქონდეს.

— მის ადგილას გადაცემას შენ როგორ წაიყვანდი?

— ადამიანებს ნაკლები ოვაციით შევხვდებოდი. სხვათა შორის, მაიასაც ახასიათებს უდროო დროს გაცინება, ეს კი კარგ ჟურნალისტს არ ეპატიება. ეტყობა, რჩევას არავინ აძლევს ან ძალიან ჯიუტია და სხვისი რჩევა ფეხებზე ჰკიდია.

ის ბევრი მამაკაცის საოცნებო მანდილოსანია

— გასართობი გადაცემები და მისი წამყვანებიც ხომ არ გაღიზიანებენ?

— იცი, ზოგიერთი შოუ უკვე მარაზმად იქცა. სიამოვნებას მხოლოდ „შუა ქალაქის" ყურება მანიჭებს. მართალია, ზოგჯერ სისულელეს იქაც აკეთებენ და ამბობენ, მაგრამ ეს იშვიათად ხდება...

ზურა, *21 წლის:*

— ტელევიზორს რომ ჩართავ და იქიდან ლამაზი გოგონები შემოგცინებენ, ამას რა სჯობია, მაგრამ მათ ისეთი რამის თქმა არ უნდა დაავალო, რასაც ვერც თავს გაუგებენ და ვერც — ბოლოს.

— რას გულისხმობ?

— ამას წინათ ერთმა მსახიობმა გოგონამ მაყურებლებს გვაცნობა, რომ წლების წინ გარდაცვლილმა პოეტმა თურმე, ახლახან ლექსი დაწერა. მითხარით, ამაზე სამარცხვინო რა უნდა იყოს? ქართველი მოქმედი ჟურნალისტების უმეტესობა პროფესიით ჟურნალისტი არაა, მაგრამ ვინაიდან ქაქანი ეხერხებათ, ტელევიზიაში იწყებენ მუშაობას...

ზოგიერთი პროფესიონალი ეკრანზე ისე გამოიყურება, გეგონება, სახლში იყოს და მეზობლებთან ჭორაობდეს — ამ შემთხვევაში ნანუკა ჟორჟოლიანს ვგულისხმობ. ის ძალიან კარგ რეპორტაჟებს აკეთებდა და უდავოდ, ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ როგორც ტელეწამყვანი, ძალიან ცუდია.

— ანუ მისი ახალი გადაცემა არ მოგწონს, არა?

— დიახაც, არ მომწონს! იცით, თემები კარგად აქვს შერჩეული, მაგრამ თვითონ გამოიყურება გამაღიზიანებლად. ალბათ, თავადაც არ იცის, რა უბედურება აცვია. საინტერესოა, „იმედის" ჟურნალისტების ჩაცმულობაზე ვინ ზრუნავს? ან თმა რა დღეში აქვთ, ან მაკიაჟს როგორ უკეთებენ? „იმედის" ხელმძღვანელობას მივმართავ თხოვნით, საკუთარი ჟურნალისტების იმიჯზე იზრუნონ, თორემ მალე, მაყურებელი ყველაზე რეიტინგულ გადაცემასაც კი მოაკლდება.

— როცა ამა თუ იმ გადაცემას უყურებ, შენთვის ინფორმაციის მიღებაა მთავარი თუ ჟურნალისტის იმიჯი?

— ორივე მნიშვნელოვანია.

— ალბათ, მოდელი-ჟურნალისტების მომრავლების მომხრე ხარ...

— არაა აუცილებელი, ეკრანიდან მოდელმა შემომღიმოს. ყველა ქალი ლამაზია, მაგრამ სწორად გამიგეთ, ტელეჟურნალისტი გემოვნებით უნდა იცვამდეს, მან თავისი იმიჯით მე, რიგითი მაყურებელი არ უნდა გამაღიზიანოს.

— იქნებ, ის ჟურნალისტები დაგვისახელო, ვინც შენს სიმპათიას იმსახურებს.

— ძალიან მომწონს ზაალ უდუმაშვილი, ანა ქინქლაძე. კარგი წამყვანი იყო ნათია ლაზაშვილიც, რომე-

ძალიან მომწონს ზაალ უდუმაშვილი

ლიც შემდეგ, მთელ სამყაროს გაუნაწყენდა და როგორც ვიცი, ახლა ინტერვიუს პრესის წარმომადგენლებსაც არ გაძლევთ.

— ნათიამ შენი სიმპათია რით დაიმსახურა?

— ის ყოველთვის კარგად გამოიყურებოდა და ამბის გადმოცემის შესაშური უნარიც ჰქონდა. ჰო, კიდევ, ძალიან მომწონს აკაკი გოგიჩაიშვილის „ბიზნესკურიერი“. „60 წუთიც“ მაგრად მიყვარდა და მის გადაცემას ყოველთვის ინტერესით ვადევნებდი თვალს. აკაკი საინტერესო ადამიანია და რაც მთავარია, ჭკვიანი ჟურნალისტია.

ლალიკო, *19 წლის:*

— ვინაიდან შინიდან ადრე გავდივარ და უკანაც გვიან ვბრუნდები, მხოლოდ დილით და გვიან ღამით ვუყურებ ტელევიზორს. „იმედის“ დილის გადაცემა ძალიან მომწონდა, ახლა კი არ ვიცი, მისი ყურების სურვილი ისევ გამიჩნდება თუ არა.

— რატომ?

— აბა, ქრისტინემ და ვიღაც ნუკიმ როგორ უნდა მიმიზიდონ? ქრისტინეს თავისი საქმე რომ ეკეთებინა, ის სჯობდა. გოგიჩა კი ძალიან მომწონს, მაგრამ მე ის „ბასტიბუბუში“, ბავშვების გარემოცვაში შემიყვარდა და ლამაზმანების გვერდით რა უნდა აკეთოს, არ ვიცი (იცინის). რაც შეეხება „დილა მშვიდობისას“, ძალიან მომწონს ნინო არაზაშვილი, მაგრამ რატომღაც, მან მეორე პლანზე გადაინაცვლა. ჩემი აზრით, გვანცა დარასელია და ეკა სამხარაძე მას ვერც შეედრებიან; ის ბიჭები — იმედა და ვასილი რისთვის არიან საჭირონი, საერთოდ გაუგებარია ჩემთვის. შესაძლოა, იმედა კარგი მსახიობია (ვასილი კი არ ვიცი, რა პროფესიისაა), მაგრამ ფაქტია, ცუდი ჟურნალისტი გახლავთ და ტელეეკრანს არც უხდება. ჰო, კარგი ბიჭია ინტერნეტსაიტების მიმომხილველი — ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი (ოღონდ, ეს ორი გვარი რა საჭიროა?!), სიამოვნებით გავყვებოდი ცოლადაც, მაგრამ ალბათ, ჟურნალისტიკის სფეროში ისიც გაუგებრობისა და შემთხვევითობის წყალობით აღმოჩნდა.

— სხვა ტელეარხებს არ უყურებ?

— სხვა ტელეარხებზე მხოლოდ ფილმებს ვუყურებ, ისიც, გვიან ღამით.

შაკო, *20 წლის:*

— ოოო... ძალიან მომწონს ამინდის პროგნოზის წამყვანები — ლიკა ქორქია და მარი ასათიანი. მხოლოდ მათ გამო ღირს დილის პროგრამის ყურება (*იცინის*). ზოგჯერ სურვილი მიჩნდება, ტელევიზორში ხელი შევყო, ეს ლამაზმანები გამოვიყვანო და მაგრად ჩავკოცნო... სხვებზე რა მოგახსენოთ? არა, გვანცა დარასელიაც მშვენიერი გოგოა, მაგრამ საქმე ის არის, რომ თავადაც შავგვრემანი ვარ და ჩემნაირი „შავები“ არ მომწონს (*იცინის*). ნუ, თუ არ დაიშლის და ძალიან მთხოვს, ცოლად მომიყვანეო, უარს კი არ ვიტყვი და გულს არ დავწყვეტ, მაგრამ ჩვენი შვილი აუცილებლად, ფერადკანიანი იქნება, რაც ალბათ, დიდად არ გაახარებს.

— ტელეეკრანებზე არაპროფესიონალი ჟურნალისტების მომრავლება შენც გაღიზიანებს?

— უკვე გითხარი, რომ ლამაზი გოგონების ცქერა ძალიან მომწონს, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ისინი ჩვენ, პროფესიით ჟურნალისტებს გვართმევენ სამუშაო ადგილს, მაშინ, მაღიზიანებს... ჟურნალისტი ნებისმიერ სფეროში უნდა ერკვეოდეს, ყველაფერზე ჰქონდეს პასუხი და ყველაზე თამამი კითხვის დასმისაც არ უნდა მოერიდოს. სიმართლე გითხრათ, ამ ბოლო დროს ტელევიზია თეატრს, პოდიუმს და დიდ საკონცერტო დარბაზს დაემსგავსა, რაც ჩემთვის, როგორც მომავალი ჟურნალისტისთვის და რიგითი მაყურებლისთვის, მიუღებელია! ■

აკაკი საინტერესო ადამიანია და რაც მთავარია, ჭკვიანი ჟურნალისტია

გვანცა დარასელია

მარი ასათიანი

ბიჭების უყურადღებობით შეწუხებული თინეიჯერები

„ძალიან ცუდია, რომ ვიზრდებით“

მაშინ, როცა ვიღაცები ბიჭების ზედმეტი ყურადღებით არიან შეწუხებულნი, ვიღაცები მამაკაცების ნაკლებობას უჩივიან და ამბობენ, რომ ამქვეყნად ნამდვილი კაცები აღარ არიან. ძლიერი სქესის წარმომადგენლების უყურადღებობა ბევრს აღიზიანებს და ახლა, „თინეიჯერული პონტების“ მეშვეობით სწორედ გაბრაზებული გოგონები მოიოხებენ გულს. იმედია, ამით ბიჭებს არ გავანაწყენებთ.

ბასტი, *18 წლის:*

— ამხელა გოგო ვარ და ჯერ შეყვარებული არ მყოლია. თუ არ ჩავთვლით ბავშვობას, როცა ბაღში ვიყავი და პატარა რომანი მქონდა ბიჭთან, რომელიც დღეს ზედაც არ მიყურებს. გარეგნულად ცუდი გოგო ნამდვილად არ გახლავართ და ვერ ვხვდები, მათ უყურადღებობას რით ვიმსახურებ. ალბათ, მათთვის ძალიან კარგი ვარ და ჩემი ეშინიათ; ჰგონიათ, რომ მათ უარით გავისტუმრებ (*იცინის*).

— რა გაცინებს?

— არა, ასეთი თავმოყვარეც არ ვარ, საკუთარი თავი ანჯელინა ჯოლი ნამდვილად არ მგონია. უბრალოდ, ძლიერი სქესის ყველა წარმომადგენელზე გაბრაზებული გახლავართ და როცა საშუალება მეძლევა, თითოეულ მათგანს ვკბენ, არ ვინდობ.

— ჰოდა, ეტყობა, ძალიან მწარედ იკბინები და თაყვანისმცემლებსაც აფრთხობ.

— არა, თაყვანისმცემლებს არ ვკბენ, მხოლოდ მათ ვუღრენ, ვინც ცდილობს, გვერდით ამაყად ჩამი-

ტრადიციებზე აღზრდილ ბიჭებს ბევრი ჩემზე „ავარდნილი“ გოგო მოუყვანიათ ცოლად

აროს. კაცო, შეყვარებული მარტო მე რომ არ მყავდეს, მიზეზის ძებნას საკუთარ თავში დავიწყებდი, მაგრამ ანგელოზივით დაქალები, ჯგუფელები მყავს და ისინიც კენტად დადიან. 15 ჯგუფელიდან მხოლოდ ერთს ჰყავს ნამდვილი შეყვარებული და ესაა საქმე? ვაჰ, რა დრო დაგვიდგა, ბიჭებს ლამის, თავად ავეკიდოთ და სიყვარული ავუხსნათ.

— მგონი, ასე ცუდადაც არაა საქმე, ქუჩაში ბევრი წყვილი დასეირნობს...

— შეიძლება, ბიჭი გოგოს გვერდით მიდიოდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეყვარებულები არიან. ბევრი თინეიჯერი, რომელიც საქმროს ვერ პოულობს, დროებით გასართობს ეძებს და ეს არცაა დასაძრახი. აბა, გოგოს გათხოვება თუ უნდა, მაგრამ მთხოვნელი არ გამოუჩნდა, რა უნდა ქნას? არც გაერთოს?

— გართობას რას ეძახი?

— ნუ, კოცნაობას და ხელის გადახვევას.

— სახალხოდ?

— ჰო, რა იყო, ეს „ტეხავს“?

— ჩემთვის ნამდვილად „ტეხავს“!.. შესაძლოა, ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ბიჭები შენს შეყვარებას ვერ ახერხებენ.

— ანუ?

— ხედავენ, როგორ ერთობი ქუჩაში, თან, მწარედ იკბინები და...

— თანამედროვე ბიჭებს ასეთი რაღაცები არ უნდა გაუკვირდეთ, წარსულში ჩარჩენილს და ხეპრეს კი თავადაც არ გავყვები ცოლად. ერთხელ იცი, რა ვქენი? ვიღაც ბიჭი „ამეკიდა“, — ძალიან მომწონხარ და მოდი, ვიურთიერთოთ, მერე იქნებ, ერთმანეთიც შეგვიყვარდეს და სოფელიც აშენდებაო. მივედი და პირდაპირ ქუჩაში „დავეზასე“. ისე მკრა ხელი, გეგონებოდა, გველმა უკბინა. ასეთ ბიჭებთანაც ვერ ვიურთიერთებ. მომწონს თანამედროვე, თამამი ადამიანები, რომლებიც ჩემნაირად „უბერავენ“. ტრადიციების მოყვარულს და ქართული გაგებით კაი მოქეიფეს ვერ გავუგებ.

— შენ ბიჭებთან ბევრი პრეტენზია გქონია. ხომ არ გავიწყდება, რომ ისინი ქართველები არიან და მიუხედავად იმისა, რომ XXI-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, ქართულ ტრადიციებზე იზრდებიან?

— ანუ ჩემნაირებს მხოლოდ გართობის მიზნით უყურებენ? ნურას უკაცრავად, ასე სულ ტყუილად ფიქრობთ. მორჩით ილუზიებში ცხოვრებას! ამ ქართველ და როგორც თქვენ ამბობთ, ტრადიციებზე აღზრდილ ბიჭებს ბევრი ჩემზე „ავარდნილი“ გოგო მოუყვანიათ ცოლად. უბრალოდ, საქმე ის არის, რომ უმეტესობას მატერიალური პრობლემა აქვს და დაოჯახების ეშინია.

მარიამი, *17 წლის:*

— იცით, ბევრი ჩივის, — ზედმეტ ყურადღებას მაქცევენო და თურმე, მათ ეს აღიზიანებთ, მე და ჩემი მეგობრები კი სულ იმას ვნატრობთ, რომ საქეიფოდ წასულებს, ბიჭებიც გვახლდნენ. ჩვენ მომავალი პედაგოგები ვართ, დაწყებითი კლასის მასწავლებლობას კი ცხადია, ბიჭები არ მოისურვებდნენ და შესაბამისად, ჯგუფში ერთი ბიჭიც არ გვყავს. ჰოდა, ძალიან ცუდ დღეში ვართ. ახლა მინდა, იმ გოგონებს მივმართო, რომლებიც ბიჭების ყურადღებით ძალიან „შეწუხებულნი“ არიან: თქვენი ფარა ჩვენკენ გადმორეკეთ, ამით ორ კურდღელს ერთდროულად დაიჭერთ — „ჭირსაც“ მოიშორებთ და ჩვენს მადლსაც მოისხმათ. აბა, ჰე, გელოდებით.... ისე, რა სულელი ვარ, არა? თაყვანისმცემელს რომელი სულელი დაგითმობს? ეს ისე, მოჩვენებითი წუწუნია, თორემ როცა ბევრი კაცი გეტრფის, ეს შემაწუხებელი კი არა, ძალზე სასიამოვნოა!

ბარტყი, *15 წლის:*

— მამაჩემი ამბობს ხოლმე, — მთელი ქვეყანა „გაპედერასტდაო“ და მგონი, მართალია. ჩვენს სკოლაში ბიჭი თუ მოგეწონა, ის ზედაც არ შემოგხედავს. ბიჭები გასართობად ჩვენ გარეშე მიდიან, გოგონებიც ძალაუნებურად, მათ გარეშე ვიკრიბებით და მოწყენილობისგან ვკვდებით.

— მერე ადექით და ბიჭები თავად დაპატიჟეთ სადმე.

— ერთხელ კლასელი გოგონების ხათრით, უფროსკლასელი ბიჭები ჩემს დაბადების დღეზე დავპატიჟე, მათ კი აბუჩად ამიგდეს: მეტი საქმე არ გვაქვს, შენთან მოვიდეთ. რა, საწოვარათი გაგვიმასპინძლდები თუ კანფეტებითო? მათ დიდი გოგონები მოსწონთ! ჩვენი კლასელებიც უფროსკლასელებს დასდევენ და ჩვენთან სამეგობროდ არ სცალიათ.

ნატუშკა, *13 წლის:*

— როცა პირველ კლასში ვიყავი, ბევრი მეგობარი ბიჭი მყავდა, მაგრამ ახლა ყველანი შემომეცალნენ: ზოგს შეყვარებული ჰყავს და მეგობრისთვის ვერ იცლის, ზოგს სხვა ინტერესები გაუჩნდა... ძალიან ცუდია, რომ ვიზრდებით.

— ახლა ვერავისთან ძმაკაცობ?

— კი, ჩემს მეზობელთან ვძმაკაცობ, მაგრამ ის სხვა სკოლაში სწავლობს და იშვიათად ვხედავ. კლასელი ბიჭები კი მხოლოდ თმას მაპუტავენ. იცი, საიდუმლოდ გეტყვი, ჩვენი სკოლის საპირფარეშოში ისეთი ამბები ხდებაააა...

— მაინც, რა ხდება?

— ბიჭები გოგონებს კოცნიან, მერე კი არ ვიცი, რა ემართებათ, იქიდან გამოსულები ერთმანეთს სულ ეჩხუბებიან.

— ნატუშკა, შეყვარებული გყავს?

— არა, არ მყავს! შეყვარებული მე კი არა, ჩემს დეიდაშვილსაც არ ჰყავს. ნინი 21 წლისაა, ძალიან ლამაზი გოგოა, სამოდელო სასწავლებელში დადიოდა და მაგრად ცეკვავს, მაგრამ რად გინდა, ვერ გათხოვდა და მისი მშობლები ამას ძალიან განიცდიან. ■

თქვენი ფარა ჩვენკენ გადმორეკეთ

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

საყურე

ვითა პეპელა
არხევს ნელ-ნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს.
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.
ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!
შენის შერხევით,
სიო-მობერვით
გულისა სიცხეს განიგრილებდეს!
ჰო, საყურეო,
გრძნებით ამრევო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

ნიკოლოზ ბარათაშვილი

პატარა ლექსიკონი

ვმღერივარ,
ვტირივარ,
ვყვირივარ —

ეს უსწორო ფორმა ძალზე ხშირად გვხვდება არა მარტო საუბრისას, არამედ ბეჭდვით პროდუქციაშიც და ლექსებსა თუ სიმღერებშიც. მოვიცილოთ „მანკიერი“ „ვარ“ და ვთქვათ სწორად:

ვმღერი, ვტირი, ვყვირი



მე - ფსიქოლოგი

ინგა ჯაყელი

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-44

ჩამოვიდა თუ არა, ვაჟამ მაშინვე ჩემი ნახვა მოინდომა. ვიცოდი, რაც მელოდა და რაკი ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა, კრიტიკული დღეები მოვიმიზეზე... მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ეს მაინც მოხდა. მაშინვე საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ ეს ჩვენ შორის უკანასკნელი სასიყვარულო პაემანი იქნებოდა...

ვაჟას არ გამოჰპარვია ჩემი გუნება-განწყობილება:

— ნანობ რამეს?..

— ჰო, მაგრამ არა ქალწულობასთან გამოთხოვებას... მე იმას ვნანობ, რომ ეს ცოლიან კაცთან გავაკეთე...

მერე წამოვდექი და სააბაზანოში შევედი. შხაპის ქვეშ მდგომი ისე გულდაგულ ვიხეხდი კანს, თითქოს ლორწო მქონოდეს მოდებული და ყელამდე სიბინძურეში ნადგომი ვიყავი... იმწუთას, იაფფასიან კახპად ვგრძნობდი თავს.

— არ მოხვალ ჩემთან? — სააბაზანოდან გამოსულს მითხრა ვაჟამ.

— ახლა წადი, რა: მარტო მინდა, დავრჩე...

კიდევ კარგი, არ შემეკამათა. ადგა, თავადაც გადაივლო შხაპი და როცა კარში გასვლისას რაღაცის თქმა დააპირა, ტუჩზე ხელი ავაფარე...

მერე თეთრეული გამოვცვალე, რომელსაც ვაჟას სუნი ასდიოდა და ისეთი ზიზღის გრძნობა გამიჩნდა, პირდაპირ სანაგვე ყუთთან დავყარე, გასარეცხადაც ვერ შევეხებოდი...

დაახლოებით ღამის პირველი საათი იქნებოდა, ნიკამ რომ დარეკა. არ ვუპასუხე. მერე ტელეფონიდან სიმბარათი ამოვიღე და უჯრაში ჩავუძახე. ხვალვე ვიყიდი ახალ ნომერს, რომელსაც ნიკა ვეღარასოდეს გაიგებს და ადრე თუ გვიან, დამივიწყებს...

აშკარად დეპრესიამ შემიპყრო და ამ დროს თუ სახლში ჩავიკეტე, ვიცი, დიდხანს ვეღარ გამოვალ. ამიტომ თავს ვაიძულე სამსახურში გასვლა, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ მქონდა დარჩენილი რამდენიმე დღე კუთვნილი შვებულებიდან, რომელიც სპეციალურად დავამთხვიე საკუთარი დაბადების დღეს...

ნინუცას გაუხარდა ჩემი დანახვა, თუმცა მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც მჭირდა. მეც მოვაღე პირი და დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი ნიკასა და ვაჟას შესახებ — ორივეს ხომ ჩემი პირველი მამაკაცი ჰგონია თავი და ორივეს აქვს პრეტენზია...

— Äà ïîøëè îíè îáà! — ვულგარულად შეუკურთხა ჩემმა მეგობარმა ორივეს. — მთავარია, შენ რას გრძნობ და მე თუ მკითხავ, სანანებელი არაფერი გაქვს. ბოლოს და ბოლოს, ქალი გახდი და ეს ამბავი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ.

— რას აღნიშნავთ, გოგოებო? — ყური მოჰკრა ნინუცას ბოლო სიტყვებს ოთახში ამ დროს შემოსულმა ზურამ.

— ეგ ჩვენი საქმეა, ქალების! — ცოტა უხეშადაც კი გამოუვიდა ნინუცას.

— კარგი, ბატონო, შეინახეთ თქვენთვის ეგ საიდუმლო. სუფრას კი მე ვიკისრებ, უფრო სწორად — ჩემი ბიძაშვილი ოთო. ძალიან მოეწონე, ეკა!.. — თვალი ეშმაკურად ჩამიკრა.

— არა, გენაცვალე, „დევჩიშნიკი“ უნდა მოვაწყოთ... — საბოლოოდ გადავუწურე იმედი.

იმ საღამოს მე და ნინუცა მარტონი წავედით რესტორანში და მართლა დავთვერით. პრინციპში, ჩემს დათრობას არც ისე ბევრი უნდა — ორ ჭიქაში „მზად ვარ“ და ბევრად ფერადი ხდება სამყარო ჩემთვის. ახლაც ასე მოხდა და უცებ ვიგრძენი, რომ ტკივილამდე მენატრებოდა ნიკა. ნინუცასთვისაც არ დამიმალავს ეს.

— თუ ასე გენატრება, რომ დაგირეკავს, უთხარი, ჩამოვიდეს... ან შენ ჩააკითხე — ბათუმში ჩასვლას რა უნდა?!

— ამ დილით ახალი ნომერი ავიღე სწორედ იმისთვის, რომ ვეღარც დამირეკოს და მეც არ გამაგიჟოს მოლოდინმა...

— რა სისულელეა! თუ ასე გიყვარს...

— საქმეც ისაა, რომ ეს, სიყვარულზე მეტად, ვნებაა, ამ ეტაპზე მაინც... იცი, რა განვიცადე მასთან?!.

— მერე, ასეთ კაცზე უარის თქმა იქნება?! ზოგი ქალი ასეთ ბედნიერებას წლების განმავლობაში ელოდება!..

— ვიცი, ძალიანაც კარგად ვიცი, მაგრამ...

— რა მაგრამ? ნუ გადამრიე! — ვერ მიმიხვდა ნინუცა და აღარც მე მოვინდომე ამ თემაზე საუბრის გაგრძელება...

შინ მისულს უცებ დამეძინა. უსიზმროდ მეძინა და ალბათ ამის წყალობითაც, ძალები მოვიკრიბე...

სამსახურში მისულს მითხრეს, რომ ახალ პაციენტს უნდოდა მოსვლა. თავისი ტელეფონის ნომერიც დაეტოვებინა. დავურეკე და შევთანხმდით, რომ ხვალ მივიღებდი, დაახლოებით 12 საათისთვის. საღამოს კი აუცილებლად უნდა შემევლო კიდევ ერთ პაციენტთან.

ნატა წერეთელს უკვე მეორე წელია, ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევაში ვეხმარები; ჯერ 40 წლისაც არ არის და უკვე რამდენჯერმე სცადა თვითმკვლელობა. გარეგნულადაც, ლამის 60 წლის ქალს ჰგავს. ის მდიდარი მამის შვილი იყო და 16 წლის ასაკში სწორედ მამის სურვილით გაათხოვეს 34 წლის კაცზე. მისი ქმარი ახლა ცნობილი პოლიტიკოსი, საკმაოდ მდიდარი და გავლენიანი კაცია. შვილები საზღვარგარეთ სწავლობენ და ნატა ოქროს გალიაში გამომწყვდეული ჩიტივითაა, რომელსაც არაფერი ახარებს და ლამის თავი მოიკლას სულ სხვა — „თავისუფალ“ ცხოვრებაზე ფიქრით... ნატა თავის განცდებზე ჩემ გარდა არავის ელაპარაკება. თავიდან მეც უნდობლად შემხვდა. კარგა ხანი დამჭირდა, სანამ მის ნდობას მოვიპოვებდი...

ნატა წერეთელი

კარი მოსამსახურემ — ელენემ გამიღო და ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა:

— ნატა მთლად ჩაიკეტა საკუთარ თავში, აღარც ლაპარაკობს თითქმის და მეშინია, ისევ თვითმკვლელობა არ სცადოს... — მერე დააყოლა: — ე-ეჰ, ნეტავ, ჩემი პრობლემები მისცა და მერე ვნახავდი, რას იზამდა. უსაქმურობისგან ემართება, რაც სჭირს...

ნატას სქელი ფარდებით დაებნელებინა საძინებელი და იწვა:

— დღეს სულ არ ამდგარა... — ისევ ჩამჩურჩულა ელენემ.

მივუახლოვდი. თვალები დახუჭული ჰქონდა:

— ნატა-ა! — დავუძახე ფრთხილად და მაშინვე გაახილა თვალი. გაღიმებაც სცადა ჩემს დანახვაზე:

— მოხვედი?..

— ჰო, მაგრამ თუ ფანჯრები არ გამაღებინე და ჰაერი არ შემოუშვი, გაგექცევი. სუნთქვა ჭირს...

— გააღე. შენ ყველაფრის უფლება გაქვს...

ელენემ ფანჯარა გამოაღო და სუფთა ჰაერთან ერთად, გაზაფხულისთვის დამახასიათებელმა საოცარმა სურნელმაც შემოაღწია. საუცხოო ბაღი აქვთ წერეთლებს...

— ადექი და ბაღში გავიდეთ, რა, — შევაპარე ფრთხილად და ჩემდა გასაოცრად, მაშინვე დამთანხმდა. საწოლში წამოჯდა:

— აბაზანის მიღებაც დამჭირდება...

— რამდენ ხანსაც გინდა, დაგელოდები! — ვუთხარი და სანამ ნატა თავს მოიწესრიგებდა, ბაღში გავედი.

იასამანი ჯერ არ ყვაოდა, მაგრამ თითქოს მაინც ვიგრძენი მისი ნაზი სურნელი. ჯერ ხეებს შორის ვიხეტიალე და მერე ფანჩატურში შევედი. მაგიდას მივუჯექი, სადაც ელენეს უკვე დაელაგებინა ტკბილეული და ხილის წვენი:

— როცა მეტყვით, ყავას ან ჩაის მოგართმევთ, — მითხრა ელენემ.

— მოგვიანებით ალბათ, — ვუპასუხე და გავუღიმე.

— რა კარგია, რომ მოხვედით, ეკა ექიმო... ნატას მდგომარეობამ ლამის მისი ქმარიც შეშალოს. ღამითაც კი აღარ მოდის სახლში...

— იმას რა უჭირს, საყვარლებში ერთობა, ეჭვიც არ მეპარება, — ხმას დავუწიე, თუმცა ისე ვთქვი, ნებისმიერი მიხვდებოდა, რომ ნუგზარ წერეთლის მსგავსების მიმართ საოცარი ზიზღი და აგრესია მაქვს: რადგან ფული აქვთ, ჰგონიათ, ყველაფრის ყიდვას შეძლებენ და ყველაფრის უფლება აქვთ...

სახლიდან გამოსულ ნატას სიგარეტი ეჭირა ხელში. საერთოდ, ძალიან ბევრს ეწევა. ლამის საკვებიც სიგარეტით ჩანაცვლოს. დაუდევრად ეცვა: ჩაჩაჩულ სპორტულებზე ზემოდან ხალათიც მოეცვა...

— სად დაიკარგე, ეკა? ხომ იცი, უშენოდ მთლად მკვდარს ვგავარ... სხვათა შორის, ამ დროს ჩემი იდიოტი ქმარი მარტო მე კი არა, შენც უშვერად გაგინებს: ფულს იმაში ვუხდი, რომ ასე გამოლენჩებული არ ეგდოო საწოლში!..

ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე იქნება. რადგან ფულს მიხდის, იმ პირუტყვს ჰგონია, მისი საკუთრებაც ვარ... თან, მისთვის მოსამსახურეების დონეზე გავდივარ და ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის, როგორც ქალისთვის. დავიჯერო, მის ბოზებს რაიმეთი ჩამოვუვარდები?!.

— რაო ბატონმა ნუგზარმა?.. — ვიკითხე ხმამაღლა და რატომღაც მეც მომინდა მოწევა. მაგიდაზე დაგდებულ კოლოფს დავწვდი.

— ეგრე, რა! — რატომღაც გაუხარდა ქალს და სანთებელი მოიმარჯვა. — ზოგჯერ მგონია, რომ ყველანი ანგელოზები ხართ, მარტო მე დამიმონა ეშმაკმა...

— იცი, სად ვიყავი? — ვუთხარი, როცა რამდენიმე ნაფაზი დავარტყი.

— სად? — ინტერესით შემომხედა და მეც დავიწყე. სულ დაწვრილებით მოვუყევი, რაც ამ დღეებში გადამხდა თავს. იმასაც მივხვდი, რომ ასეთი გულახდილობისკენ ნიკას გიჟურმა მონატრებამ მიბიძგა...

— მაგარია! — მითხრა ბოლოს თვალებანთებულმა. — ისე კარგად ჰყვებოდი, მეც მომინდა... იცი, მხოლოდ ერთხელ მიღალატია ნუგზარისთვის. მას შემდეგ კარგა ხანია გასული. დროა, გავიმეორო!.. იცი, რა მოვიფიქრე?.. მოდი, ზაფხულში ერთად წავიდეთ, მაგალითად, ბათუმში!

ნატას თვალებში ათამაშებულმა ეშმაკუნებმა უცებ, რამდენიმე წლით „ჩამოუგდო“ ასაკი. ასეთ წინადადებაზე უარის თქმა არაფრით შეიძლებოდა...

— რატომაც არა?! მთავარია, ჩვენ გვინდოდეს... ორი დღით მაინც გავიპაროთ! — მეც ავყევი შეთქმულივით. — ოღონდ, ამისთვის ახლავე უნდა დაიწყო მზადება.

— ახლავე ჩავალაგო ჩემოდანი?! — ვერ მიმიხვდა ნატა.

— რა ჩემოდანი?! — ავიქნიე ხელი და აღარ დავზოგე: — 60 წლის ქალს ჰგავხარ და ასეთს ვინ მოგეკარება?! თმა შეიღებე, ცოტა სხეულიც გაიკაჟე. სრულიად მოშვებული ხარ. ფიტნესკლუბში სიარული უნდა დაიწყო, აუზიც არ გაწყენს... იმედია, ასეთ სიამოვნებებზე ქმარი უარს არ გეტყვის.

— ოღონდ სახლიდან გავიდე და... მით უმეტეს, შენთან ერთად.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი... რაც დაიმსახურა, იმას მიიღებს! — ხელი ხელს დავკარით და როგორც არასდროს, ისეთი კმაყოფილი წამოვედი იმ დღეს წერეთლების სახლიდან...

ჩემი მოხუცებული დაქალი

ღამემ მშვიდად ჩაიარა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ნიკა გამახსენდა და ისეთი მონატრება ვიგრძენი მისი, ცოტა დამაკლდა, რომ ძველი სიმბარათი მომეძებნა და ჩამედო ტელეფონში — იმ იმედით, რომ იმასაც ვენატრებოდი და აუცილებლად ეცდებოდა ჩემთან დარეკვას. მაგრამ ეს არ გავაკეთე; არ ვიცი — რატომ, მაგრამ შინაგანი ხმა მეუბნებოდა, რომ მასთან კავშირის აღდგენა არ უნდა მეცადა. არა, ცუდს კი არ მიგრძნობდა გული. პირიქითაც — თუ ვინმესთან ვიპოვიდი სიხარულს, ეს მხოლოდ ნიკასთან იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ ამავე დროს, ეს სიხარული სიმშვიდეს დამაკარგვინებდა და სიმშვიდესთან ერთად, ცხოვრების ჩვეულ წესს... ნამდვილად არ ვიყავი მზად იმისთვის, რომ ვინმეზე დამოკიდებული გავმხდარიყავი. ეს კი აუცილებლად მოხდებოდა, ნიკასთან კავშირის შემთხვევაში. თუ მეცოდინებოდა, რომ ის ახლოსაა, სულ მისი მოლოდინით ვიცხოვრებდი, რაც კაცის წინაშე „დამარცხების“ აღიარებაც იქნებოდა...

...ამ ფიქრებში ჩამეძინა და ისევ არ მინახავს სიზმარი. მიყვარს უსიზმრო ღამეები, რადგან ჩემი სიზმარი ჩემზე მეტად უცნაურია და ისეთი თავბრუდამხვევი სიუჟეტები ვითარდება ხოლმე, დილით დაღლილ-დაქანცულს მელვიძება, თითქოს მართლა ჯაფა დამდგომია....

ახალი პაციენტი 12 საათისთვის მოვიდოდა და თავს უფლება მივეცი, დამეგვიანა. ჩემს ჩანაწერებს გადავხედე. ეს თავისებური თეზისებია — თუ სერიოზული სამეცნიერო ნაშრომისთვის არა, სახალისოდ წასაკითხი ფსიქოლოგიური წიგნისთვის მაინც გამოდგება... გუშინდელმა შეხვედრამ ნატა წერეთელთან ახალი ჩანაწერის გაკეთების სურვილი გამიჩინა. დავიწყე, მაგრამ წერა არ დამაცადეს — კარზე ვიღაცამ დააკაკუნა და სანამ გავაღებდი, დაუპატიჟებელმა სტუმარმა, თავისი ჩახლეჩილი და ქალისთვის შეუფერებელი ხმით დამიძახა:

— ეკუშ, სახლში ხარ?

ქალბატონი მედეა ჩემი კარის მეზობელია, საცაა, 70 წელს მიუკაკუნებს. ორი შვილი ჰყავს, ორივე — სხვადასხვა ქმრისგან. არც ერთ ქმართან თითო წელიწადზე მეტი არ უცხოვრია. მისი მონათხრობით ვიცი, რომ ბავშვების დაბადებამდე გააგდო ორივე სახლიდან:

— არ ვიყავი ცოლობისთვის გაჩენილი... მე თუ მკითხავ, საერთოდ, შეცდომით ვარ ქალად გაჩენილი — ჩემთვის მეჯავრება სარეცხის რეცხვა და სადილების მზადება, ქმარს დავუდგებოდი მოსამსახურედ?!. — გაოცებული ბავშვივით აჭყეტდა თვალებს. — თან, ხომ იცი, რა მახინჯი ტრადიცია გვაქვს ქართველებს: შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს ათი ნათესავი მოგადგეს გაუფრთხილებლად და გაქვს თუ არა

მათი მიღების თავი, სუფრა მაინც უნდა გაუშალო და ღამის გასათევზეც არ უთხრა უარი... გეფიცები, გაუფრთხილებლად ჩემს საკუთარ და-ძმებთანაც არასოდეს მივსულვარ სტუმრად!

...ქალბატონ მედეაზე უამრავი ჭორი დადის სამეზობლოში. იმასაც ამბობენ, „სანამ შეეძლო“, საყვარელი სულ ჰყავდაო. ქალიშვილები ადრიან ასაკში გაათხოვა. ახლა ერთი საბერძნეთის მოქალაქეა, მეორე — ჩეხეთის. თან, ხომ არ გგონიათ, სხვების მსგავსად, მოსამსახურეებად მუშაობენ?!. თავიდან ისინიც ქართველებზე იყვნენ გათხოვილი, შვილებიც ქართველები ჰყავთ, მაგრამ დედის გენეტიკამ, როგორც ჩანს, თავისი ქნა და როცა ქართველი ქმრების მძიმე ხასიათი ყელში ამოუვიდათ, ორივე, დედის სახლში დაბრუნდა, მერე კი მოინდომეს და საზღვარგარეთ გათხოვდნენ, თანაც, საკმაოდ შეძლებულ უცხოელებზე. შვილებიც წაიყვანეს და საუკეთესო ინსტიტუტებშიც აძლევენ განათლებას...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონით: 8(99).71.89.39.

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი"

1940 წლის 30 ივნისს, საფრანგეთში ცეცხლის შეწყვეტიდან მე-5 დღეს ჰალდერმა თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „მთავარი ყურადღება — აღმოსავლეთისკენ"... გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, რომელიც ამ დღიურს საკუთარ სეიფში ინახავდა, დარწმუნებული იყო, რომ მასში არავინ არასდროს ჩაიხედავდა. ამიტომაც შეგვიძლია, ის აბსოლუტურად სარწმუნო დოკუმენტად მივიჩნიოთ. ეს ჩანაწერი იმ დროისთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საიდუმლოს ამჟღავნებს და ჰიტლერის ნამდვილ გეგმებს ააშკარავებს, რომლებიც მან თავის გენშტაბის უფროსს გაანდო.

დასაწყისი იხ. „გზა", №27-44

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული გეგმები თავის დროზე კი იყო ყველანაირად გასაიდუმლოებული, მაგრამ ჰიტლერის მოქმედებები ამ მიმართულებით იმდენად თანამიმდევრული გახლდათ, რომ სტალინს არაფრის გამოცნობა არ ესაჭიროებოდა: თავისი ცხოვრების მთავარი მიზანი ხომ ფიურერმა ჯერ კიდევ წიგნში — „მაინ კამფ" („ჩემი ბრძოლა") ჩამოაყალიბა, რომელიც მრავალმილიონიანი ტირაჟებით, სხვადასხვა ენაზე იყო გამოცემული. აი, რა ჰქონდა ჰიტლერს იქ ნათქვამი:

„როცა დღეს ევროპაში ახალი მიწებისა და ახალი ტერიტორიების შესახებ ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, მზერას რუსეთისკენ და აგრეთვე, მისი მეზობელი და მასზე დამოკიდებული ქვეყნებისკენ მივაპყრობთ... აღმოსავლეთით მდებარე ეს უკიდეგანო სივრცე დასაღუპავად მომწიფდა... განგებამ ჩვენ გვარგუნა იმ უდიდესი კატასტროფის ხილვა, რომელიც რასობრივი თეორიის მართებულობის ყველაზე აშკარა დადასტურებად მოგვევლინება"...

ტროცკის ლიკვიდაცია

ამ ამბის შესახებ თავის დროზე სრული სიმართლე საბჭოთა მზვერავმა პაველ სუდოპლატოვმა დაწერა წიგნში — „დაზვერვა და კრემლი". მაგრამ მე თავადაც გახლდით ჩასული მექსიკაში, კოიაკანში, დავათვალიერე ტროცკის ვილა, შემოვიარე ყველა ოთახი და უამრავი ფოტოც გადავიღე. ტროცკის მკვლელობაზე თხრობა ოდენ წიგნში დეტექტიური ამბის შეტანის გამო როდი გადავწყვიტე: საქმე ის არის, რომ ამ მოღვაწის ცხოვრების დასასრული მასსა და სტალინს შორის ძალაუფლებისთვის მრავალწლიანი ორთაბრძოლის ფინალსაც წარმოადგენს. და სწორედ სტალინი იყო ამ ურთულესი ოპერაციის ორგანიზატორიც, ამიტომაც, გენერალისიმუსის ცხოვრების ამსახველი წიგნი ამ ეპიზოდის გარეშე არასრულყოფილი იქნებოდა.

მინდა, რომ მკითხველმა ყურადღება მიაქციოს ერთ გარემოებას: ტროცკის ლიკვიდაცია სტალინის მხრიდან არც შურისძიების აქტს წარმოადგენდა და არც სისასტიკის გამოვლინებას, როგორც დღეს ბევრი ირწმუნება; ამ აქციის ჩატარების აუცილებლობას იმ წლებში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია ადასტურებდა და კიდევ — ის საშიში პერსპექტივა, რომელსაც ომის შემთხვევაში, ტროცკის მოღვაწეობა ჩვენს ქვეყანას უქადდა.

საბჭოთა კავშირიდან წასვლის შემდეგ ტროცკი გარკვეული ხანი თურქეთში, შემდეგ — ნორვეგიასა და საფრანგეთში ცხოვრობდა. მან IV ინტერნაციონალი შექმნა, ცდილობდა, ხელში ჩაეგდო კომინტერნი და საბჭოთა კავშირში მოქმედი ოპოზიციის საქმიანობა იმ გზით წარემართა, რომ სტალინისა და მისი თანამოაზრეების ლიკვიდაცია განეხორციელებინა.

1937 წლის იმ გახმაურებული პოლიტიკური პროცესების შემდეგ, რომლებმაც ტროცკი, როგორც ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთის ორგანიზატორი ამხილა, მან სტალინის შიშით, სადმე შორს, უსაფრთხო ადგილას გადასვლა გადაწყვიტა და მექსიკაში, დედაქალაქის გარეუბან კოიოკანში დასახლდა. შეიძინა ვილა და იქიდან განაგრძო პოლიტიკური ბრძოლა, რომელსაც იმ დროს ბევრი ქვეყანა მოეცვა.

ევროპაში ტროცკისტთა საქმიანობას მისი შვილი, დედის გვარზე დაწერილი ლევ სედოვი მართავდა. ის არა მარტო ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწეოდა, არამედ აქტიურად თანამშრომლობდა გერმანიის სადაზვერვო სამსახურთან — გესტაპოსთან...

ამონარიდი სუდოპლატოვის წიგნიდან, რომელშიც ის ბელადთან შეხვედრას გადმოგვცემს:

„სტალინი ძალზე მშვიდი და მობილიზებული იყო; ყურადღებით უგდებდა ყურს თანამოსაუბრეს და თითქოს მის მიერ ნათქვამ თითოეულ სიტყვას აანალიზებდა. დიდი გულისყურით უსმენდა ბერიას. ლავრენტი ბერიას აზრით, საზღვარგარეთ მოქმედ მემარცხენე მოძრაობას დიდი კრიზისის დრო დადგომოდა იმის გამო, რომ ტროცკისტები ცდილობდნენ, თავიანთი ზეგავლენის ქვეშ მოექციათ. ამით ტროვკი და მისი თანამოაზრეები საბჭოთა კავშირს გამოწვევას უგზავნიდნენ: ისინი ცდილობდნენ, ჩვენი ქვეყნისთვის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ლიდერის როლი ჩამოერთმიათ... ბერიამ წამოაყენა წინადადება, გადამწყვეტი დარტყმა მიგვეყენებინა

თავისი ცხოვრების მთავარი მიზანი ხომ ფიურერმა ჯერ კიდევ წიგნში — „მაინ კამფ" („ჩემი ბრძოლა") ჩამოაყალიბა

პაველ სუდოპლატოვი

ლავრენტი ბერია

უცხოეთში მოქმედი ტროცკისტული მოძრაობის ცენტრისთვის და ამ ოპერაციისთვის პასუხისმგებელ პირად ჩემი კანდიდატურა დაასახელა. მთავარ ამოცანად, ჩვენი სპეცსამსახურების შესაძლებლობების გამოყენებით, ტროცკის ლიკვიდაცია დამისახეს.

— ტროცკისტულ მოძრაობაში არ არსებობენ პოლიტიკური ფიგურები, თავად ტროცკის გარდა. ამიტომ, თუ მას ჩამოვიცილებთ, კომინტერნს არანაირი საფრთხე აღარ დაემუქრება, — თქვა ბერიამ.

სტალინი მშვიდი ტონით ლაპარაკობდა იმაზე, რომ სადაზვერვო სამსახურები არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ. მან ისიც დასძინა, რომ 1937 წელს ტროცკის ჩამოცილება შპიგელგლასს ჰქონდა დავალებული, მაგრამ მან ეს უმნიშვნელოვანესი დავალება ვერ შეასრულა. ამის თქმისას სტალინი მოიღუშა და შემდეგ, ბრძანების კილოთი თქვა:

— ტროცკი მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში უნდა მოვიცილოთ — მანამდე, სანამ გარდაუვალი ომი გაჩაღდება. ტროცკის ლიკვიდაციის გარეშე, როგორც ამას ესპანური გამოცდილება მოწმობს, ვერ ვიქნებით დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირზე იმპერიალისტთა თავდასხმის შემთხვევაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წარმომადგენლები მხარში ამოგვიდგებიან. მათ ძალიან გაუჭირდებათ ინტერნაციონალური ვალის მოხდა — ჩვენი მოწინააღმდეგისთვის ზურგის მოშლა და პარტიზანული ომის გაშლა...

საერთაშორისო ვითარების მიმოხილვისა და ევროპაში მოსალოდნელი ომის შესახებ მსჯელობის შემდეგ სტალინი უშუალოდ ჩემს საკითხზე შეჩერდა. დამევალა — სათავეში ჩავდგომოდი ბოევიკების ჯგუფს, რომელსაც იმ დროს უკვე მექსიკაში მცხოვრები ტროცკის ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა.

ვითხოვე — საქმეში ჩაგვერთო დივერსიული ჯგუფების ვეტერანები, რომლებიც ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს იბრძოდნენ.

— ეს თქვენი მოვალეობაცაა და პარტიული ვალიც — იპოვოთ და შეარჩიოთ საქმისათვის შესაფერისი, საიმედო ადამიანები, რათა რაც შეიძლება წარმატებულად გაართვათ თავი პარტიის დავალების შესრულებას. რაც დაგჭირდებათ, ყველანაირ დახმარებას გაგიწევთ. საქმის ვითარების შესახებ უშუალოდ ამხანაგ ბერიას მოახსენებთ ხოლმე და მეტს არავის, — ხაზგასმით თქვა ბელადმა და ბოლოს დასძინა: — ოპერაციის შესახებ ანგარიშს მხოლოდ და მხოლოდ წერილობით წარმოადგენთ.

ამით აუდიენცია დასრულდა. სტალინს დავემშვიდობეთ და კაბინეტიდან გამოვედით.

ბერიამ მითხრა:

— ეიტინგტონი — შესაფერისი კანდიდატურაა. დღის ბოლოსთვის ორივეს, თქვენი წინადადებებით, ჩემთან გელოდებით.

ბიბლუსი

ეიტინგტონს შევხვდი და მექსიკაში ჩასატარებელი ოპერაციის შესახებ მოვუყევი. თავდაპირველად, დასავლეთ ევროპაში (ძირითადად — ესპანეთში) მოქმედი იმ ტროცკისტების გამოყენებას ვაპირებდი, რომლებიც გადაბირებული გვყავდნენ. ჩვენი გეგმის თანახმად, აუცილებელი იყო, ორი დამოუკიდებელი ჯგუფი ჩამოგვეყალიბებინა. პირველს „ცხენი“ დავარქვით; მას ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილე და სტალინისთვის პირადად წარდგენილი, მექსიკელი მხატვარი დავიდ ალფარო სიკეიროსი თავკაცობდა; ის მექსიკაში ცხოვრობდა და იქაური კომპარტიის დამფუძნებელი გახლდათ. მეორე ჯგუფს — ე.წ. „დედას“ — კარიდად მერკადერი ხელმძღვანელობდა...

ბერიას განკარგულების თანახმად, მე და ეიტინგტონი პარიზში, სიტუაციის დასაზვერავად უნდა წავსულიყავით; მთავარ ამოცანად, იმ ჯგუფის შეფასება დაგვისახეს, რომელიც მექსიკაში მისიის შესასრულებლად უნდა გამგზავრებულიყო...

კაბინეტი ტროცკის ვილაზე

ტროცკი, მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში უნდა მოვიცილოთ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37-44

გოჩა მანველიძე

სენაკში გვიან ღამით ჩავიდნენ. ძმათამკვლელი ომი თვალში საცემ იარად დაჩნეოდა ქალაქს. გზისპირა ღობეები საბრძოლო ტექნიკას დაესრისა. აქა-იქ დამწვარი შენობები მოჩანდა. არ იყო ელექტროენერგია და არსად ჩანდნენ გამვლელები. ნანახმა გოგას, კინგის ფანტასტიკური რომანები მოაგონა, რომლებშიც ქალაქების მცხოვრებლები უეცრად და გაურკვეველი მიზეზით უჩინარდებოდნენ.

მშობლიური ქალაქის ასეთ მდგომარეობაში ხილვამ მურთაზსაც დასწყვიტა გული.

— ეეჰ, აქეთ გამოხედვა აღარ მინდა, გაპარტახდა ქვეყანა! ყოველ ჩამოსვლაზე უფრო და უფრო უარესი სურათი მხვდება. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?! — გადაულაპარაკა გოგას.

ამასობაში მძღოლმა ავტობუსი რკინიგზის სადგურის წინ გააჩერა. მერე პირჯვარი გადაიწერა და მგზავრებს გამოუცხადა: ვსიო, მოვედითო!..

— არც ერთი ტაქსი არ ჩანს? — ჩაბნელებული მოედანი შეათვალიერა გოგამ.

— ხუმრობ, ძმაო?! — გაიკვირვა მურთაზმა. — ასეთ დროს ვინ გაბედავს „ტაქსაობას“?! ხალხს სახლებში უცვივდებიან და იქიდან გაჰყავთ მანქანები, გარეთ გამოსულს რაღას უზამენ?!

— არაფერია, ფეხით წავალ. საით არის სასტუმრო?

— რა სასტუმრო, რის სანატორიუმი?! ან ვინ გაგიშვებს სხვაგან?! მურთაზი იმის კაცი არ არის, სტუმარს სხვაგან გაათენებინოს ღამე!.. არ გვინდა ზედმეტი ბაზარი. მოჰკიდე ჩანთას ხელი და წავედით, — უპასუხა მურთაზმა, — ნუ გეშინია, დიდხანს არ მოგვიწევს სიარული. აქვე, ორიოდე კილომეტრში ვცხოვრობ.

გოგას აღარც კი ახსოვდა, როდის ეძინა ბოლოს ასე მშვიდად. ტანსაცმელი არც გაუხდია. როგორც კი მურთაზმა მისთვის მომზადებულ ოთახში დააბინავა, ჩაცმული მიწვა ლოგინზე და მაშინვე ჩაეძინა.

გამთენიისას უცხო ხმა ჩაესმა. თავი გაჭირვებით ასწია ბალიშიდან და გაოცებული გაშეშდა. საწოლის გვერდით მურთაზი იჯდა. იქვე დაბალ მაგიდაზე ხილით და არყით სუფრა გაეწყო.

— შენც მაგრად დაღლილხარ, ძმაო, — გაუღიმა მასპინძელმა, — არ გეგონოს, დაგცინოდე, მეც ჩაცმულს მეძინა.

— ვერც კი გავიგე, როგორ ჩამეძინა, — გოგა საწოლზე წამოჯდა, — დავჯექი თუ არა, გავითიშე.

— სიზმარი ნახე?

— სიზმარი?.. რატომ მეკითხები?

— ამ ოთახში ერთი მაგარი ამბავი მოხდა. ახლავე მოგიყვები. მაშინ 17 თუ 18 წლის ვიყავი. ძმაკაცებმა ვიქეიფეთ, მერე მთვრალები აღარ გავუშვი. ჩემს ორ ძმაკაცს ამ ოთახში ეძინათ. დილით გასაღვიძებლად მოვაკითხე და რას ვხედავ?. ერთ-ერთის ბალიშს ბალიშისპირი არა აქვს. არადა, დაძინების წინ ნაღდად ჰქონდა. ვეკითხები: რა იქნა ბალიშისპირი-მეთქი? ის კი პირდაღებული ზის და თვალებს აფახულებს. ბოლოს გამოგვიტყდა: ღამით მაგარი ქალი დამესიზმრა, დიდხანს ვეჩალიჩე, მაგრამ ძალიან გამაწვალა იმ მშობელძაღლმა — რამდენჯერაც კაბა გავხადე, იმდენჯერ ისევ ჩაიცვა; ბოლოს გავბრაზდი, გავხადე და ფანჯრიდან გადავუგდეო!.. ეგა თქვა და ეგრევე ფანჯარაში გადავეყუდე. იცი, რა დავინახე?..

— საიდან უნდა ვიცოდე?!

— ის ბალიშისპირი დაფნის ტოტზე ეკიდა და დროშასავით ფრიალებდა!.. — გაიცინა მურთაზმა. — იმის შემდეგ ჩვენს ძმაკაცს სიზმარა დაერქვა მეტსახელად და მთელი სენაკი დღემდე მაგ სახელით იცნობს!

— არა, ძმაო. გუშინ არც ქალი დამსიზმრებია და არც პურმარილი. შეგიძლია, შეამოწმო — ბალიშისპირიც ადგილზეა და ზეწარიც, — უპასუხა გოგამ.

— ისე, პურმარილი, რომ დაგსიზმრებოდა, აგიხდებოდა კიდეც, — მურთაზმა თვალი ჩაუკრა და არაყი ჭიქებში ჩამოასხა, — ახლა სამ-სამი ჩავურტყაოთ, დილის მადლი შევიწიოთ, დანარჩენი კი გზაში წამოგვეწევა.

— არა, მურთაზ, — თავი გაიქნია გოგამ, — არ გეწყინოს, მაგრამ ვერ დავრჩები. უნდა წავიდე.

— როგორ? ლუკმის გაუტეხავად გაგიშვა სახლიდან?! კარგი, რა! ამხელა გზა ერთად გამოვიარეთ, ხიფათიც შეგვემთხვა და გადამარჩინე. შვილი რომ მყავდეს მოსანათლავი, მურთაზი არ მერქვას, თუ შენ არ მოგანათვლინო!

— სხვა დროისთვის მოგვიწევს გადადება. უნდა წავიდე, — გაიმეორა გოგამ.

— გასაგებია, — მურთაზმა არყის ჭიქა გვერდზე გადადო და წარმოთქვა: — სტუმარს არ ეკითხებიან, რისთვის და რამდენი ხნით ჩამოვიდა, მაგრამ ვხედავ, რომ რაღაც გაწუხებს. მითხარი და არაფერზე დავიხევ უკან. რითაც შევძლებ, დაგეხმარები.

— სენაკში ერთი კაცის მოსაძებნად ჩამოვედი, — უპასუხა გოგამ.

— ვინაა და რა კაცია? — სწრაფად ჰკითხა მურთაზმა.

— სახელი და გვარი არ ვიცი, არც მისამართი.

— ვაა! — გაუკვირდა მურთაზს. — სახელი, გვარი და მისამართი თუ არ იცი, როგორ უნდა მოვძებნოთ?!

— მარტო ის ვიცი, რომ 25 წლის წინ სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად მუშაობდა.

— 25 წლის წინ... მაშინ მე 13 წლის ვიყავი... არა, აზრზე არა ვარ, მაგრამ მოიცა — დედაჩემს ნაღდად ეცოდინება, — თქვა მურთაზმა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

რამდენიმე წუთში მასპინძელი უკან მობრუნდა, მაგიდას მიუჯდა და ხელების ფშვნეტით თქვა:

— დედა კი არა, ნამდვილი ოქროა: სახელიც მითხრა, გვარიც და მისამართიც, მაგრამ ხომ იცი, რა დროში

ვცხოვრობთ — ყველაფერი ფული ღირს, ძმაო. როგორც სტუმარს, ინფორმაციაში მაყუთს ვერ გამოგართმევ, მაგრამ მუქთადაც ვერაფერს დაგითმობ...

— რას გულისხმობ? — დაიბნა გოგა.

მურთაზი ისევ ჭიქას წაეტანა.

— დილაუთენია ხომ არ მივადგებით. წავიხემსოთ, თითო ჭიქა დავლიოთ... ამასობაში დროც გავა და იმ კაცსაც შეგახვედრებ. მოსულა?

— მოსულა, — მოტყდა გოგა და თვითონაც ჭიქას მოჰკიდა ხელი.

ყოფილი მთავარი ექიმი, ენვერ კედია ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა. ის 80 წლის იქნებოდა, მაგრამ ამ ასაკისთვის საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა.

მასპინძელმა ყურადღებით შეათვალიერა მურთაზი და გოგა და მერე თქვა: ტიტე შინ არ არისო.

— ტიტე მაგის შვილიშვილს ჰქვია. ჩემი თანატოლია. ჰგონია, რომ მისი ნახვა გვინდა, — გადაულაპარაკა მურთაზმა გოგას, შემდეგ, მასპინძელს მიუბრუნდა და უთხრა: — ჩვენ თქვენთან გვაქვს საქმე.

— ჩემთან? — ენვერმა თვალები მოიჩრდილა. — რომელი ხარ?

— მურთაზი ვარ, ბაძღუ ქაჯაიას შვილიშვილი.

— ჰო... ჰო... გიცანი. კარგი კაცი იყო ბაბუაშენი. ეზოში შემოდით, ქუჩაში ხომ არ ვილაპარაკებთ.

გოგას წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული მურთაზი: არ გეწყინოს, მაგრამ ყოფილ მთავარ ექიმს მარტო უნდა დაველაპარაკო, ისეთი საქმეა, უცხოს თანდასწრებით საუბარს არ მოინდომებსო.

— აქ რაღაც საქმე მაქვს. მალე მოვალ. მანამდე კი ჩემი ძმაკაცი დაგელაპარაკებათ, — უთხრა მურთაზმა მასპინძელს, მერე ჭიშკარი გააღო, გოგა ეზოში შეუშვა, თვითონ კი უკან გაბრუნდა.

— შენც ვერა გცნობ. აქაური არ უნდა იყო, — ენვერმა ყურადღებით შეათვალიერა გოგა.

— თბილისელი ვარ.

— ჩემს სანახავად ჩამოხვედი თბილისიდან? — გაუკვირდა ენვერს.

— დიახ... აკაკი ბებია თუ გახსოვთ, ბატონო ენვერ? — ჰკითხა გოგას.

— როგორ არა?! მომკვდარა საწყალი.

— 2 წლის წინ გარდაიცვალა.

— დროზე არ გამაგებინეს. რომ მცოდნოდა, აუცილებლად ჩავიდოდი დაკრძალვაზე, — თქვა ენვერმა.

— ვახტანგ კილაძე თუ გახსოვ?.. აკაკის მეგობარი იყო, — განაგრძო გოგამ.

— კილაძე... კილაძე... — ჩაფიქრდა ენვერი. — ვერა, ვერ ვიხსენებ.... ისე, ვინ ხარ, შვილო და რაში გაინტერესებს, ვიცნობდი მაგ ხალხს თუ — არა?

— ვახტანგის შვილი ვარ და აკაკი ბებიასაც კარგად ვიცნობდი... მე თქვენს სამშობიაროში დავიბადე.

— სანახევროდ სენაკელი ყოფილხარ, — გაეღიმა ენვერს.

— ის დღეები მინდა გაგახსენოთ და ძალიან გთხოვთ, ნურაფერს დამიმალავთ. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— რა გაინტერესებს?

— 25 წლის წინ თქვენ სამშობიაროს მთავარ ექიმად მუშაობდით...

— კი, ასე იყო, — დაუდასტურა ენვერმა, — თუ არ მეშლება, 3 წლის დანიშნული ვიყავი მაგ თანამდებობაზე.

— იმ პერიოდში დაგიკავშირდათ აკაკი ბებია და საშვილებლად ახალშობილის შერჩევა გთხოვათ...

— არ ვიცი... ასეთი არაფერი მახსოვს! — ცივად შეაწყვეტინა მასპინძელმა.

— გთხოვთ, გაიხსენოთ. ამაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული.

— ეგეთი არაფერი მომხდარა, — ჯიუტად გაიმეორა მასპინძელმა.

— ბატონო ენვერ, სენაკიდან ხელცარიელი ვერ დავბრუნდები. თუ თქვენ არაფერს მეტყვით, იძულებული გავხდები, ის ექიმები მოვძებნო, რომლებიც იმ პერიოდში მუშაობდნენ საავადმყოფოში!.. მე ბევრს არაფერს გთხოვთ, მხოლოდ ერთი ოჯახი მაინტერესებს!

— რისთვის გჭირდება ეს ყველაფერი?

— მე ის ახალშობილი ვარ, რომელიც თქვენ გაშვილეთ!..

ენვერმა დაძაბული მზერა ესროლა და მერე უთხრა:

— ზუსტად მითხარი, რა გინდა ჩემგან?

— ჩემი დედ-მამა ცოტა ხნის წინ დაიხოცნენ. სიკვდილის წინ დედამ ყველაფერი მიამბო. იმ დღემდე იმის წარმოდგენაც არ შემეძლო, რომ ნაშვილები ვიყავი. ხვდებით, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდი? ერთ წამში მთელი ცხოვრება თავდაყირა დადგა!

— და შენ შენი ნამდვილი მშობლების მოძებნა გადაწყვიტე?

— დიახ.

— იქნებ, არც ღირდეს: იმ ხალხმა უარი თქვა შენზე. რას მოგცემს მათთან შეხვედრა?..

— ეს დედაჩემის ბოლო სურვილი იყო.

— მახსოვს ის ამბავი... სამშობიარო სახლისთვის, ჩვილის გაშვილება ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ შენი შემთხვევა მართლაც განსაკუთრებული იყო.

— დედამ მითხრა, რომ ტყუპისცალი ძმა მყავს.

— მართალია, — თავი დაუქნია ენვერმა.

— შეგიძლიათ, ყველაფერი დაწვრილებით მიამბოთ?

— შენს დედ-მამას თავიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი ჩვილის გაშვილება. ისინი ხელმოკლე და მრავალშვილიანები იყვნენ და კიდევ ერთი შვილი მათ ზედმეტ ტვირთად დააწვებოდა.

— ესე იგი, სხვა დედმამიშვილებიც მყავს?!

— გყავს, მაგრამ მე არაფერი ვიცი მათ შესახებ.

— სენაკელები არიან? — ჰკითხა გოგამ.

— არა. შენს მშობლებს არ უნდო-

დათ ამ ამბის გახმაურება და ამიტომაც ჩამოვიდნენ სენაკში.

— საიდან ჩამოვიდნენ?

— ზუგდიდიდან... ეს იმისთვის გააკეთეს, რომ ზუგდიდში არავის სცოდნოდა ჩვილის გაშვილების შესახებ.

— როგორ?.. რას იტყოდნენ მათი ნათესავები და ნაცნობები, როდესაც ახალშობილის გარეშე დაბრუნდებოდნენ?

— ამის ახსნა უბრალოდ შეიძლება — ახალშობილი დაიღუპა, მორჩა და დამთავრდა!.. მაგრამ ერთი რამის გათვალისწინება არავის შეეძლო: ხელმოკლეობის გამო, დედაშენი პრაქტიკულად, არ ურთიერთობდა ქალთა კონსულტაციასთან. ცოლ-ქმარს მიახლოებით ჰქონდა გამოთვლილი მშობიარობის დრო და როდესაც ვადა მოახლოვდა, ჩემთან მოვიდნენ. მაშინ გაირკვა, რომ ნაყოფი ერთი კი არა, ორი იყო. ეს სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა შენი მშობლებისთვის. მათ არც დაუმალავთ, რომ ახალშობილი უნდა გაეშვილებინათ, მაგრამ ისინი ერთ შვილს ელოდნენ და აღარ იცოდნენ, რა მოეხერხებინათ მეორისთვის... მაშინ გამახსენდა აკაკი ბებია, რომელმაც გასაშვილებელი ჩვილის შერჩევა მთხოვა და მაშინვე დავუკავშირდი. ვიცი — რასაც ახლა გეტყვი, მძიმე მოსასმენი იქნება შენთვის, მაგრამ რახან დავიწყე, ყველაფერს ბოლომდე მოგიყვები. შენს მშობლებს უბრალოდ, ჩვილის გაშვილება კი არ ჰქონდათ გადაწყვეტილი, ისინი ახალშობილის გაყიდვაზე იყვნენ შეთანხმებულები და როცა გაირკვა, რომ ნაყოფი ტყუპი იყო, ამაზეც მოინდომეს ხელის მოთბობა. მამაშენმა პირდაპირ მითხრა: ფულს თუ არ გადამიხდიან, ახალშობილს არ დავთმობო!.. მოგვიანებით სენაკში ვახტანგი და აკაკი ჩამოვიდნენ. მე ავუხსენი, რაშიც იყო საქმე. ვახტანგს არ მოეწონა ეს ვაჭრობა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა და შენს მშობლებს ფულის გადახდის პირობა მისცა...

— ადამიანს იშვიათად ეძლევა შესაძლებლობა, გაიგოს თავისი ფასი: რამდენი ვღირვარ? — შეაწყვეტინა გოგამ.

— 3 ათასი მანეთი, — უპასუხა ენვერმა, — ეს თანხა გადაუხადა ვახტანგმა შენს მშობლებს!

— ჩემი ძმაც ამ ფასად გაყიდეს? — თქვა გოგამ და სიგარეტს მოუკიდა.

— არ ვიცი. წარმოდგენა არ მაქვს, ვინ წაიყვანა მეორე ახალშობილი. ის ხალხი საავადმყოფოში მხოლოდ მშობიარობის დღეს მოვიდა.

— დედაჩემი მშობიარობას გადაჰყოლია... — განაგრძო გოგამ.

— ჰო, ასე იყო. ძალიან მძიმე მშობიარობა ჰქონდა. ყველაფერი ვცადეთ, მაგრამ მისი გადარჩენა მაინც ვერ შევძელით. საბედნიეროდ, თქვენ მაინც შეგინარჩუნეთ სიცოცხლე.

— ჩემი მშობლების შესახებ არაფერს მეტყვით?

— ძალიან ცოტას. მარტო ის ვიცი, რომ ზუგდიდში ცხოვრობდნენ. გვარი კი... — ენვერი მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე დაამატა: — დიდავა... ჰო, დიდავა. მერაბი თუ მამუკა ერქვა. მეტსახელიც მახსოვს — ჭიჭე, ასე ეძახდა დედაშენი. ახლა 60-65 წლის იქნება.

— საავადმყოფოში ძველ ჩანაწერებს ვერ ვნახავ? იქ ხომ ზუსტი მონაცემები იქნება მითითებული.

— არა. ანკეტა ამდენ ხანს არ ინახება.

— არქივში?

— ვერც არქივში... სწორად გამიგე — ასეთი საქმე ოფიციალურ დოკუმენტებში ვერ მოხვდებოდა!

— რამდენი გადაგიხადეს ამ საქმეში? — ცივად მიახალა გოგამ.

— არ გინდა ასე ლაპარაკი... — მზერა აარიდა ენვერმა. — ეს მხოლოდ აკაკისა და ვახტანგის გამო გავაკეთე. რომ არ დავყოლოდი, სხვა სამშობიაროს მიაკითხავდა და ვახტანგი შენს წაყვანას ვეღარ შეძლებდა!.. შვილიშვილებს გეფიცები — რაც ავიღე, იმ ფულიდან ერთი კაპიკიც არ შემიტანია ოჯახში, ყველაფერი საქმის დაფარვაში დაიხარჯა — იმაში, რომ თქვენი დაბადება სენაკის სამშობიაროში არ დაფიქსირებულიყო!

— მაინც ბინძური საქმეა!

— ზოგჯერ ცხოვრება არჩევანის საშუალებას არ გვაძლევს. შენ არ შეგმთხვევია ასეთი რამ?

— შემმთხვევია და უფრო მეტიც: ახლა, ამ წუთებში დედაჩემი მკვდარი წევს სახლში, მას ხვალ დაკრძალავენ და იმის მაგივრად, რომ იქ ვიყო, აქ, თქვენთან ვარკვევ, როგორ და რამდენად გამყიდა მამაჩემმა, თითქოს შვილი კი არა, ორიოდე კილოგრამი ხორცი ვყოფილიყავი!.. არ ვიცი, როგორი ვიქნებოდი ახლა და რა პირობებში ვიცხოვრებდი, მაგრამ თქვენ მაინც არ გქონდათ ჩემი ცხოვრების შეცვლის უფლება!.. — ბრაზით თქვა გოგამ, მერე ადგა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ეზოდან.

სახლში დაბრუნებულებს მოულოდნელი სურათი დახვდათ: მურთაზის დედა ეზოში, ჩარდახის ქვეშ გაშლილ სუფრას შლიდა, იქვე 3 მამაკაცი იდგა, რომლებიც მის შეჩერებას ცდილობდნენ.

— ვაა!.. საიდან სადაო?!. ჯიგრები ხართ, რომ გამიხსენეთ! — მურთაზი გახარებული შევარდა ეზოში, სამივე გადაკოცნა, მერე კი გოგას მიუბრუნდა: — ნახე, რა ხალხი მეწვია! გაიცანი, ჩემი ძმაკაცები არიან...

რამდენიმე წუთის შემდეგ საუბარი სუფრასთან გაგრძელდა. მეგობრების სტუმრობით გახარებული მურთაზი ერთი წამით არ ჩუმდებოდა, განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და სტუმრებს ღვინოს აძალებდა.

— რა ხდება სამსახურში? ბიჭები როგორ არიან?

— რა უნდა ხდებოდეს?! ყველა გაქცევაზეა... კარგად მოიქეცი, თბილისში რომ გადახვედი. ცოტა ხანს კიდევ ვაცდით და თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, პოლიციაში მუშაობას

საერთოდ დავანებებთ თავს!

„პოლიციელები! — გაჰკრა გოგას. — დროზე უნდა მეფიქრა ამაზე. სხვა ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, ვინ ესტუმრებოდა კაცს, რომელიც 10 თუ 12 წელი პოლიციაში მუშაობდა?!

— ჯიგრები ხართ, რომ არ მივიწყებთ!.. რომ არ მოსულიყავით, მაგრად მეწყინებოდა!.. — განაგრძო მურთაზმა.

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს. მერე ერთ-ერთი მათგანი მურთაზს მიუბრუნდა და უთხრა:

— ჩვენს უნახავად მაინც ვერ დაბრუნდებოდი თბილისში, მაგრამ ახლა საქმეზე ვართ მოსულები.

— რა საქმეზე? — დაინტერესდა მურთაზი.

— ავტობუსის დაყაჩაღებაზე შემოვიდა ინფორმაცია. რამდენიმე დაზარალებული უკვე დავკითხეთ. მათ გვითხრეს, რომ ავტობუსში შენც იყავი.

— ვიყავი, — დაუდასტურა მურთაზმა, — მაგრამ დაზარალებულად ვერ ჩავთვლი თავს.

— როგორ?! — გაუკვირდათ პოლიციელებს. — არაფერი წაგართვეს?

— ჩემი სტუმარი რომ არა, ცუდად იქნებოდა საქმე. წართმევას ვინ ჩივის — პირადობის მოწმობა რომ ენახათ, ნაღდად მომკლავდნენ!

— საღოლ! — გოგას გახედეს პოლიციელებმა. — მაინც როგორ დააშოშმინე ის ხვადაგები?

— მე რა შუაში ვარ?! თვითონ არ შეგვეხნენ, — ჩაილაპარაკა გოგამ.

— კარგი, რა, — სწრაფად თქვა მურთაზმა, — თქვი, როგორც იყო!

— როგორ იყო? — ახლა მას მიუბრუნდნენ პოლიციელები.

— მგზავრების ნახევარი „გასუფთავებული“ ჰყავდათ, როცა ჩვენამდე მოაღწიეს. ამ დროს ერთმა „პრისტუპნიკმა“ გოგას ჰკითხა: შენ არამიანცის საავადმყოფოში ხომ არ მუშაობ? ამან დაუდასტურა. მერე ჩემზე ჰკითხა: ეს ვინ არისო? ამან კი უპასუხა: ჩემი თანამშრომელია, ერთად ვმუშაობთო!.. ეს იყო და ეს. „პრისტუპნიკებმა“ თავი დაგვანებეს!

„დამღუპა! — გონებაში გაუელვა გოგას. — ესენი აღარ მომეშვებიან!“

— ესე იგი, ნაცნობი იყო? — ივარაუდეს პოლიციელებმა.

— არ ვიცი... ნიღაბი ეკეთა.

— ნაცნობი ნიღაბშიც უნდა ამოგეცნო! — ეჭვით შენიშნეს პოლიციელებმა.

— ვერ ვიცანი. ნასვამი ვიყავი, თანაც — დაბნეული. წესიერად არც კი შემითვალიერებია.

— ესე იგი, თბილისში, არამიანცის საავადმყოფოში მუშაობ... რა გქვია?

— გოგა.

— გვარი?

— კვაშალი, — იცრუა გოგამ.

— შენი დაკითხვა მოგვიწევს. პასპორტი მომეცი, დაკითხვის ოქმისთვის მჭირდება, — თქვა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

— ჩანთაში მაქვს... ახლავე მოვიტან, — უპასუხა გოგამ, მერე ადგა და სახლისკენ წავიდა.

მურთაზმა ჩაფიქრებული მზერა გააყოლა სტუმარს და როგორც კი ის სახლში შევიდა, თვითონაც დატოვა სუფრა და უკან მიჰყვა.

საძინებელში შევიდა თუ არა, გოგამ ფანჯარა გააღო და ბაღს გადახედა. სახლი მაღალი არ იყო. გადახტომას შეძლებდა, მერე კი ბაღებით, პარალელურ ქუჩაზე გავიდოდა და ვიდრე მურთაზი და პოლიციელები რამეში გაერკვეოდნენ, იქაურობას გაეცლებოდა.. მაგრამ გადახტომა ვერ მოასწრო; ის იყო, ფანჯრის რაფაზე შედგა ფეხი, რომ ოთახში მურთაზი შემოვიდა.

გოგა ადგილზე გაშეშდა. ფანჯრიდან გადახტომას აზრი აღარ ჰქონდა — მურთაზი განგაშს ატეხდა და პოლიციელებს დაადევნებდა.

— ასეც ვიცოდი... მაშინვე შეგატყვე, რომ არ გესიამოვნა ამ ხალხის სტუმრობა... — თქვა მასპინძელმა.

— რას აპირებ? — მზერა გაუსწორა გოგამ.

— გააჩნია, შენ რას შემომთავაზებ.

— რისი თქმა გსურს? — დაიბნა გოგა.

— პოლიციასთან პრობლემები გაქვს?

— ძებნილი ვარ, — არ დაუმალავს გოგას.

— აი, ეგ ყველაფერს ცვლის... — ჩაილაპარაკა მურთაზმა და მისკენ დაიძრა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„არ გავბრაზდები"

მარი ჯაფარიძე

— დღეს არავითარ შემთხვევაში არ გავბრაზდები, აი, ასე! ახლა საწოლიდან მარჯვენა ფეხს გადავდგამ და ახალ, ლამაზ დღეს ასე დავიწყებ, — ნანამ ეს სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა, ისე, როგორც წინადღეს ასწავლეს და სკოლაში წასასვლელად მზადებას შეუდგა.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მუქი ნაცრისფერი, სწორი, მუხლამდე ქვედაბოლო ჩაიცვა. ქვედაბოლო გვერდებზე შეხსნილი იყო, რაც ქალს ნაბიჯის თავისუფლად გადადგმის საშუალებას აძლევდა. ფეხი საკმაოდ შელახულ, ოთხკუთხაცხვირიან, დაბალქუსლიან ფეხსაცმელში ჩადგა. „სამაგიეროდ, მოსახერხებელია და არ მიჭერს", — გაიფიქრა ქალმა და ტუჩებზე პომადა გადაისვა.

ნანა მაკიაჟს არასოდეს იკეთებდა, რადგან არ იყო შეჩვეული. თანაც, ცხვირზე გამუდმებით ნაცრისფერმინებიანი სათვალე ჰქონდა დაკოსებული და მიიჩნევდა, რომ სულაც არ იყო აუცილებელი, სათვალის შიგნით მაკიაჟი ჰქონოდა. პომადის ფერის ბლუზა შეარჩია, დიდი შავი ჩანთა მხარზე მოიგდო და სარკეში კიდევ ერთხელ შეათვალიერა საკუთარი გამოსახულება.

— ძალიან კარგი განწყობილება მაქვს, ძალიან კარგი განწყობილება მაქვს... ძალიან კარგი... — ჩურჩულით შთაადგინებდა საკუთარ თავს და გამოსახულებას ნაძალადევად უღიმოდა.

როგორც იქნა, სკოლამდე მიაღწია, სამასწავლებლოს კარი შეაღო და იქ მყოფებს მიესალმა. შემდეგ თავის მაგიდას მიუჯდა. ამ დროს საჯდომზე ხელს ჩამოისვამდა ხოლმე, დაჯდომისას კაბა რომ არ დასჭმუჭნოდა.

მისი მაგიდის უკან ფიზიკის მასწავლებლის, მერაბის მაგიდა იდგა. ყოველ დილით მამაკაცი თვალს ადევნებდა ქალის ხელის მოძრაობას, როდესაც კაბას ისწორებდა და ღრმად ოხრავდა ხოლმე. წარმოიდგენდა, თვითონაც რა დიდი სიამოვნებით გააკეთებდა იმავეს... თვალებს ხუჭავდა და ცდილობდა, ფანტაზიისთვის გასაქანი მიეცა... კაბის ბოლოს მიადგებოდა, მერე ხელს ფეხზე აუცურებდა და ამ დროს მკერდზე მძლავრად მიიკრავდა...

ზარი დაირეკა და როგორც ყოველთვის, მერაბს ახლაც გაუწყდა აზრი. კაცი წამოდგა და სამასწავლებლოდან წელმოწყვეტილივით გავიდა. დერეფანში ბავშვები ხმაურობდნენ, ყვიროდნენ, ხმამაღლა იცინოდნენ...

ნანა დაწყებითი კლასის მასწავლებელი გახლდათ. იმ დღეს საკლასო ოთახში მოზრდილი, მწვანე ბუზი შემოფრინდა და პირველკლასელთა ყურადღება მიიპყრო. ყველანი ამ ზუზუნა მწერს უყურებდნენ. მხოლოდ პატარა ელენეს გამოჰყავდა ფურცელზე რაღაც, დიდი მონდომებით. ნანა ბავშვს მიუახლოვდა და გაოცებისგან ლამის ჩაიკეცა: სამაგალითო ოჯახის შვილი და ჭკვიანი ელენე ყვავილს ან მზეს კი არა, იმას ხატავდა, რაც ნანას ცხოვრებაში „ცოცხლად" არ ენახა...

— ეს რა არის?! — იკივლა ნანამ.

ელენე შიშისგან შეხტა და ტირილი დაიწყო. გვერდითი მერხიდან ბიჭუნა წამოხტა, ნახატს დახედა და მშვიდად დაასახელა ის, რაც ფურცელზე იყო დახატული.

— რااა?!! — ისტერიკაში ჩავარდა ნანა, კლასიდან გავარდა და დირექტორის კაბინეტს მიეჭრა; მერე უკან გამოვარდა, სკოლის ეზოთანს მიაკითხა და დამამშვიდებელი წვეთები დალია; მერე იქიდანაც სირბილით გამოვარდა და შუა დერეფანში გაჩერდა, თვალები დახუჭა და თვლა დაიწყო:

„ერთი, ორი, სამი... — ასამდე დავითვლი და მერე გადავწყვეტ, რა გავაკეთო, — თავს იმხნევებდა ნანა. — რა მინდოდა?! რისთვის მივედი ელენეს მერხთან?! ყოფილიყო და ეხატა თავისთვის!.. რვა, ცხრა... ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ახლა დერეფანში არ ვირბენდი... თერთმეტი... დირექტორთან შევიდე? თხუთმეტი, თექვსმეტი... რა ვუთხრა? ოჰ, ელენე, ელენე!.. ამას ვერ ავიტანა... ყველა ერთმანეთზე უარესია, საძაგელი ბავშვები არიან... მეც სულელი ვარ და ნამდვილ საგიჟეთში ვმუშაობ!"

სიტყვა „საგიჟეთი" ნანამ ხმამაღლა წარმოთქვა, შებრუნდა და სამასწავლებლოსკენ გაეშურა. არავითარი გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული. უბრალოდ, ჩვეულებისამებრ გაემართა სამასწავლებლოსკენ და მეტი არაფერი. იქ პირველი გაკვეთილის დროს არავინ იყო ხოლმე...

ოთახში, ერთ-ერთ კედელზე, ადამიანის სიმაღლის სარკე ეკიდა. ნანა მის წინ დადგა და საკუთარ გამოსახულებას დააკვირდა. იქიდან ასე, 45 წლის ქალი იყურებოდა. სათვალე მოიხსნა და გაოგნდა. დაშვებულ ტუჩის კუთხეებსა და სახეზე მიყინულ, პედაგოგის ნიღაბს მისი სილამაზე „შეეჭამა". საკუთარმა გამოსახულებამ შეაშინა. დიდი ხანია, ასეთი „ხელოვნური" გამომეტყველება არ ენახა. საკუთარი თავი ვერც კი იცნო. ჩანთას ხელი წამოავლო, დირექტორს არც დაეთხოვა, ისე დატოვა სკოლის შენობა. ეზო გადაჭრა და გაჩერებაზე ჩამომდგარ პირველსავე ავტობუსში ისე ავიდა, ნომრისთვის არც შეუხედავს, რადგან თვალწინ ელენეს ნახატი ედგა.

ნანამ ავტობუსში მყოფებს უაზრო მზერა მოავლო და სრულიად გაუცნობიერებლად, პირველსავე გაჩერებაზე ჩავიდა. გზას ფეხით გაუყვა. პირდაპირ მიდიოდა და არსად გადახვევას არ აპირებდა. მეტროში როგორ აღმოჩნდა, თვითონაც არ იცოდა. „ახმეტელი", ბოლო გაჩერება, გთხოვთ გაათავისუფლოთ ვაგონები", — აუწყა ქალის ხმამ. მასთან ერთად, ვაგონიდან უამრავი მოხუცი ქალი და მამაკაცი გამოვიდა. ნანა იქვე, მერხზე ჩამოჯდა. სირცხვილის გრძნობა არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ მერხზე წამოწოლილიყო, თორემ დიდი სიამოვნებით გააკეთებდა ამას...

ნანა ავადმყოფმა დედამ მარტომ აღზარდა.

— ისწავლე, შვილო, თორემ რომ მოვკვდები, ვინ იზრუნებს შენზე?! საკუთარ თავზე შენ იქნები პასუხისმგებელი... ეჰ, არც კი ვიცი, როგორ შეძლებ ცხოვრების მარტო გაძღოლას... ადამიანები მგლები არიან, ჩვენ მგლების ხროვაში ვცხოვრობთ, ყველა ერთმანეთს ატყუებს, — მოძღვრავდა ხოლმე შვილს.

ასეთი შინაარსის საუბრები, როგორც წესი, დიდხანს გრძელდებოდა. ავადმყოფი დედა შვილს ცხოვრებას ასწავლიდა. ხანდახან უყვიროდა და თმასაც აწიწკნიდა. ნანა ამას მშვიდად ხვდებოდა, რადგან იცოდა, დედისთვის უნდა დაეჯერებინა, ის ხომ ცუდს არაფერს ურჩევდა!

როდესაც დედა გარდაიცვალა, ნანა ცხოვრებას ძველი წესის მიხედვით მიჰყვა. დილით 7-ის ნახევარზე დგებოდა, ზუსტად 3 წუთში იხეხავდა კბილებს, გაზქურაზე ჩაიდანს შემოდგამდა და პურზე კარაქს გადაუსვამდა. ჩვევის გამო ჭამდა და ჩვევის გამო დადიოდა სამსახურშიც. სიცარიელეს ვერავინ უვსებდა, არავინ ეუბნებოდა, რომ არასწორად იქცეოდა...

ახლა კი შეშინდა... როგორ უნდა ეცხოვრა შემდეგ?! ვინ ურჩევდა?

— უკაცრავად, კალამი ხომ არ გაქვთ? — ჰკითხა ვიღაცამ.

— კალამი? — კითხვა შეუბრუნა ნანამ.

— დიახ, კალამი.

— კალამი... — ჩუმად ჩაიბურტყუნა ქალმა და მეტი აღარაფერი უთქვამს.

ახალგაზრდა მამაკაცი გვერდით მიუჯდა, მაგრამ ნანას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ასე, მერხზე მსხდომს და კედელზე მიყრდნობილს, ჩაეძინა.

მამაკაცმა მისი ჩანთა გახსნა, ბლოკნოტი ამოიღო და დაათვალიერა; მერე, ვიდრე ქალს ეძინა, მისი ჩანთის მთელი შიგთავსი შეისწავლა და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩანთის პატრონზე სრული ინფორმაცია ჰქონდა. თითქმის სრული ინფორმაცია...

ნანას ისევე უეცრად გაეღვიძა, როგორც ჩაეძინა, მაგრამ არ შეშფოთებულა იმის გამო, რომ მეტროში ეძინა. თითქოს ეს მისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ყოველდღე ასე იძინებდა.

უცნობი მამაკაცი ისევ გვერდით ეჯდა...

ამ სიმპათიური კაცის ოთახი სიგარეტის კვამლით იყო გაჟღენთილი და უამრავი უცნაური და ნანას აზრით, გამოუსადეგარი ნივთით სავსე... ოთახში

ქაოსი იყო. საღებავის კოლოფები, გამხმარი, საღებავიანი ფუნჯები, ქაღალდის ფურცლები, დამტვრეული ფანქრები და ცარიელი მინის ქილები ყველგან იყო მიმობნეული.

ნანა ნივთებს ათვალიერებდა და ოთახში დადიოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და თითქოს ოთახი უფრო დიდი გამოჩნდა.

მომდევნო დღეებში ნანა ყველაფერს რეცხავდა და ხეხავდა, რაც ხელში მოხვდებოდა. უცნობი მამაკაცი აღარ უნახავს...

ის მხოლოდ მეოთხე დღეს დაბრუნდა. ქალი ფანჯარასთან იჯდა და ელოდა, თან უშაქრო ყავას მიირთმევდა.

სახლის პატრონმა მინდვრის ყვავილები მოიყოლა, რომელსაც უამრავი სარეველა და მიწა ჰქონდა შეყოლილი და ქალს გაუწოდა. ნანამ „თაიგული“ გამოართვა და ქილის მოსაძებნად, სამზარეულოში გავიდა. ქილა წყლით ნახევრამდე აავსო და ყვავილები ჩააწყო. შემდეგ ოთახის შუაგულში მდგარ მამაკაცს შეხედა.

მაღალი, სიმპათიური და ძალიან ნაცნობი მოეჩვენა. ეშმაკურად მოციმციმე თვალები მას უყურებდნენ. ხმაამოუღებლად მიუახლოვდა ქალს, ხელი ჩასჭიდა და ძველებურ, მოოქრულჩარჩოიან სარკესთან მიიყვანა. მამაკაცის ხმადაბლა ნათქვამმა თითქოს დააყრუა ნანა.

— შეხედე! — ბრძანებასავით გაისმა.

ქალი შეკრთა და სარკეს მიაშტერდა. იქიდან გამხდარი, ნაცრისფერ ქვედაბოლოსა და ვარდისფერ ბლუზაში გამოწყობილი, ფეხშიშველი, თმაჩამოშლილი ქალი უყურებდა. ქალს 30-35 წელზე მეტს ვერ მისცემდი.

მამაკაცი მის უკან იდგა და მთელი თავით მაღალი იყო. შუბლზე ჩამოშლილი, შავი თმა ჰქონდა, კუბოკრული პერანგის სახელოები აეკეცა, რაც გარუჯულ, დაკუნთულ მკლავებს ხაზს უსვამდა. გრძელი, ლამაზი თითები ჰქონდა, ჯინსის შარვალი კი უცნაურ, უამრავი შესაკრავითა და ბალთით გაწყობილ ჩექმაში ჰქონდა ჩატანებული.

— შეხედე, — ისევ უთხრა მამაკაცმა და ნანას გაშლილ თმას დაუსვა ხელი. მერე თმის ერთი ბღუჯა თითზე დაიხვია, შემდეგ ისევ გაასწორა... თავზე მსუბუქად შეეხო...

ნანა უხმოდ იდგა და საკუთარ გამოსახულებას უყურებდა. ის ხედავდა ქალს, რომელიც მამაკაცის ხელის თითოეულ მოძრაობაზე თვალებს ლულავდა და თავს ოდნავ აბრუნებდა. სხეული კი სითბოთი ევსებოდა...

სარკიდან მომზირალი ქალის ქვედაბოლო და ბლუზა იატაკზე დავარდა. სხეული კი მამაკაცის ხელებს ემორჩილებოდა, რომლებიც მას იხუტებდნენ და ტანზე იკრავდნენ.

ქალი თავს დამტყდარი ბედნიერებით ტკბებოდა. მამაკაცს არაფერს ეკითხებოდა, არ ელაპარაკებოდა... უბრალოდ, ეფერებოდა და აფერებინებდა... ისე იქცეოდა, როგორც შეყვარებული ქალები იქცევიან ხოლმე.

თავს მშვიდად გრძნობდა და წარსულზე არ ფიქრობდა... მამაკაცს სახელიც კი არ ჰქონდა... ნანა მას ხანდახან „ჩემსას“ უწოდებდა. ისინი თითქმის არ ლაპარაკობდნენ. კაცი მიდიოდა და ბრუნდებოდა, ხანდახან კი უხმოდ იჯდა და ერთ წერტილს უაზროდ უყურებდა. ამ დროს ქალი ზურგზე ლოყით ეკვროდა და თვალებს ხუჭავდა. შეეძლო, კვირაობით მჯდარიყო ასე და მამაკაცის ოფლისა და სიგარეტის სურნელი შეესუნთქა. თითქოს დრო გაჩერდა...

— გინდა შინ წასვლა? — ჰკითხა ერთხელ მამაკაცმა.

— არა, შენთან ყოფნა მინდა, — უპასუხა ნანამ.

— იყავი!

ამ თემაზე აღარ ულაპარაკიათ. დღეს ღამე ცვლიდა, ალერსის მოლოდინს — ალერსი.

ნანა ბედნიერი იყო...

მან გარეთ გასვლაც დაიწყო — მაღაზიაში პურის საყიდლად ჩადიოდა ხოლმე.

დანარჩენი პროდუქტი მამაკაცს მოჰქონდა. ნანა კერძებს ამზადებდა და ამ საქმეს ყოველთვის გულმოდგინეთ ეკიდებოდა, რადგან სურდა, საღამოობით საყვარელი მამაკაცისთვის უცხო და გემრიელი კერძი დაეხვედრებინა.

კაცი გურმანი იყო. განსაკუთრებით — ხორციანი კერძები უყვარდა. ხორცის ნაჭერს თეფშზე გადმოიღებდა, მომცრო ნაჭრებად დაჭრიდა, ტყემალში ჩააწებდა და ჩანგლით პირში ჩაიდებდა. ამ დროს სიამოვნებისგან თვალებს ხუჭავდა.

დროთა განმავლობაში მათ ურთიერთობაში რაღაც შეიცვალა. თითქოს ჟანგი მოეკიდა... მამაკაცს ქალის სხეული უწინდებურად აღარ იზიდავდა... ჩაფიქრებული დიდი ხნის განმავლობაში იჯდა ხოლმე და რაღაცაზე ფიქრობდა. რაზე — ნანასთვის საიდუმლოდ რჩებოდა.

ერთხელ ქალი მანქანაში ჩასვა და მრავალსართულიან სახლთან მიიყვანა. მეცხრე სართულზე ავიდნენ. მამაკაცმა კარი გააღო და ქალს მსუბუქად უბიძგა. ზღურბლზე მდგარმა მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა:

— დაივიწყე.

...და წავიდა.

ქალმა კარს მუშტები დაუშინა, თუმცა კარი დაკეტილი არ იყო. შემდეგ თავის სახლს თვალი მოავლო და ფანჯარასთან დაჯდა...

ელოდა...

ფანჯრის რაფაზე ძველი ბლოკნოტი დაინახა და ფურცვლა დაიწყო.

„დღეს 7 საათზე — მშობელთა კრება“;

„ალეკომ ჟურნალზე წყალი გადაასხა“;

„ბლუზაზე თეთრი ღილი უნდა დავაკერო“...

ჩანაწერები გაურკვეველი იყო... ისინი ხომ ადრინდელ ნანას ეკუთვნოდა. თანაც, ეს ჩანაწერები „იმაზე“ არაფერს ეუბნებოდა.

ქალი სარკესთან მივიდა, რომლის კიდეებზეც დედის უამრავი ფოტო და ღია ბარათები იყო ჩამაგრებული. ნანამ ისინი ერთმანეთის მიყოლებით ამოაძრო, რადგან საკუთარ თავს ვერ ხედავდა. მერე თმაზე ხელი ჩამოისვა, თან ზურგს უკან „მისი“ გამოსახულების დანახვას ცდილობდა. ხელი მხრებს ჩამოაყოლა, მუცელზე ჩამოვიდა და უეცრად, შეკრთა და გაქვავდა.

ტანისამოსი გაიძრო და გვერდულად, დედიშობილა დადგა სარკის წინ. სარკეში კარგად ჩანდა გამობერილი მუცელი...

იქ ახალი სიცოცხლე ფეთქავდა.

„ის მე „დედას“ დამიძახებს“...

ნანას მზერა იატაკზე დაყრილ ფოტოებს მისწვდა.

— მაპატიე, დედა...

ქალი მუხლებზე დაეშვა...

„მაპატიე, ღმერთო, მაპატიე, ნამდვილი სულელი ვარ, ცოდვილი... ეს რა ჩავიდინე?! დედა, შენ სიმართლეს მეუბნებოდი, — გაერთობა, მიგატოვებს და წავაო...

რამ დამიბინდა გონება?! მახინჯი ადამიანების გარემოცვაში ვცხოვრობ... ნამდვილ საგიჟეთში. ადამიანების ნდობა არ შეიძლება! მე სულელი ვარ, მაგრამ ის? ის ნამდვილი ურჩხულია... დედა, უნდა დამეჯერებინა შენთვის... ღმერთო, მაპატიე!.. საშინლად მტკივა თავი“... ■

აკრძალული ოცნებები

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №38-44

გიო ქარივით შეევარდა თავის საძინებელში. ბრაზი ახრჩობდა. წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ გაიძვერა თორნიკე ბინას ნებისმიერი ქალისთვის დაიქირავებდა, მაგრამ არა — ცოლისთვის. საწყალი თიკო!.. კიდევ კარგი, იცის, რა ნაგავი ქმარიც ჰყავს. რა ცუდია, რომ არ გაუმართლა!

სწრაფად გაიძრო ტანთ, ხალათი გადაიცვა და სააბაზანოში შევარდა. არც ახსოვს, პირველად როდის გაუელვა თავში ნინის შებმის იდეამ, რათა იგი თორნიკესთვის დაეცილებინა. ეს თავხედი გოგონა გონებიდან არ ამოსდიოდა მას შემდეგ, რაც სახლში შეეჭრა და თავისი სასიყვარულო ამბები მიამიტურად დაფქვა. იმწუთას ერთი სული ჰქონდა, გემრიელად გამოელანძღა, გაეგდო და ყველაფერი მოეყოლა თაკოსთვის, მაგრამ როცა კარგად გაიაზრა, მიხვდა, რომ ასეთი საქციელით თვითონ იქნებოდა დამნაშავე მათი ოჯახის დანგრევაში. არადა, ამას წინათ ესაუბრა ტელეფონზე ბიძაშვილს, რომელმაც უთხრა, ვეცდები, როგორმე შევინარჩუნო ოჯახიო.

გიო ვერაფრით მიმხვდარიყო — ორი არაჩვეულებრივი და სხვებისგან გამორჩეული ქალი თორნიკეს შესანარჩუნებლად ძალისხმევას რატომ არ იშურებდა?! ან იქნებ, ისეთი ღირსებები აქვს, რომლებიც მისთვის უცნობია? ან უბრალოდ, კარგი მამრია და მეტი არაფერი?! აღბათ, როგორც თაკოსთვის, ასევე ნინისთვისაც პირველი მამაკაცი იყო და ამიტომაც აღმერთებენ, — ცინიკურად ჩაიღიმა გასაპნულმა და სხეული ცხელ წყალს მიუშვირა.

„ვნახოთ, როგორ შეხვდება ეს გოგო ჩემგან ფლირტს. ქალებთან ჯერჯერობით ჩავარდნა არ მქონია, დავიჯერო, მაინცდამაინც ის აღმოჩნდება კერკეტი კაკალი?! სულერთია, თორნიკესთან მაინც არაფერი გამოუვა, იმ შემთხვევაშიც კი, ეს დეგენერატი თაკოს რომ გაშორდეს“, — გაიფიქრა გიომ და გამშრალებას შეუდგა...

თან იცვამდა, თან ნინიზე ფიქრი გონებიდან არ ამოსდიოდა. თვალწინ ედგა გოგონას ნაზი, თხელი, აშოლტილი სხეული და სიწმინდე, რომელსაც მისი თვალები აფრქვევდა... ასეთ ქალს რა საერთო უნდა ჰქონდეს თორნიკესნაირ გარეწართან? ნუთუ უკეთესი ვერავინ იპოვა?! ან სად გაიცნო? ან რითი მოიხიბლა? რა სულელები არიან ეს ქალები! არა, რატომ აწუხებს ეს აზრი? კარგია და იყოს თავისთვის, რა თავში იხლის?! მისთვის ახლა მხოლოდ ის არის მთავარი, როგორმე თავის სიძეს დააშოროს.

„იდიოტო, შტერო, შეშლილო!“ — ტუქსავდა ნინი საკუთარ თავს, თან წამწამებს დიდი გულმოდგინებით იტუშავდა. ჯერ კიდევ ვერ დაეჯერებინა, როგორ დათანხმდა რობაქიძეს პაემანზე... თუ ვახშამზე?.. პაემანია, აბა, რა! რაც უნდა იკატუნოს თავი, მაინც ასე გამოდის! რამ გააგიჟა?! თვალთ დაუბნელდა, როცა შემოთავაზება მიიღო. მერე რა, რომ დაეხმარა და ფაილები გადაურჩინა! ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ მასთან ვახშმობა დაემსახურებინა. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა ასეთი განსაკუთრებული?! ამას ხომ ხელოსანიც ადვილად გაართმევდა თავს. უბრალოდ, დრო მოიგო და მეტი არაფერი. და საერთოდ, გიოს, შავი ხელნაწერებითაც შეეძლო სცენარების აღდგენა, არ გაუჭირდებოდა. ასე რომ, მისგან მადლიერების გამოხატვა ნამდვილად გადაჭარბებული იყო. საეჭვოა, რატომ დაპატიჟა ვახშმად? არა, აქ რაღაც სხვა ხდება, რასაც ნინი ჯერჯერობით ვერ ხსნის, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც მათ შორის ამ დღეებში მოხდა.

მაინც რატომ გაანერვიულა ასე ამ ვახშამმა? მერე რა, რომ რობაქიძესთან ერთად უნდა წავიდეს რესტორანში?! შინ უსაქმოდ ჯდომასა და თორნიკეს ზარის ლოდინს, მასთან ვახშმობა არ სჯობია?! ცოტას გაერთობა კიდეც.

სარკეში ჩაიხედა... ნაცრისფერი უსახელო კაბა ძალიან უხდებოდა. ზედა სამი ღილი ჩახსნა და მკერდის ღარი ოდნავ გამოიჩინა. ასე უკეთესია, უფრო სექსუალურს ხდის. ვინ იცის, იქნებ თავგზაც აუბნიოს საყოველთაოდ ცნობილ მექალთანე ტელეჟურნალისტს?!. კმაყოფილმა ჩაიღიმა და ვარდისფერი პომადა გულმოდგინედ გადაისვა ლამაზ ტუჩებზე.

ზუსტად 8 საათზე კარზე კაკუნი გაისმა. გიორგი რობაქიძე ზედმიწევნით პუნქტუალური აღმოჩნდა. რა სასაცილო იქნება ახლა, ნინიმ კარი რომ არ გაუღოს! ისე, ღირსი კია: გემრიელად გადაუხდიდა სამაგიეროს ძველი წყენისთვის!.. არა, არა, ასე არ შეიძლება! ისედაც აღრენილია ეს კაცი მასზე. სახეზე ღიმილი აიკრა და კარი გამოაღო.

— საღამო მშვიდობისა! — მიესალმა სტუმარს.

— საღამო ნებისა! — დაუბრუნა პასუხი გიომ და წითელი ვარდების თაიგული მიაწოდა. — მცირედი სუვენირი — შერიგების ნიშნად.

— ო! რა ლამაზია! — აღფრთოვანებულმა ნინიმ ყვავილები დაყნოსა. — რა არომატი აქვს!.. დიდი მადლობა! ახლავე ლარნაკში ჩავდებ.

— გამყიდველმა მითხრა, ჯერ აბაზანაში ჩადგით, რომ წყლით კარგად გაიჟღინთოს და დიდხანს არ დაჭკნებაო, — გიო ოთახში შემოვიდა და კარი მიხურა.

— მაშინ, როცა დავბრუნდები, მერე გადავიტან ლარნაკში, — მორჩილად დაეთანხმა გოგონა და თაიგული სააბაზანოში შეიტანა.

მართალია, გიო თორნიკეზე მაღალი არ იყო, სამაგიეროდ, ბევრად დაკუნთული ჩანდა. ფართო მხარ-ბეჭი უფრო სპორტულს აჩენდა მის სხეულს. ნათურის შუქზე შავი თმა აბრეშუმივით უბზინავდა. კრემისფერი შარვალი და მაისური ეცვა, რაც უფრო მომნუსხველს ხდიდა მის ხორბლისფერ სახეს. ეს ყველაფერი ნინიმ თვალის ერთი შევლებით შეამჩნია...

— ფრანგულ რესტორანში მინდა, დაგპატიჟოთ... გაგისინჯავთ ფრანგების კერძები? იმიტომ, რომ... თუ არ მოგწონთ...

— გამისინჯავს და ძალიან მომწონს, — არ დაამთავრებინა გოგონამ.

ქუჩაში გამოვიდნენ თუ არა, ტაქსიც გამოჩნდა და გიომ ხელი დაუქნია.

— აი, ეს მესმის! — სიცილი ვერ შეიკავა ნინიმ, როცა მანქანაში ჩასხდნენ. — ყველაფერს ასე იოლად აღწევთ ცხოვრებაში?

— არა, — ეშმაკურად ჩაიღიმა გიომ, — აი, მაგალითად, თქვენთვის სამჯერ მომიხდა თხოვნა, ვახშმად რომ გამომყოლოდით.

— იმიტომ, რომ მეგონა, არასერიოზულად მეუბნებოდით...

— თქვენ მე დღეს გადამარჩინეთ. რატომ უნდა დაგრჩეთ ვალში?!.

ნინი ოდნავ შეცბა, რადგან მამაკაცის ხმაში გულწრფელობა იგრძნობოდა.

— ეს არ იყო ძნელი... ხელოსანიც იმავეს გააკეთებდა.

— მაგრამ არავინ უწყის, როდის მოვიდოდა იგი... თანაც, არ მოგექეცით კეთილსინდისერად. მაპატიეთ, უხეშად რომ გელაპარაკეთ, მაგრამ არ ველოდი, ასე ადვილად თუ გაართმევდით თავს ამ საქმეს, არაკომპეტენტური მეგონეთ.

— ღმერთო ჩემო, ჯერ მადლობა გადამიხადეთ, ახლა ბოდიშს მიხდით... — მოჩვენებითი გაკვირვება აღებეჭდა ნინის სახეზე. — რა რევერანსი იქნება შემდეგი?..

— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მოგვინდება ერთმანეთისგან... — მრავალმნიშვნელოვნად თქვა გიომ.

გოგონამ არ შეიმჩნია.

— რესტორნის მფლობელი ფრანგია და მზარეულიც... არაჩვეულებრივ კერძებს ამზადებენ. ოდესმე ყოფილხართ საფრანგეთში?

— არა.

— ო-ო! ეგ უნდა ნახოთ!

— სურვილი კი მაქვს, მაგრამ შესაძლებლობა — არა, — თქვა გოგონამ და დანანებით გაიფიქრა: საუკეთესო ადგილია თაფლობის თვის გასატარებლადო...

— ოღონდ რომანტიკული მიზნით თუ გაემგზავრებით, უკეთესი იქნება, — დაამატა გიომ, თითქოს გოგონას ფიქრს მიუხვდაო.

„აბა, აბა, ნინი! ნუ იქნები ბოლომდე გულგახსნილი ამ კაცთან, ვერ ხედავ, სხვისი აზრების გამომცნობ ექსპერტთან რომ გაქვს საქმე?!“ — შეუძახა საკუთარ თავს გონებაში.

რესტორანი საოცრად მყუდრო და ლამაზი აღმოჩნდა. ყველა მაგიდაზე მინიატიურული ლამპა იდგა, კრემისფერი აბაჟურით შემოსილი.

ახალგაზრდა ოფიციანტმა წყვილი დარბაზის კუთხემდე მიაცილა — იქ ერთადერთი თავისუფალი მაგიდა იდგა. გიოს ყველა იქ მყოფი ინტერესით აყოლებდა თვალს, განსაკუთრებით — ქალები... ზოგი კმაყოფილი ღიმილით აცილებდა, ზოგი კი დაჟინებული მზერით უცქერდა. ყველა ცნობდა. ნინის ეს არ გამოჰპარვია. თვითონაც გრძნობდა მანდილოსნების შურიან მზერას: ალბათ ცდილობდნენ, შეეფასებინათ — იყო თუ არა გიოს შესაფერისი პარტნიორი... წამითაც არ დაკომპლექსებულა ამით. მერე რა, თუ იმ ქალების დონის არ არის, რობაქიძესთან ერთად რომ ვახშმობენ რესტორანში?! იმედია, მასთან გატარებული ამ ერთი საღამოთი ცნობილი სახე დიდად არ დაზარალდება...

ამის გაფიქრებაზე ოდნავ შეცბუნდა და მიუჯდა თუ არა მაგიდას, სახე მუყაოს მენიუში ჩარგო... თითქოს შერცხვა კიდეც...

— რამე განსაკუთრებული ხომ არ გინდათ, შევუკვეთო? — ჰკითხა გიომ.

— არა, გმადლობთ. ახლაღა მივხვდი, რომ შიმშილით გული მიწუხს... სულერთია, რას შევჭამ, — გულახდილობა გამოიჩინა გოგონამ.

— გინდათ მითხრათ, რომ დიეტას არ იცავთ და ყველაფრის ჭამის უფლებას აძლევთ თავს?.. ღმერთო ჩემო, ეს საღამო უნდა დავიმახსოვრო: პირველად მოვხვდი მანდილოსანთან, რომელიც არანაირ კერძს არ გაურბის. ჩემ გვერდით ყველა დიეტაზეა ხოლმე... რაკი ასეა, დავიმძიმოთ კუჭი და „სულერთიას“ მივეძალოთ, რას იტყვით?

— რატომაც არა? — მიმზიდველად გაიღიმა ნინიმ. — სულერთია, რას მივირთმევთ; მთავარია, დავნაყრდეთ.

ახლა ისეთ ხასიათზე იყო, უნდოდა, მოშვებულიყო, დინებას ნება-ნება მიჰყოლოდა; მაგრამ შინაგანი ხმა მაინც ჩასძახოდა, სიფრთხილე გამოეჩინა...

გიომ შეკვეთა მისცა. რამდენიმე წუთში ოფიციანტმა თეთრი სალათა, ერთი ბოთლი წითელი „ბორდო“ და ქართული „ნაბეღლავი“ შემოდგა მაგიდაზე.

— სანამ სხვა რამეებსაც მოიტანენ, ჩვენ დრო არ დავკარგოთ, კარგი? — შეღიმა გიომ. — რისი სადღეგრძელო დავლიოთ?

— ბედნიერების! — გამომწვევად უპასუხა ნინიმ და თვალი თვალში გაუყარა.

— მოსულა! ბედნიერების იყოს! — თითქმის იმავე ინტონაციით გაიმეორა რობაქიძემ, ბოკალი ბოკალს მიუჭახუნა და დაამატა: — როგორიც უნდა იყოს იგი!

ნინიმ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ნართაულს ვერ მიუხვდაო.

— თქვენ ბედნიერი ხართ? — ჰკითხა გიომ.

— ვფიქრობ, რომ ვარ.

— აქაც, თბილისში?

— რატომაც არა?! მართალია, ახალი ჩამოსული ვარ, მაგრამ ნელ-ნელა ვეჩვევი.

— ეგ კარგია... მითხარით, ასე კარგად როგორ გაერკვიეთ კომპიუტერულ ტექნიკაში?

ნინიმ მხრები აიჩეჩა.

— ბავშვობიდან მიყვარდა ჩხირკედელაობა. თანაც, სხვადასხვა პროგრამაში ვმუშაობდი ბანკში, სანამ იურისტის დიპლომს ავიღებდი... წიგნებსაც ვაკაბადონებდი თავის დროზე...

— ასეთმა პატარა გოგომ ამდენი როდის მოასწარით?

— არც ისე პატარა ვარ — მალე 26-ის გავხდები.

— გასაგებია... და ასეთი სპეციალისტი, თანახმა ხართ, ნებისმიერი სამუშაო შეასრულოთ, ოღონდ თბილისში დარჩეთ?

— ჰო, — გამომწვევად გახედა ნინიმ, — რა არის ამაში სათაკილო?

— არ ვიცი... მაგრამ მგონია, რომ დიდი მსხვერპლის გაღებამ მოგიწიათ, აქ რომ ჩამოხვედით.

— ვიმედოვნებ, რომ ეს მსხვერპლი ტყუილად არ გამიღია... — მრავლისმეტყველად თქვა.

— ჰო, რა თქმა უნდა... ღმერთმა ქნას, ხვალაც ასე იფიქროთ და ზეგაც...

— რას გულისხმობთ? — კოპები შეკრა გოგონამ.

— მხოლოდ იმას, რომ ხვალ და ზეგ შეიძლება, თქვენც ერთი რიგითი, უინტერესო თბილისელი გახდეთ, — გიომ კვლავ ჩამოასხა სასმელი. — მე მგონი, ეს საღამო ორივეს სასიამოვნოდ დაგვამახსოვრდება და მოდი, შეწყვიტეთ ყოველ ჩემს სიტყვაში დაფარული აზრების ძებნა.

— გინდათ მითხრათ, რომ არ არის?.. — ღიმილით შეეკითხა ნინი.

— რა თქმა უნდა, არა, — ხმამაღლა გაიცინა მამაკაცმა, მის სახეზე დაბნეულობა რომ შენიშნა. — სიმართლე გითხრათ, მთხოვეს კიდეც, ჩვენთან სამსახურის დაწყებაზეც მოგელაპარაკოთ, მაგრამ გავიგე, რომ ამ შემოთავაზებით დიდად არ აღფრთოვანებულხართ. ამიტომ, ახლა უნდა ვეცადო, ისე მოგხიბლოთ, რომ დაგითანხმოთ.

— არ მესმის, რაში გჭირდებათ ეს?

— რატომ არ მჭირდება?! ანგელოზივით ხასიათი გაქვთ... მომხიბვლელი ხართ, უფრო მეტიც — თავბრუდამხვევად ლამაზი... და საერთოდ, თქვენისთანა ლამაზმანის ოფისში ყოლა ერთი სიამოვნებაა... გარდა ამისა, არაჩვეულებრივად ფლობთ ტექნიკას, რაც ნამდვილად, უნიკალურს და შეუცვლელს გხდით. კომპიუტერი შეიძლება, ხვალაც გაფუჭდეს...

— არა მგონია... თუნდაც ასე იყოს, ნებისმიერ ხელოსანს შეუძლია მისი შეკეთე-

ბა, — უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია ნინიმ.

— ვიცი... მაგრამ ჩემი სურვილია, თქვენ ჩემს განკარგულებაში იმყოფებოდეთ!.. თანაც — გამუდმებით, — შემპარავად წარმოთქვა გიომ და თვალი თვალში გაუყარა. — თუ სიმართლე გაინტერესებთ, დიდად არ მიყვარს კომპიუტერი; რომ შემეძლოს, ბატის ფრთით უფრო სიამოვნებით დავწერდი.

ამ დროს ოფიციანტმა პირველი კერძი მოიტანა — ნივრიანი პური პაშტეტით, ტომატითა და ზეთისხილით.

— აუჰ! — შესძახა ნინიმ, პირველი ლუკმა რომ ჩაკბიჩა. — როგორი მძაფრი სურნელი ასდის!

— იცით, ნივრის სუნისგან უხერხულობა რომ არ იგრძნოთ, პარტნიორთან ერთად უნდა მიირთვათ... ამას ისე გეუბნებით, მომავალში რომ გაითვალისწინოთ, — ეშმაკურად დაამატა: — იქნებ სხვა დროს, თორნიკესთან ერთად მოგინდეთ აქ შემოსვლა...

— მოდი, აქ მაინც ნუ ვილაპარაკებთ მასზე! — მკაცრად შენიშნა გოგონამ.

— მაპატიეთ, შემთხვევით წამომცდა, — ხელები დამნაშავესავით ასწია რობაქიძემ, — აჯობებს, ვჭამოთ.

სასიამოვნო საღამო გამოუვიდათ. ისინი საუბრობდნენ, ცდილობდნენ, საჩოთირო თემებს არ შეხებოდნენ. გიო ცნობილი ადამიანების ცხოვრების სასაცილო თავგადასავლების მოყოლით ართობდა გოგონას, უყვებოდა ყველაფერს, რაც მუშაობის დროს თავს გადახდენოდა. შემდეგ, ნინის გამოჰკითხა — თავის ბავშვობაზე, მშობლებზე, მიზნებსა და ოცნებებზე. მასაც გადაავიწყდა, ცნობილი ჟურნალისტის პირისპირ რომ იჯდა და გულახდილად პასუხობდა ყველა შეკითხვას...

ბოლოს ოფიციანტმა დესერტი შემოიტანა — ხილი, ნამცხვარი და ყავა...

ამ დროს გოგონამ შეამჩნია, ზედმეტი ჭამისგან როგორ ასკდებოდა კაბაზე ღილები...

— არაჩვეულებრივი საღამო იყო, — აღტაცება ვერ დაფარა ნინიმ და მუცელზე ხელი აიფარა.

— მიხარია, რომ მოგეწონათ... იქნებ ამ ვახშამმა გაალღოს თქვენი ყინულის გული და ჩვენი სტუდიის წინადადებას დათანხმდეთ? არ იმუშავებთ ჩვენთან?

— არ ვიცი... თქვენი ატმოსფერო მაინცდამაინც გულთან ახლოს არ მოდის...

— თუკი მხოლოდ ეგ გაფერხებთ, დაგამშვიდებთ: თქვენ მარტო ჩემთვის არ იმუშავებთ...

— ოუ! თქვენ არ მიგულისხმიხართ! მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც მე და თქვენ დავზავდით... იქაური კოლექტივი ვიგულისხმე.

— მაგრამ ეს ზავი მხოლოდ დროებითია; მე კი ვისურვებდი, მყარი მშვიდობა დაგვემყარებინა ერთმანეთთან. ამაზე რას იტყვით?

ნინი სრულიად დაიბნა. სახეშეფაკლულმა თვალები დახარა და ჩუმად წარმოთქვა:

— თანახმა ვარ, თუკი თქვენი სურვილიც იქნება.

— ძალიან მინდა... დამიჯერეთ...

გოგონას უცნაური გრძნობა დაეუფლა — თითქოს ორივენი რომელიღაც ჩაკეტილ სივრცეში იმყოფებოდნენ, დანარჩენი მსოფლიოსგან განცალკევებით. გიოს სიტყვები თითქოს თითებივით დასრიალებდნენ მის კანზე, რაც ნინიში სასიამოვნო თრთოლას იწვევდა...

თვალებდახრილს ეშინოდა, ზემოთ აეხედა და მამაკაცისთვის მზერა გაესწორებინა, რადგან იცოდა, რომ ამ მზერით საკუთარ გრძნობას გასცემდა.

— როგორც ჩანს, მთელ დარბაზში მარტონი დავრჩით, — ძლივს გასაგონად ჩაილუღლუღა ნინიმ, — მგონი, დროა, წავიდეთ.

— იმედია, არ გაგვყრიან. კიდევ ხომ არ გინდათ ყავა?

— არა, გმადლობთ... ხვალ შეიძლება, ახალ სამსახურში მომიწიოს წასვლამ... — კეკლუცად ჩაიცინა. — ან სადმე გასეირნებამ... უნდა გამოვიძინო.

— როგორც იტყვით, — დანებდა მამაკაცი და ოფიციანტი იხმო...

ტაქსიში ჩასხდნენ თუ არა, გოგონა კუთხეში მიიყუჟა, რაც შეიძლებოდა, მისგან მოშორებით. შეეშინდა, თორნიკესავით, რობაქიძესაც არ გასჩენოდა მისი მოფერების სურვილი... მაგრამ გიოს მსგავსი რამ თავში აზრადაც არ მოსვლია, ღრმა ფიქრებში იყო ჩაძირული.

— კიდევ ერთხელ — დიდი მადლობა ვახშმისთვის! — თქვა ნინიმ, უხერხული სიჩუმე რომ დაერღვია.

— ჩემთვისაც სასიამოვნო იყო... აბა, რას იტყვით, ვიმეგობროთ?

ამასობაში ლელუკას სახლსაც მიუახლოვდნენ. გიო პირველი გადმოხტა მანქანიდან და გოგონას კარი გაუღო.

ნინის თითქოს რაღაც გაეჩხირა ყელში. არა, ამ კაცთან მეგობრობა ნამდვილად, არ სურდა; მას სხვა რამ სურდა... სულ სხვა რამ...

სასწრაფოდ ამოიგდო გონებიდან მაცდუნებელი აზრი და ტუჩებზე მომდგარი ღიმილი აისხიპა.

— ყოველ შემთხვევაში, მტრები უკვე აღარ ვართ.

— ამასაც არა უშავს, — გიომ ხელი გაუწოდა, — მოდი, ერთმანეთს ღამე მშვიდობისა ვუსურვოთ... ჩვენებური ტრადიციის თანახმად.

ნინის სხვა რა დარჩენოდა?! თავისი წვრილი თითები მამაკაცის ფართო ხელისგულს დაადო. გიომ ოდნავ მოუჭირა ხელი და თავისკენ მსუბუქად მიიზიდა. რა თქმა უნდა, ნინის შეეძლო, წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ ამის ნაცვლად, თვითონაც გადაიხარა მამაკაცისკენ... წამიც და ტუჩებზე მისი ტუჩების შეხება იგრძნო. სასიამოვნო ჟრუანტელმა მთელ სხეულში დაუარა.

— დიდი მადლობა, — ეშმაკური ღიმილით დაიჩურჩულა მამაკაცმა და ხელი შეუშვა, — ტკბილ სიზმრებს გისურვებ, ნინი...

გოგონამ ხმის ამოღება ვეღარ შეძლო. მხოლოდ თავი დაუქნია გამომშვიდობების ნიშნად და ჭიშკარი გააღო. ბარბაცით მიაღწია თავის ოთახამდე, თან ჯერ კიდევ გახურებულ ტუჩებზე თითებს ისვამდა... კიდევ კარგი, სისულელე არ ჩაიდინა!.. მადლობა ღმერთს, რომ გიო ვერასდროს გაიგებს, თუ როგორ უნდოდა ამწუთას ნინის მისი უკან მობრუნება.

მაღვიძარამ დილის 8 საათზე დარეკა. ნინიმ ხელი გაიწვდინა ზარის გამოსართველად, მერე ზურგზე გაწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და ჭერს მიაშტერდა.

— რა სულელურად გამომივიდა! — თავისთვის თქვა. — რა უაზრო იყო ეს ყველაფერი!.. მერე ფიქრი განაგრძო: „საინტერესოა, რას იტყვის თორნიკე, როცა გაიგებს, რომ მე არა მარტო ვივახშმე სხვა მამაკაცთან ერთად რესტორანში, არამედ კოცნის უფლებაც მივეცი მას? და არა ლოყაზე, არამედ — პირდაპირ ტუჩებში!.. გიო ალბათ ახლა მასთან ერთად საუზმობს და წუხანდელ ამბავს ხარხარით უყვება...“

სიმწრისგან კვნესა აღმოხდა. მგონი, ამ კაცმა მახე დაუგო, ეს კი შტერივით გაება ამ მახეში. ნებისყოფა ვერ გამოიჩინა და სწორედ ამან დაღუპა. როგორ შეიძლება, ერთდროულად, ვიღაც გიყვარდეს და სხვის მიმართ ცხოველურმა ვნებამ გაგიტაცოს?! რა ჰქვია მის საქციელს?!. ადრე მსგავსი რამ სხვებისგან მოუსმენია და არ სჯეროდა... თურმე რა შესაძლებელი ყოფილა!.. სწორედ ინსტინქტურ გატაცებას იწვევს გიო მასში და მეტს არაფერს. მერედა, რა არის ამაში გასაკვირი?! ძლიერი, საინტერესო, საყოველთაოდ ცნობილი მამაკაცი ყოველთვის იზიდავს ქალებს. თან როგორი სექსუალურია?! რა ვნებიანი მზერა აქვს!.. იცის, ქალთან როგორ უნდა მოიქცეს, როგორ მიიპყროს მისი ყურადღება. ჯერ რესტორანში დაპატიჟა, მერე კი ანკესი გადაუგდო და თავისი მამაკაცური მანერებით მისი მოხიბვლა სცადა... გამოუვიდა კიდეც... ნინიმ ანკესი ადვილად გადაყლაპა, რადგან ამ ყველაფერს იგი თორნიკესგან მოკლებული იყო.

მაგრამ... როგორ მიუხვდა გიო, მისთვის სრულიად უცნობი ადამიანი, თუ რა სურდა ნინის?.. თავისი მდიდარი გამოცდილებით, ალბათ... — დაასკვნა და ის ქერათმიანი გაახსენდა, რომელიც რობაქიძესთან ერთად ნახა რესტორანში. ჰო, გიომ იცის, როგორ შეაბას ქალი. მას კი, სასოწარკვეთილს, ისე ძალიან უნდოდა, ყველაფერი ეს თორნიკესგან მიეღო, რომ თავისი გრძნობების მთელი ნაკადი გიოსკენ მიმართა. ასეც იყო. დაუკმაყოფილებლობა სიყვარულში, მოსალოდნელი მარტოობა, განცდების გაუზიარებლობა... მისი შეყვარებულისგან ესღა იყო მოსალოდნელი, თორნიკე ამაზე მეტს ვერაფერს მისცემდა.

ეს ერთადერთი ახსნა იყო, რომლითაც ნინის თავისი საქციელის გამართლება შეეძლო... მაგრამ შვება მაინც არ უგრძნია...

ის იყო, საუზმეს მორჩა, რომ ოთახში

ლელუკამ შემოყო თავი.

— დილა მშვიდობისა, საყვარელო! იმისთვის მოვედი, რომ გითხრა: სიგნალიზაციის დაყენება გადავწყვიტე. ვფიქრობ, მარტოხელა ქალებმა სიფრთხილის დამატებითი ზომები უნდა მიიღონ. რას იტყვი?

— ეს აუცილებელია? — მხრები აიჩეჩა ნინიმ.

— მგონი, კი. ისე, ყოველი შემთხვევისთვის. დარწმუნებული ვარ, ამ ეზოში უცხო ცხვირს ვერ შემოყოფს, მაგრამ მაინც დავიზღვევ თავს, — გაიღიმა ლელუკამ და მზერა ლარნაკში ჩადებულ ვარდებს მიაპყრო: — ღმერთო, რა სილამაზეა! სიხარულო, თაყვანისმცემელი გამოგიჩნდა?

ნინიმ სიცილი ვერ შეიკავა.

— არა, რას ამბობ?! ერთს პატარა საქმე მოვუგვარე გუშინ და მადლიერების ნიშნად მაჩუქა.

— ჩემი ძვირფასი, რომელიც ხშირად მჩუქნიდა ყვავილებს, ყოველთვის მეუბნებოდა: ვარდისფერი ვარდები ლტოლვას ნიშნავს, ხოლო წითელი — სიცოცხლის ბოლომდე ნამდვილ სიყვარულსო.

— ჩემს შემთხვევაში, ალბათ ეს, ყვავილების მაღაზიაში ბოლო თაიგული იყო და არა სიყვარულის გამოხატვის მცდელობა, — ცივად შენიშნა ნინიმ.

— ო-ო-ო! ღმერთო ჩემო, სულ არა ხარ რომანტიკოსი! მაგრამ ახლა ამის სათქმელად არ მოვსულვარ. თუ საღამომდე არ დაბრუნდები სახლში, ხელოსნებს გამოვიძახებ და სიგნალიზაციას დავაყენებინებ. არ მინდა, დისკომფორტი შეგიქმნა მათი აქ ყოფნით.

როცა ლელუკა გავიდა, ნინი კიდევ ერთხელ დაფიქრდა იმაზე, თუ ვინ იყო ის „ძვირფასი“, ასე ხშირად რომ ახსენებდა საუბრისას დიასახლისი. კი ჰკითხავდა ამის შესახებ გიოს, მაგრამ ამან შეიძლება, უფრო დააახლოოს მასთან, სხვისი საიდუმლოს გაგების უნებური მონაწილე გახდეს, ეს კი ნინის ყველაზე მეტად არ უნდოდა...

რადგან ლელუკამ გადაუკრა, — აჯობებს, დღეს შინ არ დარჩე და ოთახი გაათავისუფლოო, — გადაწყვიტა, ქალაქი დაეთვალიერებინა. არსად იყო ნამყოფი — არც სამებაში, არც მთაწმინდის პარკში, არც კუს ტბაზე... რა მოხდება, რომ დაათვალიეროს?! ბუტიკებშიც შეივლის, ტანსაცმელს შეათვალიერებს.... იქნებ რაიმე ახალიც შეიძინოს ცოტა იაფად... მართალია, მარტოს მოუწევს ამის გაკეთება, მაგრამ არა უშავს. დარწმუნებულია, რომ თორნიკეც მისთვის დღეს ვერაფრით მოიცლის...

ბოტასი ჩაიცვა, ჯინსის შარვალი ამოიცვა და მსუბუქი ნაბიჯებით დაუყვა ტროტუარს.

„მარტოხელა“ ექსკურსიამ მთელი 4 საათი გასტანა, თუმცა ყველაფრის დათვალიერება დაეზარა. სამებაში არ ავიდა, იმიტომ, რომ შარვალი ეცვა. სამაგიეროდ, მთაწმინდის პარკი მოინახულა... ჯერ კიდევ არ იყო შიდა სამუშაოები დამთავრებული, მაგრამ ამას მისთვის დისკომფორტი არ შეუქმნია. კარგა ხანს იდგა ბეტონის ღობესთან და თბილისის ხედს კმაყოფილი გადაჰყურებდა. მერე ფეხით დაუყვა რუსთაველს, ვაკეში გავიდა და მაღაზიებში შეიარა. ვერაფერიც ვერ შეიძინა. ყველა ბუტიკში ისეთი სიძვირე იყო, მისი მწირი ბიუჯეტი ერთ მაისურსაც ვერ გასწვდებოდა. ძალიან კი დაიღალა, მაგრამ ისე არ უნდოდა ახლა შინ მისვლა, გადაწყვიტა, ცოტა ხნით სახლის უკან მდებარე პარკშიც გაესეირნა.

აქ მისთვის ყველაფერი ნაცნობი იყო — ყველა ხე და ბუჩქი. როგორც სჩვეოდა, პარკის ბოლოში გავიდა და ღონემიხდილი ამოჩემებულ, ლურჯად შეღებილ მერხზე ჩამოჯდა. ახლა ცოტას დაისვენებს და მერე შინ წავა, დაღლილს უკეთესად დაეძინება ამაღამ.

პარკში ჩვეულებისამებრ, სამარისებური სიჩუმე იდგა. ჯერ კიდევ არ მოსაღამოებულიყო, ამიტომ აქა-იქ თუ დალანდავდა ვინმეს. ხალხი ალბათ ჯერაც არ დაბრუნებულა სამსახურიდან. ეჰ... თვითონაც არ აწყენდა კარგი სამსახური, მაგრამ, აბა?.. არა უშავს, მალე იშოვის რაღაცას... ოღონდ იქ — არა... სტუდიაში არაფრის დიდებით არ წავა. ხვალ დილით დაურეკავს ეთერს და უარს ეტყვის შემოთავაზებაზე... მაგრამ იქნებ არ ღირს აჩქარება?.. ვაითუ, საერთოდ უმუშევარი დარჩეს?! მერე რა ქნას? მათხოვარივით ხომ არ იწანწალებს ქუჩაში მოწყალების სათხოვნელად?!

არადა, როგორ გინდა, რობაქიძესთან იმუშაო?! ისე... უაზრობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ გიო არ აღელვებდა. დღეს რამდენჯერმე გამოიჭირა საკუთარი თავი იმაში, რომ მასზე ფიქრობდა. ეს კაცი ისე შეუმჩნევლად შეიჭრა მის გონებაში... თორნიკეც კი დაჩრდილა... ჯერაც თვალწინ ედგა მამაკაცის მოციმციმე თვალები და მომნუსხველი ღიმილი, ასე რომ აუფორიაქა გული. „მგონი, ნელ-ნელა ჭკუიდან ვიშლები“, — დაასკვნა ბოლოს და თვალებმილულულმა მერხის საზურგეს მიადო თავი.

ფიქრებში კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი თორნიკესთან გატარებულ თითოეულ დღეს. ბათუმში იძულებული იყვნენ, მალულად შეხვედროდნენ ერთმანეთს, რათა ვინმეს არ დაეფიქსირებინა მათი ერთად ყოფნა და ბოროტ ენებს მისი ცოლისთვის არ მიეტანა ჭორი მათი სიყვარულის შესახებ. აქ კი რა ადვილი იყო ურთიერთობის განახლება! ამხელა ქალაქში ვინ დაინახავდა მათ ერთად?! ეჰ... როგორ დასცინის ბედი!.. რამდენი დღეა, ჩამოსულია და ვერაფრით შეძლო თორნიკესთან ურთიერთობის აწყობა. თითქოს სულ სხვანაირი გახდა მამაკაცი, თითქოს გაურბოდა კიდეც მასთან შეხვედრას...

ნინიმ ერთი ღრმად ამოიოხრა და სახე ჩამავალი მზის თბილ სხივებს შეუშვირა. შეეცადა, ისეთი თორნიკე აღედგინა მეხსიერებაში, როგორსაც რამდენიმე თვის წინ იცნობდა. როცა სიყვარულით სავსე ღიმილს სჩუქნიდა და ეფიცებოდა, — ერთადერთი ქალი ხარ, ვისთან ყოფნაც მსიამოვნებს და ვინც ცხოვრების ბოლომდე მჭირდებაო...

არა, არაფერი გამოუვიდა... თითქოს ძველი თორნიკე სადღაც გაქრა, თითქოს ვიღაცამ შეცვალა იგი... არადა, გრძნობდა, რომ ის სადღაც აქვე იყო, სულ ახლოს, მის გვერდით, ამ პარკში... ამის გაფიქრებაზე სითბომ დაუარა სხეულში, ნეტარებით გაიზმორა და პირმოკუმულმა ღრმად შეისუნთქა ჰაერი, თითქოს საყვარელი მამაკაცის სურნელს ისრუტავსო. აი, იგრძნო კიდეც, როგორ დაადო თორნიკემ ხელზე ხელი, ტუჩებით როგორ შეეხო მის თმას... იმდენად რეალურად მოეჩვენა ეს შეხება, რომ მისდა უნებურად აღმოხდა:

— მიყვარხარ!..

ახლა თვალები რომ გაახილოს და მართლა დაინახოს თორნიკე?.. ნეტავ ასე მოხდეს!.. ნელ-ნელა წამოსწია თავი და ზანტად გაახილა თვალები... არა, თორნი არ აღმოჩნდა მის გვერდით. ეს უბრალოდ, მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო და სხვა არაფერი. თუმცა...

გრძელ მერხზე, მის გვერდით, სასურველი მამაკაცის მაგივრად, სულ სხვა ვინმე იჯდა...

და ის სხვა ვინმე ისეთი ეშმაკური ღიმილით მისჩერებოდა, გოგონას სუნთქვა შეეკრა.

— თქვენ? — გაოგნებულმა წამოიყვირა. — აქ რას აკეთებთ?

— რას უნდა ვაკეთებდე?.. დაგავიწყდათ, რომ აქვე ვცხოვრობ? აგერ, იმ სახლში, — გიომ საჩვენებელი თითი წინ გაიშვირა: — ასე რომ, სრული უფლება მაქვს, ამ პარკში მეც დავისვენო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „გზა“, №44

მარი ჯაფარიძე

თანამედროვე მახვში სულაც არ გახლავთ ისეთი, როგორიც წიგნებშია აღწერილი ან როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ — თეთრწვერა, მახვშის სკამზე ამაყად მჯდომი, ჯოხზე დაყრდნობილი. დღესდღეობით სულაც არაა აუცილებელი, რომ ის გვარში ყველაზე მხცოვანი იყოს. მის მოვალეობას ჭკვიანი, ავტორიტეტული, სამართლიანი და ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე მამაკაცი ასრულებს და მას მახვშსაც აღარ ეძახიან. უბრალოდ, ყველამ იცის, რჩევისთვის ვის უნდა მიმართოს. წინათ, სვანური ადათ-წესის მიხედვით, როდესაც გვარს რაიმე პრობლემა ჰქონდა, მამაკაცები მახვშის სახლში იკრიბებოდნენ. ოჯახში სუფრა იშლებოდა, სვანური კუბდარი, ჭვიშტარი, ფეტვნაარი (ფეტვიანი ხაჭაპურია, ყველში დაფქულ ფეტვს ურევენ) ცხვებოდა და აუცილებელი იყო, რომ ამ კერძებში დაფქული კანაფი (ე.წ. „პლანი“) ყოფილიყო შერეული. კანაფი სვანეთში ყველა ოჯახს მოჰყავდა წინათ და საკაზმად გამოიყენებოდა. ახლა ამას, რა თქმა უნდა, ვერავინ ბედავს, მაგრამ თუ კანაფით შეკაზმული კუბდარი არ გაგისინჯავთ, ნუ იტყვით, რომ ნამდვილი კუბდარი გიჭამიათ. ძველი ადათ-წესებიდან თითქმის აღარაფერია სვანეთში შემორჩენილი, სისხლის აღების წესის გარდა. ეს ყველაზე „ველური“ და „პირველყოფილი“ ტრადიციაა...

ანა მურთაზის სახლის კარს მიადგა და დაიძახა. ცოლმა გამოხედა, ანას მიეგება, მოიკითხა და შინ შეიპატიჟა. მურთაზი სახლის უკან, სახელოსნოში იყო და ფიცარს რანდავდა. ანას დანახვა თითქოს არ გაუხარდაო, წარბები შეკრა და სახე კუშტი გაუხდა.

მურთაზი 50-ოდე წლის, სიმპათიური მამაკაცი გახლდათ, სახეზე, ტანსა და ხელებზე მზემოკიდებული... წელს ზემოთ შიშველმა, ქალის დანახვაზე, იქვე, კუთხეში დაკიდებული პერანგი ჩამოხსნა და ოფლიან ტანზე გადაიცვა. სახელოთი შუბლზე მომდგარი ოფლი მოიწმინდა, წელში მოიხარა და ფიცარს გახედა.

— გამარჯობა! — ანამ ხელი გაუწოდა.

მამაკაცმა არც შეხედა, თითქოს არც არავინ მოსულაო, საქმე ისე განაგრძო. რანდიდან ამოსული ბურბუშელა ლამაზად იხვეოდა და ძირს ცვიოდა. სახელოსნოში ახალმოჭრილი ნაძვის სასიამოვნო სუნი იდგა. ანა დაიხარა და ერთი ბურბუშელა აიღო.

— მზეთუნახავის თმის ბულულს ჰგავს, — თქვა ხმამაღლა და ბურბუშელა ცხვირთან მიიტანა. სურნელი ღრმად შეისუნთქა და იქვე, ერთმანეთზე დალაგებულ, გაურანდავ ფიცრებზე ჩამოჯდა.

— მზეთუნახავები სვანებს არ გვაკლია, ჩვენს გვარს — მით უმეტეს... — ხმა ამოიღო მურთაზმა.

— მართალია, არ გვაკლია, — ჩაილაპარაკა ქალმა.

— მაგრამ რა?.. გვარის შერცხვენის მეტს არაფერს აკეთებენ, — კაცმა ისე გაუსვა რანდი ფიცარს, თითქოს ჯავრის ამოყრას ლამობდა.

— მურთაზ, მე საყვედურებისთვის არ მოვსულვარ, საქმეზე მოვედი, რაღაც მინდა გკითხო.

— მე უფლება მაქვს, გისაყვედურო, პასუხი მოგთხოვო და დაგსაჯო კიდეც, იმ საქციელის გამო, რომელიც არ მომწონს და ჩემს ბიძაშვილს არ შეეფერება, — გაცხარდა კაცი, — მამაჩემი და მამაშენი ძმები იყვნენ, მე და შენ ბიძაშვილები ვართ, შენ ჩემი და ხარ, ჩემი სისხლი და ხორცი, არ შემიძლია იმის პატიება... წარსულის... ხვდები, რასაც გეუბნები?

ანამ თავი ჩაღუნა.

— ხვდები? — ჩაეკითხა მამაკაცი და რანდს ხელი უშვა. ანასთან მივიდა და თავზე დაადგა: — აქ არ უნდა მოსულიყავი...

— ის ყველაფერი წარსულში დარჩა, მურთაზ, — ქალმა ბიძაშვილის გულის მობრუნება სცადა.

— არა! ლაქა, რომელიც შენს სახელს თან სდევს, არასოდეს ირეცხება... ცუდი არავის ავიწყდება, კარგს ივიწყებენ უცებ, თორემ ცუდი, წლები ახსოვს ხალხს... შენ სვანეთში ჩამოსვლის უფლებაც არ გქონდა. გუშინ ვეზდენის გასვენებაში ხალხი შენზე ჭორაობით დაიღალა... ახლა წადი, სათქმელი აღარაფერი მაქვს, — მურთაზი საქმეს მიუბრუნდა.

— ისეთიც არაფერი გამიკეთებია, ასეთი შეუვალი და მკაცრი განაჩენი რომ გამომიტანო, — აპილპილდა ანა, — და ვინ ხარ შენ, რა უფლება გაქვს, მე სვანეთში ჩამოსვლა ამიკრძალო?! ჩემს სახლში, ჩემს კუთხეში!.. დედასთან და ნათესავებთან! ამის უფლება არ გაქვს! მეტისმეტს იღებ საკუთარ თავზე და მხოლოდ იმიტომ გაპატიებ, რომ ბიძაშვილი ხარ! — ქალი აქეთ-იქით მიმოდიოდა და ხელების ქნევით ლაპარაკობდა. — შენგან განსხვავებით, მე მიტევების უნარი მაქვს. შუბლს გაგიხვრეტდი და ამას არ გაპატიებდი, ეგ იცოდე... ცოცხალი იმიტომ ხარ ახლა და იმიტომ სუნთქავ, რომ სისხლი და ხორცი ხარ ჩემი... და იცოდეს ყველამ, გადაეცი იმათ, ვინც, როგორც შენ ამბობ, ჩემზე ჭორაობით დაიღალა, რომ ყველას მოვთხოვ პასუხს და ყველა იმას მიიღებს, რასაც იმსახურებს, საბლიანების თამადობით!..

— საბლიანებს შეეშვი! — უცებ თქვა მურთაზმა.

— რატომ? რატომ შევეშვა? იმიტომ, რომ შენი გოგო მათ ჰყავთ რძლად? იმიტომ, რომ გოჩას ნათე-

სავებმა აპატიეს? იმიტომ, რომ როგორც წიწილა, ისე ჩაფლეს მიწაში ძმებმა — ძმა, მშობლებმა — შვილი, ბიძაშვილებმა — ბიძაშვილი?! მიწა მიაყარეს, ორმოცი და წლისთავი გადაუხადეს, შავი ჩაიცვეს, წვერი მოუშვეს და ამით დამთავრდა ყველაფერი? ამით?!

— საბლიანებს შეეშვი! — ხმა უფრო გაუცივდა მურთაზს.

— არა! — თავი გააქნია ანამ. — ჩემი „დალაქული“ ცხოვრება, როგორც შენ უწოდებ, გოჩამ ჩააყენა კალაპოტში, შემიყვარა ისეთი, როგორიც ვიყავი, ორივე ხელისგულში მოიქცია ჩემი გულიც და ჩემი ცხოვრებაც, ყოველგვარი უწმინდურობისა და აგრესიისგან მიცავდა... ის იყო ის ადამიანი, რომლის გვერდითაც თავს დაცულად და უშიშრად ვგრძნობდი, უგონოდ მიყვარდა და ის საბლიანებმა წამართვეს!.. მათ პასუხი უნდა აგონ!

ანა სახელოსნოდან გავიდა, ეზო გადაჭრა და ჭიშკარში გასულს, მურთაზის ცოლის ხმა დაეწია:

— ანა, რატომ მიდიხარ? შემოდი, ყავა დავლიოთ.

ანამ უკანმოუხედავად აუქნია, ხელი, — თავი დამანებეო! — და სახლისკენ აიღო გეზი.

ანა X კლასს ამთავრებდა, როცა მამა გარდაეცვალა. დედის ძმა, დავითი 40 წელს გადაცილებული, უცოლო მამაკაცი, მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა და საკმაოდ მდიდარიც გახლდათ. სიძის სიკვდილის შემდეგ დას შესთავაზა, — ანას ჩემთან წავიყვან, ცოლი მე არ მყავს და შვილი; სკოლის დამთავრებამდე 1 წელი დარჩა, თბილისში ვასწავლი, თან მოვამზადებ, რომ პირველსავე წელს ჩაირიცხოს და ყველანაირად ხელს შევუწყობო.

გადაწყდა, რომ ანა ბიძასთან წასულიყო, შინ კი ნინო და დედა დარჩენილიყვნენ. დავითი ვერაზე ცხოვრობდა და გოგონა სკოლაშიც იქვე მიიყვანა. კარის მეზობელ ოჯახს ანას ტოლი გოგონა ჰყავდა და კაცმა „კონსულტაცია“ იმის შესახებ, თუ რომელ სკოლაში სჯობდა მისი მიყვანა, მათგან მიიღო. ჰოდა, ანა ლანას კლასში ჩაირიცხა. ლანამ სკოლის დაწყებამდე აუწყა თანაკლასელებს, რომ მათ კლასში ახალი — სვანეთიდან ჩასული გოგო უნდა მისულიყო.

ვერელ და ვაკელ ბავშვებს მეტი ხომ არ უნდოდათ?! — სახალისო და საღადავო მოგვეცაო, — ფიქრობდნენ და სასწავლო წლის დაწყებას მოუთმენლად ელოდნენ, რომ სოფლელ გოგონაზე შაყირით გართულიყვნენ.

ანამ და ლანამ, ცხადია, ერთმანეთი მანამდე გაიცნეს, ვიდრე სწავლა დაიწყებოდა. როდესაც სკოლისთვის ახალი ტანისამოსის ყიდვის დრო დადგა, დავითმა ანას ფული მისცა და უთხრა:

— მე კი გამოგყვებოდი, მაგრამ ჯობია, ლანა წაიყვანო, თბილისში გაზრდილი გოგოა, უკეთ იცის, მოდაში რა არის, ის დაგეხმარება ტანისამოსის შერჩევაში.

მეორე დღეს გოგონებმა მაღაზიები ჩამოიარეს. ლანამ ბოროტად გახუმრება გადაწყვიტა და ისეთი ტანისამოსი შეარჩევინა, რომელიც არც ანას მოსწონდა და ყველას მხიარულებასაც გამოიწვევდა, მაგრამ ანას უმტკიცებდა, ასეთი კაბაა მოდაში, ასეთი ფეხსაცმელი და ბლუზა და შენ თუ არ მოგწონს, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ მოდაში არ არის; თუ გინდა, ეფექტი მოახდინო, ეს უნდა ჩაიცვაო. ანამ ხათრი ველარ გაუტეხა და რაზეც ლანამ ხელი დაადო, ის იყიდა.

შინ მისულმა ახალი ტანისამოსი ჩაიცვა და სარკეში ჩაიხედა. კოჭებამდე სიგრძის, ყავისფერი, წელში „აზბორილი“, გვერდებში შეხსნილი ქვედაბოლო, ცისფერი, გრძელსახელოიანი ბლუზა, რომელიც ღამის პერანგს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე ბლუზას, და სქელლანჩიანი, თასმებიანი ფეხსაცმელი, რომელსაც მამაკაცი უფრო სიამოვნებით ჩაიცვამდა, სულაც არ უხდებოდა და 50 წლის დედაკაცის იერს აძლევდა. კარგა ხანს უყურა საკუთარ გამოსახულებას, მერე თავი გადააქნია, სამოსი სწრაფად გაიძრო, ცელოფანის პარკში ჩაყარა და გარეთ გასულმა თან გაიყოლა. ისევ იმ მაღაზიას მიადგა, სადაც ორიოდე საათის წინ ლანასთან ერთად იყო. იქ დიდი სიამოვნებით გადაუცვალეს სხვა ტანისამოსში, რომელიც თვითონ შეარჩია.

— თქვენ გაცილებით უკეთესი გემოვნება გაქვთ, იმ გოგონასთვის არ უნდა დაგეჯერებინათ, — ღიმილით უთხრა გამყიდველმა.

— არა უშავს, მეგობარია და ხომ ვერ ვეტყოდი, უგემოვნო ხერ-მეთქი?! ამიტომ ვამჯობინე, მისთვის გული არ მეტკინა და მოგვიანებით გამომესწორებინა მეგობრის შეცდომა.

სკოლის დაწყების პირველ დღეს თანაკლასელებმა ლანა „შეჭამეს“, — სადაა ის „სოფლელი“, რატომ არ მოიყვანეო?

ლანაც ტკბებოდა იმის წარმოდგენით, თუ როგორი „გამოპრანჭული“ მოვიდოდა ანა და 1 თვე მაინც ეყოფოდათ ბავშვებს სახალისოდ.

ახალი მოსწავლე კლასს დირექტორმა წარუდგინა. გაკვეთილი უკვე დაწყებული იყო, როდესაც საკლასო ოთახის კარი გაიღო და ჯერ დირექტორი შევიდა, შემდეგ — ანა მიჰყვა და კართან მორიდებით გაჩერდა. შავი, მოკლე, დაპლისული ქვედაბოლო და დაბალქუსლიანი, ბაფთიანი, ლაკის ფეხსაცმელი მის ისედაც ჩამოქნილ და გრძელ ფეხებს უფრო მიმზიდველს აჩენდა. თეთრი, ტანზე მომდგარი, გულამოჭრილი ბლუზა აფუებულ მკერდზე ასკდებოდა. შავი, გრძელი თმა კეფაზე ჰქონდა შეკრული, „ჩოლკის“ ქვემოდან კი მწვანე თვალები ანათებდა.

— ოჰო! — რამდენიმე ბიჭმა ერთად დაიძახა.

— ესაა სოფლელი?!. — „ბანი მისცა“ ერთ-ერთმა.

ანამ თვალებით ლანა მოძებნა. გოგონა ბრაზისა და მოულოდნელობისგან გამწვანებულიყო. ასეთ რამეს ნამდვილად არ მოელოდა. ანა ყელმოღერებული იდგა და ელოდა, როდის გამოუძებნიდა ადგილს მასწავლებელი. როდესაც კლასის დამრიგებელმა მიუთითა, თუ სად უნდა დამჯდარიყო, იქითკენ ნელა წავიდა, თან დანარჩენებს ათვალიერებდა. ვისაც თავისი მომნუსხველი მზერით შეხედავდა, ყვე-

ლა თვალებს ხრიდა. მედიდური იერით დაჯდა მერხზე, ჩანთა წინ დაიდო და მასწავლებელს ისეთი თვალებით შეხედა, რომ ქალმა იგრძნო, არცთუ იოლი იქნებოდა ამ გოგონასთან ურთიერთობა და მისი მორჯულება...

რამდენიმე კვირის შემდეგ, სკოლის უფროსკლასელი ბიჭების ნახევარზე მეტი ანაზე იყო შეყვარებული და უკან ლამის გუნდად დაჰყვებოდნენ.

თანაკლასელები პატივისცემით, მოწიწებითაც კი ექცეოდნენ ახალ მოსწავლეს. ცდილობდნენ, მის შესახებ ყველაფერი სცოდნოდათ, მაგრამ ანა გულს არავის უხსნიდა. წლის ბოლოს თითქმის ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, განსაკუთრებით კი ერთერთ თანაკლასელ გოგონას დაუახლოვდა, რომელიც მართალია, მასზე დაბალი იყო, მაგრამ სილამაზით ტოლს არ უდებდა. მაიკოც სამედიცინოზე აბარებდა და რეპეტიტორებთანაც ერთად დადიოდნენ.

იმ წელს ანა სტუდენტი გახდა, მაიკო კი ვერ ჩაირიცხა და იმედგაცრუებული, მალევე გათხოვდა.

სწორედ მისმა გათხოვებამ მოახდინა დიდი გავლენა ანას ცხოვრებაზე. გოგონები მეგობრობას აგრძელებდნენ. ანა ხშირად სტუმრობდა ახალდაქორწინებულ წყვილს. მაიკო და მახო ცალკე ცხოვრობდნენ და მათთან გამუდმებით მეგობრები ირეოდნენ. ზოგი მიდიოდა, ზოგი მოდიოდა და იყო ერთი ამბავი.

ერთ დღეს ანას მახოს მეგობარი, ლევანი გააცნეს. ლევანს მაშინვე მოეწონა ანა. გოგოსაც მის დანახვაზე გულში სითბო ჩაეღვარა.

ლევანი 27 წლის, მაღალი და ძალიან სიმპათიური ახალგაზრდა იყო. ამასთან, ანას ტოლი ბიჭებისგან განსხვავებით, გალანტურიც. იცოდა, როგორ უნდა მოჰქცეოდა ქალს, რომ მოწონება დაემსახურებინა. თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევაც არ სჭირდებოდა, რადგან სუსტი სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას, მთავარ როლს მაინც მისი მშვენიერი გარეგნობა თამაშობდა.

— ნახე, რა ბიჭია! — ჩასჩურჩულა მაიკომ.

— მართლაც ლამაზია, — გაიცინა ანამ და ლევანს ქვეშ-ქვეშ გახედა.

— ლამაზი კი არა — „დაცემაა“! თუ იმასაც მოეწონე, გაგიმართლა და ეგაა.

ლევანმა პირველი დანახვისთანავე გადაწყვიტა, რომ ანა მისი გახდებოდა. თუმცა... არსებობდა ერთი რამ, რაც ამაში ხელს შეუშლიდა — მას ცოლი ჰყავდა. 4 წლის წინ დაქორწინდა, მაგრამ შვილი არ უჩნდებოდათ და როდესაც ანა გაიცნო, იმ დროსითვის მისი ცოლი 3 თვის ფეხმძიმე გახლდათ.

გადაწყვიტა, თავიდან ყველაფერი საიდუმლოდ შეენახა. მახოს მაშინვე სთხოვა, მისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ ანასთვის არაფერი ეთქვა; მაიკომ კი ისედაც არ იცოდა, რადგან მანაც იმ დღეს გაიცნო...

ანასა და ლევანის ურთიერთობა თავბრუდამხვევი სიჩქარით განვითარდა. ბიჭი ამოსუნთქვის საშუალებასა და გასაქანს არ აძლევდა, გოგოს ერთი წუთითაც არ სცილდებოდა, მარტოს არ ტოვებდა, შიშობდა, სხვას არ წაერთმია. ლევანს მართლა, მთელი გულით შეუყვარდა. ანას გარეშე ვერ ძლებდა. როცა ერთად არ იყვნენ, თვალწინ მისი სახე ედგა. ჩაფიქრებული, ხანდახან ამ სახეს გაუღიმებდა... „ჩემი ანა, ჩემი სიხარული!“ — გაიფიქრებდა ამ დროს და გულში რაღაც თბილად ეღვრებოდა, მაგრამ მერე, უეცრად გაახსენდებოდა, რომ წინ ძალზე მაღალი, გადაულახავი ბარიერი ეღობებოდა და სახე მოექუფრებოდა... „რაღა ახლა დაფეხმძიმდა?! ამდენი წელი შვილი არ გვყავდა და თითქოს ჩემს ჯიბრზე აჩენს ახლა... ღმერთო, ჯანმრთელი გააჩინე ჩემი პატარა!“ — გაიფიქრებდა ხოლმე და ახსენდებოდა, თუ როგორი სიხარულით შეხვდა პირველად ცნობას ცოლის ფეხმძიმობის შესახებ. ქალის სხეულში ჩასახლებული პაწაწინა არსება უზომოდ უყვარდა და ერთი სული ჰქონდა, როდის მოევლინებოდა ქვეყანას, რომ ხელში აეყვანა...

ახლა კი... ახლა ისევ ისე უყვარდა ჯერ კიდევ მუცლადმყოფი შვილი, მაგრამ... ცოლი შეიძულა... მისი დანახვაც კი აღარ შეეძლო. შინ ძალზე ცოტა დროს ატარებდა, რის გამოც, საყვედურებს იღებდა. იცოდა, რომ საყვედური სამართლიანი იყო, მაგრამ მაინც აღიზიანებდა. ჩხუბისა და აყალმაყალისგან მხოლოდ იმის გამო იკავებდა თავს, რომ ფეხმძიმე ცოლს რაიმე არ გართულებოდა.

ანა კი ბედნიერი იყო. მან არ იცოდა, რომ მის გულწრფელ სიყვარულს საფრთხე ელოდა... უზომოდ უყვარდა ლევანი და ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც თეთრ კაბას ჩაიცვამდა და მასთან ერთად მივიდოდა საკურთხეველთან.

ერთი რამ კი უკვირდა: მიუხედავად იმისა, რომ წყვილი მთელ დღეებს ერთად ატარებდა და იმის საშუალებაც ბევრჯერ ჰქონია, რომ ვაჟს ეკოცნა, ლევანი მასთან ახლოს მისვლას არც კი ცდილობდა.

მარტოდ დარჩენილი ანა ხშირად ხუჭავდა თვალებს და წარმოიდგენდა მამაკაცის ტუჩებს... ამ დროს მისი შეხებისა და კოცნის დაუოკებელი სურვილი უჩნდებოდა. გულში გადაწყვეტდა — რადგან ლევანი არ იჩენდა ინიციატივას, მომდევნო შეხვედრისას თვითონ აკოცებდა. მაგრამ „მომდევნო შეხვედრისას“ ამის გაკეთებას ვერ ბედავდა და ისევ მომდევნო შეხვედრისთვის გადაგებდა ხოლმე...

ამასობაში რამდენიმე თვე გავიდა. ერთ დღეს, მორიგი გასეირნების შემდეგ, ლევანმა გოგონა შინ მიიყვანა. მანქანა, როგორც ყოველთვის, სახლის უკან, ქუჩის მხარეს გააჩერა. ანა დამშვიდობებისას ლიყაზე კოცნიდა ხოლმე. ამჯერად გოგონამ გამბედაობა მოიკრიბა და როდესაც საკოცნელად გადაიხარა, მამაკაცს ტუჩებზე დააკვდა.

ლევანს მოულოდნელობისგან სუნთქვა შეეკრა, გოგონას წელზე ხელი მოხვია და მკერდზე მიიკრა. მთელი გრძნობით კოცნიდა...

ის ხომ ამდენი თვეა, ამაზე ოცნებობდა, მაგრამ უნდოდა, საკუთარ თავთან პირნათელი ყოფილიყო... ან იქნებ იმას ფიქრობდა, რომ სიმართლის გამჟღავნების შემთხვევაში გოგონა ვერაფერზე უსაყვედურებდა?.. საბაბი არ ექნებოდა და იმიტომ...

კარგა ხანს კოცნიდნენ ერთმანეთს ჩახვეულები. მერე ანამ თავი მკერდზე მიადო და გაირინდა.

— ანა, სალაპარაკო გვაქვს, — ძლივს ამოღერღა მამაკაცმა.

— კი, გვაქვს, — ანას სუნთქვა შეეკრა, რადგან თავისი ბავშვური ჭკუით ფიქრობდა — როდესაც პირველად ერთმანეთს აკოცებდნენ, მამაკაცი იმ დღეს ხელს სთხოვდა.

ლევანმა მანქანა დაქოქა და ადგილიდან მოწყვიტა. გეზი მამა დავითის ეკლესიისკენ აიღო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

უიმედო სიტუაცია

მოკლედ, რაღა დაგიმალოთ და ხუთშაბათი ისევ მოვიდა... არც იმას დაგიმალავთ, რომ მეც უიმედო სიტუაციაში ვარ... არ ვუყვარვარ ამ კაცს და რა ვქნა, რა წყალში „ჩავაჭყაპუნო“? არადა... შეიძლებოდა, კარგი, თბილი ურთიერთობა გვქონოდა... შეხმატკბილებული ვიქნებოდით... დავიღალე ცალმხრივი სიყვარულით... მგზავნელებო, იქნებ თქვენ დამეხმაროთ, უთხრათ, გააგებინოთ, სთხოვოთ, შეევედროთ, რომ შემიყვაროს... მის გარეშე ჩემს სიცოცხლეს რა აზრი აქვს? მოკლედ, როგორც იქნა, გაგიმხილეთ ჩემი გულის ხვაშიადი, რადგან მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ჩემი დახმარება... მოდით, დავდგეთ ქობულეთის „მისადგომებთან“ და დავიძახოთ ყველამ: „EKO BOY! შეიყვარე მარი!“ აი, ასე! ახლა იმედი მაქვს, EKO BOYS-ს მიმართ ჩემი სიყვარული კვლავ ცალმხრივი არ დარჩება. თუმცა, ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ, „ყველაფერზე წამსვლელი“ კაცი ყოფილა. გთავაზობთ ამ კვირაში გამოგზავნილ მის მესიჯს, ამჯერად ყოველგვარი შესწორების გარეშე (ხომ უნდა ნახოთ, როგორ წერს ეს ბიჭი): „მარ, შენთან მოწერილ უაზრო ამბებს არასდროს ვკითხულობ. მარტო შესავალს ვკითხულობ, რომელიც ყოველთვის ნერვებს მიშლის. თავიდან, როცა გზა პირველად ვიყიდე, მაშინ ყველაფერი წავიკითხე და იმ დღიდან მივხვდი, რომ ვერ გიტანდი, ყოველკვირა შენდამი სიძულვილი მეზრდება. „ოდნოებში“ ვერ განახე, თორე ყველა ფოტოზე 1 დაგიწერდი. EKO BOY ადამიანი, რომელსაც ყველაფერი შეუძლია და ყველაფერზე წამსვლელია“. მესიჯი წაიკითხეთ? ახლა წარმოიდგინეთ, ყოველ ხუთშაბათს როგორი სახით კითხულობს ჩემს შესავალს, რათა კიდევ უფრო შემიძულოს... მე კი მგონია, რომ მისი ნიკი მაზოხისტი უნდა იყოს. ახლა კი ჩემს უიმედო სიტუაციას თავი დავანებოთ და თქვენს სიტუაციებს მივხედოთ.

მოკლე ჩართვა

რისი მეშინია ყველაზე მეტად?

• რისი მეშინია ყველაზე მეტად? სიმაღლისა და ლიფტის. პანიკაში ვვარდები, შიშისგან. ჰოდა, მე საცოდავი, მეხუთე სართულზე კიბით ავინავარდ-ჩავინავარდებ ხოლმე. მერე კი ენაგადმოგდებული დივანზე „დავენთხლევი“ და ვსულიერდები. აბა

ამბავი მომიყვა: წლების წინ ავარიაში ქმარი და მშობლები დამეღუპნენ. აქ მხოლოდ გასართობად და გულის გადასაყოლებლად შემოვდიოდი. არ მეგონა, სიყვარული თუ ოდესმე მეწვეოდა, მაგრამ ღმერთმა არ გამწირა და შემიყვარდა ნამდვილი და წრფელი სიყვარულით. პრობლემა კი ისაა, რომ ჩემზე პატარა იყო და თანაც — ბევრად. რა თქმა უნდა, უარი ვთქვი ჩემს გრძნობაზე, მაგრამ ბიჭმა თავისი გაიტანა და უკვე 3 წელია, ერთად ვართ. მისმა ოჯახმაც იცის, მაგრამ ვიცი, რძლად არ მაღიარებენ. ამიტომ ბევრჯერ ვცადე მასთან დაშორება. ყოველი დაშორების დროს ბიჭი ამბობდა, თავს მოვიკლავო და თანაც, გული უხდებოდა ცუდად. დედამისი და მისი და თავად მირეკავდნენ და მეხვეწებოდნენ, არ დაშორდე, ცოდოა, უშენოდ მაინც არ იცოცხლებს თავსო. დაქორწინებაზე ვერ ჩამოვუგდებ სიტყვას, რადგან არ მინდა, მერე მისმა ოჯახმა მე დამდოს ბრალი, შვილიანმა ქალმა ჩვენს ბიჭს მომავალი დაუნგრიეო. განა ისედაც დანგრეული არ გვაქვს ორივეს ოჯახი? ვიცი, რომც დაქორწინდეს, მე თავს არ დამანებებს და მაშინ კი მომაკერებენ საყვარლის იარლიყს. მე კი არ მინდა, ასე მოხდეს. რად მინდოდა? ღმერთმა ასეთი სიყვარული რატომ მარგუნა? ექსტაზი“.

„ღალატი“

„იყო და არა იყო რა, იყო გოგონა და იყო ბიჭი. იყო დიდი სიყვარული და ბედნიერ მომავალზე ვარდისფერი ოცნება. სულ პატარებმა იპოვეს ერთმანეთი, მათი გრძნობაც მათთან ერთად იზრდებოდა და ძლიერდებოდა. მუდამ ხელჩაკიდებულნი სეირნობდნენ, შეხაროდნენ ერთმანეთს და სიცოცხლე უხაროდათ. 18 წლისებმა დაოჯახება გადაწყვიტეს, რომ სამუდამოდ შეერთებულიყვნენ მათი გულები, მაგრამ სწორედ სიყვარულითა და იმედებით სავსე პატარა გულმა უღალატა ინგას ქორწილის წინა დღეს. ექიმებმა ვერ შეძლეს მისი შველა. ზურა იმედს არ კარგავდა, იხვეწებოდა, რომ გადაერჩინათ მისი საცოლე, მაგრამ სიკვდილთან იმედიც მარცხდება. უკანასკნელ გზაზე მიმავალი ულამაზესი ინგა თეთრი საქორწინო კაბით შემოსეს. სანთლის ფერი დასდებოდა ზურას, აღარც ის ჰგავდა ცოცხალს. არაფერს ამბობდა, აღარც ტიროდა, თითქოს არც სუნთქავდა. ანგელოზივით უმანკო გოგონა მიწას მიაბარეს. ზურას დაჭრილმა გულმაც ვეღარ გაძლო დიდხანს და 1 თვეში, ინგას დაბადების დღეს, სატრფოსთან გაეშურა. ეჰ... მართლაც, იყო და არა იყო რა... პარიჟანკა“.

მრავალშვილიანი ოჯახის უიმედობა

„უიმედო სიტუაციები ბევრ შემთხვევაში უსახსრობითა და უფულობით არის გამოწვეული. ჩემს მეზობლად, ცოტა მოშორებით, ცხოვრობს მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც საარსებო წყარო თითქმის არ გააჩნია. სახლიც კი თავზე ენგრევათ. მათი საკვები ყოველდღე ერთი და იგივე კერძია. ოჯახის უფროსი წელში წყდება, რომ რამენაირად გამოკვებოს ოჯახი, მაგრამ მისი ჯამაგირი მხოლოდ ყოველდღიურად, პურის საყიდლადაც კი ძლივს კმარა. ერთხელ გამწარებულმა კაცმა კინაღამ თავიც კი მოიკლა. ექიმებმა ძლივს იხსნეს მისი სიცოცხლე. მიხვდა, რომ სიკვდილის უფლება არ აქვს. ბავშვებმა არ იციან, რა არის სკოლა, ბაღშიც არ უვლიათ არასდროს, მაგრამ მაინც არსებობენ კეთილი ადამიანები, რომლებიც ეხმარებიან. კაცი იმედით ცოცხლობს, რომ ერთ დღესაც გათენდება მზიანი დილა, მასაც გაუღიმებს ბედი, გამოჩნდება ვინმე ღვთისნიერი, რომელიც დაეხმარება ფულით ან დაასაქმებს ისეთ სამსახურში, რომლის საშუალებითაც ოჯახს ღირსეულად შეინახავს და შვილებს სკოლაში მიიყვანს. გრუზინკა“.

კიდევ ერთი იმედგაცრუება

„გოგონა ძალიან მშვიდი, კეთილი და ნაზი იყო. წრფელ სიყვარულზე ოცნებობდა. თუმცა, დროდადრო ხვდებოდა, რომ წრფელი სიყვარული არ

ინფორმაციული — ეს იმდენად ჭკვიანი ადამიანია, რომ უბრალო საგნების შეცნობა უჭირს

მოკლე ჩართვა

რისი მეშინია ყველაზე მეტად?

• ყველაზე მეტად ღმერთის მეშინოდა ყოველთვის და მეტი არაფრის, მაგრამ ამ ბოლო დროს სიბერის მეშინია. რაღაც, არ მინდა დაბერება. რა დროს ჩემი სიბერეა, მაგრამ მაინც... :) შოკოლადა.

• აფხაზეთში დავიბადე. პატარას მომიწია ომის გადატანა. მაინც მქონია ომიდან გამოყოლილი შიშები. იქიდან ჩამოსული, პირველად ქუჩაში რომ გავუყვანივარ ჩემებს, მანქანების დანახვაზე ისეთი წივილ-კივილი ამიტეხავს, „აფთხაზები“ მოდიან-მეთქი... ასე მოვიხსენიებდი აფხაზებს. ერთხელ, შუაღამისას გაღვიძებულს ვერაფერი რომ ვერ დამინახავს, ტირილი დამიწყია, მიშველეთ, „აფთხაზებმა“ მამკლეს-მეთქი. ახლაც მეშინია და იცით, რისი? ასე მგონია, მარი ამ ჩემს ნაბოდვარს არ დამიბეჭდავს. მონაზ-ონი.

• მე მეშინია არა იმის, რაც უკვე მოხდა, რაც არ მომხდარა არასოდეს, მე ის მაშინებს... ნათქვამია, ყველაზე უშიშარი და ძლიერი ადამიანი რწმენაში განმტკიცებული ადამიანიაო და ვრწმუნდები, რომ მართლაც ასეა... როცა ვიცი, რომ ღმერთი ჩემთანაა, არაფრის მეშინია, მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავს, სუსტი წერტილები მაინც მაქვს. მწერებისა და ჭექა-ქუხილის გარდა, ყველაფერს ავიტან, ყველაფეერს! ქალი ცდუნება.

• „გზავნილების“ გაუქმების მეშინია. ეს ერთადერთი სამყაროა, სადაც სულიერი ტკივილი მიყურდება. ენდი.

• ყველაზე მეტად ობობის მეშინია. თვითონ სიტყვა „ობობაც“ კი მზარავს. ასევე კალიისაც მეშინია და ზოგჯერ სიმარტოვისაც. ლალოლა.

• გულახდილად გაგიმხელთ ჩემი შიშის მიზეზს. ამ ბოლო დროს აკვიატებული მაქვს, რომ შეიძლება, მალე ჩემი შეყვარებული მოკვდეს. სიკვდილასი არ იყოს, გახმი, ენავ! რა ვიცი, რა ვიცი, მე კი მეშინია და... ჭრიჭინა.

• ყველაზე მეტად ღმერთის მეშინია და ვიცი, ადამიანთა უმეტესობა ჩემნაირად ფიქრობს. ყველაფერი დანარჩენი კი მხოლოდ აქედან გამომდინარეა. სვანის ასული.

მოკლე ჩართვა

რისი მეშინია ყველაზე მეტად?

• საერთოდ, მშიშარა არ ვარ, მაგრამ ახლა ძალიან მაგრად მეშინია ჩემი ჯერ „არდაბადებული“ სიბრძნის კბილის, რომელმაც უკვე 2 კვირაა, „სისხლი გამიშრო“. დალაქა.

• საერთოდ, ღმერთისა და საყვარელი ადამიანების დაკარგვის მეშინია, ისე კი, სიმაღლის სასწაული შიში მაქვს. ასე მგონია, თავს ვერ შევიკავებ და გადავვარდები. ტრიფი73.

• პატარაობისას სიბნელის მეშინოდა. :-) ლი ჰარვი ოსვალდი.

• მე მხოლოდ იმ ადამიანების მეშინია, რომლებსაც შეუძლიათ, ადამიანს გული ატკინონ და ამით სიამოვნება მიიღონ. კიდევ მეშინია ბევრი რამის, თუმცა, ყველაზე მეტად მაინც ბოროტი ადამიანების რისხვის. ლუნა.

• საერთოდ, ბუნებით მშიშარა არ ვარ, მაგრამ რაც უფრო მეტს ვფიქრობ ჩვენს გაამერიკელებაზე, შიშიც მომემატება, ცოტა არ იყოს. რისი? ჩვენი ეროვნულობის დაკარგვის (თუ ჯერ კიდევ შეგვრჩა, რა თქმა უნდა) მეშინია ყველაზე მეტად. კარგია, როცა ჭკუა გაქვს და ვიღაცისგან სწავლობ არა „რაღაცას“, არამედ, რაიმე ფასეულს. ჩვენ ფასეულობები კი არ შევიძინეთ, დავკარგეთ. გადმოვიღეთ ამერიკისგან ცხელ-ცხელი სიახლეები და თითქმის ბოლომდე დავივიწყეთ, „ვისი გორისა ვართ“. „ვეფხისტყაოსანი“ საპნის ოპერებმა შეცვალა, ტარიელ-ავთანდილი — ჩიმარო-ბაპტისტამ, ქრისტიანული მისალმება — „ჩემი დედა“-მ და ა.შ. თვალებიდან სიხარულის ნაპერწკლებს ვისვრით და ისე ვითქვიფებით მრავალსაუკუნოვანი ენის პატრონი ქვეყანა, „უისტორიო ქვეყანაში“. მამული ხომ დაგვიგლიჯეს, სარწმუნოებაში კრიშნელ-იეღოველები „შემოგვტენეს“ და ენა? მეტი რა ქნან?! დღეს ყოველი ფეხის ნაბიჯზე 20 ინგლისურ და 2 ქართულ წარწერას უშვებენ (ანი ეგ ორიც აღარ იქნება). თქვენ რა, არ გეშინიათ ამ ყველაფრის? შეგვინდოს უფალმა.

არსებობდა. რამდენჯერაც ვინმეს შეყვარებას შეეცადა, იმდენჯერ გაუცრუვდა იმედი. მას ყოველთვის სითბო, სიყვარული, მოფერება და თბილი სიტყვა უნდოდა ეგრძნო ადამიანებისგან. ამას კი ვერასდროს იღებდა. კიდევ ერთხელ შეუყვარდა უიმედოდ. ნიკა მასავით კეთილი და თბილი იყო, მარისაც აგრძნობინებდა სითბოს, მაგრამ არა ისეთს, როგორსაც იმსახურებდა. ერთ დღეს საერთო მეგობრის დაბადების დღეზე, სასმელმა იმოქმედა ნიკაზე და ცეკვა მოუნდა. ყველა ცეკვავდა, მარის გარდა. ის ჩუმად ტიროდა... რადგან, ახლაც სხვა ართმევდა სიყვარულს. ნიკა ერთ გოგოს მოსწონდა. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მარის უყვარდა, მაინც ჩახუტებოდა ბიჭს და გაუთავებლად რაღაცას ეჩურჩულებოდა ყურში. მეგობარმა შენიშნა, მარი რომ ტიროდა, მივიდა და ღვინო თითქმის ძალით დაალევინა. მარიმ იგრძნო, როგორ დასცხა, როგორ დატრიალდა ირგვლივ ყველაფერი... — მიდი, ეცეკვე, — მხოლოდ ეს სიტყვები ჩაესმოდა. მივიდა. ბიჭმა შენიშნა და საცეკვაოდ გაიწვია. გოგონა ჩაეხუტა... ძალიან ჩაეხუტა... ბიჭმაც მოხვია ხელები. ძალიან უნდოდა მარის, „მიყვარხარ“ ეთქვა მისთვის, მაგრამ არ შეეძლო. ბიჭი თმაზე ეფერებოდა, უფრო ძლიერად იხუტებდა და შუბლზე კოცნიდა. გოგონა უდიდეს სიყვარულს გრძნობდა. უცებ, მარიმ დედა შენიშნა, ბიჭის მკლავებიდან ძლივს გაითავისუფლა თავი. მისი წასვლა და... ნიკა სხვას ეხუტებოდა... მარი უკან მოტრიალდა და გაშეშდა... მერე მეგობართან მივიდა, ჩაეხუტა და ისევ ატირდა. მან დაამშვიდა და უთხრა: შენ სულ სხვანაირად გეხუტებოდა, სულ სხვანაირად, გეფიცები, — მაგრამ ამ სიტყვებმა ვერ ანუგეშა. ნიკა ისევ სხვას ეცეკვებოდა, მარის კი კიდევ ერთხელ გაუცრუვდა სიყვარულზე იმედი. გაცოცხლებული თოჯინა“.

შემდეგი სადგური – დეპო

„მე და ჩემს დაქალს სკოლის დამთავრების შემდეგაც ერთად გვინდოდა გვესწავლა. ამიტომ, გადავწყვიტეთ, ერთ სასწავლებელში ჩაგვებარებინა. რა თქმა უნდა, საბუთები შევიტანეთ და დადგა პირველი გამოცდის დღეც. მშობლებთან ერთად მივდიოდით სასწავლებელში, მაგრამ რატომღაც ყველანი დაბნეულები ვიყავით და ის დღე კურიოზულ სიტუაციაში გავატარეთ. ჯერ იყო და დილით დაგვაგვიანდა სახლიდან გამოსვლა და ვაგზლის მეტროსთან დაგვიანებით მივედით. გამოცდა 10 სთ-ზე გვეწყებოდა, ვნერვიულობდით, რადგან ვიცოდით, დაგვიანების შემთხვევაში გამოცდაზე აღარ დაგვიშვებდნენ. მეტროში ჩასვლის დროს, დღესაც არ ვიცით, 4 ადამიანს რა დაგვემართა, იმის მაგივრად, რომ საბურთალოსკენ მიმავალ მატარებელს დავლოდებოდით, საპირისპირო მხარეს ვიდექით. გამოიარა, მაგრამ არ გააჩერა, რადგან ცარიელი იყო (ასე ხდება ხოლმე). ამ დროს კი ვხედავ, ჩვენი მშობლები როგორ მისდევენ მატარებელს ხელის ქნევით, მემანქანეს რომ გაეჩერებინა. საპირისპირო მხრიდან ხალხი გაოცებული გვიყურებდა. ალბათ ფიქრობდნენ, ან ვერ არიან, ან პირველად არიან მეტროშიო. ზოგი კი მატარებლიდან გამოდიოდა, რომ სიცილისგან სული მოეთქვა. ეს კიდევ არაფერი, ცოტა ხანში მეორე მატარებელი მოვიდა. მივვარდით ვაგონის კარს, საიდანაც ხალხი გამოდის, ჩვენ კი არ ვაძლევთ გამოსვლის საშუალებას, რადგან შესასვლელად ვძალაობდით. როგორც იქნა, დაიცალა მატარებელი და ჩვენც შევაღწიეთ ვაგონში. სანამ გონს მოვიდოდით, დავინახეთ, ჩვენკენ პოლიციელი მორბოდა და გვანიშნებდა, რომ არ შევსულიყავით, სანამ მივხვდით, რა მოხდა, კარიც დაიკეტა. პოლიციელმა რომ ვერაფერი გაგვაგებინა, თვითონაც შემოვიდა ერთ-ერთ ვაგონში და გვანიშნა, დავმსხდარიყავით. მატარებელი გვირაბში შევიდა და ამ დროს მშობლები ლამის ცუდად გაგვიხდნენ. რამდენიმე წუთში ისევ სადგურში შევედით (სადაც მანამდე ვიდექით, იმის საპირისპირო მხარეს). იქ კი უამრავი ადამიანი გველოდა. ჩვენს დანახვაზე სიცილს ვერ იკავებდნენ. კარი გაიღო, ვაგონში შემოსული ხალხი გაკვირვებული გვიყურებდა. ერთმა ბიჭმა სიცილთან ერთად დაამატა — იქით კიდევ იყო სადგურიო? აი, ამ დროს კი სირცხვილისგან სად დავმალულიყავით, აღარ ვიცოდით. მოკლედ, ამ დღეს ხალხი კარგად ვამხიარულეთ, ჩვენ კი ტყუილად ვინერვიულეთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაბნეულობაში ბევრი დრო დავკარგეთ, გამოცდაზე არ დაგვაგვიანდა და წარმატებით ჩავაბარეთ. თქვენც ისე არ იფიქროთ, რომ მაშინ მეტრო პირველად ვნახეთ... ახლაც არ ვიცით, ასე რატომ დავიბენით. უცნობი გოგოები 30.3“.

ანგელოზი

„ნანამ 24 წლის ასაკში იპოვა თავისი ოცნების პრინცი. დათო ღარიბი, მაგრამ სიმპათიური მამაკაცი იყო, ნანაც სწორედ მისმა მამაკაცურობამ მოხიბლა. თავადაც არ იყო ხელგაშლილ ცხოვრებას მიჩვეული. მშობლები ყოველთვის არიგებდნენ, შეძლებულ კაცზე გათხოვილიყო, რომ შიმშილით არ ამოძრომოდა სული და თავისი შვილიც ისეთ გაჭირვებაში არ გაეზარდა, როგორშიც თავად გაიზარდა. თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, საერთოდ არ გახსენებია ნანას მშობლების რჩევა-დარიგება. ერთ საღამოს მე-

გობარმა მეზობლად ჩამოსული დათო გააცნო. ძალიან მოეწონათ ერთმანეთი, რამდენჯერმე შეხვდნენ კიდეც. დრო გადიოდა, ნანას კი დათოს მიმართ თბილი გრძნობა გაუჩნდა. გაუჭირდა მისთვის ამის გამხელა, თავის გასაჭირს არავის უმხელდა, დათოს ნახვაც აღარ უნდოდა. მალე სულ გაწყვიტა მასთან ურთიერთობა და სევდაც უფრო მეტად მიეძალა. მას შემდეგ, რაც დაშორდა, დათოს არც გახსენებია. ყოველდღე ელოდა, მაგრამ ის არსად ჩანდა. ნანა თითქოს შეეგუა მის გარეშე ცხოვრებას, მეგობრებთანაც დაიწყო სიარული. ერთ დღეს კი შემთხვევით შეხვდა დათოს. მათი მზერა ერთმანეთს „შეეჯახა“. თვალს არც ერთი არ ახამხამებდა, თითქოს საოცრება დაენახათ, ისე დაჟინებით უყურებდნენ ერთმანეთს. დათომ ის იგრძნო, რაც აქამდე უცხო იყო მისთვის. ორივეს სჭირდებოდა ერთმანეთი, მაგრამ ამის გამხელა არ უნდოდათ. ბიჭი დაღალა დუმილმა და სიყვარულში გამოუტყდა. მალევე დაოჯახდნენ. ნანას ეგონა, ბედნიერი იქნებოდა, მაგრამ არ გაუმართლა, დედამთილს ვერ შეეწყო. მალე შვილიც ეყოლათ, დედამთილსა და რძალს შორის მაინც გაუთავებელი კინკლაობა იყო. დათომ ამის გამო სმას უმატა, შინ გვიან ბრუნდებოდა, ნანას ძალიან გაუჭირდა ამ ყველაფრის გადატანა და შვილთან ერთად მშობლების სახლში დაბრუნდა. დათო ახლა საერთოდ აღარ მიდიოდა სახლში, ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდა. პატარა ნოდიკო უკვე სამი წლის იყო, ნანას ქმარი მაინც ძალიან უყვარდა და გამუდმებით მასზე ფიქრობდა. ერთ დღეს, ნოდიკოსთან ერთად მის სანახავად წავიდა. ხელიხელჩაკიდებული მიუყვებოდნენ ხალხით სავსე ქუჩას, მანქანები აქეთ-იქით დაგრიალებდა. ფიქრებში წასულ დედას შვილი ხელიდან დაუსხლტა, გაიქცა... ქუჩაში ხმაურმა იმატა, საშინელი ხმა იყო... ნანას ვერ გაეგო, მის თავს რა ხდებოდა. მიწაზე უმწეოდ ესვენა მისი შვილი, გარშემო უამრავი ადამიანი ირეოდა, ნანა ხმამაღლა ტიროდა. მისმა ტირილმა ქვეყანა შეძრა. ხალხი მიხვდა, ქალი ჭკუიდან შეიშალა. გაგიჟდა... ნანას შვილი აღარ ჰყავდა, ის უკვე ზეცაში იყო და მაღლიდან დაჰყურებდა გამწარებულ დედას. დათოც არსად ჩანდა... ლუნა“.

„ვოტ-ვოტ“ კალაძე...

„ჩემი ძმა ფეხბურთზე დადიოდა. მამა დიდ იმედებს ამყარებდა, ნორჩ „დინამოელზე“ — თუ პელე და რონალდო არა, ეგებ კალაძემდე გაქაჩოსო. მაშინ არ იყო კალაძე ასე „გაქაჩული“. ფეხბურზე სიარულის მესამე წელს გოგის მამა ეკითხება — აბა, მომიყევი, შვილო, როგორ ხარ, ხომ კარგად თამაშობ ფეხბურთსო. გოგი მიუბრუნდა და სრული სერიოზულობით უთხრა — კარგად ვთამაშობ, მაგრამ ბურთი ჩემკენ რომ მოდის, მაშინ არ ვიცი, რა ვქნაო. მამას იმედებმა ჩაილურის წყალი დალია. მაგარი უიმედო სიტუაცია იყო. იმ დღის მერე გოგი ბურთს არავინ მიაკარა. გოგი, „იზვინი“, მაგრამ სხვებზე რომ კაიფობდი, ახლა შენც მოგიწია „გზის“ ფურცლებზე გაშანშალება. ჭრიჭინა“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ჰმ, უიმედო სიტუაცია? უიმედო სიტუაციაში ვარ, ზუსტადაც! სამსახური მე არ მაქვს და ფული! ვერც ვერსად რომ ვერ ვიშოვე, ისეთი სამსახური, კარგი ანაზღაურება რომაა?! 200 ლარი მეყოფა 19 წლის ბიჭს? არაა! ჰოდა, რა ვქნა, რა გზას დავადგე, აღარ ვიცი. არადა, არ მეზარება მუშაობა. ახლა ვმუშაობ, მაგრამ ცოტაა! დილის 8-დან ღამის 10-მდე, თანაც ყოველდღე. აბა, მითხარით, 200 ლარად ღირს? სხვა ვერაფერი გავჩითე, უიმედოდ ვარ, უიმედოოოოდ! კეკე19“.

„გამარჯობა. აქ ჩემა ტკივილმა დამაწერინა. 16 წლის გავთხოვდი, 19 წლისას შვილი შემეძინა. ექიმების უყურადღებობით შვილი მომიკვდა. უკვე 25 დღეა, არ ჩავხუტებივარ. ვგრძნობ, რომ ზოგჯერ ჭკუა მეკეტება და თავის მოკვლის სურვილი მიჩნდება, მაგრამ ძალიან მინდა, დედა გავხდე. ვიქტორია“.

„მეგობარმა ცოლი მოიყვანა. ერთ დღეს სიდედრს გაეხუმრა, სიდედრო, მანქანა არ უნდა მიყიდოო? სიდედრმა შეხედა და უპასუხა: — აი, ჩემი გოგო, ახლა შენი მანქანაც და მოტოციკლეტიც ეგ არის, შემოაჯექი და იარეო. ინკოგნიტო“.

„თებერვლის ჩვეულებრივ, მოღრუბლულ დღეს, ჩვეულებრივად მინავლულმიმქრალი მზე ეპარებოდა ნისლოვან ღრუბელს. გოგო სახლში დიასახლისობდა და ხარობდა სტუმრებთან. მათ შორის მისი ბიძაშვილიც იყო, რომელიც გამორჩეულად უყვარდა და როცა წასვლისას ბიძაშვილმა სთხოვა, ჩემთან წამოდიო, სიხარულით გაჰყვა. მით უმეტეს, წლების უნახავი, ახალდაბრუნებული იყო სახლში და ბევრი ჰქონდა მისთვის მოსაყოლი. ლაპარაკ-ლაპარაკში ზამთრის მოკლე დღე შემოადანათ ხელში და გაოგნებული გოგო ახლაც ვერ ხსნის, როგორ აღმოჩნდნენ ერთ საწოლში. მიხვდა, რაც ჩაიდინა, რამხელა ცოდვას ეზიარა, მაგრამ უიმედო სიტუაციაა სწორედ ის, რომ ვეღარ უშველის სისპეტაკეს, გათელილ უმანკოებას. უიმედო სიტუაციაა, როცა ვნების სახელით ცოდვის შვილი ხდები“.

„ჩემს ქმარს მივწერე, „მანქანა დაეჯახა ბოზს და 20 მეტრზე გაიტანა“. მეჩქარებოდა და ზუსტად ასე მივწერე. ის კი მწერს — „გამაგებინე, ბოძს დაეჯახა თუ ბოზს?“ ასეა, ამ მესიჯების გადამკიდე, ათას კურიოზს ვაწყდებით. ვითომ უცხო“. ■

მოკლე ჩართვა

რისი მეშინია ყველაზე მეტად?

• მეშინია, არ დავკარგო, ვინც და რაც ძვირფასია ჩემს ცხოვრებაში. სულის ტკივილი ყველაზე ძნელი ყოფილა. კიდევ, უშვილოდ სიკვდილის მეშინია. დღეს ვსევდიანობ... :(პარიჟანკა.

• რისი მეშინია და სულების, ოღონდ მართლა... შეიძლება დამცინოთ, მაგრამ არაფრის არ მეშინია ცხოვრებაში ისე, როგორც მიცვალებულთა სულების. ნუ რას ვიზამ? ხდება ხოლმე. სოფი19.

• ყველაფრის მეშინია. ყველაზე მეტად — მარტო დარჩენის. 17 წლის ვარ და უკვე ბევრი შეცდომა მაქვს დაშვებული. თან ისეთები, რასაც ალბათ მთელი ცხოვრება ვერ გამოვასწორებ. 15 წლის ვიყავი, როდესაც მიყვარდა ბიჭი, რომელმაც მიმატოვა და გული ძალიან მაგრად მატკინა. ამ ყველაფერმა ჩემში შიშის გრძნობა დატოვა. მეშინია ბიჭების. მგონია, რომ ყველა გულს მატკენს.

• აუუუჰ, ალგიოფობია მქონია, ფსიქოლოგებს თუ დავუჯერებთ, ტკივილის, დისკომფორტისა და ძვირფასი ადამიანების (მათ შორის თქვენი) დაკარგვის ფობიაა, მაგრამ ფსიქოლოგებს გამორჩათ, რომ „კბენია“ არსებებისა და კიდევ უფლისაც მეშინია. ჩუპი.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „სხვის ჯიბრზე მოყვანილი ცოლი“.
გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად გთავაზობთ კითხვას: „რომელი ქართული ტრადიცია მომწონს?“

„ნურც იმ ქალს აურევ გონებას და ნურც შენ გაჰყოფ თავს ყულუფში“

„ვაი იმას, ვინც თავად აგდებს სხვას საცდურში“

„გზის“ №44-ში დაიბეჭდა სკანდალისტის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთ რედაქციაში დაიწყო მუშაობა. „იქ მისული ერთ-ერთ ჟურნალისტს დავუახლოვდი. ჩვენ მშვენივრად გავუგეთ ერთმანეთს და დავმეგობრდით... მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და, ისე მოხდა, რომ 2 შვილის დედა თავდავიწყებით შემიყვარდა. მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ისე, როგორც მეგობარი და როგორც კაცს, არასდროს შემომხედავს“. სკანდალისტი იმასაც უსვამს ხაზს, რომ მისი რჩეული 25 წლისაა, თავად კი მხოლოდ 18-ის გახლავთ.

ლიკა ქაჯაია

ზოკოლადა:

„ჩემო კარგო, აზრი არ აქვს იმაზე ოცნებას, რაც ვერასდროს იქცევა რეალობად. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თავადვე აღიარებ, — მას მეგობრულად ვუყვარვარო. 2 შვილის დედა, თუ ფსიქოლოგიური პრობლემა არ აქვს, სხვა თვალით არც შემოგხედავს. ვფიქრობ, შენ აღტაცებული უფრო ხარ იმ ქალით, ვიდრე — შეყვარებული, ამიტომ კარგად დაფიქრდი, ისე ნუ მოიქცევი, რომ მომავალში სანანებელი გაგიხდეს. სჯობს, არაფერი უთხრა. უფალი გფარავდეს“.

ლიმონა:

„შენი ასეთი ყურადღება, თქვენი გულახდილი საუბრები და, ქალს მეტი არც უნდა, თავგზა რომ აებნეს. მოდი, შეეშვი ამ აკრძალულ ხილს, ნურც იმ ქალს აურევ გონებას და ნურც შენ გაჰყოფ თავს ყულუფში... მართალია, სიბრძნეს ასაკი ვერ მოიტანს, მაგრამ მას გამოცდილების მოტანა ნამდვილად შეუძლია! ჯერ 18 წლის ხარ, სისხლი გიდუღს, სამყარო შენი გგონია, თანაც, როგორც ჩანს, სკანდალურ სიტუაციაში ყოფნა მოგწონს, ეს შენი ჰობია და რადგანაც პირდაპირობა, გაბედულება არ გაკლია, აღიარე, რომ ტყუილად მოგცემთ რჩევებს, მაინც ისე მოიქცევი, როგორც თავად გადაწყვეტ!“

იკუზკეგი:

„მოკლედ, რას გაუგებ, ამ სიყვარულს, ჩემო ოლღა?!. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენი დღევანდელი გმირის LOVE STORY უბრალოდ, 18 წლის, „დაუღვინებელი“ ბიჭის აჟიტირებული საქციელია. შენ ის ქალი კი არ გიყვარს, არამედ შეეჩვიე მას და გესიმპათიურება, აღფრთოვანებული ხარ ახალი ნაცნობით. დავიჯერო, შენი ასაკის გოგონები არ გაინტერესებს? იმედია, არ გინდა, რომ გულნატკენი და გასულელებული აღმოჩნდე. მგონი, აჯობებს, შენი ტოლი და სწორი ეძებო. დამიჯერე, ასეთი ურთიერთობით ვერც გაერთობი და ვერც ისიამოვნებ, პირიქით — შეიძლება, შარში გაჰყო თავი. აბა, დაფიქრდი, მშვიდი და წყნარი ურთიერთობა გირჩევნია თუ შარიანი ცხოვრება? წარმატებებს გისურვებ და დარწმუნებული ვარ, ნამდვილ, დიდ სიყვარულს მალე შეხვდები. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ისე არსად გეჩქარება, რომ სხვის ცოლებს დაუწყო დევნა“.

უცნობი:

„ჩვენი ცხოვრების სავალ გზებზე, ფეხით გასრესილი სიგარეტის მსგავსად, დაბლა აგდია ერთადერთი სიტყვა — „მიყვარხარ“, რომელსაც უკვე აღარავინ საჭიროებს, რადგან თითქმის აღარავის სჯერა მისი... სიყვარული ეს თავად ღმერთია ამ ქვეყანაზე და როგორც ღმერთს ჰყავს ცრუღმერთები მეტოქეებად, ასევე ჰყავს სიყვარულსაც მეტოქედ პატარა გატაცება, ე.წ. სიყვარულის ილუზია. ჭეშმარიტების დასადგენად მხოლოდ გულის ან გონების კარნახი არაა საკმარისი და მე თუ მკითხავ, ჯერ ორივეს უნდა მოუსმინო და გადაწყვეტილებაც მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო. არ შეიძლება, ყველაფერს მხოლოდ იმიტომ გადაუსვა ხაზი, რომ უცებ, გულში ელდამ დაგიარა... ქალს, რომელსაც შენ ეტორღიალები, ოჯახი აქვს, ოჯახი, ადამიანო, სადაც შენი ადგილი ნამდვილად არაა. ამ ცხოვრებას ჩვენთან ცოდვები მოაქვს, მაგრამ ვაი იმას, ვინც თავად აგდებს სხვას საცდურშიო, — ნათქვამია ბიბლიაში“.

GOLD GIRL:

„შენი ასაკის ბიჭებს ასეთი პრობლემა ხშირად აქვთ. თქვენ თავში გიქრით და ამიტომაც, სიყვარულსა და ლტოლვას ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებთ. „ესემესს“ სხვისი ნომრიდან აგზავნი, რადგანაც გრცხვენია და არ გინდა, ვინმემ გიცნოს, ე.ი. ხვდები, რომ ეს სამარცხვინო საქციელია. ისე იაზროვნე, როგორც ნამდვილმა მამაკაცმა და არა — როგორც ცხვირმოუხოცავმა ღლაპმა. იმ ქალზე ფიქრს შეეშვი და ირგვლივ მიმოიხედე — ქვეყნად ბევრი შენი ასაკის მშვენიერი გოგონა დაიარება და მათთან ურთიერთობის გამო არავინ გაგიცხავს. აბა, შენ იცი, წარმატებებს გისურვებ!“

აზიელი:

„სკანდალისტს (სავარუდოდ, EKO BOY-ს) მივესალმები. ისეთ ასაკში ხარ, რომ წესით, ჩამოყალიბებული პიროვნება უნდა იყო და გადაწყვეტილების მიღებაც დამოუკიდებლად შეგეძლოს. სიყვარულს ვერავითარი თვალთმაქცობით ვერ დამალავ, ის სიმართლეს შენს თვალებში ამოიკითხავს. ამიტომ ჯობია, შიში დასძლიო (ვაუკაცს ეს არ შეეფერება), გამბედაობა მოიკრიბო და უთხრა, რომ გიყვარს. ისე, 2 შვილის დედასთან საკუთარ მომავალს ხედავ? დარწმუნებული ხარ, რომ შენი სიყვარული მტკიცეა? თუ ასეა, დიდ ბედნიერებას გისურვებ! P.S. ისე, ეს „თავდავიწყებით შეყვარება“ რას ნიშნავს?..“

დალაქა:

„რომ გაიგოს, გიყვარს, გული მაგრად ეტკინება და შეიძლება, სამუდამოდაც დაკარგო. ის ხომ მეგობრად მიგიჩნევს! კარგად დაფიქრდი და შემდეგ გადაწყვიტე, როგორ უნდა მოიქცე. წარმატებებს გისურვებ! ღმერთი გფარავდეს“.

ნინი:

„პატარავ, მე 19 წლის გოგო ვარ. სხვათა შორის, ძალიან პატარა ასაკში გავთხოვდი. მე და ჩემმა ქმარმა ერთმანეთს ვერ გავუგეთ და დავშორდით. მყავს 2 წლის გოგონა. მეც მომწონს ბიჭი, რომელიც უცოლოა. ვერაფერს ვეუბნები და ამიტომაც, ცხოვრებაზე ხელი ჩავიქნიე. ჩემო კარგო, მიდი და უთხარი, რასაც გრძნობ. ბედნიერებას და წარმატებას გისურვებ! P.S. პირველად გწერთ, მაგარი კარგები ხართ. გენაცვალეთ, მიყვარხართ“.

გამგეური:

„ჩემო კარგო ადამიანო, რაც შენ დაგემართა, გასაკვირი არაა. შენი ასაკის ბიჭებს ასაკით უფროსი ქალბატონები ხშირად უვარდებათ გულში, მაგრამ თავადვე ხვდები, რომ შენს სიყვარულს მომავალი არ აქვს. შენიც რომ გახდეს, ადრე თუ გვიან, მას აუცილებლად გაცვლი ასაკით უმცროს ქალზე. რეალობა ყოველთვის მწარეა“.

გინა 20:

„რა უნდა ქნა და გათხოვილი ქალს ოჯახი არ უნდა დაუნგრიო! შენ იმას ისე უყვარხარ, როგორც პატარა ძამიკო. კაცო, რამ გამოგაშტერათ ეს ახალგაზრდები? შენ აზრზეც არ ხარ, რა არის სიყვარული და რა — გატაცება. თუ რაიმე უხეშად გითხარი, მაპატიე. ღმერთი გფარავდეთ ყველას“.

გრუზინკა:

„იცი, მგონია, რომ გატაცებული ხარ და ეს გრძნობა სიყვარულში გეშლება. ვფიქრობ, ქალთან მეგობრული ურთიერთობა არასდროს გქონია. შეეცადე, მას ისე შეხედო, როგორც უფროს დას. მერწმუნე, შენს ვითომ სიყვარულს მომავალი არ აქვს. P.S. იმის აფიშირება, რომ მგზავნელი უნიკოდ ითხოვს რჩევას, საჭირო არაა“.

GRAZY GIRL:

„თუ იმ მანდილოსანს ოჯახი აქვს, შეეცადე, ცხოვრება არ აურიო. ისე, საკუთარ გრძნობებში გარკვეული ხარ? აუ, გთხოვ, დამიკავშირდი და უფრო კონკრეტულ რჩევას მოგცემ, მეგობარო“.

ჭრიჭინა:

„თუ მუშაობ და მატერიალურად ოჯახზე არ ხარ დამოკიდებული, მაშინ შეგიძლია, იაქტიურო. აბა, მომავალ ცოლს და მის შვილებს შენი მშობლები ხომ არ არჩენენ?.. მოკლედ, დიდი დაფიქრება გმართებს, სკანდალისტო. მან ერთხელ უკვე გადაიტანა ის ტკივილი, რომელსაც საყვარელ ადამიანთან დაშორება ჰქვია და შენ ეს იარები უნდა მოუშუშო, უკვალოდ გაუქრო. მოკლედ, დაელაპარაკე, რა. იმედია, სიყვარულში გაგიმართლებს“.

სვანის ასული:

„ეს რა დაგმართნია, გაბედულო მგზავნელო. ალბათ, შენს წარმოდგენაში ის იდეალური ქალია, მაგრამ მას შვილები, ქმარი ჰყავს. ჰოდა, სხვა გზა არ გაქვს, დასჯერდი მის მეგობრობას, შეეგუე იმ სიტუაციას, რომელშიც ახლა ხარ, თორემ შეიძლება, მეგობარიც დაკარგო და სამსახურიც“.

რუსპირი:

„თქვენ სულ გაგიჟდით? ღმერთო ჩემო, შოკში ვარ!.. საინტერესოა, რას ფიქრობ? თვალები და ტვინი არ გაქვს? შენ არ გაქვს უფლება, სხვის „საკუთრებას“ შეეხო. სკანდალისტო, ის 2 შვილის დედაა და შენ, საკუთარი საქციელით, ამ ორი უბიწო არსების სულის მოწამვლას ცდილობ. შე ოჯახაშენებულო, საკუთარი თავის გარდა არავიზე ფიქრობ? მართლა სკანდალისტი ხარ, რა!“

■

თინეიჯერები გვწერენ

თოლია:

„მგზავნელებო, დიდი მადლობა, რჩევისთვის. იცით, მოძღვარს უკვე ველაპარაკე და თითქმის ყველაფერი მოვაგვარე. მას საერთოდ არ გავუკიცხივარ, პირიქით — მომისმინა და გამამხნევა. გმადლობთ, რომ ჩემთვის რჩევის მოცემა არ დაიზარეთ. იცით, როცა ჩემი გასაჭირი მოგწერეთ, აბსოლუტურად ყველა ძმაკაცი ნამდვილად არ მიგულისხმია... განსაკუთრებით დიდი მადლობა ლიმონას, იკუშკების, სვანის ასულს. შენ კი, დამავიო, რატომ გგონია, რომ მინიქვედაბოლოები და ღრმად დეკოლტირებული მაისური მაცვია? ჩვეულებრივად ვიცვამ და არც გამომწვევად ვიქცევი. უბრალოდ, ყველა ადამიანი სხვადასხვანაირად აღიქვამს რაღაცებს. ნუ იფიქრებ, რომ თავქარიანი, გიჟი და მოდას აყოლილი გოგო ვარ. ძალიან მიყვარხართ, გენაცვალეთ“.

GRAZY GIRL:

„არ შემიძლია, იკუშკების ერთ ფრაზას არ გამოვეხმაურო. იაკო, ძვირფასო, ვერ დაგეთანხმები იმაში, რომ ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა არ არსებობს. პირადად მე, ბიჭებთან ურთიერთობა ყოველთვის მიადვილდებოდა და ახლაც ასეა. იცი, მხოლოდ 1 დაქალი მყავს და 4-5 ისეთი ძმაკაცი, რომელთა გამოც ყველაფერს გავაკეთებ და დარწმუნებული ვარ, თუ გამიჭირდა, ჩემ გამო ისინიც ანალოგიურად მოიქცევიან. მათზე უკეთეს მეგობრობას მერწმუნე, ვერც ერთი გოგო ვერ გამიწევს. ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ ერთმანეთს სხვანაირად შევხედოთ, ეს არასდროს მოხდება! სიყვარულით“.

თუში:

„მინდა ყოველთვის გფარავდეთ ღმერთი/ და არასოდეს გტანჯავდეთ ბედი,/ მინდა ყოველთვის თქვენმა ოცნებამ,/ რეალობაში აიდგას ფეხი,/ მინდა გფარავდეთ უფლის დიდება/ და დაგავიწყდეთ წარსულის ცრემლი,/ მინდა თქვენს თვალებს ნამავდეს მუდამ,/ ბედნიერების უმანკო ცრემლი“.

ჭრიჭინა:

„ჩემო საყვარლებო, ძალიან გთხოვთ, გაგვაგებინეთ, რა შეიცვლება თქვენს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც მგზავნელებისგან რჩევას მიიღებთ. ჩვენ თქვენს ამბებს ძალიან განვიცდით და იცოდეთ, ყოველთვის კარგი ამბის მოლოდინით გემშვიდობებით“.

„არ მინდა ჩემი მიზეზით ოჯახი დაანგრეს“

ნინი 26:

„გამარჯობა, ლიკა. თქვენი რჩევა მართლაც, რომ ძალიან მჭირდება. ცოლიანი ადამიანი შემიყვარდა, მას შვილიც ჰყავს. თითქმის ერთი წელია, მასთან ვურთიერთობ და თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ერთად კარგად ვართ. ჩემ მიმართ ძალიან თბილი და ყურადღებიანია. მასაც ძალიან ვუყვარვარ და მეც სიგიჟემდე მიყვარს. მაგრამ რატომღაც, ჩვენი მეგობრები ჩვენს დაშორებას ცდილობენ. 1 თვის წინ გავიცანი ადამიანი, რომელიც ჩემ მიმართ ასევე, დიდ ყურადღებას იჩენს. მინდა და ვცდილობ, თავი დამანებოს, მაგრამ ამაოდ. ორ ცეცხლშუა ვარ და არ ვიცი, რა ვქნა. ძალიან დავიბენი, იქნებ თქვენ მაინც მირჩიოთ რამე. როგორ მოვიქცე? ჰო, ამ დრომდე არავინ არაფერი იცოდა, მაგრამ ახლა მისმა ოჯახმა ჩვენი ურთიერთობის შესახებ შეიტყო. ძალიან ცუდ დღეში ვარ, არ მინდა, ჩემი მიზეზით ოჯახი დაენგრეს. არც ჩემი მიტოვება უნდა. და არც მე მსურს მისი დაკარგვა. ძალიან მიყვარს. უმორჩილესად გთხოვთ, რაიმე მირჩიეთ ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს“

P.S. მაშ ასე, თუ ნინი 26-ის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.

■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 20 წლის, ქერა, ცისფერთვალება. თაკო.

2. ვარ ბალზაკის ასაკის, მარტოხელა, მარტოსული ქალბატონი. მინდა გავიცნო შესაფერისი ასაკის, ნამდვილი მამაკაცი. გასართობად ნუ გამომეხმაურებით.

3. მყავს სუფთა წარსულის მქონე დაიკო. განათხოვარი, უშვილო, პატიოსნების განსახიერება. ჭეშმარიტი 34 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გამოგვეხმაუროს სერიოზული მამაკაცი.

4. ვარ 34 წლის, თბილისელი, ექიმი, მაღალი ქალი. ადრე ვცეკვავდი. ვარ ბინით, მანქანით. დამიკავშირდეს თბილისელი, მატერიალურად უზრუნველყოფილი მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით.

კაცები

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქართველ მანდილოსანს. ვარ 35 წლის, 180/80. გამომეხმაუროს მითითებულ საბერძნეთის ნომერზე.

6. ვარ 36/171/78, სიმპათიური გარეგნობის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით ვეხმაურები 25-33 წლამდე ასაკის, კარგ მეოჯახე და პატიოსან გოგოს, ვისაც ნამდვილად უნდა ოჯახი. მორწმუნეს. გელით.

7. გავიცნობ ლამაზ მანდილოსანს, რომელსაც აქვს ლამაზი ტანი. მისთვის ყველაფერს გავაკეთებ, რომ იყოს ბედნიერი. ვარ 21 წლის.

8. ვარ 44 წლის. გავიცნობ ქალბატონს, 40-45 წლამდე, კარგი მეგობრობისა და ურთიერთობისთვის, ვინც ძალიან განიცდის მარტოობასა და არის გულჩაკეტილი.

9. მსურს, ოჯახის შესაქმნელად გავიცნო კოხტა და საყვარელი, ჭკვიანი, ეკლესიური, კარგად აღზრდილი, საშუალო სიმაღლის გოგო, 20-25 წლის. მე გოგიტა ვარ, 29 წლის, დასაქმებული.

10. 53 წლის, უცოლო მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გაიცნობს სერიოზულ ქალბატონს.

11. გავიცნობ ლანჩხუთელ, სიმპათიურ გოგოს, 25 წლამდე. ვარ 29 წლის, სიმპათიური და დასაქმებული მამაკაცი. თუ ვინმეს გაგიჩნდეთ სურვილი, შემეხმიანეთ.

12. მსურს, ლამაზი სიცოცხლისთვის, გვერდით მყავდეს სიცოცხლით სავსე მანდილოსანი, რომელიც დამაფასებს და რომელსაც დავაფასებ.

13. გავიცნობ საზღვარგარეთ მყოფ მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ ჯარისკაცი, კონტრაქტზე.

14. გავიცნობ 17-25 წლის გოგონას. ვარ 25 წლის. მარი, გთხოვ, დამიბეჭდე და თუ ვინმე დაინტერესდება, მიეცი ჩემი ნომერი. გიო.

15. ვარ 40 წლის მამაკაცი, 185 სმ სიმაღლის, სიმპათიური, თბილისელი. ვმუშაობ. მხოლოდ მაკლია მოსიყვარულე ქალი. დამიკავშირდეს 25-40 წლამდე ასაკის ქალბატონი.

16. ვეხმაურები ანას, 41-ე ნომრიდან. ვარ 33 წლის, ცოლს გაცილებული. არ გამიმართლა ცხოვრებაში. ვარ ერუდირებული. ვცხოვრობ სოფელში. ფული არ მაქვს. თუ გსურს, მომწერე.

ვეძებ

17. ვეძებ თიკა შალამბერიძეს. ვერაფერით ვერ გპოულობ ამდენი წელია, ცუნცულ. გეგა კობახიძე.

სხვადასხვა

ლუნ, საით ხარ, სიხარულო? ასე იწყებოდა ჩემი მესიჯი. დანარჩენი მე არ მეკუთვნის. ხალხო, რატომ ჩხუბობთ? გვეყო ამდენი აგრესია და ბოღმა. გკოცნით, თქვენი სოფი19.

• ლუნა, რატომ დამეკარგე? მეგონა, ვიმეგობრებდით, შენ კი მესიჯებზეც არ მპასუხობ. P.S. მოვიკითხავ ყველა მგზავნელს. ბავშვებო, ნუ ჩხუბობთ, რა დაგემართათ? ლა-ლოლა.

• ოლაა... სალა

არის აქ ვინმე? თუ არიან, მაშინ იდეა მაქვს, ფოთელების „მგზავნილების კლუბი“ ჩამოვაყალიბოთ და შეკრებები მოვაწყოთ. გურულო.

• ეჰ, მემე, სამწუხაროდ არავის ცხოვრება არ ჯდება 10 მცნების პარამეტრებში. სხეულისა და სულის სურვილების ბრძოლა ღვთისმსახურებსაც აქვთ. არა, ნუ, დროა, ანაფორა ჩავიცვა. ენიგმა.

• ლიმონ, ამ სამუშაო და ეკოკრიზისების დროს პროვოკატორის სვეტს მართლა დავაგემოვნებდი (შორს, თავმდაბლობავ!). ედე, შეგისრულებ თხოვნას. მოკითხვა GRAZY GIRL-ს. ენიგმა.

• მიმტანს: გულს ნუ გაიტეხ, შენ აქ გადმოდიხარ, მე — ბათუმში „გადავცხოვრდები“. მეც ძალიან მიჭირს შეგუება. გავიცნოთ რა, ერთმანეთი. ბათუმის სარძლო, ჭრიჭინა.

• მემე, ძვირფასო, ჯერ მოგიკითხავ დიდი სიყვარულით, მერე კი გეტყვი, რომ ეგ ნივთი სასახლეა. ლიმონ, საღოლ, მაგარი ლექსი იყო. ფლამინგო, ჩემო იმერელო, როგორ ხარ? ჭრიჭინა.

• ეშმაკუნავ, მიყვარხააარ. სიკვდილ, სად ხარ, ქალუკ? გლუკოზა, კეთილი იყოს შენი მობრძანება. ტირიფო, მომენატრე. იდუმალო და იასამანო, როგორ ხართ? ჭრიჭინა.

• ჩემო საყვარლებო, როგორ ხართ? წვიმა ალბათ ჩემსავით ნერვებს გიშლით, არა? სესი, შემეხმიანე რა, მენატრები. აბეზარავ, შენს თავს რა დამავიწყებს? ჭრიჭინა.

• ჭრიჭინ, მოკლე ჩართვაში ნახსენები მგზავნელისთვის დახმარების ფონდს ორგანიზება გაუკეთე და გვერდით დაგიდგებით. ბევრნი ვართ და თითოს 10 ლარი არ გაგვაღარიბებს. ენიგმა.

• მას, ვინც გაქრა, ვით გაცვეთილი იდეალი: სისულელეა, გეძებო ღრუბლებში, როცა აქ ხარ; სისულელეა, აქ გეძებო, როცა აქ არ ხარ; სისულელეა, დაგინახო, როცა აღარ ხარ. ანდა საერთოდ, ადამიანი ხარ თუ არა ხარ? სისულელეა, დაგიძახო, სახელიც არა გაქვს; სისულელე ხარ იდეაშიც, იდეაც არ ხარ. სხეულით სხვა ხარ, სულით ხარ და არსით სხვა ხარ, აღარც ხილულში, არც უხილავში, შენ ჩემში არ ხარ! ერთი — ერთია, ღმერთიც, ეშმაც. შენ ერთიც არ ხარ. არც არჩევანი, არც არადანი უკვე აღარ ხარ. მიწაზე არ ხარ, ცაში არ ხარ, სივრცეში არ ხარ. დიდობას ჩემობ, როცა არც მცირე ანუ სულ არ ხარ. შენ არც მიწა ხარ, არც ცივი ხარ და არც ცხელი ხარ, მოჩვენება ხარ, ბედისწერის რექვიემი ხარ. შენ არც წყალი ხარ, არც ჰაერი, მხოლოდ წყევლა ხარ, მხოლოდ ამ ლექსში არსებობ და ეს ლექსიც არ ხარ და საერთოდაც, სამყაროში თუ კი არსებობ, შენს არსებობას დღეს ჩემს გარდა ვერავინ ამჩნევს, რომ ხარ და არც ხარ, ყველაფრისთვის, სწორედ ამიტომ წაგშლი ხსოვნიდან, მოვიშველებ ფანქარს და საშლელს. ენიგმა. P.S. ადამიანში ადამიანურმა არ უნდა გადაწონოს ღვთიური. მადლობა პუბლიკას.

• ნინო, რა კარგი გოგო ხარ, შენ გაუმრავლდი დედასა, ცხრათვალამ გული წამართვა, მაჩვია ღამისთევასა, ვიცნობ, მიყვარს და ვაფასებ, მმატებს მომავლის რწმენასა. ჯიგაარ... ბერბიჭა.

• მარ, 9717-ის დატუქსვისას მივხვდი, მეც მიგულისხმე, რადგან ჩემი მესიჯიც დააცენზურე. ბიოლოგიური მცდარობა მქონდა? P.S. ეკო ბოის ვკითხავ: სექსი იცი, რა არის? არა? გამოსცადე და მზერა და აზრებიც დაგეწმინდება (ზოგსაც არ აწყენს). P.S.-2. ჩემო კარგო, ბრაზიანი გული მაშინ მაქვს, როცა უსამართლოდ განმიკითხავენ. თუმცა, დავივიწყოთ, მეც გაკოცე. ბერბიჭა.

• პროფესიით? ჰმ... პროფესიით არა, ცხოვრებით გადარეული ვარ. :) ეროვნულებზე ჩავიჭერი, ნახევრად აფრენ, ბოლომდე ვერაო. :) ASHLEY PCD.

• აუ, რა ტეხავს წვიმა, უჰ! :(ეეჰ, მომენატრა მგზავნელებთან ჭუკჭუკი... ASHLEY PCD.

• აუ, ენდის ამბავმა საშინლად დამგრუზა. ზოგი რა ბოროტია?! მთავარია, სულით იყო ლამაზი, თორემ ხორცი ბაზარშიც კი იყიდება. ASHLEY PCD.

• მაესტრო, გმადლობთ მასპინძლობისა და ბოლოში ჩემი გამწარებისათვის. საღოოლ! ASHLEY PCD.

• აუ, რა მაგადია, ვთხოვდებიი! ვარდისფერი კაბა მეცმევა და ბუნებაში ქეიფი გლიჯავს, ჩეემი! ASHLEY PCD.

• ჩემი ანგელოზი აბეზარა დამიბრუნდაა. გენათალე, გაპუსკნულ ლოყებში, ბაჭია. მპა. სოფი19 გავიცანი. უსაყვარლესი გოგოა. თან, მადე ინ ბაბალეთი. :) გეხუტეთ. ASHLEY PCD.

• აუ, ისე წვიმს, ჩემი დაქალების თქმის არ იყოს, ლოგინში ერთი კარგი კაცი გაასწორებს. :) P.S. ასე ვხუმრობთ და ჩემს პატიოსნება-არპატიოსნებაზე ლაქლაქით ენები არ წაიტეხოთ, PLEASE. :) ASHLEY PCD.

• ბავშვებო, ვის გიყვართ ცხოველები ძალიან და ვის გაქვთ სახლში ზოოპარკი? :) ASHLEY PCD.

• მარია, მარუსკელაა, როგორ ხააარ? ალა ლა! მაინც მაგლად მიკალქალ, დედოფალოო. ASHLEY PCD.

• ეეჰ, დონა ბარბარაზე რაც მე ვიტირ-ეეე... რატომ მოკვდა ბარბარა, უჰ! ღამე ლოგინშიც კი ვაფრქვევდი ცრემლს. :) აუ, ედიტ გონსალესი მაგადი ქალი! მაგის გამო გამოვსერიალდი და ცხენით ჯირითიც ვისწავლე, ბავშვმა. :) ASHLEY PCD.

• გამარჯობა, მარი და მგზავნელებო. პირველად ვწერ, თუმცა, „გზას“ დიდი ხანია, ვკითხულობ. განსაკუთრებული მოკითხვა ენიგმას, ელისოს, ბერბიჭას, ლინდა17-ს. მ.მ.მ.

• 43-ე ნომრის განცხადებებში ვწერივარ, დამიკავშირდი, დეტალები შევათანხმოთ. P.S. ASHLEY, შენ პროფესიით გადარეული ხომ არ ხარ? P.P.S. ჩემი ავტორობით. დათო.

• არასოდეს იფიქროთ, რომ ადამიანის შეცვლას შეძლებთ. როცა ასე ფიქრს დაიწყებთ, მაშინვე დამარცხდებით. ადამიანი ისეთი უნდა მიიღოთ, როგორიცაა. არ მოგწონთ? გაიარე, რა! აზიელი.

• EKO BOY, თუ ხვდები, რა მაგარი ყანა ხარ? 9717, მოვინდომო და ფლოსტებს კი არა, კოლგოტს გამირეცხავ. გამოცანების მამა კი არა, დნნ დშნ ხარ. არც ისე ცუდი გოგო.

• იდუმალო და სევდიანო ქალებო, ძალიან გაგვიხარდა თქვენი გაცნობა პირადად. გვიყვარხართ. კამელია, შენ კი მადლობა, გულში რომ ჩაგვიკარი. გრუზინკა და ტირიფი73.

• აუ, ჯუჯები მაგარი კაცები არიან! მართლა მაგარი song-ები აქვთ. ASHLEY PCD.

• მაააარ, ამ EKO BOY-მ ისე შემაშფოთა, ჩაიდანივით ვუშვებ კვამლს უკვე! არ დავიწყებ შეპასუხებას და იმის ახსნას, რაოდენ მნიშვნელოვანია „გზავნილები“, შენ და მგზავნელები ჩემთვის, რადგან აზრი არ აქვს. ადამიანს სიყვარული თუ არ შეუძლია, ტვინი ვერ გაქაჩავს, გაიგოს, რას ნიშნავს ჩემი ლომკა და ტრფობა „გზისადმი“. არ დავუშვებთ, „გზავნილები“ დაიხუროს, ზოგიერთის გულის გასახეთქად (ییییშ, ისსშ)... სულ მოგწერ, მაააარ, სუუულ... რაც შეეხება EKO BOY-ს ამ გამოტხომას, პატარა ბავშვს მაგონებს, რომელიც პროტივზე ცურვით ცდილობს ყურადღების მიქცევას. უაზრო ამბები რომ იყოს, „გზავნილებს“ ათასობით ადამიანი კი არ წაიკითხავდა?! მარ, მგზავნელებო და ჟურნალო „გზავ“, მიყვარხართ გიჟურად. ჩუპი.

• იკუშკები, მეც ძალიან მიყვარხარ, საყვარელო. ლიმონას ჯიგრული სალამი... კოზანოსტრა, მომენატრე, შე, პატარა მაიმუნო. GREEN GIRL.

• გვირილები მარტო მე არ მყვარებიაა. :) ერთი პერიოდი GREEN გვირილათი რომ გწერდით, გემახსოვრებით. ჩუპი უნდა

ყველაზე მთიელი ცოცხალი ენციკლოპედიის განახლებაა

ვცემო სასტიკად და აპოლონიც მივაყოლო ზედ. :) GREEN GIRL.

• ნამდვილო(?!) მამაკაცო(?!) ნიკს რომ ამართლებდე, SWEET-ს ასე არ მიმართავდი. ისა დაა, გრუზინკა მოგწონს? ჰგავხარ. შენზე ვყაროთ კენჭი, ყველას ევასები, ვისაც... ჰო, ხელები მაღლაა!

• GREEN GIRL, სიხარულო, კაპანაძეს საზეიმო ვითარებაში ვუთხრათ სიმართლე, ვაკისრებინოთ რამე, ისე — არა. :) ლიმონა, გაიხარე. გაკოცეთ. შოკოლადა.

• ხალხნო, ამ „მობილი-ზაციაში“ რამ გადარია ეს ბიძია-ბაბუები? ან რა სიყვარულობანა აუტყდათ ან სად მოიყარა ამდენმა ჩასასიძებელმა ბიჭმა თავი? არ გეკადრებათ, ბიჭებო.

• ეკლიანი გზების გავლა თქვენთვის იყოს ვარდიანი, არასოდეს არ მენახოთ, მოწყენილი, დარდიანი. გკოცნით, თქვენი ირმა91.

• 9717, რა ვი, ზოგად რადიკალიზმს პირში თქმა ჯობს, უფრო კაცურია. ნამდვილო მამაკაცო, მზეჭაბუკივით რად ესაუბრები SWEET-ს? ეს უღირსი საქციელია. ლიმონ, ტირიფო, გეფერებით. ნინო.

• ყველა მომენატრეთ. „გზას“ ვკითხულობდი ყოველთვის და თქვენი წარმატებები მიხარია, ჩემს პაწაწინა გულში. ჩემი სიფორცხლე ხართ, მარი და ბავშვებო. გაკოცეეეეთ. ედელვაისი.

• აეე! გასტროლი მაქვს თბილისში! სპექტაკლი მოგვაქვს ჯავახიშვილში, სავარაუდოდ, მე-8 კორპუსში. ყველა დაპატიჟებული ხართ, მგზავნელებო, პარასკევს, 6-ში, 5 საათზე. სუპერსთარი.

• გამარჯობა მარი, გზავნილებში არ მიშვებ და მაინტერესებს, გოჩა მანველიძის „მგლებს“ გაგრძელება თუ აქვს და თუ ვიხილავთ „გზის“ ფურცლებზე?

• ძნელია, როცა გიყვარს და იცი, ეს სიყვარული აკრძალულია,/ როცა ცხოვრობ და ბედნიერების ყოველი წამი დაკარგულია,/ ძნელია, როცა გჯერა ტყუილის და სინამდვილეს თვალს ვერ უსწორებ,/ გრძნობ, როგორ ქრება და შენს სიყვარულს გადასარჩენად ხელს ვერ უწოდებ./ ძნელია, როცა შეგცვალა დრომ და გულს არაფერი არ შეუძლია,/ ძნელია, როცა გიყვარს და იცი, მას სიყვარული არ შეუძლია,/ ძნელია, როცა გადის წლები და ჯერ არაფერი არ გიპოვია,/ ძნელია, როცა ცხოვრობ და იცი, რომ არასდროს არ გიცხოვრია... სიყვარულით, CRAZY GIRL.

• მარი, ჩემი პაწაწკუნტელა მესიჯი ვნახე „გზაში“ და ვერ გადმოვცემ, ისე გამიხარდა. სიხარულისგან დავფრინავ. მადლობა ჩემი გახარებისთვის. ჩათში რომ ვნახე SWEET-ი და რომ გამოველაპარაკე, აუჰ, სულ კოცნები მიგზავნა. როგორ გამიხარდა?! ნაინა — ჩათში ამ ნიკით ვარ. გამიხარდება, თუ მიცნობს SWEET-ი.

• პრივეტები ყველას. რავა ხართ, თუ იცით? დავიკარგე, ხომ? არა უშავს, დავბრუნდიი! მიყვარხართ. კამ-კამა.

• იდუმალო ქალო, არა უშავს. ისე, მსურს, უფრო ახლოს გაგიცნო, მაგრამ... კამ-კამა.

• მარ, რატომ უთმობ ეკო ბოის „გარდატეხის ასაკში“ მყოფ მესიჯებს ამდენ დროს? მგონი, მგზავნელებს სულ არ გვაინტერესებს ისეთი მოზარდის აზრები, რომელიც არასრულფასოვნების კომპლექსის შენიღბვას აგრესიით ცდილობს. მოკლედ, შენს გულსა და ნერვებსაც გაუფრთხილდი და ჩვენსასაც, თორემ უიმედო სიტუაციაში აღმოვჩნდებით და ნიახური ხომ არა ვართ, ამ ქვეყანაზე მეორედ მოვიდეთ, შვილოსან, აა? EKO BOY-ს კი ვურჩევ, გადარეული ფილოსოფოსის, დიდროს კონცეფციები წაიკითხოს და ის ასწავლის, თუ როდის ხდება მისთანების ლაყე ტვინში საღი და უმწიფარი მსოფლმხედველობის აღრევა. პათოლოგიური აზრები დააზავე, ბიჭო, თორემ ეგ ორიგინალობა კი არა, სულის სიღატაკის დემონსტრირებაა. რელიგია გვასწავლის: როცა ღმერთს ადამიანის დასჯა სურს, ჯერ ჭკუას წაართმევს მასო, თუ რწმენაში მოიკოჭლებ (ასეც იქნება), მაშინ ტიტან ვაჟას დაუჯერე: „გათამამებულ სიბრიყვეს, ან კი რა შეეწონება?“ თუ ვაჟაც დაიწუნე (არ გამიკვირდება), მააშვიინ მე, ანუ შენს თანამედროვეს მომისმინე: სიტყვებს გვესვრი ბოღმანარევს, თანაც მალმალე, ტ-ს ცუდად ნუ ათამაშებ, კუდი დამალე. არავინ დასჯის გოჭს სურვილისთვის, რომ იქცეს ღორად, მაგრამ მზადაა დანა, როცა ღორის დრო მოვა. ჰოოდა, ბიძიკო, ენიგმა ბიძიას გამოცდილებას და ფუნაგორიებს ენდე და ნუ ჰკადრებ მარი ჯაფარიძეს უკადრებელს. არაა იგი შენი ტოლ-სწორი, მისი და მგზავნელების დონეს შენი უფერული პარამეტრებით ნუ გაზომავ და ნუ მკრეხელობ. ხურმის გემო რომ გაიგო, ადამიანი უნდა იყო და არა — ვირი. არა, ნუ, როგორ მეტყობა კახელობა?! თუ სადმე ვირიც არ ჩავაკვეხე, სათქმელს ვერ ვამარილებ. მოკლედ, ამ პატარა ჭიქით, დიდი გულით, სავსე გრძნობითა და სიყვარულით გამთბარი, კეთილი სურვილებით, მარი ჯაფარიძის თამადობით, „გზავნილებს“ და მგზავნელებს გაუუ-მაარჯოოს! ალავერდს ეკო ბოისთან ვარ და წვეთი არ დარჩეს ჭიქაში. გაუბედე, წრუწუნ, ქართველი არ ხარ? თუ არა დაა: როგორც მოსვლით გაგვახარე, იგრე წასვლით გაგვახარე, რაა. ენიგმა.

• თოვლით მოფენილ მიწაზე, ვარდები ეყარა უხვად, გათოშილ ხელებით გოგონა, გულში იხუტებდა ჩუმად, თითქოს და გათბნენო ვარდები, წითლად ავარვარდნენ უცბად და უცებ ლამაზი ვარდები, სივრცეში გაფრინდნენ ჩუმად... თოვლით მოფენილ მიწაზე, ვარდები აღარ იყო სულაც და გახარებული გოგონა, სიცივეს ვეღარ გრძნობდა, სრულად... 9717.

• მარი, ჭკვიანი და მოხერხებული რომ იყავი, კი ვიცოდი, მაგრამ ასეთი ძლიერი ფსიქოლოგი არ მეგონე. „ქურდს ქუდი ეწვისო“, იმ იგავისა არ იყოს, მაგ სარეკლამო აგენტსაც, შენ რომ დაგემუქრა, იგივე დაემართა. გაიხარე, ბევრი ვიმხიარულე. ვისურვებდი, შენისთანა მეგობარი მყოლოდა. დავითი.

• ვაი, მარი, ძმურად, ამ ეკო ბოის უაზრო კომენტარები აღარ დაბეჭდო რა, თორემ ერთხელ ნერვები მიმტყუნებს და შემომეწიხლისძირება. მერე რა, რომ გოგო ვარ, ის კი ბიჭი? ფეშენა.

• მაიმუნი რომ ქცეულიყო ადამიანად, საუკუნეთა ქარაგმებმა გადაიქუხეს, ახლა ზოგიერთ ადამიანს ბევრი კი არა, სულ ორიოდე დღე სჭირდება — გამაიმუნდეს... 9717.

• მე ვადღეგრძელებ პირველ სიყვარულს წმინდას, ანკარას, გულმა ყოველთვის, ყველგან ჩუმად, თან რომ ატარა, მე ვადღეგრძელებ პირველ „ჰოს“ თქმას, მორცხვი სიწითლით, იმ ტანჯულ განცდას, შეხვედრის დროს ჩუმად რომ ითვლის. მე ვადღეგრძელებ პირველ კოცნას, სიწმინდეს მისას, სიტყვებს: „სულ მუდამ მეყვარები, შენს თვალებს ვფიცავ“... მე ვადღეგრძელებ პირველ სიყვარულს, გიჟურს, ვნებიანს, იმ ლამაზ თვალებს, მოგონებით რომ იბნევიან... 9717.

• ღამე მშვიდობისა მარ, მაპატიე, გვიან რომ გწერ. მარ, სულ შემთხვევით ლიმონა გავიცანი და ძალიან გახარებული ვარ. GREEN GIRL-ი კი ნამდვილი აღმოჩენა იყო ჩემთვის, „გზის“ ფურცლებზე, თორემ ისე, საუკუნეა ვიცნობ და ძალიან მიყვარს. ჰო, კიდევ, SWEET-GIRL, არ გეგონოს, არ გწერ, სიხარულო, ნომერი წამეშალა. მარ, მიყვარხართ, შენ და მგზავნელებიც. გაკოცეეეთ. შოკოლადა.

• მინდა, მგზავნელების „მობილი-ზაციაში“ შევიხედო. ან მე ვარ ძალიან ბებერი, ან ესენი აზროვნებენ ძაან ბავშვურად. რა გჭირთ? ნუთუ ასეთი ძნელია, დათმობა? სიყვარული? მეგობრობის ხელის გაწოდება? ამდენი სიძულვილი და ბოღმა სად გეტევათ? მინდა, შუღლის, ბოროტებისა და ინტრიგების (ესენი რე-

მაყურებელი — ხალხსახიობი ხელოვნების ერთადერთი ჭეშმარიტი მასწავლებელია

ალშიც მეყოფა) მესიჯები სითბოთი და სიყვარულით სავსე მესიჯებად იქცეს. მაინც, რა ადამიანები ხართ? ხან ჭრით, ხან — კერავთ. დღეს რომ უზომოდ აქებთ ვინმეს და მის უარყოფითს ვერ ამჩნევთ, ხვალ თუ საქმე შეტრიალდა, მიადგებით და იმის ყველა დადებით მხარეს წყალს ატანთ. მხოლოდ ძაგებაზე გადადიხართ. არა, გინებაც ბევრია. მოკლედ, ცენზურას არავინ იცავს. მარი რომ არა... კარგა ხანია, ვკითხულობ „გზას“ და ახლა ყველაზე მეტადაა არეული სიტუაცია. ადრე კამათი თუ იყო, აზრიც ჰქონდა, ახლა კი ყველა თავისებურად უბერავს. დიდად საზიანოა, ზომიერების გრძნობის დაკარგვა. იყავით ზომიერები. აი, ზამთარიც მოდის, გაუთბეთ გულები ერთმანეთს. ექიმი.

• თეთრ ყვავს: იმ უამრავ ადამიანს, რომლებსაც მე, შენი აზრით, ცილი დავწამე, მზად ვარ, შენთან ერთად ბოდიში მოვუხადო. შენ კი მინდა, ამ სამართლიანობის ცოცხალი მოწმე იყო და ერთად წავიდეთ მათთან. თუ შენ ამაზე არ დამთანხმდები, ჩავთვლი, რომ უბრალოდ, მე მმტრობ. მე თუ რამეს ვაშავებ, ამის აღიარებისაც არ მეშინია. გასაღებზე სათქმელი არაფერი მაქვს. ყველამ საკუთარ თავს თავად მიხედოს. გელოდები, მარის ჩემი ნომერი გამოართვი და დამიკავშირდი. ჩემი შეცდომების გამოსასწორებლად ერთად წავიდეთ. მინდა, ყველამ დაინახოს, ვინ როგორია. P.S. მარი, ბოდიშს გიხდი, რომ გაწუხებ. ძალიან გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდო. თუ თეთრი ყვავი ჩემს ნომერს გთხოვს, მიეცი. გრუზინკა.

• ახლა ვზივარ მარტო, მოწყენილი, მიტოვებული... ყველასგან მიტოვებული.. ჯერ 14 წლის ვარ. რა დავაშავე ასეთი, რომ დედა 3 წლისას გარდამეცვალა, მამის ასავალ-დასავალი არ ვიცი, და გამითხოვდა... დეიდასთან გადავედი, თან, სადღაც, მიყრუებულ სოფელში. ხვალ ცოტა მხიარული დღე მექნება. თბილისში მივდივარ, დაიკოსთან. მარიკუსა, მხოლოდ შენ შემიძლია გაგიმხილო ყველა გულისტკივილი, მაგრამ არ ვიცი, რატომ. ცუდ ხასიათზე ვარ და ტირილი მინდა. თუ ჩემი მესიჯი მზის სინათლეს ვერ ნახავს, ავიტან. სადაც ამდენს ვიტან, მაგასაც ავიტან! ROCK SMILE.

• ენიგმა, რა სიცოცხლეე ხააარ. მოდი, უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი, რა. მეგი-გოგო, ჰო, თბილისში ვცხოვრობ, იმედია, ერთხელ ყველას გაგიცნობთ. ძაან საყვარელი ხარ, გაიხარე. ლიმოონ, სიცოცხლევ, რა ქალი ხარ?! დავეციი! გაკოცე ბევრი. თოლია.

• გამარჯობა, მარი. ახლა ვკითხულობ შენს სტატიას, „ღირსების საკითხი, შერცხვენილი მამაკაცი და მივა თუ არა საქმე სასამართლომდე?“ ვიგუდები სიცილით. იმდენს ვიცინი, ცრემლები მომდის სიცილისგან, მართლა... გადასარევი იუმორი გაქვს, შემოგევლე, შენ. გეხვეწები, ხშირად წერე ხოლმე რა, მსგავსი სტატიები. ბამბუჩა.

• მარიამულ, ჩემო ტკბილო, გთხოვ, ნუ მიაქცევ ეკო ბოის დაუმსახურებულ რეპლიკებს ყურადღებას. არ მესმის, როგორ შეიძლება, შენ ვინმეს არ უყვარდე. მენატრები, მარ! შენი ლუნა.

• ახლა თაგვი დავიჭირე და ქილაში ჩავსვი. შეჭამა ტვინი, მთელი ღამე კაკალს დააგორებდა და... სამგან მიკბინა. მარი, შენი აზრით, საშიშია?

• მარ, არ ვიცი, რამდენად მაქვს უფლება, სხვა გავკიცხო, მაგრამ „გზის“ ფურცლებიდან ერთმანეთის ლანძღვა უკვე სამაგალითო საქციელად იქცა, ზოგიერთებისთვის. ამით კი, უბრალოდ, ყურადღების მიქცევას ცდილობს. 9717-ის სიმართლე ბევრს მწარედ მოხვდა გულზე და არარსებულის მტკიცება დაიწყო. მრავალნიკიანობაც უკვე მოდად იქცა და ძველი მგზავნელების შეურაცხყოფაც... მგზავნელებო (ყველას არ ეხება), რომლებიც ენას უმისამართოდ ატრიალებთ და აზრსმოკლებული წინადადებებით შემოიფარგლებით, თავს მგზავნელს ნუ უწოდებთ და ნურც ქართველობას დაიბრალებთ. ამის თქმა მინდოდა და იქნებ სადმე მიმბეჭდოთ. გაკოცე. სოფი19.

• „გზავნილებისთვის“ „გზის“ ფურცლები ისე ცოტაა, კამათში ფლანგვა ამ გვერდების, მართლა ცოდვაა. გულის ტკენა ხომ ჩვენს სიცოცხლეს კვეცავს, ამცირებს. თბილი სიტყვებით ერთურთს ყოფას გავუადვილებთ. მიყვარხართ ყველანი! ენდი.

• ვაიმე, ეს ეკო ბოი თუ „რაღაცა“, დამაჭერინა და მერე მე ვიცი, რა. არ შეგვჭამა?! შენ კარგად იცი მარ, აგრესიული მესიჯები არ მჩვევია, მაგრამ შეგვაწუხა ამ უაზრო პრიმიტივმა თავისი „დონე“ იდეებით! თუ არ მოგწონვართ, შენი პრობლემაა. „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“, ალბათ, არც გაგიგონია. შეგვეშვი! მარის თუნდაც ერთ უსიამოვნო ფიქრადაც არ ღირხარ, გეიგე? (მარ, ასე დაწერე ეს სიტყვა, რა, გეიხაროს ბოვშმა). უაზრო გზავნილების მარადიული მგზავნელი, პარიჟანკა.

• საკმაოდ მშვიდი ადამიანი ვარ და იშვიათად თუ გავბრაზდები, მაგრამ ეკო ბოის მესიჯმა მართლა მომიშალა ნერვები. არ ეკადრება ამხელა კაცს მასეთი სისულელეების თქმა. მარისი არ იყოს, გეტყობა, „გზავნილებს“ არ ტოვებ და ყოველკვირა აბულბულებ. რომ არ მოგწონდეს, მაშინ არც წაიკითხავდი! რა, მასე არ არის? ძალად ინტრიგანო, შეეშვი მარის და გზავნილებს! ეს რუბრიკა მკითხველთა 99%-ს მოსწონს და იმ 1%-ს არც ღირს, რომ მოგისმინოთ. გონზე მოდი, რა! ვიცი, ერთ-ერთ რედაქციაში მუშაობ და იმედია, იქაც ტყუილებით არ იქმნი იმიჯს! მრცხვენია, რომ გიცნობ! დამავიო. *(მგონი, ჯობს EKO BOY-ს თავი დავანებოთ... ჩემი აზრით, მე იმის გამო ვერ მიტანს, რომ ჩვენს რედაქციაში მასალა დაუწუნეს და ალბათ ჰგონია, მე ვარ ამაში დამნაშავე... მორჩა, მე პირადად, ამ კვირაში ვწყვეტ მისი მესიჯების ბეჭდვას და მასზე ლაპარაკსაც და იმედია, ჩემს აზრს იზიარებთ. — ავტ).*

მიყვარხარ

დათო ბეროშვილო, რატომ არ გჯერა ჩემი სიყვარულის? დამიჯერე, ყველაფრის მიუხედავად, მიყვარხარ, მენატრები და მჭირდები. შენ ჩემი ცხოვრება და სიცოცხლე ხარ. გეყოს ბუტიაობა.

• მიშა, სიგიჟემდე მიყვარხარ. წლები გადის და ვერ გივიწყებ. იქნებ წაიკითხო ეს მესიჯი და გამიგო.

• მიყვარხარ და მენატრები სიცოცხლეზე მეტად, საპრასიაში მცხოვრებო თეონა ლომინაძევ. სიგიჟემდე მენატრები და გეფერები. ჟურნალი „გზა“ დალოცვილი ამყოფოს ღმერთმა.

• იკა, ჩემი სიცოცხლე ხარ, ჩემი სიხარული, ჩემი ოცნება და ფიქრი. უზომოდ მიყვარხარ. შენს გარეშე ჩემთვის ყველაფერი ნულის ფასია. ანი ადამია.

• ახლა რომ იცოდე, როგორ მენატრები, მაშინვე ჩემთან გამოიქცეოდი./ განა იმიტომ, რომ მოგენატრებოდი?/ არა, უბრალოდ, შეგეცოდებოდი. გიო, მიყვარხარ! როგორ დაგიმტკიცო? ცეტი ნათია.

გილოცავ!

ჩემს პატარა შვილიშვილს, თეგი მიქაუტაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 3 ნოემბერს. ბებო, გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი. არ მოგკლებოდეს უფლის წყალობა. შენი ნინო ბებო.

• სიყვარულით ვულოცავ იუბილეს: 1-ელ ნოემბერს ოლეს, 9-ში ნიკოლს, 21-ში იკუშკებს და GREEN-ს. ღმერთი გფარავდეთ! ყველანი ძალიან მიყვარხართ! ძველები მენატრებიან. CRAZY GIRL.

• 1-ელ ნოემბერს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ ადამიანს, ჩემს ძვირფას ძამიკოს, ოლეგარიოს. ოლე, ძამი, ჯანმრთელობას და ღვთის წყალობას გისურვებ, ბედნიერება და სიკეთე იყოს შენი ცხოვრების თანამდევი, დედაღვთისმშობლის კალთა გფარავდეს მუდამ. გისურვებ, ლამაზი დღეებით ტკბობას, შენს ოჯახთან ერთად. შენი დაიკო, გლუკოზა.

• საუკეთესო პიროვნებას, ნამდვილ მეგობარს, ოლეგარიოს 1-ელ ნოემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან, შვილებთან, შვილიშვილთან, ახლობლებთან და შენთვის ძვირფას ხალხთან ერთად. გფარავდეს ღმერთი და დედაღვთისმშობელი. სიყვარულითა და კეთილი სურვილებით, იდუმალი-ქალი.

• სოფელ ისლარში, ჩვენს ტკბილ ბებოს, თამარ კალანდაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 6 ნოემბერს. კიდევ დიდხანს გეცოცხლოს, შვილ-მომავალთან ერთად. შვილიშვილები.

• საბერძნეთში მყოფ ბელა კუხიანიძეს ვულოცავ პატარა ანის დაბადებას. გაზრდილიყოს ჯანმრთელი და სასახელო. ბედნიერი დედა ყოფილიყავი. მიყვარხარ, გკოცნი. ინგა (სოფ. უკანეთი).

• საბერძნეთში მყოფ მაკა იობიძეს, ნათია ხმელიძეს, ქეთინო პატარავას, ლელა შენგელიას: ყველანი მიყვარხართ. ინგა (ნიკეა).

• სოფიო ბაბილოძეს! გილოცავ გაბედნიერების დღეს. სულ შეყვარებული ვყოფილიყავით. მიყვარხარ!!! ბუტია.

• ლამზირა ვალიშვილს ვულოცავ 11 ნოემბერს, დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ულევ სიხარულსა და სიყვარულს. სულ ასეთი ლამაზი ყოფილიყავი, ჩემო ლამზო. ძალიან მიყვარხარ. ლამზირა პავლიაშვილი.

• წითელხევში, ჩემს მონატრებულ შვილს, ლექსო ლომიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ულევ სიხარულს გისურვებ, შვილო. გამრავლდით და გაიხარეთ. გფარავდეთ უფალი და დედის ლოცვა. მიყვარხართ და მენატრებით. მაია.

• ლანა, ბებო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შენს მშობლებთან და ძამიკოსთან ერთად. შენი ციცო ბებია.

• ჩემს საყვარელ და მონატრებულ ნუნუ ბიცოლას 10 ნოემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. როგორ მენატრები... გკოცნი. ლელა.

• თიკო და ზვიად, გილოცავთ გაბედნიერებას. ღმერთმა ბედნიერები გამყოფოთ, თქვენი სიცოცხლის მანძილზე. გამრავლდით და გაიხარეთ. მაია დეიდა.

• მადონა ობოლაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 2 ნოემბერს. ვუსურვებ ყოველივე კარგს, შვილთან ერთად. გკოცნი, ფიქრია.

• ლაგოდეხში, ჩემს ძმისშვილს, შორენა კოჭლამაზაშვილს ვულოცავ ქალიშვილის შეძენას. ბედნიერი გოგო გაზრდილიყოს, პატარა ნინო. ძალიან მიყვარხარ, გკოცნი და მენატრები. დალი კოჭლამაზაშვილი.

• ათენში დროებით მცხოვრებ ჩემს ემიგრანტ ამხანაგს, ზოია კიკნაძეს ვულოცავ პირველი შვილიშვილის დაბადებას. გილოცავ ზოი, დიდი და სასახელო გოგო გაზრდილიყოს. დალი კოჭლამაზაშვილი.

• 7 ნოემბერს მინდა დაბადების დღე მივულოცო ჩემთვის ძვირფას, საქალბატონე ნათია გოგიბერიძეს. გისურვებთ წარმატებებსა და ყოველივე საუკეთესოს, ცხოვრებაში. ეკა და მამუკა.

• სოფელ მუხიანში მცხოვრებ თამაზ ჩიტაიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 7 ნოემბერს. ჩემო ძამიკო, ოჯახის ფუძევ და სიძლიერევ, გისურვებ ჯანმრთელობას. უფლის წყალობა და მადლი შეგწეოდეს, იხარე და იბედნიერე, შენს ცოლ-შვილთან და ახლად შეძენილ სიძესთან ერთად. თქვენი კეთილის მსურველი გულო, ათენიდან.

• ჩემს შვილს, ნადულო სვანაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ მიზნების განხორციელებას, წარმატებებს სწავლაში, შემდეგ კარგ სამსახურს. გფარავდეს ღმერთი. გილოცავს დედა. გკოცნით.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი. ■

ტაიმ-აუტი

კალაძეების წყვილი ჯვრისწერისა და ნათლობისთვის ემზადება

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი და „მილანის“ ცენტრალური მცველი, კახა კალაძე უკრაინულ მასმედიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს და ცხადია, უკრაინელი ჟურნალისტები კიევში მყოფ კალაძესთან გასაუბრების შანსს ხელიდან არ უშვებენ. ფეხბურთელმა „ბლიკის“ კორესპონდენტთან საუბრისას აღიარა, რომ შვილის დაბადებამ ძალიან შეცვალა.

„ჩემთვის მამის როლი ძალიან მნიშვნელოვანია“

— ცოტა ხნის წინ თქვენ და ანუკი არეშიძეს შვილი, ლევანი შეგეძინათ. ამ მოვლენამ თქვენზე როგორ იმოქმედა?

— ჩემში ბევრი რამ შეიცვალა. ახლა, ვარჯიშის შემდეგ სახლში გავრბივარ. მსურს, შვილი რაც შეიძლება მალე ვნახო. ლევანი 3 თვისაა და ყოველდღე იცვლება. ჩემთვის მამის როლი ძალიან მნიშვნელოვანია.

— ლევანი ვის ჰგავს?

— მეც მგავს და ჩემს მეუღლესაც... ფეხბურთელი გახდება თუ სხვა პროფესიას აირჩევს, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია; მთავარია, ნამდვილ მამაკაცად ჩამოყალიბდეს.

— კიევში გამართული მოდების ჩვენებისას ანუკიმ აღნიშნა, რომ ლევანის მონათვლას აპირებთ. ნათლიები უკვე შეარჩიეთ?

— არა, ჯერ ისევ შერჩევის პროცესში ვართ. ბევრი მეგობარი მყავს და არჩევანის გაკეთება ადვილი არაა. ნათლობა მაისში, საქართველოში შედგება. ნათლობის პარალელურად, მე და ანუკი ჯვარს დავიწერთ.

— „მილანში“ თქვენი საქმე როგორ მიდის? ბოლო პერიოდში, გუნდის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ჩნდებით.

— „მილანში“ არავითარი პრობლემა არ მაქვს. „რომას“ წინააღმდეგ იმიტომ არ ვითამაშე, რომ დაღლილი ვიყავი და მწვრთნელმა მთხოვა, ჩემპიონთა ლიგაზე მადრიდის „რეალთან“ შეხვედრისთვის მოვმზადებულიყავი.

— გუნდის მთავარ მწვრთნელ ლეონარდოსთან რაიმე გაუგებრობა ხომ არ გაქვთ?

— არავითარი, ჩვენ ერთმანეთს ვენდობით. მწვრთნელს უბრალოდ, ლეოს ვეძახით და ის ამას ნორმალურად აღიქვამს.

— ამბობენ, არაბმა შეიხებმა „მილანის“ აქციები შეისყიდესო...

— ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ „მილანს“ არ გაყიდის. თუ შეიხები აქციებს მაინც იყიდიან, ალბათ, ძალიან მცირე ნაწილს.

— მსოფლიო ფინანსური კრიზისი „მილანზე“ აისახა?

— თითქოს, არ ასახულა. თუმცა, მთლიანად იტალიური ფეხბურთი რომ ავიღოთ, აშკარაა, რომ ეკონომიკური პრობლემა სერია A-ს კლუბებსაც შეეხო. 10 წლის წინ „რომა“, „პარმა“ და „ფიორენტინა“ მაღალი დონის ძვირად ღირებულ ფეხბურთელებს ყიდულობდნენ, მაგრამ ახლა, ამის შესაძლებლობა არა აქვთ. ამ კლუბებში ადრე ხელფასიც გაცილებით მაღალი ჰქონდათ.

— „მილანში“ ხელფასი ხომ არ შეგიმცირეს?

— არა!

— მძიმე ტრავმისა და გადატანილი ოპერაციის გამო 7 თვე გაგიცდათ. ამ ხნის განმავლობაში გუნდის შეცვლის სურვილი არ გაგჩენიათ?

— არა. თუმცა, ზაფხულში „ბაიერნიდან“ და „ფიორენტინადან“ კონკრეტული შემოთავაზებები მქონდა.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— მსურს, კიდევ 3-4 წელიწადი ვითამაშო. ასევე, ძალიან მინდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ან ლონდონში წავიდე სასწავლებლად.

— თქვენზე ამბობდნენ, — მომავალში საქართველოს პრეზიდენტის პოსტზეც იყრის კენჭსო...

— ამის შესახებ ჟურნალისტები წერდნენ. არავინ იცის, რა იქნება 20 წლის შემდეგ.

— 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, თბილისში იტალიელებთან შეხვედისას საკუთარ კარში გატანილი 2 გოლის გამო, ქართული პრესისგან მაგრად „მოგხვდათ“?

— პირიქით, პრესამ მხარიც კი დამიჭირა. თავად ვიყავი შოკირებული. პირველი ტაიმი კარგად ვითამაშეთ და შემდეგ, ზედიზედ 2 ავტოგოლი გავიტანე. ეს საშინელება იყო, სიკვდილი იქვე, მოედანზე მსურდა.

— ავტომობილებისადმი სიყვარული ხომ არ გაგინელდათ?

— არა. როცა 30 წლის გავხდი, კიეველმა მეგობარმა „როლს-როისი“

მაჩუქა, რომელიც თბილისში, ავტოფარეხში დგას და მის საჭესთან ჯერ არც ვმჯდარვარ. ავტომობილებს იმიტომ კი არ ვიცვლი, რომ ასეთი ჰობი მაქვს. უბრალოდ, როდესაც ახალი მოდელები გამოდის, ცდუნებას ვერ ვუძლებ.

— ყვითელი „ლამბორჯინი“, რომელიც თქვენმა მეგობარმა უუგოროდის სიახლოვეს დაამტვრია, უკვე შეაკეთეთ?

— ავტოავარიის შემდეგ ავტომანქანის ფოტოსურათი გამომიგზავნეს და მივხვდი, რომ ის აღდგენას აღარ დაექვემდებარებოდა. ეგ არაფერი, მთავარია, მეგობარი სიკვდილს გადაურჩა...

„ბლიკის“ ჟურნალისტმა კახა კლაძის მეუღლესთან, ანუკი არეშიძესთან გასაუბრებაც მოასწრო. ის კიევში მეუღლის გარეშე, ავთანდილ ცქვიტინიძის კოლექციის ჩვენებაზე დასასწრებად ჩავიდა.

— კიევში ხშირად ჩამოდიხართ?

— არც ისე ხშირად. ისე, მიუხედავად ავტომანქანების „საცობებისა“, რომლის გამოც ჩვენებაზე დაგვიანებით მოვედი, ეს ქალაქი ძალიან მომწონს.

— კახას კიევის „დინამოში“ გადმოსვლა რომ შესთავაზონ, თქვენთვის ეს წინადადება მისაღები იქნება?

— კიევში საცხოვრებლად გადმოსვლის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კახას კარიერა დაღმასვლას დაიწყებს.

— თქვენს მეუღლეს კიევში საკუთარი ბიზნესი აქვს. მას ბიზნესსაქმიანობაში თუ ეხმარებით?

— დიახ, კახას უკრაინაში რესტორანი აქვს, მაგრამ მის საქმეებში არ ვერევი. ■

მოამზადა
ლაშა თაბაგარმა

ლატარიით გაუბედურებულნი

■ ლატარიაში 3,1 მლნ დოლარის მოგებამდე ამერიკელი უილ ჰერტი კეთილსინდისიერი თანამშრომელი, ერთგული მეუღლე და კარგი მამა იყო, გამდიდრებულმა კი ცხოვრების რადიკალურად შეცვლა გადაწყვიტა და ამისთვის დაისაჯა კიდეც: 2 წელიწადში, ღალატის გამო, გასცილდა ცოლი, ჩამოერთვა შვილების ნახვის უფლება, მერე კი სამსახურიდან გამოაგდეს და ნარკოტიკების მოხმარებისთვის დააპატიმრეს.

■ ამერიკელმა ეველინ ადამსმა ორჯერ — 1985 და 1986 წელს 5,4 მლნ დოლარი მოიგო. ახლა ადამსი ტრაილერში ცხოვრობს, რადგან მთელი ფული აზარტულ თამაშებში გაფლანგა.

■ უილიამ პოსტი ობლობაში გაიზარდა და პურის ფულს თევზაობით შოულობდა. ერთ დღეს, მეგობრის დაჟინებული თხოვნით, ლატარიის ბილეთი იყიდა და 16,2 მლნ დოლარი მოიგო. გამდიდრებული პოსტი რამდენიმე თვეში გაკოტრდა და 2006 წელს შიმშილით მოკვდა. „ღარიბი გაცილებით ბედნიერი ვიყავი“, — ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო.

■ ამერიკაში მცხოვრებმა სამხრეთკორეელმა, ჟანეტ ლიმ 1993 წელს ლატარიაში 18 მლნ დოლარი მოიგო. ის თანხებს საქველმოქმედო ორგანიზაციებს ურიცხავდა. შედეგად, ვახშმის უფლება მოიპოვა ბილ კლინტონთან, ელ გორთან და სამხრეთ კორეის პრეზიდენტთან — კიმ დე ჩუნთან. მოგებიდან 8 წლის შემდეგ ლის ანგარიშზე 700 დოლარი დარჩა და ქალმა თავი გაკოტრებულად აღიარა.

■ ლატარიაში მოგებული თანხით (20 მლნ დოლარი) ჯეფრი დამპირი ნათესავებს სიურპრიზებს უწყობდა: მათთვის მანქანებს, სახლებსა და ეგზოტიკური ქვეყნის საგზურებს ყიდულობდა. ერთ დღეს, ჯეფრი დამპირი, მისი ქონების მისაკუთრების მიზნით, საკუთარმა დეიდაშვილმა და მისმა საქმრომ სიცოცხლეს გამოასალმა. ორივეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

■ ბილი ბობ ჰარელმა მოგებული თანხა (31 მლნ დოლარი) ნათესავების კეთილდღეობასა და ეკლესიას მოახმარა, ერთ წელიწადში კი, უკვე გაკოტრებულმა, თავი მოიკლა.

■ 2002 წლის 25 დეკემბერს ჯეკ უიტაკერმა 315 მლნ დოლარი მოიგო. მოგებიდან ერთ კვირაში ჯეკი ჯერ ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის, შემდეგ კი ბარმენის ცემისთვის დააპატიმრეს. გამდიდრებიდან რამდენიმე თვეში, ქურდებმა მისი სახლიდან 545 ათასი დოლარი გაიტაცეს, ერთი წლის შემდეგ ნარკოტიკის ზედმეტი დოზის მიღებისგან ჯეკის 17 წლის შვილიშვილი გარდაიცვალა, ცოტა ხანში კი მისმა ქალიშვილმაც მოიკლა თავი. ■

ხელი არ ახლოთ დროშებს!

დანიაში, ნორვეგიასა და შვედეთში შეგიძლიათ, სახელმწიფო დროშა დახიოთ, მასზე წარწერები გააკეთოთ ან სულაც, ტანსაცმლის ნაცვლად გამოიყენოთ, მაგრამ თუ ასევე მოექცევით სხვა სახელმწიფოს დროშას, 3 თვით ციხეში გამოგამწყვდევენ.

აშშ-ში არ დაგაპატიმრებენ, თუ პროტესტის ნიშნად, დროშას დაწვავთ, მაგრამ გაგასამართლებენ, თუ არ დაიცავთ დროშის აღმართვის წესს: დილით ის სწრაფად უნდა ასწიოთ, საღამოს — ნელა დასწიოთ.

გერმანიაში 3 წლით თავისუფლების აღკვეთა გელით, თუ დროშას საღამოს, ბნელ, გაუნათებელ ადგილას აღმართავთ. ■

ბავშვური წიგნები

სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

გამომცემლობა „პალიტრა L“
www.elva.ge ტელ.: 38-26-73; 38-26-74

დარეკეთ, მოგწერეთ და ჩვენი კურიერები წიგნებს უმოკლეს ვადაში მიგაწვდიან

„ცხოველები“
საგმაწვნილო ენციკლოპედია
ფორმატი: 24X31სმ
გვრაოდ.: 256
ყდა: მაგარი
ფასი: 32.99

ცხოველთა სამყარო მეტად მრავალფეროვანია და საინტერესო. ამ ალბომებიან წიგნში ყველაფერია: ცხოველები, ფრინველები, მწერები, თევზები, მცენარეები... სად მრავალფეროვნა ცხოველის ეხა ოდ ის საბეერობ? რით იკვებება, როგორ მრავლდება? ეს და სხვა კითხვებზე ამოიწურავ პასუხს ნიოლებში. წიგნს ახლავს ფერადი ილუსტრაციები.

„დიდ ქართველებს“
ავტორი: ტარიელ ბოროგანელი
ფორმატი: 20X25 სმ
გვ.რაოდ.: 327
ყდა: მაგარი
ფასი: 20.99

ქართველი ერის ცხოვრების ქართველები. წიგნში ეძღვნება ქართველი ერის ის ნაწილ შეიტანა, რომლებიც სიცოცხლეს არ ეშურებდნენ მშობლიური ქვეყნის გადასარჩენად, ანაც ლაბის ნიღელი მიუძღვიან ერის ეროვნულიფიი ტრადიციის შენებაში.

„ჩემი გაკვეთილის ალბომი“
ფორმატი: 21X28 სმ.
გვ. რაოდ.: 48
ყდა: მაგარი ფასი: 11.99
თქვენი შვილის მეგობარი დამამდუბიდან სკოლამდელ ასაკამდე. შეავსეთ ალბომი თქვენი პატარის ცხოვრების ამსახველი მნიშვნელოვანი დეტალებით — ფოტოებით, ეგზოთერებით, ნახატებით...

„ჯადოსნური ფოკუსების დიდ წიგნი“
ფორმატი: 25X31 სმ
გვ.რაოდ.: 120
ყდა: მაგარი
ფასი: 21.99
ამ წიგნის საშუალებით ისწავლი 50-ზე მეტი ფოკუსის გაკეთებას. შეიტყობ ყველაზე გასაოცარი და ცნობილი ილუზიონისტების საიდუმლო ნომრების შესახებ.

„მსოფლიოს დიდ ატლასი“
ფორმატი: 27X34 სმ.
გვ. რაოდ.: 176
ყდა: მაგარი
ფასი: 32.99



„მსოფლიოს დიდი ატლასი“ — მოიცავს სრულ და ამომწურავ ინფორმაციას ჩვენი პლანეტის შესახებ. წიგნში მრავლადაა ფერადი ილუსტრაციები და განმარტებითი ტექსტები, სრულასნელ ქვეყნის დროში და 100-ზე მეტი რუკა. წიგნი თავლწინ გადაგიშლით სათვალ საყვარეს...

„პოკლე მოთხრობები“
ავტორი: ედგარ პენრი
ფორმატი: 14X20 სმ
გვ.რაოდ.: 363
ყდა: რბილი. ფასი: 5.99
ედგარ პენრი ამშ-ის ისტორიაში მოაღწე მოთხრობის დიდოსტატის სახელითაა მესული. იგი ნერგავ ორიგინალური სიუჟეტის, იუმორისტულ და ამავე დროს, თანაგრძნობით სავსე მოთხრობებს.

„თეთრი თათმანი“
ავტორი: თომას მინ რიდი
ფორმატი: 15X21 სმ.
გვ. რაოდ.: 460
ყდა: რბილი ფასი: 5.99
ცნობილი ინგლისელი მწერალის, თომას მინ რიდის სათავგადასავალი ნაწარმოებში „თეთრი თათმანი“ მოთხრობილია XV საუკუნის ინგლისელი ხალხის ბრძოლა ტირანის წინააღმდეგ, სიყვარულისა და გმირეულების ამბები.

„ოდისეანი ბალაბინოვი“
ფორმატი: 14X20სმ.
გვ.რაოდ.: 440
ყდა: რბილი. ფასი: 5.99
ეძღვნება გასული საუკუნის უდიდესი პოეტის გარდაცვალების 50 წლისთავს. წიგნში. გადმოცემულია ახლობელ ადამიანთა მოგონებები ფალეტონზე მკითხველი ბევრ საინტერესო დეტალს შეიტყობს პოეტის ცხოვრების შესახებ.

„მე, პრეზიდენტი და ოლიგარქი“
ფორმატი: 14X21 სმ.
გვ.რაოდ.: 320
ყდა: რბილი ფასი: 10.00
ამ წიგნში ეამბრაც ნაერთ სახეს ნახავთ და რაც მთავარია, დაინახავთ — ერთად ან არცეთ ერთად. მაგრამ აქ ყველა სიუჟეტ პოლიტიკა ეერეშეა ნოვატორი, ამიტომაც იკითხეთ ლაღად და თავისუფლად. მერე კი ერეთი ფიქრი და ეანალიზეთ...

„ბზიარული ხმები“
ხმოვანი
გასართობი წიგნი
ფორმატი: 26X26 სმ.
გვ. რაოდ.: 10
ყდა: მაგარი
ფასი: 19.99
კუ კალენ დაბადების დღეს მეგობრები ფიფლეხიელით უილეცავენ. გადაშალე წიგნი და შეიკრეთეთ მიარეულებს!



„კონია“, „პრინცი გაბაბი“
ეს ეპრანული ზღაპრების წიგნი არ ეეეეერეთ — აქ ეკადემიური ნახატები გადაეფარეულია ელვისებურად იეკლეა.
ფორმატი: 24X31 სმ.
გვ. რაოდ.: 29
ყდა: მაგარი
ფასი: 21.99

„ალბატილინა ჯუნგლეები“
ფორმატი: 23X27 სმ.
გვ.რაოდ.: 12
ყდა: მაგარი
ფასი: 19.99
ეკეთეოლეთ ცხოველები. ალბატილინისა და ალბატილინის ფანტაზიებით ამ ბერნეგანაც ია-ნაკელ!



ფანტაზიები წიგნები
ფორმ. 26X28 სმ.
გვ.რაოდ.: 10.
ყდა: მაგარი.
ფასი: 13.99
ამ ოგზაურეგ ცხოველთა სამყაროში ბინადრეთა და ოკეანის ფაუნეეზე. ჯადოსნური ბრიტანეთი ალბომები და ეკეთეთ ცხოველთა ეკეთ ზღვის ბინადრები

„ბავშვობის მოგზაურობა“
ფორმატი: 30X32 სმ.
გვ.რაოდ.: 10
ყდა: მაგარი
ფასი: 19.99
წიგნში ეკეთეთ მნიშვნელოვნად მოგზაურობა ბრიტან ქალაქში ბაგარი ბიბლიოფილი ფაუეურებით.

„ბზიარული მანქანები“; „ოთხავარი ცხენები“;
ფორმატი: 26X26 სმ.
გვ.რაოდ.: 9
ყდა: მაგარი
ფასი: 11.99
ნაკეთეთ წიგნის ეეერეთების სასალინი ამბები და ეანაეეეთ ფერადი ნახატები ამბლეების საშეალებით.

გარდა ჩამოთვლილი წიგნებისა, ჩვენ შეგვიძლია მოგაწოდოთ 2000-ზე მეტი დასახელების თქვენთვის სასურველი წიგნი

ზაზა გაბუნია „განსასჯელის სკამზე“

როცა „ქრისტიან-დემოკრატების“ პრესსპიკერი, ზაზა გაბუნია რედაქციაში გვესტუმრა, აღიარა: ძალიან ვღელავ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს, განსასჯელის სკამზე უნდა დავჯდეო. ის პროფესიით თეოლოგია. ყველაზე მეტად სამეცნიერო-ბიოგრაფიული და საღვთისმეტყველო ლიტერატურა იზიდავს. პირველი წიგნი, რომელიც დამოუკიდებლად წაიკითხა, „გულივერის მოგზაურობა“ იყო, ბოლოს კი ჯემალ ქარჩხაძის „მდგმურს“ გაეცნო და თურმე, ნაწარმოებმა მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ახალგაზრდა ავტორების შემოქმედებას იშვიათად კითხულობს, რადგან მიიჩნევს, რომ უმჯობესია, დრო კლასიკოსების ნაწარმოებებს დაუთმოს. ჰაინრიხ ჰაინე, გრიგოლ რობაქიძე და ტიციან ტაბიძე მისი საყვარელი ავტორები არიან.

„ადრე ლექსებს მეც ვწერდი...“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ადრე პოეტობას თავადაც ვცდილობდი, მაგრამ მაშინ შეყვარებული ვიყავი. ისე, ლექსებს არა მარტო სიყვარულზე, არამედ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზეც ვწერდი. ვფიქრობ, რომ ილიას ვბაძავდი.

— თქვენ ოპოზიციის მიერ გამართულ საპროტესტო აქციებში აქტიურად მონაწილეობდით. მოგვიანებით, კონსტანტინე გამსახურდიას „თავისუფლებიდან“ გიორგი თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატებში“ გადაინაცვლეთ. რატომ?

— მე არა მხოლოდ პარტია „თავისუფლების“, არამედ მთლიანად ეროვნული საბჭოს ახალგაზრდული გაერთიანების ხელმძღვანელი ვიყავი. იმ პერიოდში გიორგი თარგამაძე, თანამოაზრეებთან ერთად, პოლიტიკურ ორგანიზაციას ქმნიდა და ჩემთვის, როგორც სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ისეთ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, რომლის საფუძველიც ქრისტიანული ფასეულობები იქნებოდა, რა თქმა უნდა, დემოკრატიულ აზროვნებასთან ერთად, ამას დაერთო ჩვენი პოლიტიკური შეხედულებების თანხვედრაც და „ქრიტიან-დემოკრატებს“ შევუერთდი.

— ახლა კონსტანტინე გამსახურდიასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— მასთან ცუდი ურთიერთობა წამოსვლის დროსაც არ მქონია. მაშინ კონფლიქტური სიტუაცია პირადად კოკომ კი არა, მისმა გარემოცვამ წარმოშვა. მე მას ავუხსენი, თუ რით იყო ჩემი ნაბიჯი ნაკარნახევი და ჩემს გადაწყვეტილებას გულისტკივილით, მაგრამ გაგებით შეხვდა. სიმართლე გითხრათ, მას შემდეგ ბატონ კოკოსთან ურთიერთობა აღარ მქონია, მაგრამ ახლა პარლამენტში შემოსვლა გადაწყვიტა და ალბათ, მასთან შეხვედრა ხშირად მომიწევს.

— 1783 წლის 21 ნოემბერს პარიზში მომხდარმა ისტორიულმა მოვლენამ მთელი ევროპა აღაფრთოვანა. ამ მოვლენაზე გაზეთებშიც იწერებოდა, მას მხატვრები ტილოებს უძღვნიდნენ. რაზეა ლაპარაკი?

— რთული კითხვაა...

— მიგანიშნებთ, ერთ-ერთ გამოგონებას ეხება.

— (*ფიქრობს*) საჰაერო ბურთით ადამიანის პირველად გაფრენას ხომ არა?

— დიახ.

— სამწუხაროდ, ამ გამოგონების ავტორი ძმების სახელები არ მახსოვს.

— მე შეგახსენებ — ჟოზეფ და ეტიენ მონგოლფილები. რას უწოდებდნენ სათეატრო, საცირკო და საესტრადო წარმოდგენებისთვის განკუთვნილ დროებით ნაგებობას XVIII-XIX საუკუნეების რუსეთში?

— არ ვიცი.

— ბალაგანს. რომელ ფილმში შედგა ლეილა აბაშიძის დებიუტი?

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

— „ქაჯანაში“. ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე მოცულობის რომელი ერთეული იხმარება ფასთან მიმართებაში?

— ბარელი.

— რამდენი მეტრია შავი ზღვის მაქსიმალური სიღრმე?

— თუ სწორად მახსოვს, 2210 მეტრი უნდა იყოს.

— რომელი სახელმწიფოს გერბზეა გამოსახული თამბაქო?

— მგონი, კუბის გერბზე, არა?

— ალბათ, თამბაქომ კუბური სიგარა გაგახსენათ და ამიტომაც მიპასუხეთ შეცდომით. ეს მცენარე ბრაზილიის გერბზეა გამოსახული. 1951 წელს რომელ ქალაქში გაიმართა „მის სამყაროს“ პირველი კონკურსი?

— ალბათ, პარიზში.

— ცდებით, ეს ლონდონში მოხდა. სარდინია, მალტა, კვიპროსი, იავა — რომელი კუნძული არ მდებარეობს ხმელთაშუა ზღვაში?

— იავა.

— ძველ ჩინეთში ასეთი ჩვეულება ჰქონდათ: დანაშაულში ეჭვმიტანილისთვის სასამართლო დარბაზში მშრალი ბრინჯი მიჰქონდათ და თუ ვერ გადაყლაპავდა, მას დამნაშავედ ცნობდნენ. რატომ ვერ ყლაპავდნენ ბრინჯს დამნაშავეები?

— იმიტომ, რომ ნერვიულობდნენ, ასეთ დროს კი ნერწყვის გამოყოფა არ ხდება.

— XVII საუკუნის ბოლოდან 1793 წლამდე ამ კუნძულის დასავლეთი ნაწილი საფრანგეთის კოლონია იყო და მას სან-დომინგოს ეძახდნენ. რას უწოდებენ ამჟამად?

— ჰაიტის.

— **ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანში ყველა კლიენტს ეძლევა ცნობა, რომელშიც ზუსტადაა მითითებული დროის ის მონაკვეთი, რომელიც მან ამ დაწესებულებაში გაატარა. რა ეწოდება ამ რესტორანს?**

— არ ვიცი.

— **„ალიბი“. ვის სახელს უკავშირდება ქართული მარიონეტული თეატრის დაარსება?**

— რეზო გაბრიაძის სახელს.

— **ეს ინგლისელი მწერალი ქალი I მსოფლიო ომის დროს მოწყალების დად მუშაობდა. მას დეტექტიური ჟანრის 60-მდე რომანი აქვს შექმნილი. დაასახელეთ იგი.**

— (*ფიქრობს*) ვერ მიმანიშნებთ?

— **მისი ცნობილი გმირი ერკიულ პუაროა.**

— აგათა კრისტი.

— **ვინ შეადგინა თბილისის პირველი ტოპოგრაფიული გეგმა?**

— ვახუშტი ბაგრატიონმა.

— **„შეცდომას მრავალნაირი გზა აქვს, სწორად მოქმედებას — ერთადერთი, ამიტომ პირველი იოლია, მეორე — ძნელი. მიზანს იოლად აცდენ, ძნელად მოახვედრებ“, — რომელ ბერძენ ფილოსოფოსს ეკუთვნის ეს გამონათქვამი?**

— არ ვიცი.

— **არისტოტელეს. კაბადოკია მისი უძველესი სახელია. სწორედ აქედან წამოვიდა წმინდა ნინო საქართველოში, ქრისტიანობის გასავრცელებლად. სად მდებარეობს ეს ისტორიული ადგილი?**

— თურქეთში.

— **„გულო, ოცნებას მალავ,/ ცაო, ლურჯდება ზოლი/ ვაჟი: დაიცა, ქალავ!/ ქალი: დაგიბრმა თოლი!/ შორით ბრუნდება წყალი,/ ნისლი იცრება მთაში,/ არა! — ჩურჩულებს ქალი,/ კარგი! — ამშვიდებს ვაჟი...“ — ვინაა ამ ლექსის ავტორი?**

— ვაჟა-ფშაველა.

— **დარწმუნებული ხართ?**

— არა, უბრალოდ, მის პოეზიას მივამსგავსე.

— **ამ ლექსის ავტორი გალაკტიონია. ამ ტბის ერთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზეა, ნაწილი — მისი საზღვრის გარეთ. დაასახელეთ ეს ტბა.**

— არ ვიცი.

— **ჯანდარა. 1922 წელს, გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე მან რუსეთის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა და საქართველოდან მათი საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა მოითხოვა. ამის გამო ის დააპატიმრეს...**

— მაშინდელ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას გულისხმობ.

— **ეს გაზეთი 1877 წელს დაარსდა, 1886 წლიდან კი ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა. მან დიდი როლი ითამაშა XIX საუკუნის ქართული კულტურისა და აზროვნების ჩამოყალიბებაში.**

— „ივერია“.

— **რომელ წელს გაიხსნა საქართველოში პირველი რკინიგზა?**

— 1811 წელს.

— **ცდებით, ეს 1871 წელს მოხდა. რომელია მზესთან ყველაზე ახლოს მდებარე პლანეტა?**

— მარსი, არა?

— **არა.**

— მაშინ, ვენერა.

— **ვერ გამოიცანით. ეს პლანეტა მერკურია. რა თანამდებობა ეკავა გიორგი საakაძეს მეფე ლუარსაბ II-ის კარზე?**

— მოურავი გახლდათ.

— **დაასახელეთ იდოეთის ძველი სამეფო, რომელიც შალის ქსოვილის წარმოებით იყო ცნობილი.**

— ქაშმირი.

— **მან იმპრესიონისტულ მიმდევრობაში აღიარება სიკვდილის შემდეგ პოვა. ხატვა ნახშირის ნატეხით დაიწყო. სიკვდილამდე 2 წლით ადრე, სიყვარულის დასამტკიცებლად, ყური მოიჭრა და საყვარელ ქალს გაუგზავნა. ვინ იყო ეს პიროვნება?**

— ვან-გოგი.

— **სადაური არაყია ჯინი?**

— ამერიკული.

— **ცდებით, ის ინგლისური არაყია. „არაყი აწითლებს ცხვირს და აშავებს რეპუტაციას“, — რომელ მწერალს ეკუთვნის ეს სიტყვები?**

— არ ვიცი.

— **ანტონ ჩეხოვს. რომელ სახელმწიფოშია ავიამშენებელი კონცერნი „ბოინგი“?**

— აშშ-ში.

— **რა ჰქვია კარდინალთა კრებას, რომელიც რომის პაპის გარდაცვალების შემდეგ ახალ პაპს ირჩევს?**

— არ ვიცი.

— **კონკლავი. რა ჰქვია მზის ღმერთს ინდუიზმში?**

— ვიშნუ.

— **რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდა ჯუზეპე გარიბალდის მოხალისეთა კორპუსი?**

— საფრანგეთის წინააღმდეგ.

— **ცდებით, ავსტრიის წინააღმდეგ იბრძოდა. ვინ იყო რომის იმპერიის პირველი იმპერატორი?**

— ავგუსტუსი.

— **რა ჰქვია მუსლიმანი ქალების თავსაბურავს?**

— ჩადრი.

— **რომელი სახელმწიფო აკონტროლებს გიბრალტარის სრუტეს?**

— დიდი ბრიტანეთი.

— **მან გერმანულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, ქართველ პოეტთა ლექსები. ის ილია ჭავჭავაძესთან მეგობრობდა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. დაასახელეთ ეს პიროვნება.**

— არტურ ლაისტი.

— **დაბოლოს, დასრულეთ ცნობილი იტალიელი პოეტის, დანტე ალიგიერის გამონათქვამი: „მიჰყევი შენს გზას და ადამიანებმა რაც ენებოთ...“**

— „...ის ილაპარაკონ“.

■

ერუდიტი +

გენიოსთა უცნაურობები

მეცნიერებმა მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად დაასკვნეს, რომ ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, გენიოსებს და შეშლილებს შორის მსგავსება არსებობს. მაგალითად, მონტენსკიეს და ლენუას შესახებ ჰყვებიან, რომ მათი საწერი მაგიდების ქვეშ ჩაღრმავებული ადგილები შეინიშნებოდა, რომლებიც ფეხების გამუდმებული ცახცახით იყო წარმოშობილი; მარჯვენა მხრის ცახცახი და ტუჩების თრთოლა ნაპოლეონსაც აწუხებდა. ის თურმე, სუსტ ქარსაც ვერ იტანდა და სითბო იმდენად უყვარდა, რომ მის კაბინეტს ივლისის თვეშიც ათბობდნენ; წლის ყველა დროს თბებოდა ვოლტერის კაბინეტიც და სიცივის ეშინოდა ბაირონსაც; ამ ლეგენდარული ადამიანებისგან განსხვავებით, შილერი ფეხებს ყინულში აწყობდა და ისე წერდა; მილტონი დივანზე დამხობილი მუშაობდა, ხოლო ლაიბნიცი მხოლოდ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში აზროვნებდა; შატობრიანს არ შეეძლო, გულგრილად მოესმინა ვინმეს ქება; ბეთჰოვენი შემოქმედებითი მუშაობის დროს შიმშილის შეგრძნებას კარგავდა, მოსამსახურეებს ლანძღავდა და მათ არწმუნებდა, რომ უკვე ისადილა.

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა არის მარჩილი?

2. რა არის დეკეული?

3. რუსები ამბობენ: „მგელივით მშიერი“; გერმანელები ამბობენ: „დათვივით მშიერი“; ინგლისელები ამბობენ...

4. ვინ იძახდა, — „დედა-ჩემი მუმიაა, მამა კიდევ, გნომი“?

5. ალექსანდრ პუშკინი რომის ბოთლის ხსენებაზეც კი საშინლად ღიზიანდებოდა. რატომ?

6. როგორ ჟღერს რუსულად რუსთაველის აფორიზმი: „გველსა ხვრელით გამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი“?

7. „ახალ აღთქმაში მოხსენიებული კეთილი სამარიტელის ამბავი დღეს არავის ეცოდინებოდა, კეთილ ზრახვებთან ერთად, მას ფულიც რომ არ ჰქონოდა“ — ვინ ამბობდა ამ სიტყვებს ხშირ-ხშირად?

8. ინგლისელები ყოველთვის ამაყობდნენ, რომ კარიბის ზღვის ყველაზე მრისხანე მეკობრე მათი თანამემამულე იყო. ვისზეა ლაპარაკი?

9. რა არის სამსჭვალი?

10. დაასახელეთ ვატიკანის სახელმწიფო ენა.

11. რა ეწოდება პლანეტა მარსს ძველქართულად?

12. ვისი მამა გახლდათ პოლონელი ებრაელი, ვოლფ იცხაკ ედელშტეინი?

* * *

დირექტორის კაბინეტში:

— გავიგე, თითქოს, ეკლესიაში დადიხართ და ღმერთს ევედრებით, ხელფასი გამიორმაგდესო.

— რა იყო, არ შეიძლება?

— კი, ოღონდ, გაითვალისწინეთ, არ მიყვარს, როცა ზემდგომ ინსტანციებს ჩემი გვერდის ავლით მიმართავენ.

* * *

ამერიკელი თბილისში ჩამოვიდა. მასპინძელი ქალაქს ათვალიერებინებს. ჩაუარეს ოპერის თეატრს. ამერიკელი ეკითხება:

— რამდენი ხანი მოუნდით ამის აშენებას?

— 2 წელი, — უპასუხა ქართველმა.

— ამას ჩვენ 1 წელიწადში ავაშენებდით!

ქართველს ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია. ჩაუარეს ფილარმონიას. ამერიკელი ეკითხება:

— ეს შენობა რამდენ ხანში ააშენეთ?

ქართველმა იფიქრა, მოდი, მოვატყუებო და უპასუხა:

— 1 წელიწადში.

— ჩვენ 6 თვეში ავაშენებდით.

ჩაუარეს „დინამოს“ სტადიონს.

— ეს რამდენ ხანში ააშენეთ?

— რავი, წელან რომ გამოვიარეთ, არ იდგა!

* * *

— ექიმო, წელი მტკივა.

— აბა, გადაიზნიქე, ახლა გადმოიზნიქე, დაიხარე...

— მოიცა, კაცო, მაგდენი რომ შემეძლოს, შენთან კი არ მოვიდოდი?!

* * *

ინგლისელი ლორდი სახლში ბრუნდება. მსახური კარს უღებს და ეუბნება:

— ჰა, ბებერო ბრიყვო, მთელი დღე რესტორანში ეგდე?!

— არა, სმენის აპარატი ვიყიდე.

* * *

— ბიჭო, ვასოიას ცოლი მოუყვანია და შემოგვითვალა, ამოდითო.

— თვითონ ვერაფერი მოუხერხა?!

* * *

— შავები რატომ გაცვია?

— მამა მომიკვდა.

— რა დაემართა?

— ერთი ძვირად ღირებული ჩინური ლარნაკი მქონდა, რომელიც შემთხვევით, თაროდან გადმოვარდა და თავში დაეცა.

— ჰოდა, მოკვდა, არა?

— არა. მეორე დღეს სკამზე იჯდა, უკან გადაყირავდა, ძაღლს დაეცა და მომიკლა.

— თვითონ?

— თვითონ გადარჩა.

— მერე?

— მესამე დღეს ფანჯრიდან გადავარდა, ჩემს ახალთახალ „მერსედესს“ დაეცა და სულ დამილეწა.

— და თვითონაც დაიღუპა?

— არა, თვითონ გადარჩა!

— თუ ძმა ხარ, მითხარი, რით მოკვდა?

— მე მოვკალი! აბა, რა მექნა, სულ გამინადგურა ყველაფერი!..

* * *

— მოშე, მოდი, ფარდები ვიყიდოთ.

— რად გვინდა ფარდები, სარა?

— ხომ ხედავ, ჩვენ მოპირდაპირე მხარეს სტუდენტების საერთო საცხოვრებელია და როცა ტანსაცმელს ვიხდი, შეიძლება, დამინახონ.

— ნუ გეშინია, თუ დაგინახეს, თვითონ გვიყიდიან ფარდებს.

* * *

დედა შვილს აღვიძებს:

— ადექი, შვილო, სკოლაში გაგვიანდება.

— არ მინდა სკოლაში! იქ ისეთი საზიზღარი ბავშვები და აუტანელი მასწავლებლები არიან, რომ მათი დანახვა აღარ შემიძლია.

— რას იზამ, შვილო, მაინც უნდა წახვიდე, შენ ხომ სკოლის დირექტორი ხარ!

* * *

ორი ქალი საუბრობს:

— ჩემი ქმარი მხოლოდ მაშინ სვამს სასმელს, როცა რაიმე დღესასწაულია ან აბანოში მიდის.

— უი, რა კარგი ქმარი გყოლია!

ცოტა ხანში შემოდის ქმარი და ცოლს ეკითხება:

— დღეს რამე დღესასწაული ხომ არ არის?

— არა.

— წავედი მაშინ აბანოში!

* * *

მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა დაეწერათ თხზულება — „რას ვიზამდი, მილიონი რომ მომეგო.“ ცოტა ხნის შემდეგ ერთი მოსწავლე წამოდგა და მასწავლებელს ეკითხება:

— მასწავლებელო, 100.000-ს ხომ ვერ დამიმატებდით?!

* * *

არწივი მიფრინავს. უცებ, ზურგზე ბეღურა დააჯდა.

— რა გინდა?! — ეკითხება არწივი.

— არაფერი! გზას უყურე!

* * *

მიხოს, ოთხი ვაჟის მამას, ეჭვები აწუხებს:

— მარო, დედაკაცო, შაქრუა ნაღდად ჩემი შვილია?

— იი, მეხი კი დაგაყარე მაგ უტვინო თავზე, — აღშფოთდა მარო. — შაქრო სწორედ რომ შენი შვილია!

* * *

პაციენტი ექიმთან მივიდა, თვალი დალურჯებული აქვს.

— რას უჩივით? — ეკითხება ექიმი.

— ფეხებს, ექიმო, ფეხებს! ცოლი გამომეკიდა და დამეწია.

* * *

— გაიგე, მონაკოში ფეხბურთის თამაში აუკრძალავთ.

— რატომ?

— დაიტანჯნენ... ბურთი ხან იტალიაში უვარდებათ და ხან — საფრანგეთში.

* * *

უფროსი მდივანს ეუბნება:

— სამსახურში სასიყვარულო წერილებს რომ წერთ, ეგ ჯანდაბას, მაგრამ გამაგებინეთ, ხელმოსაწერად ჩემთან რატომ შემოგაქვთ?!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ძველი ქართული ვერცხლის ფული. ერთი მარჩილი სამ აბაზს უდრიდა.
2. ასე ეძახიან ფურს, ერთიდან 2-3 წლამდე (პირველი ხბოს მოგებამდე).
3. „მონადირესავით მშიერი“.
4. სახურავის ბინადარი კარლსონი.
5. პეტრემ პირველმა მისი ბაბუა, ჰანიბალი 1 ბოთლი რომის საფასურად იყიდა.
6. „იზ ნარი ვივოდიტ ზმეია კრასნარეჩია დივნი დარ“.
7. მარგარეტ ტეთჩერი.
8. ჰენრი მორგანზე.
9. „სამსჭვალი“ და „ლურსმანი“ სინონიმებია.
10. ლათინური.
11. მარიხი.
12. ვლადიმირ ჟირინოვსკის.

ჩვენი ფოტო გაღვრეა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ჰოროსკოპი

(5-11 ნოემბერი)

ვერძი:
ნუ ჩამოყრით ყურებს, განახორციელეთ ახალი იდეები და უკეთესი მომავლისთვის იბრძოლეთ! უქმე დღეები ოჯახის წევრებს დაუთმეთ და საკუთარი იმიჯის შეცვლაზეც იზრუნეთ.

ხუცრი:
საყვარელი ადამიანის დახმარებით წარმატებას მიაღწევთ და თქვენი მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდება. კვირის ბოლოს წვეულება მოაწყვეთ.

ტყუპი:
წარმატების მისაღწევად ისეთი საქმე წამოიწყეთ, რომელიც კარგად გამოგდით. ივარჯიშეთ, მაგრამ მოერიდეთ გადაღლასა და ექსტრიმს. კარგი პერიოდია რომანტიკული შეხვედრებისთვის.

ჯიანგხიანი:
ძველი სიყვარულის დასავიწყებლად, ერთდროულად რამდენიმე რომანს ნუ გააბამთ. უმჯობესია, მოზღვავებული ენერგია მუშაობაში დახარჯოთ. დაწყებული საქმეები ბოლომდე მიიყვანეთ.

ღიმი:
კარგი პერიოდია გამოცდილების შესაძენად და ცოდნის გასაღრმავებლად. მოტყუებული რომ არ დარჩეთ, ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია ადვოკატთან შეათანხმეთ.

ეკანგწუღი:
უსაქმურობაში ბრალი რომ არ დაგდონ, მოერიდეთ კოლეგებთან ჭორაობას. კარგი პერიოდია დიეტის დასაწყებად. უქმე დღეები საყვარელ ადამიანს და შვილებს დაუთმეთ.

ხანსწიანი:
ჯადოსნური პერიოდი დაგიდგათ — რაიმეს გაიფიქრებთ თუ არა, საწადელი მაშინვე აგისრულდებათ. შესაძლოა, შემოსავლის დამატებითი წყარო გაგიჩნდეთ.

ბოიანი:
ყურადღების ცენტრში ხართ. გარშემო მყოფები ყურადღებითა და სიყვარულით გაგანებივრებენ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

ბუვიანდიოსანი:
მოერიდეთ სტრესსა და გადაღლილობას. ეს დრო უმჯობესია, დასვენებას დაუთმოთ. უქმე დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ, მათი დახმარებით უამრავ პრობლემას მოაგვარებთ.

თხის რქა:
თანამოაზრეებისგან უამრავ საჭირო ინფორმაციას მიიღებთ. თუ მათ გონივრულად გამოიყენებთ, წარმატებას მიაღწევთ. მოერიდეთ მეგობრებთან ერთად ბიზნესის წამოწყებას.

ბეჩწუღი:
დაისახეთ მიზანი, ჩამოაყალიბეთ გეგმა და იმოქმედეთ მის განსახორციელებლად. დახმარებისთვის შეგიძლიათ, ოჯახის წევრებსა და მეგობრებს მიმართოთ.

თევზები:
კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. ნუ მიეძალებით ალკოჰოლს. კარგი იქნება, თუ საყვარელ ადამიანთან ერთად მომავლის გეგმებს დასახავთ.

პატარები მეინოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

4 წლის ანი გოზალიშვილმა დეიდა ძალიან გააბრაზა. ეს უკანასკნელი დაემუქრა, იცოდე, ტყეში წაგიყვან, ხეზე მიგაბამ და მგელი შეგჭამსო. გოგონამ დაუყოვნებლივ უპასუხა:
— ხომ მაღლა დამაბამ?

პატარა ლუკა ხმამაღლა კითხულობს ინგლისურ წიგნს. მოულოდნელად გაჩერდა.
— რა ხდება? — ჰკითხა დედამ?
— სარეკლამო პაუზა მაქვს.

3 წლის თათია სულიაშვილი კითხულობს, — დედიკო სად არისო. ბებია პასუხობს, — სოფელში გაფრინდა შენი დედიკოო.
— ბებო, რით გაფრინდა, ცოცხით?

5 წლის თამუნა მანუჩარაშვილი დედას ეკითხება:
— დედიკო, ჩიტს ძუძუები აქვს?
— არა, შვილო ფრინველებს ძუძუები არა აქვთ.
— აბა, რომ მითხარი ჩიტის რძეს მოგიტანო?..

3 წლის ნინო დოგრაშვილი დედას ეკითხება:
— დედიკო, რომ გავთხოვდები, ბაღში ხომ აღარ მატარებ?

დედა ეუბნება პატარა ნინოს:
— წავიდეთ, მამას თავს დავესხათ, ვნახოთ, რას აკეთებს.
— ჩვენ წყალი ვართ? — იკითხა ბავშვმა.

საღამო ხანი იყო, 4 წლის ირაკლი ჩადუნელმა ციცინათელა დაინახა და ბებიას ჰკითხა:
— ბებო, ამას ვინ ჩაუდგა ელემენტები?

პირველკლასელ თამუნა ბარამიძეს ზღაპრის წაკითხვა უნდა, მაგრამ ძალიან ედიდება და თავისთვის ამბობს:
— „ორი ძმა“ თუ ამხელა ზღაპარია, „სამი ძმა“ რამხელა იქნებაო?!



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. ტიპიკონი; 2. ტიბეტი; 3. ემი; 4. ფრი; 5. ლიტანია; 6. ბუცეფალი; 7. ტრავიატა; 8. იუდა; 9. რეალი; 10. ფიდია; 11. არსენალი; 12. ურმული; 13. ფოცხიშვილი; 14. ტირანა; 15. ნეკი; 16. არაქისი; 17. ონაგრი; 18. პლანეტა; 19. დოპა; 20. კარავაჯო; 21. ხეპრე; 22. ეკალა; 23. ოპაიო; 24. შუ; 25. რეგი; 26. ანდერსენი; 27. აბგა; 28. მეანი; 29. სინჯარა; 30. ომარი; 31. ნიკა; 32. მე; 33. იუკო; 34. კლიტე; 35. ზრო; 36. ოინი; 37. პინა; 38. ნოე; 39. ჩილე; 40. ოსლო; 41. ანონიმი; 42. ნუნა; 43. ბასტილია.

სურათებზე: 1. ემი ვაინჰაუსი; 2. ემინემი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. რა ჰქვია მთავარ პერსონაჟს ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში „ძაღლი“; **ა**. სამცხის მმართველთა ტიტული; **ე**. გუთნის ძველი სახელწოდება; **რ**. რისამე დამზადების წესი; **თ**. თავის ქალის ზედა ნაწილი; **ე**. განსწავლული ადამიანი; **დ**. წისქვილის ქვა; **ა**. „დათა თუთაშხიას“ ამ პერსონაჟს რომანში ტოფანა ჰქვია, რა ჰქვია მას ფილმში; **დ**. რა ცხოველია გრიზლი; **ა**. თამბაქოს სამშობლო; **ი**. კუნძული, რომელზეც მდებარეობს ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა; **ს*** ფრანგი ფერმწერი, რომელსაც ისე აკრთობდა მენატურე ქალის სიშიშვლე, რომ ცოლად შეირთო იგი და ასე დასძლია სიმორცხვე; **ვ*** რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში; **ე*** მცენარე, რომლის ფესვებითაც სააღდგომო კვერცხებს ღებავენ; **ნ*** ხელოვნური ბოჭკო; **ე*** მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში; **გ*** ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო; **ზ*** ტეხილი ხაზი; **ა*** დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან მყოფი ამა თუ იმ დარგის სპეციალისტ-კონსულტანტი; **ს*** იაპონური ჭიდაობა; **თ*** ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები; **ა*** ქართველი მეფე-პოეტი; **ნ*** თორნიკეს როლის შემსრულებელი ფილმში „მონანიება“; **ე*** რა ჰქვია გიორგი შენგელაიას ძმას; **რ*** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **თ*** ივნისის ქართული ხალხური სახელწოდება; **ა*** ტროპიკული ხილი; **დ*** ხანი, ჟამი.

** წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

გ. გიდელი; **ა*** ათინათი; **ე*** ელდარი; **რ*** რაგბი; **თ*** თავლა; **ე*** ელარჯი; **დ*** დილემა; **ა*** აკვანი; **დ*** დრაკონი; **ა*** აქსიომა; **ი*** ინდოეთი; **ს*** სკიპტრა; **ვ*** ვედრება; **ე*** ეკიპაჟი; **ნ*** ნიაგარა; **ე*** ეჟვანი; **გ*** გუდუნა; **ზ*** ზვავი; **ა*** აბრაგი; **ს*** სტიმული; **თ*** თამადა; **ა*** აბორტი; **ნ*** ნისია; **ე*** ენდემია; **რ*** როენა; **თ*** თავადი; **ა*** არსენა; **დ*** დიოგენე.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

დიდ გვალვას დიდი ავდარი მოსდევსო.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

4	8	1	2	7	3	6	9	5
6	7	2	1	5	9	4	3	8
3	5	9	6	4	8	2	1	7
5	1	3	4	2	6	8	7	9
8	2	6	7	9	1	3	5	4
7	9	4	3	8	5	1	6	2
2	3	8	5	6	7	9	4	1
9	6	5	8	1	4	7	2	3
1	4	7	9	3	2	5	8	6

7	4	8	1	2	6	5	9	3
6	9	1	4	3	5	8	7	2
3	5	2	8	7	9	6	1	4
4	7	3	6	8	2	1	5	9
2	1	5	7	9	3	4	6	8
9	8	6	5	1	4	2	3	7
8	6	4	3	5	7	9	2	1
1	3	9	2	6	8	7	4	5
5	2	7	9	4	1	3	8	6

1	2	9	5	8	6	7	3	4
6	7	3	1	4	2	9	8	5
5	4	8	3	9	7	6	2	1
7	8	2	9	5		3	4	6
4	6	5	2	7	3	8	1	9
9	3	1	8	6	4	5	7	2
8	5	7	4	1	9	2	6	3
3	9	4	6	2	8	1	5	7
2		6	7	3	5	4	9	8

* მარტივი

3	5	9	7	8	2	1	4	6
8	6	7	4	3	1	5	9	2
2	1	4	6	5	9	7	8	3
9	8	6	2	1	7	3	5	4
4	3	2	8	9	5	6	1	7
1	7	5	3	6	4	8	2	9
7	9	8	1	2	6	4	3	5
6	2	3	5	4	8	9	7	1
5	4	1	9	7	3	2	6	8

** საშუალო

6					5		9	
	8		7				4	
			3			1		
	2			5	6			7
	9		4				2	
8				7			1	
		6			4			
	1				2		3	
	4		6					9

*** რთული

			4					1
		2		9				8
		6		1			7	
	5		8				3	
2				7				6
	6			2	4		8	
	4			3		1		
1				8		3		
7					5			

ფოტოკუთხეები



„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

გოგენი

შეიძინეთ
„კვირის პალიტრასთან“ ერთად!

წიგნების სერია
რჩეულ ფერმწერებზე -
შედევრები და ისტორიები

2-დან — 8 ნოემბრამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის! სპეციალური ფასი - 15 ლარი!

არ გამოგრჩეთ! ყოველთვე თქვენ ბიბლიოთეკას ერთი ტომი შეემატება!

კოლექციის პირველი წიგნი — „ვან გოგი“ შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით ელვა.ge-ს ტელ: 38-26-73; 38-26-74. კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ